

230602

Chittagong
n. 16

15 07 34 (A)

1897

[I, II, III, IV]

10 km from Chittagong

Chittagong



ଶ୍ରୀ ରାଧାକୃଷ୍ଣ ମହାପାତ୍ର

~~= 189 ft²~~

~~9. 2000~~

Lhunzor = JD first sign at Zanskar.

(Lhunzor = JD first sign at Zanskar.)

(Zanskar = JD first sign at Zanskar.)

1. 6-th March " Lhunzor " N 11°
2. 11-th March " Lhunzor " N 15°
3. 24-th March " Lhunzor " N 17°, 03.5°.
4. 27-th March " Lhunzor " N 17°, 01.2°.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Августа 1897 г.

განეოფთხება I

63

I	ვუტკარი, ლექსი	
II	მაიმუ ჩვენია, ლექსი	2
III	უგრალო საუბარი (მე და ის)	4
IV	ნაცარ კეჭია, პოემა	12
V	უკრები ბუხრის წინ	44
VI	შვერილ-შვერილი ამბები და ნაკვესები	59

განეოფთხ. II

VII	ბაში აჩუპი, ისტორიული მოთხოვბა	1—71
-----	--	------

განეოფთხ. III

VIII	ზევირ სიცივაობის გამო, შენიშვნა	1
IX	სოც. ხიზაბავრა, წარმომადგენელი ქ. გვარამაძე საგან	6
X	ლეგენდა დაჭით აღმაშენებელზე, არაკი, ანდაზები და გამოცანები, ჩაწერილი ვიქ. ებანოიძისაგან	28
XI	სოც. სევიტორი	33
XII	ბროჭეულის ფუარო, ზღაპარი	38
XIII	ულოცვები, შეკრებილი ნ. ჯანაშავასაგან	44
XIV	განცხადება	



ლ უ ც კ ა რ ი.

ხატის ბეზი, ზეცის მუშა
ჩაწაწინა ფულქარია!...
შორს მიღონავს სამუშაოთ
მიმღერის... უხარია!

უვავილიდან უვავილებზე
გადაბზუის, გადმობზუის
ის სიმღერა მუშურია
მისებური.... არა სტეუის!..

აქაც წაწინის, იქაც წუწინის
სათაფლ-სანთლო მასალას;
არ იზოგავს, ღვთის მოცემულს,
არც ნიჭის და არც ძალას.

დაბრუნდება დატვირთული,
მააშურებს ისევ სადგურს;
სულსა სწირავს და გულს უძღვის
ღვთის და კაცის ტკბილ-ჭმსახურს!..

წეიძა-ელვა-ქუნდას დორს
ეტანება ფოთლის კარავს!..
უფრთხილდება ნამუშავარს,
რომ არ წახდეს. თავს რტყარავს.

არ გას ერჩის და, თუ მტერი
სადმე გზაში დაუხვდება,

მივარდება ვაშკაცურად,
ისარს ჰქონავს და შეაკვდება!..

შენც, მგრასანო, კაცთა შორის
ფუტკათა ხარ გაჩენილი!..
თაფლს და სანთელს ორმ სხვას აძლევ,
რადა გრჩება ნათელ-ტყბილი?



მაინც ჩვენია.

მაღლის გამომეტეველი,
სახე რამ ზეციური,
მომწონს, როცა ზედ ზრუნვაც
ისატება დღიური!..

მომწონს და გულში ვამბობ:
საოცნებო რამ არის!..
სწორი არის შვენებით
თვით იმ დიდი თამარის!..

მაგრამ მხოლოდ გარეგნად...
თვალ-ტანადათ, სხვებ არა!..
ძნელი არის, თუ მთვარეს
ნისლი გადაუფარა!..

ას თამარი ქართველი,
ადიდებდა თვით ქართველს,
თავს სწირავდა სამშობლის,
სხივებს ჰუნდა მთა და ველს!..

ეს ვერ გვათბობს!.. გვინათებს
შორით, მსგავსად მთვარისა!

აჩრდილია უსულო
იმ დიდი თამარისა!..

მაგრამ მაინც თვალსა გმიჭრის
ქალა უნებურათა,
როცა გაიჭიატებს
ისევ ჩვენებურათა!..

მეც შევჭეურებ ღცნებით
მაშინ, გულის ძერითა
და მთა და ბარს ვაურუებ
ჩემი ჩანკის ჟღერითა!..



უ ბ რ ა ლ თ ს ა უ ბ ა რ ი.

(მე და ის).

მე ერთი მეგობარი მყავს. ღმერთმა კაი მოგცეთ, კარგი კაცი ის იყოს... ჩვენი ცხოვრების მიმღინარეობას შეგნებულად ადევნებს თვალ-ყურს და შისი ავ-კარგიანობის გამჩხრეკიც არის, მაგრამ, რათ გინდათ? ნამეტანი ჭირვეულია: თუ დაასწარით რამე, მერე ნუღა ელით, რომ დაითანხმოთ!... რომ მიასობს ჯორივით წიხლს, მისი გადახვევა აღარ მოხერხდება.—მე ხომ ასე ვფიქრობ იმაზე!.. წარმოიდგინეთ, რომ ისიც სწორეთ ამისთანავე აზრის არის ჩემზე, მაგრამ ეს ჩვენს მეგობრობას არას უშლის და სხვა და სხვა რამეებზე საუბარი ერთმანეთთან გვიყვარს... რასაკვრელია, კამათობის დროს, ის მისკენ იწევს ხოლმე და მე ჩემსკენ. ორივეს ჩვენ ჩვენი თავი მართალი გვგონია და გამრჩევი კი არსად არის. ახლა, რომ ამ ჩვენ ახირებულობას ბოლო მოეღოს, გავიძრახე ჩვენი ყოველ-გვარი ბაასი „კრებულში“ ვბეჭდო ხოლმე უმეტნაკლებოდ; და დეე, მკითხველმა გაგვასამართლოს. აი, ამ დღე-ებშიაც ერთი ყოფა დამაყენა და ისეთი რამეები წამომაცდენია, რასაც გულში ვინახავდი ამდენსანს და არ მინდოდა გამომემულავნებია. თუ სასიამოვნოთ არ დაგირჩესთ, მარტო მე ნუ დამემდურებით!...

ის.—მაშ აღარ ხუმრობ? მართლა აპირობ „კრებულის“ ყოველ თვიურად გამოცემას?

მე.—თუ ჩემი ორმოცი წლის შრომა ხუმრობა იყო, ეგეც ხუმრობა იქნება და, დეე, ერთიც კიდევ მიემატოს!...

ის.—მაგრე არა ჰავიქრობენ!...

მე.—ჩემი უურნალისათვის ჩემი საკუთარი გრძნობა-გონებაა საჭირო და მათი ფიქრი კი, ვგონებ, მეტი უნდა იყოს ამ შემთხვევაში!..

ის. — ცუდ ხმებს ავრცელებენ და... ხომ გაგიგონია: „ყბათ
აღებული წყალ-წალებულიო“.

მე. — უგ ხომ ახალი რამ არ იქნება ჩემ თავზე?... ყბათაც
ბევრჯელ ვყოფილვარ აღებული და წყალსაც წაულივარ,
მაგრამ, ხომ მხედავ? გადავრჩენილვარ ლვთის მადლით...
გავუძლებ ამ ახალ ჭირსაც.

ის. — საბოლოოოთ რაც იქნება, ეგ სხვაა!.. მაგრამ პირველ
ხანებში კი შეგიშლიან ხელს!.. ასე ამტკიცებენ, რომ
ვერ შესძლებს გამოცემას,

მე. — უსაფუძვლო ხმა — მოცლილი ძალლის ყეფაა, ჩემო კარგო.
ის. — მოცლილი ძალლის?!

მე. — დიახ!.. ძალლს რომ საქმე გამოელევა, დაცუცქდება,
ააშვერს ტუჩს მალლა ცისკენ და შელმურს მთვარეს...
თუ იმას მალლა ვერ შევაშინებ და ვერ შევაჩერებ, ამ
დაბლა ხომ კი მაინც გაისმის ჩემი ხმაო?!

ის. — ახლა, ნურც მაგრე იტყვი!.. იმათაც საბუთები მო-
აქვთ!.. „ზარმაციაო“.

მე. — აი მაგაზედ არის ნათქვამი: „მისთანა ფურმა დამწიხლოს,
რომ საწველს ავსებდესო“. ლირსება განზე გადავდვათ!..
ეგება ჩემი ნაშრომი ლირსებას მოკლებული იყოს!.. მე
თვითონ არა მეთქმის რა!.. მაგრამ მივმართოთ რაოდე-
ნობას: მოვიტანოთ სასწორ-საზომი ერთი მხრით ჩემი
ნაშრომი დავუდვათ, მეორეთი — ყველასი, მათი. შევუ-
წონოთ ერთმანეთს და თუ იმათმა, გადაძლიოს მაშინ
მართლები იქნებიან!... სხვას კიდევ რას ავრცელებენ?

ის. — მალე მოიხალისებს და მოეწყინება გამოცემაო.

მე. — რათარ ვითომ? ჩემი ხელობა მაგის მეტი სხვა რაღა
არის?!. თუ კი ორმოცი წლის განმავლობაში არ მომ-
წყენია მწერლობა და თავი არ დამინებებია, რაღა ახლა
ამ ერთ წელიწადში უნდა დამემართოს. ყოველიფერი
სიგლახე?

ის. — აბა, დიდხანს რომელ რედაქტორს შეგუებიან? ერთიდან
მეორესთან გადადიოდა ხოლმეო.

- მე.—ეგეც ერთი ენის ქავილია... სხვა არაფერი: აბა გადაშალონ სხვა და სხვა ქართული გამოცემები ამ ორმოცი წლის განმავლობაში და ნახვენ თუ გამცდარვარ!.. და თუ ერთგან აღარა, მეორეგან მაინც მიმუშავნია!..
- ის.—პო და კიდეც ეგ დაუჯინიათ, რომ ერთ ალაგას ვერ მოიცდის... გაიქცევაო.
- მე.—ახირებულია, თქვენმა მზემ!.. ერთი ვინმესი უსამართლო — ბატონობა რომ ვერ ავიტანო და მეორესთან გადავიდე, ნუ თუ ეს დაუდგრომლობასა, ნიშნავს? ახლა რომ კიდეც მოვინდომო გაქცევა, ვის უნდა გავექცე? რედაქტორიც ხომ მევე ვარ და?..
- ის.—ამას გარდა იმასაც კი ამბობენ, რომ ხელ მომწერლები არ ეყოლება და ხარჯს ვეღარ გაუძლებსო.
- მე.—ტყუილი იმედი ჰქონიათ!.. შენც თვითონაც კარგათ იცი, რომ მთელი წლის მასალაცა და ხარჯიც მზათა მაქვს!.. და ხელს ვეღარა შემიშლის რა!..
- ის.—მე კი ვიცი, მაგრამ... ხალხი მაინც იფიქრებს, რომ „კვამლი უცეცხლოთ არ იქნებაო“.
- მე.—ესე იგი უფრო სამართლიანი იქნება ვსთქვათ, რომ ცეცხლი უკვამლოთ არ აინთება!.. აენთება თუ არა ცეცხლი, კვამლიც მაშინვე თან დაჰყვება... ჩვენებური საქმეც მაგრეა: გაჩენისათანავე თან დაჰყვებიან და კვალში სდევენ შური, მტრობა, ცილის წამება და კილი. ეგება გავმუროთ როგორმეო. — ეს საზოგადო მოვლინებაა. ცხოვრებაში და მე რა წითელი კოჭი ვარ, რომ ამცდეს?!.
- ის.—აცდენით, ვსთქვათ, ძვირათ ვისმეს ასცდება, მაგრამ, ეჭკანონი რომ ზოგს გადაჭარბებულად ეკიდება!..
- მე.—თუ კაცი ორმოში ზის და ვერავინა ხედავს, იმაზე არც არავინ ლაპარაკობს! მაგრამ აბა, იგივე კაცი გავიდეს ხეზე თუ ყველას თვალში არ ეჩიროს!.. გამვლელი და გამომვლელი ყველა შეხედავს და რასმეს იტყვის იმაზე. — ასე გასინჯე, რომ ძალლებიც კი დაუწყებენ ყეფას. — ვისაც მაგ გვარი ხმების ეშინია, უნდა ყველაფერს

ერიდებოდეს, თავს იმალავდეს და სცხოვრებდეს თავის-
თვის დაბლა.

ის.—შე დალოცვილო, აქა და ერთხელ მაღლა ავედიო, აღარ
უნდა ჩამოვიდეს დაბლა?!.. აღარ უნდა მოისვენოს!. აი,
თუ გინდა, შენზე ვსთქვათ: რაც ყოფილა აქამდე ყო-
ფილა!.. იმდენი აღარ შეგიძლია, რაც აღრე შეგეძლო
და ამ ახალ ულელში რომ ებმევი და უმაღურობის მეტ-
საც არას ელი, რათ იჭირვებ საქმეს? ორი დღის წუთის
სოფელი დაგრჩენია, ეგ საშუალობა რომ საკუთრად შენ
თავს მოახმარო, გახვიდე საზღვარ-გარეთ იაქიმო, თავს
მოუხარო, იცხოვრო ტკბილად და დამშვიდებით,-ის არ
ეჯობინება?

მე.—გვიანდა არის მაგაზე ფიქრი!.. მასთანაც ძნელია მიჩვევა:
იმ სიშორეს გასძლებს კი გული, როცა შინ სამუშაო
ბევრი რამ გეგულება?

ის.—როგორ? შენს მეტი გამკეთებელი აღარავინ დარჩება თუ?
მე.—ეგ ღმერთმა ნუ ჰქმნას, მაგრამ ჩვენი „სამყალი მეტია
მუშებზე“ და ჩემი სუსტი შრომაც გამოსადეგია.

ის.—იმდენათაც არა, რომ გვონია!!.. საზოგადოთ აღამიანის
თავმოყვარეობას, ხშირად ნაცარქექიაობა გმირობა ჰვო-
ნია, და თავისი ჩხირკედელაობა საქმეთ მიაჩნია!.. რა
იცი, რომ შენც თავმოყვარეობა არ გატყუებს?

მე.—არ ვიციდა, როცა დამარწმუნებენ, მეც სხვა გზას დავა-
დგები!.. ჯერ კი ამ ჩემ „მგონიაობას“ ვერ ვუმტყუნებ.

ის.—მაშ დამერწმუნე, რომ შემცდარი ხარ!.. მაგ შენი ახალი
საშუალობით, ე. ი. მაგ „კრებულის“ გამოცემით, შენ
მოძლვრებას ვერ გაამტკიცებ!.. აგერ ორმოცი წელიწა-
დია შეჩიჩინებ ხალხს, მაგრამ ვინ რა დაგიჯერა და ვის
რა შეასწავლე?... ჯერ შენი სახელიც ვერ გამოუთქვამთ,
სწორეთ. ზოგი „აკაკიას“ გეძახის, ზოგი „აკაკს“ და
ზოგი „აკაკოს“.

მე.—ჩემთვის პირადათ ეგ სულ ერთია! მე გინდ „ხბოს თა-
ვიც“ დამიძახონ, ოლონდ კი ჩემმა შრომამ უქმათ არ

ჩაიაროს და, მცირედაც არის, ნაყოფი მოიტანოს!.. შენ
რომ იცოდე, რა დრო იყო ჩვენში ამ ორმოცუ წლის
წინეთ და რა არის დღეს, მაგას აღარ იტყოდი.... მე
მომსწრე ვარ იმ დროსი, როცა ჩვენში უბრალო ბარა-
თის დაწერაც კი უჭირდათ და დღეს კი დიდი და პა-
ტარა, ვინც გინდა და არ გინდა, პროზას რომ აღარ კა-
დრულობენ, ლექსათ აბულბულებენ სიტყვა-პასუხს.

ის. — ოროო, კიდეც ეგ არის თქვენი ცოდვა!... სულაც მა-
გაზე მინდა გელაპარაკო. ეგ ისეთი სენია ჩვენში, თქვე-
ნის მეოხებით გავრცელებული, როგორც, სახადი რამ,
ჭირი და სატკივარი: ყოველი კაცი მოლექსობასა ჩე-
მობს... ნეტავი, ან აზრი იყოს რამ ახალი მათ ლექ-
სებში, ან ხელოვნება და ან რამე სხვა გვარი შნო!..
კრეჭენ პროზას და გამოუდისთ ვითომ ლექსები!.. რე-
დაქციების სანავე კალათები სავსეა მათი მონაწერებით.
ისინიც დროს პკარგვენ და სხვებსაც აცდენენ!.. ეს სწო-
რეთ სამწუხარო მოვლინებაა დღეს ჩვენში და კიდეც
უნდა ვეცადოთ, რომ როგორმე მოისპოს.

მე. — რასა ბრძანებთ?!.. პირიქით ეგ მოვლინება სასიხარუ-
ლოც არის და წასაქეზებელიც, როგორც საზოგადო
ბუნების კანონი, კარგის მომასწავებელი და არა ცუდის!..
ის. — რაო?! რაო?! რაო?!!! ბუნების კანონიო?!. სასიხარუ-
ლოო?!!! წასაქეზებელიო?!..

მე. — დიახ! დიიხ! დიახ!.. და თქვენ კი ვერ შეგიხედნიათ სწო-
რი მხრით!... როდესაც თეატრში იმღერის შესანიშნავი
არტისტი, ის მაშინ ისე იტაცებს მსმენელების გრძნობა-
გონებას და ისე ხიბლავს, რომ მისი ტკბილი ხმა ყვე-
ლას ყურში აქვს ჩარჩენილი. გაბრუებული, გამოდიან
თუ არა თეატრიდან, სხვაზე ველარაფერზე ახერხებენ
ფიქრს და ძალა უნებურად ჰპაძვენ მათ მომხიბლავ
მომღერალს და თვითონაც იმღერიან. ასე გასინჯეთ, რომ
ისინიც კი ლილინობენ ხოლმე თავისთვის გუნებაში,
რომელთაც არც მუზიკა იციან და არც სამუზიკო სმენა

აქვსთ!.. სწორეთ ამგვარივეა მწერლობაც!.. სჩანს, ქარა
თველებსაც ჰყოლიათ მომხიბლავი და გრძნობა-გონების
წამტაცი მწერლები, რომ ძალა-უნებურად კალამს აღე-
ბიებენ ხელში!.. და მაღლობა რმერთს! აქედან კარგის
მეტი არა გამოვა რა!.. მრავალ საუკუნოების განმავ-
ლობაში წერა-კითხვა და მწიგნობრობა საქართველოში
საკუთრად რუსთაველმა შეინახა: მისის „ვეფხვის-ტყაოს-
ნით“ გატაცებული ხალხი, სუდილობდა რომ მიებაძა
მისთვის... და პროზათ, რომ მოკითხვის წიგნსაც ვერა
სწერდა, იმავე დროს საშიუო შაირების წერა კი ეად-
ვილებოდა. მართალია, მეორე რუსთველი არ გამოგვჩე-
ნია ამ შვიდი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ამ თავ-
მოტყუებული მიბაშვის წყალობით, წერა-კითხვას ყველა
სწავლობს და ქართულმა ენამ ჭირში თავი შეინახა.
ასეა დღესაც. დევ, ყველამ ლექსები სწეროს და თავი
მგოსანი ეგონოს! ათასში რომ ერთს გაუმართლდეს იმე-
დი, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნება!. და დანარჩე-
ნები თუ პოეტები ვერ გამოდგებიან, წერა-კითხვას ხომ
მაინც მიეჩვევიან და კარგია... შენ კი ამბობ უნდა აე-
კრძალოსთო!.. ჩემდა თავად გეტყვი არა თუ ნიჭიერსა
და საიმედოს, უნიჭოსაც-კი არ დავუშლი. მაგ ჩხირკედელა-
ობას! რა უმჯობესია? ყმაწვილს რომ თავი მგოსანი
ეგონოს და ლექსების წეროს მისდიოს, თუ გულ გატე-
ხილმა ყოლითვერს თავი დაანებოს და სასტუმროებში
„ალლავერდი“ და „ახშიოლი“ იძახოს, „მრავალ-უამიერი“
ილრიალოს და წარა-მარა ხანჯალი ატრიალოს?..

— არა! ნურც ის იქნება და ნურც ეს!!.. არ შეიძლება,
რომ არც კალამი შეაწუხონ და არც ხანჯალი ატრია-
ლონ?.. თუ მაინცა და მაინც არ დაუშლიათ, იმ მღე-
რალ არტისტის მსმენელებს მიჰბაძონ, გუნებაში რომ
ლილინობენ, სწერონ რამდენიც უნდათ თავისთვის და
საქვეყნოთ კი ნუ გამოაქვსთ.

მე.— მათი სარბიელზე გამოსვლის სურვილიც ერთი აუცი-
ლებელი ბუნების კანონთაგანია: პატარაები ყოველთვის
სცდილობენ, რომ დიღებს მიჰბაძონ.. ცხენოსნებს რომ
ჰქედავენ, ისინიც ჯოხებზე ჯდებიან და თავი მხედარი
ჰგონიათ. ნამდვილ თოფის მაგიერად დიდგულის თოფებს
ატკაცუნებენ, ხის ფარ-ხმალს ატრიალებენ და სხვა...
მართალია ეს ყველაფერი ბავშვური კულაბზიკობაა და
თავის მოტყუება, მაგრამ ამასაცა აქვს თავისი კარგი
მხარე და სარგებელი მოაქვს. სიყრმიდანვე, იმ თავითვე,
ეჩვევიან ყმაწვილები საგმირო საქმეებს და ბოლოს, როცა
დავაუკაცებული ნამდვილზე გადადიან, აღარ ეუცხოე-
ბათ ხოლმე. მართალი მითხრა ერთმა ფაქართაგანმა:
„კნიაზო, რათ გიკვირთ, რომ ჩვენც თქვენსავით გულა-
დები ვერ გამოვდიოდეთო?“.. თქვენში, აიდგამს თუ არა
ბავშვი ფეხს, მაშინვე კეტს მისცემენ ხელში და ეუბნე-
ბიან: „დაჲკა! ნუ გეშინიაო!“ ჩვენში კი აკვანშივე აში-
ნებენ ბავშვებს „ჩაკარ გალისე!“ „აღვესი ან ცქაცავ!“,
„კკაილი კკწი!“, „არჩი კუტირ“, „ძინვერ კუკელი“
„თუფანგ გუსპანი“ და სხვანი. ესე იგი: ტურა მოდისო,
მელამ გიარაო, მგელი გიკბენსო, დათვი შეგჭამსო,
ცხენი გადაგაგდებსო და თოფი მოგკლავსო... აშინებენ,
რომ თვალი დახუჭოს, დაიძინოს და იმას კი არ ფიქრო-
ბენ, თუ ამგვარი ნანინათი, როგორ უფუჭებენ იმ თა-
ვითვე გულს!.. შიში რომ თან შეეზრდება და ზნეთ გა-
დაეცევა, რაღა ვაჟკაცობას. შეიძლებს კაციო... ამ სი-
ტყვებში დიღი სიმართლეა: გულ-გატეხილობისთანა ძნე-
ლი არა არის რა! . ჩვენს ახალგაზდა მწერლობას რათ
უნდა გავუტეხოთ გული და რათ უნდა გავკიცხოთ? გასაკიც-
ხავი და დასაგმობი არიან მათი რედაქტორები. და გა-
მომცემლები, რომ ბედაურის და ხის ჯოხის გარჩევაც არ
შეუძლიათ, დიდგულის თოფი ნამდვილი ყირიმი ჰგონი-
ათ, ხის ხმალი ფოლადის მახვილათ მიაჩნიათ და საქვე-
ყნოთ გამოაქვთ!...

ის.—ეჭ, შენ სულ სხვას ამბობ! მაგითი სიტყვა გინდა მომიკრა!!.. მე ერთს ვამტკიცებ და შენ კი მეორეს. ქვეყანაზე მისთანა რამ ძეირათ მოიპოვება, რომ ორივ მხარე არ ჰქონდეს: კარგიცა და ცუდიც... შენ მხოლოდ კარგებზე მითითებ და ცუდს კი თვალს არიდებ!.. ეგ რომ კანონად დაიდვას ჩვენში და ყველამ შენ კვალობაზე გაიაროს, - რომ წახდება საქმე?.. დასაგმობი უნდა დაიგმოს.

მე.—მეც მაგ აზრის გახლავარ, მაგრამ სამწუხარო ის არის ჩვენში, რომ ცუდზე და მავნებელზე ხმას არავინ იღებს და კარგს კი კილში უდგებიან და კიუინასა სცემენ!..

ის.—მაგაში მეც გეთანხმები!..

მე.—შენ?!.. მერე და შენი ჭირვეულობა?!

ის.—აქ ჭირვეულობა რა შუაშია?... გეთანხმები, მაგრამ შენ რომ გვინია ისე არა, მესულ სხვა მხრით ვუყურებ ჩვენ საზოგადო საქმეებს. ბევრი მათგანი მომწონს და ბევრი კი არა!.. აი, თუ გინდა, - ავილოთ შკოლები, სხვა და სხვა საზოგადოებაა, თეატრი, ბანკი და სხვანი.

მე.—არა, შენი ჭირიმე! ახლა მაგაებისთვის დრო აღარ შაქვს და, თუ შეიძლებოდეს, მერმისათვის გადავდვათ!..



ନାୟକ ପେଣ୍ଡିଲା.

(ଶଳାପାରଣ).

I

ଶେଷରତ୍ନସ୍ଵାରେ ହୃଦୟ-ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ..
ନୁହା ଶେଷକୀୟ ତାବ୍ଦୀ ତମା!!
କିମ୍ବାକୁ ଫିରିବା କିମ୍ବାକୁ
ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ,

ଶିଖିବୁ ଧାର୍ଯ୍ୟକାରୀ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ
ଶିଖିବୁ ପିନ୍ଦାକାରୀ
ଶିଖିବୁ ପିନ୍ଦାକାରୀ
ଶିଖିବୁ ପିନ୍ଦାକାରୀ...

ଶିଖିବୁ ମାମା-କାକ୍ଷୀପଦିଶି
ଶିଖିବୁ ଆମ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ,
ଶିଖିବୁ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ?
ଶିଖିବୁ ଆମ ଶାଶ୍ଵତ!

ଶିଖିବୁ, କାମକାଳିଶାନ୍ତି ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ
ଶିଖିବୁ କାମକାଳି ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ
ଶିଖିବୁ କାମକାଳି ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ
ଶିଖିବୁ କାମକାଳି ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ ଶିଖିବୁ ଶାଶ୍ଵତ!..
ଶିଖିବୁ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ-ଶାଶ୍ଵତ,
ଶିଖିବୁ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ,
ଶିଖିବୁ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ!

ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ
ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ;

მისი მასკავში მახვილი
სხვას აღარვის რგება!..

რკინეულს და ფოლადსა
სჭრიდა, რთვორც ჩალასა,
და მკლავს მისი მომწევი
არ ატანდა ძალასა.

სომ უუყრებთ იმ გრძელ-ხმალს,
კედელზე რომ ჰქილა? -
შინ არ გამიშედა!..
არც სხვისგან მიუიდა!..

შეზრდა ჩამომავლობით,
ისე ვით სატრის-თვალი!..
ებ მახვილი „ის არის“
წმინდა ცირკვის ჭმალი!!

დიდებაა ფჯახის,
არა თუ სამკაული!..
არ შეველევი მაინც,
გინდ მომცენ წოხა ფული!!

მაგრამ დღეს სხვა დრო დადგა:
გაჭქრა ძველი ღრუება,
ჩამოვარდა ამ ძველანად
მშვიდობა-მუუღროება!..

ბაცობრიობა სულ სხვას
დაადგა გრა და კვალსა:
შატივი აეუარა
ძველებურ ფარს და ხმალსა.

დღეს იმათი ადგილი
უჭირავს თხხსა და ბარს!..
იმონებენ სმელეთს... ზღვას.
ასწორებენ მთა და ბარს!..

—
მეც მირჩევენ: თუ გინდა
გაახილო თვალით,
გადაკეთდეს სახნისად
შენი უქმი სმალით!..

—
არა, მე არა მწამს რა
ახლანდელ ღცნებისა!..
და არცა გარ გამტეხი
მამა პაპის მცნებისა!!..

—
აი რაებს ამბობდა
ერთი ნაცარ-ქექია,
ერთ ღრთს მართლა გაუგაცი,
მაგრამ დღეს კი ბეჭია!..

—
მოწოდედა კერასა,
ის იყო მისი ბინა!..
უსაქმურად ჰეროვდა,
სუამდა, სკამდა, ეძინა!

—
ისატავდა წასულ-ღროს,
იგონებდა წინაპრებს
და მით გულს აუთლებდა
გადასულ სიზმარ-ზღაპრებს!..



III

ოღლი ჸევდა ჰებიანი,
მეთვასე, ერთგული...
ქმრის უაქციელობით
უსკდებოდა მას გული.

ეუბნებოდა: „გაცო,
რას უზისარ პერასო?
ჩვენი უოფა-ცხოვრება
გააქვს ჩხიყვ-უგავ-ძერასო!..

თცნების ღრთ წავიდა.
„დე, გაინძერით!
მოუგარე გაახარე!..
დააღონე მტერით!!

ერთი საუანე-ღაა
აშ ჩვენი დიდებათ!..
იმასაც წაბერთმებენ!..
ვინ მოგვერიდებათ?!

„ღრთ ღალგა ზვნა-თესვის,
წადი, უბდე უურით,
თუ არ გინდა გაგვიწუდეს
საზრდო, ღუქმა.პურით!“

ქმარმა უთხრა: „ნუ ჭავრობ
და ტუგილა ნუ წერებით!..
ჭერ აღრეა!.. ჩემ საქმეს
კიდევ მოვესწრებით.

ვინ გაბედავს შეეხოს
იმ ჩვენ საკუთრებასო?

მე ვიცი და ამ ხმალმა!..
გარ, მის მოსწრებასთ!!

ბევრი რამ სთქვა ამ გზარი,
რაები არ მოჰორთა!
ამთქნარებდა ზარმაცად
და ერთიც გაიზმორა.

უნდოდა შინ დარჩენა!..
ცოდნა აღარ აცალა;
სამუშაოდ კააგდო,
დაატანა მის ძალა!..

საღამოს შინ დაბრუნდა
მხიარული!.. სიცილით...
ამბობს: ჩვენი საფანე
აკი დაუხხავსთ დილით!..

კადუც დოუთესიათ!..
აი, ღმერთმა უშესებოს,
— ი ვიდაც მოგეთვა —
აცოცხლოს!.. ადღიარებელოს!.. “

— რათ? რათ? რას ამბობ?
— ცოდნა შემოუძახა —
განა შენთგის შრომობენ?!..
წაგართმებენ, შე გდახა!! “

— როგორ თუ ჭამართმეგენ?!
გისა აქვს ებ უფლება?..
მამა-პაპისეულის
დაკარგვა შეიძლება?! “

გინ სთხოვდა, რომ დათესა?..
 გინ სთქვა დამისანიო?..
 იმან გინდ სთქვას, გინდ არა:
 „მე კულობ დიდისანიო!?”

—
 მე რომ სახლში სტუმშირი
 შემოუშეგა ღროებით,
 მაშ კარში გამომაგდებს...
 იცხოვრებს მეულროებით?!..

აა, მაშინ რა უუთხრა
 იმ ჩემ მამა-პაპის ხმალს!..
 ისე დავჭიტებ შირ-წმინდათ,
 გავუყრობ რაილს და ძვალს!!

—
 ქანონიც გერას მეტუვის!..
 ხმასაც ვერ გამცემს ტუვილა!!.
 სისწორ-სიმართლე ქვეუნად
 სუეფელთვის უოფილა.”

—
 ეს სთქვა ნაცარ ქექიაშ
 და გულში გააცინა...
 მოძებნა ისევ ქერა,
 დაწვა და დაიძინა

III

მთახლოვდა მკათათეებ;
 აუზივლდა ცოლი ქმარს;
 ადე, ოვარა, ღმერთმანი,
 სიმწრით გადენ ცხვირში ძმარს!

—
 დაგასწრებენ, მოშეიან
 იმ შავი დღის ჟანასო!..

შაშინ მეც თავს მოვიკლავ,
შენც გაგიური დანასო!

იმდენი ქნიჩინა,
გახელია თვალი;
გაგდო, ოოგორც იქმნა!..
გატანა ნამგალი.

„ღმერთო შენს მადლის!..“ იძახის:
ძლივს არ შეფაგონეთ!..
ასე არ მოვქცეოდი,
აღარ იქო ღონეთ“,

დატრიალდა ოჯახში,
მიალაგა, მოაწეო;
მოამზადა სადილი...
სმიადი გამოაცხოვ.

ფიქრობს: ქმარი მშიერი
დაბრუნდება მალეთ,
მოვუმზადებ უოლითერს,
იმას ვენაცვალეთ!..

დაუბრუნდა ქმარი შინ
მოთქმითა და ტირილით:
„ვაი!.. ის ჩვენი ყანა
გადუმჯიათ ჯმ დილით...“

—
შური შინ წაუღიათ...
დაგვდგომია თვალით!...
ვეღარა გავიგე რა
მისი გზა და პვალით!..

გადუმკიათ პირწმინდათ...
წაუდიათ სულ მთლადო!..
შხოლოდ ერთი თაველი
დარჩენიათ ობლადო!!.

გარ, ამის გამგონეს!...
შეუწესდა ცოლს გული;
ლეჩაქს იხდის, თმას იშლის,
მოსთქვამს გამწარებული:

„ჩემი ქმრის გადამკიდე,
ამას მოველოდილ!..
დამიტირეთ!.. დამქოლეთ!
დამადევით ლოდით!!

დავრჩენილფართ კლასაკად
შევექნის სამოწეალოთ!
ვის რა უნდა შეგჩივლოთ?
ჩვენ თავს დავაბრალოთ!!.

არ იქმნა! ჩემ ქმარს დორზე
ვერ რა შევაგონეთ!...
აწ შევიბამ ქვას უელზე,
სხვა აღარ მაჭვს ღონეთ.“

დიდხანს მოთქმით ტიროდა.
გული როცა იჯერა,
მოიწმინდა ცრემლები
და ისევ ქმარს ეძგერა!..

უთხრა: „აბა, ახლა კი
ჩამოილე ეგ სმალი!..

სხვა გზა არ გაქვს! ეგ არის
ერთად ერთი წამალი!..

ვინც ის ყანა მოგვიმკო,
არ დასტოვებს არც თავებს...
მოვა მის წასალებად
და შენც იმ ჩვენ დამღუბებს

ჩაესაფრე როგორმე,
მტერია თუ მოუვარე,
დაიწირე, იცოდე,
და შეკრული მომგვარე.

თვარა, ვფიცავ ქალბას,
მეც ავიღებ შენზე სელს!
გაგიმწარებ სიცოცსლეს!
და განანებ ამ სოფელს!!.

IV

გადისვა ულგაშებზე
ნაცარქეჭიამ სელი
და სოქვა: აღარ დავრჩები
აწ კი სელ-ცარიელი!..

რადაი ჩვენი საქმე
ისევ სმილზე მივარდა,
მე ვუჩვენებ მტერს სიცხეს,
რომ ვშვლებავ არდი-გარდა.

კისრიდან ფეხებამდი
შრეწას გაფაღენიება!..
იმას სისხლსა და ცოლ-შვილს
ცრემლებს დაფაღენიება!..

გადაიკიდა ხმალი,
უანისეკენ გაეშურა...
ჩაესაფრა... მზათ არის!..
საღამომდე უუურა,

მაგრამ არავინ მოდის!..
არსად სჩანს ჭაჭანება!..
ადგა.. წასელას აშირებს..
შურს თავი დაანება.

ამ დროს მოთვრინდა ჩიტი
საარაკო და უცხო!..
დაასკუპდა თაველზე..
მარცვლებს გენეა დაუწეო.

გაუგვირდა კაცს და სთქვა:
ღმერთო რასა ვხედავთ?!.
ესეც მე მომდგომია!..
ჩემზე ითავხედათ?..

ამისთანა მტერზე კი
ჩემ ხმალს ორგორ გავრჯით!..
მიყალ ხელათ დავიჭერ..
ღირსეულად დაგსჯით!..

ოვეხ-აკრეფით მივიდა,
ნელ-ნელა მიეპარა,
ქუდი სტუორცა... ნასროლი
თავზე გადაეფარა.

დაიჭირა და უთხრა:
ახლა ნახავ შენ სეირს!..

გაგულები, შეგწევ, შეგბრაწავ
ჩავიგემრიელებ შირს.

ჩიტმა უთხრა: ეგ არის
შენი მამაცობაო?
გამოიჩინო გინდა
ჩემზე გაშკაცობაო?

მაგრე არ ირჯებოდენ,
შენი წინაპრებიო!..
ჩიტებს კი არ დასდევდენ,
სხვები ჰყავდათ მორებიო.

შენ კი ჩემზედ მოცვილხარ...
ტუვილათ მისირდებიო!...
თვითქო დიდი რამ ვიუო...
შეჭმასაც მხირდებიო.

თუ შემყამე, შენმა მზემ,
პუში გაგიძლებაო!...
ერთ ლუქმათ რომ ჩამულაშავ,
შენ ცოლს რა ერგებაო?

გიჯობს მაღლა მოისხა,
დამანებო თავიო....
სხვის ჯავრს ჩემზე რომ იური,
რა მიქმნაა ავიო?“

გაცმა სთქვა: მართალს ამბობს
მე და ჩემმა ღმერთმათ!...
აბა, რა უნდა მიუხს
ამან, ერთად ერთმათ?“

შეშორვლით თავზე და
უთხრა: შენთვის წადით!
კუჭს მაინც ვერ გამიძღებს
მარტო შენი მწვადით!..

ჩიტმა უთხრა: მაშ კარგი,
რადგან არ მომკალით,
მე ვიცი!.. და მემართოს
შენი ლიდი — ვალით!.

ჩიტი კი ნუ გგონივარ!..
ვარ გრძნეული ქალით...
მუდამ ჩემსებენ გეჭიროს
გასაჭირში თვილით:

სამ ბედსა გწევ ზედი-ზედ,
მომიცია ფიცით!..
თუ მოიხმარ, ხომ კარგი,
თვარა და შენ იცით!.

ცხრა მთას იქით, წალკოტში
მიღებას სარაიათ.
როცა მოხვალ დაგხვდება
სახლის კარი ლიაო.

ეს უთხრა და გაფრინდა
მონავარდე ჭიკჭიკით!...
კაციც სახლში დაბრუნდა,
მოიხერის ჩიქინიქით.

აეტაცნა შიშის ქარს...
მოჩვენება ეგონა.

გულ-გასეთქით უაშბო
მის ცოლს, რაც გაეგონა.

მოისმინა ცოლმა, სთქვა:
ჩვენ ღმერთს გენაცვალეთ!
გაჭირვებულის არის
მხსნელი და მოწუალეო!

ჩვენი ალალ-მართლობა
შესმენია მაღლითო!
ჩვენსკენ გადმოუხედავს
მოწუალების თვალითო.

ნუ ზარმაცობ!.. აწ შრომის
ოფლი მოწურეო!..
ხვალვე, ღმერთი ასენე,
და ბედს მიაშურეო!..

V

მიდის დღე, მიდის დამე!..
მისთვის არც ჭამა!.. არც სმა!!.
მთიდან მთაზე გადადის
სან აღმა და სან ჩაღმა..

ცხრა დღესა და ცხრა დამეს
მოუნდა სულ სიარულს,
ცხრა მთა გადაბარა
და არა ჰგავს დაზალულს!..

ერთ უდაბურ შავ-ტუქში
გამოჩენდა სარაა.
მიადგა ზედ პირდაპირ.
გარი დაუხვდა დია.

შინ შედის და რას ხედავს
ნეტავი მისი თვალი?!
თქროს ტახტზე დამჯდარა
მზეთუნახავი ქალი!..

ებებება სიცილით:
„გამარჯობა, სტუმარო!
შენ რომ ჩიტი გაუშვი,
ის ჩიტუნა მე ვარო!

„გისრულებ უთუოდ
იმ ჩემ დანაპირებსთ,
მხოლოდ მითხარი რა გჭირს?
და ან რა გატირებსთ?

— რა და სიდარიბე!...
იმან დამაღონათ!..
რაც რამ მქონდა, წამართვეს...
გავხდი სხვების მონათ.

„უკიძე შური გამიწედა
და კუჭი მიხმებათ!.
ცოლიც ადარ მასვენებს! .
ადარ მეთანხშებათ!..

თუ მიშველი, ხომ კარგი,,
დმერთი გადღეგრძელებსთ!..
თვარა მახვილს ჩავიცემ,
აქვე დავური წელებსთ!.“

—
ქალმა უთხრა სიცილით:
„რისთვის იყლავ თავსათ?
მე გიჩვენებ ერთ რამეს,
უცხო სანახავსათ.“

გაუშალა წინ სუფრა,
უთხრა: ადა, ნახეთ!...
რაც გსურს სასმელ-საჭმელი,
გულში გაიძრახეთ!...

—
გაიძრახა სტუმარშა
და მართლა, რასა ხედავს?!.
თითქო სიზმარიათ,
დაჯერებას ვერ ბედავს:

—
რაც კი გულში ჩაითქვა
და ან რაც მოინება,
მობზრიალობს ჭავრში
და მის წინ ეფინება.

—
გაუსვა ჭამას ხელი,.
გაძლა... გამოიბერა!..
და ნახულის სიცხადე
მაშინ კი დაიჯერა.

—
ჭალმა უთხრა: ეს სუფრა
არის ნატვრის-სუფრათ!
წაიღე და შენ გქონდეს,
სხვას არავის უთხრათ!...

—
როცა გაშლი, მოგივა,
რაც მოგენატრებათ!
რომ დაკეცავ, მაშინ კი
ისევე გაქრებათ “

—
მაღლი უთხრა მასპინძელს...
წავიდა შინ სტუმარი.
წავიდა და წაიღო
ძეირფასი საჩუქარი.

VII

ტებილად ცხოვრობს ცოდნ-ქმარი!..

შესრულდა წელიწადი!..

არ აკლიათ ჩიტის რძე

და სირაქლემის მწვადი.

იმათ ბეჭნიერებას

ადარა აქვს საზღვარი!..

მაგრამ პაცის გუნება

არის გაუმაძღარი!..

დახეთ ნაცარქექიას!..

ურლიფერი მოსწყინდა.

ამბობს: სხვა რამეს ვეძებ!

რაცა მაქვს, -აღარ მიჩნა!..

კარგს რომ ვსუამ და კარგსა ვსჭამ — ,

განა საკმარისია?

ღორმულობა ამგვარი

ვისი საკადრისია?.

არსად გაეცდებოდათ

ჩემ წინაპრებს მშიერი!

განა მე კი არა ვარ

იმათი ნაშიერი,

რომ მარტო ვსუამ, მარტო ვჭამ;

არ მოშილის სტუმარი;

გამკლელ-გამომკლელისთვის

დაბეტილი მაქვს კარი?

არა!.. ამგვარ ცხოვრებას

არა ჰქვიან ცხოვრება!..

სტუმართ-მოუგარეობას
ქვეუნად რა შეეღრება?!

არა!.. სხვა გვარ ცხოვრებას
დღეიდანვე მივჭეოთ ხელს:
ქუდს მაღლა ვასროლინებ
გამვლელსა და გამომვლელს.“

სთქვა... კიდეც აასრულა:
გამართა წვეულება;
იწვევს მტერს და მოუგარეს,
სადაც კი ებუღება.

გაუგარდა სახელი,
სახელმწიფო შეიძრა!..
მთელ ქვეუნას უკვირდა
იმისი ნატვრის-სუთრა.

VII

ხმა მივიღა მეფემდის.
პრძანა: შეკბეს ჯარით!..
თბით ვეწვევი და გნახავ,
თუ მართალი არისთ.

მთელი მისის ამაღით
კარზე მაღდა საწყალს.
შეგირსთ: ცეცხლს ვერსად ჰქონდენ!..
ვერც ქვაბებში სადმე წელს!!

რას შეწვენ, რას მოხარშვენ,
ჯერ რომ არ-რა მზადდება?..
თავის თავად ხორავი
ხომ არ დაიბადება?

სადილობის ღრუს შეთლოდ
გაშალეს მარტო სუფრა!..
რაც სულსა და გულს უნდა,
ვინც კი რა მოხარუა,

გაჩნდა ჭარში!.. მოდის,
უგელას წინ ელაგება..
გაუკვირდათ!.. შეიქმნა
აღტაცება და ქება.

გაუკვირდა შეფესაც
მისი უმის მასპინძლობა!.—
მოილხინა.. წამოდგა
და უბრძანა მადლობა.

მასპინძელს სიხარულით
გულმა დაუწუო ძეგრა.
სელაპერობით დალოცა
თავისი ბედის წერა:

მე ვინ გარ?!.. უსახლ-გარდ!..
ტანზე ძველი მაცვია.
მაგრამ, ხედავთ იმ ჩემ ბედს?..
ხელმწიფებრ კი მაწვია!..

ამისთანა ბედს განა
ბევრი გადაეურება?
ვიცი, ჩემგან ამ სტუმანს
რაც ძლვენი ეკადრება,!

მაგრამ რა მაქვს მე საწეალს
მისთანა, რომ შევჭეროდ,

მამა-ჟაჭებს მივბაძო,
არ დავაგდო ქელი დრო?

დახედა წატვრის-სუფრას
სთვა: რაღა სჯობს ამასო?
მივარომევ, ჩვეულია
ტკბილად სმას და ჭამასო.

ამას უფრო შეჭრების,
მე ვიკმარებ ცოტასო;
მეფეც არ დამივიწყებს,
არ დაიდებს ცოდვასო!..

დაუჩქა, მოართვა,
გზას ულოცავს გულითა;
მეფემ მაღლი უბრძანა,
მიდის სიხარულითა!..

V. III

რომ წავიდენ სტუმრები,
გამოფხილდენ ცოლ-ქმარი:
წვეულება ხელმწიფის
თვითქო იუთ სიზმარი!..

ცოლმა უთხრა ქმარს: „გაცო!
ე რა მოგვივიდათ?
ხომ დავკარგეთ, რაც გვირგო
დაგვითა და წყითაო?

ხელმწიფეს საზრუნველი
სხვა არ-რა აქვს განათ?..
რაღათ მოაგონდება
გლახა ჩვენისთანათ?!..

ასრულდა ცოდის სიტევა:
ადარვის აგონდება;
შიმშილი კარზე მოდგა!..
ჩვენი გმირი ღონდება!..

ე რა თავი ავიგდე?!..
ეს რა დამემართაო?
რა მრჯიდა მე საჩუქრებს!..
ვისი რა მემართაო?!..

გავიწყორომე ღმერთი და
გავირისხუ ბედიო!..
თავს მოვიკლავ, ოომ ჩიტის
ფლ მქონდეს იმედიო.

წავიდა, მიაშურა,
უთხრა შემიბრალეთ!.
სუფრა, შენი წყალობა
დამექარგა მალეთ!.

მეფეს ვუძღვენ, ველოდი
მისგან გაპეთებასო,
ოჯახის აშენებას..
შიგ ცეცხლის დანთებასო.

მოგტუჭუდი, დავიღ უჲე,
დაგრჩი საწულად მშრალზეთ,
იმ დღიდან არ მაშრება
ცრემლი არც ერთ თვალზეთ!..

მზეთუნახავშა უთხრა:
ავი გაფრთხილებდიო?

କା ଗିନ୍ଦରୀଙ୍କା? ଶେବେ କ୍ଷେତ୍ରମିଳି
କାରୁକଥ ଏକା ଶମ୍ଭୁବଦୀତ?

—
ରାତ ପରେବି ପୁରୁଷଙ୍କରୀ
ରାଧାପୁ ହନ୍ତିରେ-ଶୁଣିଲେଖି?
ପର ପରି ଲାଗିଯାଇଗାଏ,
ପୁରୁଷକଥିଲାହି ମେହିଲେଖି!“

—
ପାଠିପ୍ରକାଶରୀ ଜୀବନର ଦା
ସତ୍ୟକା: ଶେଷି ଚାହିଁଲେଇ.
ଶାଶ୍ଵିନୀତ ହେ ଜୀବନର!..
ପାରିବା ଦାହିନ୍ତିପାଇଲେ!

—
ପୁରେ ଏକ ପାତାନ୍ତରିରୁଗେବି...
ମିଳିଲେ ତାଙ୍କସାପୁ ଏକ ଦାଶକିଲେ...
କାମଦେବ ମୃଦ୍ଦୁ ଶେବେ ଏକିମ୍ବିପ,
ଅକ୍ଷର-ଶ୍ଵେତପ୍ରକଳ୍ପାଦ ଦାକ୍ଷ୍ୟକିଲେ.

—
ପାତାନ୍ତରିରେ ନାପାରିପ୍ରକାଶିଲେ...
ଏମିଲାପୁ କଥି ହେ ପରିଦା?!.
ମାନ୍ଦିଲାହି ପରିକଥା ଦା ଜୀବନର
ଶିଳିସାଜେବ ଦାଦରିପରିଦା.

IX

ପାଦାଦରିନ୍ଦ୍ରିଯୁଲା ଜୀବନର୍ଥୀ
ଦା ମିଳିନ୍ଦରିକୁଳିଲେ ବ୍ୟାକା.
ମେହିନ୍ଦିଲାହି ପାଦୁକର
ପାଦି ଶେମିଲୁକା,

—
ପାଦାଦରି-ପାଦର, ପମିତ,
ମନ୍ତ୍ରକିଲୁଗାନ, ଏକଶ୍ରେଷ୍ଠପରି,
ପରି ଦରିଲେ ମନ୍ତ୍ରକିଲୁଗା ଦା ଦର୍ଶନ
ପରିପରିପରି ମନ୍ତ୍ରକିଲୁଗା.

მიაძახა: „ქმრიბილო,
გამარჯობა შენიო! კ
ჰერთად რომ მოთოთხავ,
რა უვავი ცხენიოზ?“

— დამცინი თუ რა არის?
— ქვეღოი უპასუხებს, —
არ იცი, რაც გადამხდა?
რა მკლავს? და რა მაწუხებს?

— მტერმა მძლია, ამიკლო
დამაგდო უსახლე-კარო! ..
და დღეიდან დარიბად
შეუშნად უნდა უეტარო! ..

— ვიცი! მაგრამ ახია
შენზე ეგ უველავერი! ..
შენც არავის ზოგავდი,
იუავი შეუსის მტერი! ..

— სულ თაარმით ცხოვრობდი,
ალალის ერიდებოდა,
თან შეგქონდა დალატი,
სადაც მდი, გაჩნდებოდი! ..

— ღმერთმა გჰეითხა და რისხა
შენც მოგავო ნაცვალი! ..
აქავე გადახდება
უველას სუსტი და ვალი.

— აი, მე სიმართლისთვის
რა ბედი მეწიაო! ..

ერთი ახალ მაჭტკელ,
რაც ჭი გამიციალ.

უსმბო ჯორის ქაქმე ..

ხაზინა დიდია ..

ქვეუნის ფასიც რომ მომცენ,
ამას არ კაშეოდია!..

გაშეგრძა ვაჭარს და

გაჭიოტა თვალები!.

უთხრა: „შენი ჭირიმე!..

შენ თავს ვენაცვალები!..

რაღვან შენზე ქრისტე-ღმერთს
მოუღია წეალობა

და ჩვენც ორიავე ერთი გვაშვის
ძველი ჩამომავლობა,

შემიწეალე ცოდვალი,

ჩამაცვი და დამხურე!

ნუ დამაგდებ აქ საწელად,

მიუმე და მიმსახურე!

შეგინენ ცოდვები,

გავიწმინდე პულიო!..

მაახლე და მიგულე

ძალლივით ერთგულიო. “

შეეძრალა ჯორისანს,

უთხრა: კარგი, მჯერათ!..

უკან შემთმიჯექი, და

შინ მიგუვან ჭერათ...

გიშატრონებ, მოგივჭი,
როგორც კაცს, კაცურადო!...
შენი ყმობა რათ მინდა?
სჯობს, ფრცხოვროთ ძმურადო!

ოთხერთ და მეორე გრძელი

უთხრა და უკან ჭორზე
შემოისვა გულ-წრთვულზე;
მიჰყავს და მისი ძმობაც
ადარა აქვს საუკელად.

მიმდინარე იმპერატორი

1. ხორ **X**

მაგრათ სელი მოჰყვია
იმ გაჭარმა ჭოროსანს;
რიღით და მოწიწებით
ხშას არ იღებდა ერთ ხანს.

ბოლოს კი შეევეღრა:
ჭამის, გადავვარდეთ!..
ვერ ვეტევი... წინ წაჭეპ
ცოტა, თუ გიუვარდეთ!..

გაცინა ჭოროსანს,
უთხრა: „ნუ ხარ ფრთხალით!..
არ გარეისარ ცხენოსნათ
და წაგიხდა თვალით.

ებ ღიპი რომ გაგზდია,
მიტომ ვედარ ჭდებით!..
აბა, მოიწი რაღა!..
მე წინ წავჩოჩდებით.

წინ წაჭდა და გაჭარს კი
დაუტოვა ადგილი,

ମାଗରୀମ ଏହି କାନ୍ତି ପାଇବା
ଦୁଃଖରୀଙ୍କ ପିଲାପିତ୍ତିଲାଙ୍କା:

— ଏ ପାଦିନ୍ଦା ରକମ ପୂର୍ଣ୍ଣ ପାଶେଖେବା
ମାନ୍ଦ୍ର ମାଗରୀଲ ଫଳକମାସକ! ..
ପିଲାପିତ୍ତି ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା
ନେମିଲ ମୁକ୍ତିଲ ପାଦିନ୍ଦା!

ଏହି ନାମରୀଲ, ମଧ୍ୟଭାରତ
ପିଲାମିଲି ମିଳିବିଲା
ଦୁଃଖର ପିଲାପିତ୍ତି ରକମ ନାଶ,
ମାମିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା,

ପିଲାପିତ୍ତି ପାଦିନ୍ଦା, ପାଦିନ୍ଦାପାଦିନ୍ଦା ..
ପିଲାମାରା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ...
ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା
ପିଲାପିତ୍ତି ପାଦିନ୍ଦା!

— ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା,
ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା! ..
ମିଳିବିଲ ପାଦିନ୍ଦା ...
ଦୁଃଖର ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା! ..

— ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା?
ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା! ..
ପାଦିନ୍ଦା, ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା
ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା!

— ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା
ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା
ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା
ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା ପାଦିନ୍ଦା!

„დავიღუბე! მიშველე!..
კადებ გამაპრიუვესთ!!
შეგობრობა-ძმობისთვის
შე მტერობა მიუვესთ!..

—
ჯორ-ხაზინა მომტაცეს,
გაუჟენეს გზასათ ...
სიკვდილი სჯობს სიცოცხლეს
და ამ ჩემ უფლესათ!“..

—
ქალმა უთხრა წრა გიუდ,
რომ ვერ ხმარობ ბედსათი!
ერთხელ კადებ გაჩუქებ
საჩხებარ ხელ-გეტსათ:

— თუ მასაც ვერ მოიხმარ,
აღარ გეშველებათ!!...
მაგრამ ჯერ მოგიხდება
შენც ჭკუის სწავლებათ...

—
გამოიტანა ჯოხი,
უთხრა „დატრიალდით!..
გინდ ხმელეთიც მოგადგმს,
ვველას გაუმაღდით!..

—
გაექანა ზელ-გეტი
და შირდაშირ ექცერა!..
გაუდის ბრაგა-ბრუგი...
ხმლოთაც ვერ შეიგერა!!!..

—
შეეგეღრა... მიშველე!..
ამისგან მისკენით! ..

არასა გთხოვ, გამიშვი!..
არ მინდა-რა შენიფა!..“

— ქალი ამბობს: ხომ კარგათ
შეგიხურდა გვერდიო?..
ეგ გასწავლის შენ ჩეუას...
ჯოხო! აწ შეჩერდიო!!

— მერე ჰყითხავს: ხომ ნახე
მაგ ხელ-კეტის ძალათ,
რომ შენი ხმლის მოქნევა
აღარც-კი გაცალაო!

— აგრე იცის მაგ ჭოხმა,
არ უნდა ჩიჩინიო!..
ვერ გაუძლებს ჩხუბში, განდ
მოდგეს ჩინ-მაჩინიო.

— წაიღვ და შენ გქონდეს,
სახუქრად იქმარეთ,
მაგრამ მხოლოდ კი ფარად
მტრებზე მოიხმარეთ!“

— შეხტა ნაცარქექია!..
”ვიცი ამის ხელიო.
ამით ბევრს შევეწევი
და თავსაც გუშველიო.“

— მაღლია უთხრა, წაიღლო,
მიღის მიუხარია...
ხელ-კეტს გულში ისუტებს
ძველი მეგობარია!..

XI

სახლს, ორმ მიუახლოვდა,
ცოლი დახვდა მტირალი!..
თბა გაშლილი მოსთქვამდა:
„ვაიშე ჩვენი ბრალი!..

ჭორთსანი ვაჭარი
შინ ჩაშოგვესახლად
და ჩვენ ავლა-დიდებას
ის პატრიოტის ახლაო!..

ასე ამბობს: „თქვენ ვინ ხართ
მალე აიძარეთთ!..
თქვენ სახლ-კარი ვინ მოგდათ?
ჩერა დაიკარგეთთ!..“

ქმარმა უთხრა: ნუ ტირი!..
გნახთთ, რა იქმნებათ!..
უოველივე ამ ქვეუნად
არის უფლის ნებათ!..

მოვიდა უთხრა ვაჭარს:
აქ ვინ მოგიუენაო?
ჩემი ჭორის წამყვანი
შეჩ არა ხარ განაო?!..

ამ ჩემ სახლ-კარსაც ახლა
შენ ეპატრიონებით?
რათ? შენი რა მმართებს,
ღმერთს რას ეუბნებით?

მე მმასავით მიგიდე,
ტბილად, მეგობრულათ,

შენ-კიუ გაუტანელო,
შინ მიხტები მტრულათო?!

ჭორი შენ გუავს!.. სახლ-კარსაც
მართმევ?.. არ იქნებათ!..
აწ კი კმარა!.. ამდენი
მეურ მოთმინებათ!.

წადი, რომ არ აგვიტებეს
ერთი ხათაბალათ!..
თვარა ცუდათ შეგაქცემ,
თუ ვიხმარე ძალათ “

გაიცინა ვაჭარმა,
უთხრა: რას მიჰქარავო?!.
გინ ხარ! და სად მოსულსარ!..
ხომ არაფერს მშერათ?!

მე ეს სახლი და კარი
ჩბუით შევიძინეთ!..
შენ რად გინდა, ბრიუზი ხარ,
დაწებ და იძინეთ. “

შეხტა ნაცარქექია!..
სთქვა: მაშ კარგი, ვნახოთო,
”ვაი, ღედავ, მიშვერე!“
გინ ვის დავაძახოთო?!

დაიუვირა: ”ხელ-კეტა!
ეცი მაგას ერთოთ,
რომ მოაკონდეს ისევ
ჩვენი ქრისტე-ღმერთით!“

დაბზიალდა ხელ-კეტი,
გაექანა, ეძგერა,
აუცხუნა გვერდები!...
ვაჭარმა დაიჯერა.

—
რფრიალდა, შეშინდა:
„ვაი! ვაი! ვგვდებით!
გამიშვი და ღმერთმანი,
ძმურად მოვრიგდებით!..

—
შემოდი, შენც იცხოვრე,
ალარ დავკეტ კარებსო!..
რა დროს ჩვენი ჩხებია,
მტერი გაიხარებსო.?!

—
ნაცარქექიამ უთხრა:
„არა! რათ ირჯებით?
ახლა ჭიშა ვისწავლე
ალარ მოვტეულებით!..

—
მოდალატეს ბუნებათ,
არ გქონდა შირიდ!..
შენთან ლხინა არ მისდა
და არც შენა ჭირით!

—
საიდანაც მოსულხარ,
ღქითვე მიბძანდით!..
თან წაიღე ხრიპები,
კუშმაკური ფანდით!..

—
რომ მოვსტეულე ხელ-ახლა,
ამას ნუდა ელით!..

არ გაწერდე სელ-კეტო!..
არ შეუძვა სელით!..

ჭოხს გააქვს და გამოაქვს!..
გაჭრის ზურგზე ტრიალობს,
ზურგის კანი აუწვა
გაჭარს!.. უვირის ღრძალობს:

„ „დღეიდან ადარ ყიზაბ
არაფერს თქვენ საწერნსთ!...
არ დავდგები..., გამიშვით...
გეფიცებით გწმინსთ!“..

მირბის თავის ქვეუნისკენ
ტირილით და ღრძალით,
ჭოხი მისდევს კვალ-და-კვალ
სულ ჭარში ტრიალით.

მისდევს ნაცარქექიაც,
ჭოხს უევირის: „ჭირიგეო!||
მე მაგასთან უშენთ
ვერა გაფარიგეო!||“

რომ გადენა, მერე სთქვა:
ეულვა აწ, კმარაო!..
მადლი გამჩენს, მაგისგან,
რომ მე დამივარაო!...“

უთხრა: თხემო სელ-კეტო,
გაჭირვების ტალ-კვესი!
შელოცვილო გრძნეულის,
სმალზე უძლიერესი!..

ବୁଦ୍ଧିକୁ ପାଇବା ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରରେ
ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ର କମିଶନରେ ଆମେ ଯାଏ...
ଅକ୍ଷ୍ୱାତ୍ମକ ପାଇବା କମିଶନରେ ଆମେ ଯାଏ,
ତୁ ଆମେ ଆମିଶନରେ ଆମେ ଯାଏ.

ଏ ମେନ୍ଦ୍ର କିମ୍ବର୍ଗେତ ଏହି ଗ୍ରାମାବୀ,
ଏହୁଁ ଗାମିନ୍ଦ୍ର କ୍ଷାପିକାଇ!..
ଏହୁଁରେଣୁ କିମ୍ବା କିମ୍ବାଲ୍ଲୁ
ଓତେବ୍ରାସ ମରିଯାଇଲ୍ଲା ଏହି ଲକ୍ଷଣ,
କିମ୍ବାଲ୍ଲୁ, ମେନ୍ଦ୍ର କ୍ଷେତ୍ର କମାଲତାନ
କିମ୍ବାଲ୍ଲୁ, ଆମିନ୍ଦ୍ର,
ଏହିରେଣୁ କିମ୍ବାଲ୍ଲୁ, କମାଲତାନ
କିମ୍ବାଲ୍ଲୁ, ଆମିନ୍ଦ୍ର!

ପ୍ରାଣିଶ୍ରୀଙ୍କ ଶିଳ୍ପଜ୍ଞାନଦ
ଶ୍ରେଷ୍ଠିକା ମହାଲ୍ଲାଙ୍କ ପ୍ରତ୍ୟାଳ୍ମ୍ଭା
ଦ୍ୱାୟଥର୍ଯ୍ୟନ୍ଦ୍ରା ମିଳ ଉତ୍ସାଖୀ
ଶ୍ରୀଗ୍ରୀକିଲ୍ଲା ମନ୍ଦମାଧ୍ୟାଲ୍ମ୍ଭା।..

მოვგებს ეძებს სიტრთხილით,
მტრებს უკელვან ერიდება,
„ვაშა.. ვაშა!..“ იმის ბედს!
და მის გამჩენს დიდება!..

ფიქტურის ბუსრის წინ.

უცნაურია ბუნების კანონი: მისთანა მშობელი არ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე რომ ნაშობი არ უყვარდეს, გინდის საზიზლარიც იყოს. შეიძლება გარეგნად ხელი აიღოს, თავიდან მოიშოროს, დაჰგმოს, შეაჩვენოს, მაგრამ პირ-წმინდათკი მაინც ვერ გასწირავს! ერთსა და იმავე დროს კიდეც სძულს და კიდეც უყვარს და ამაზედ უთქვაშს ხალნის სიბრძნეს: „დედა რომ შვილს წყევლის; მუძუები უარს ამბობენო“. დიახ, ორ-ჭოფია დედის გრძნობა და გული მოუსვენარი: რა გინდ სამაგალითოც იყოს მისი ნაშობი, სურვილი მაინც მეტსა ნდომობს და უნდა, რომ კიდევ უკეთესი იყოს! აგრევე, რა გინდ გაფუჭებულსა ჰქედავდეს დეჯა შვილს, მაინც კიდევ იმედს არ ჰყარგავს, ეგებაო, გამობრუნდეს... გასწორდესო. ამ გრძნობის ორ-გვარობას ის მიხვდება, ვისაც მშოსლიური გრძნობის ძლიერება თვითონაც მინიჭებული აქვს. ამ გვარივეა მამულიშვილის გრძნობაც სამშობლოსადმი. ერთისა და იმავე მიწის შვილი, საერთო სამშობლოს მექონი, ბევრგან ლომიც არის და ჭიანჭველაც!.. ჭიანჭველად მიმაჩნია ჩემი თავი ჩემ სამშობლოში, მაგრამ იმასაც-კი ვგრძნობ, რომ მთელი ჩემი ჭიანჭველური ძალ-ლონითა და სურვილით მას ვეკუთვნი, ისე როგორც სხვა ყოველი მამულის შვილი, გინდ ის ლომ-კაციც იყოს, და მიტომაც ეს ჩემი უპირ-ფერო, უბოდიშო შეგნება ნებას მაძლევს, რომ ჩვენი ქვეყნის ავ-კარგიანობის შესახებ ჩემი პატარა გრძნობა-გონება გამოვაჭვეყნო და გულში არ ჩავიკლა უხმოთ... ხე ხომ არა ვარ? მაგრამ რას ვამბობ? განა ხე კი ყოველთვის უმნიშვნელოა?!.. აი ახლაც! ბუხარში შევდევი ჯირკვი, ცეცხლი მოჰკიდებია, მოდებია ალი და ჩემ თვალ-წინ იწვის გუზგუზით!.. საიდან მოუტანიათ? სამშობლოდან! მისი სამშობლო არის ტყე, სადაც ასი და ათასი ამისთანა რქვე, ადგილობრივ, უმნიშვნე-

ლოდ ლპებასულეს კი აქ; ბუხარში, წმინდათ, იწვის, ანათებულ
და სითბოს სცემს! ბევრიც აღარა აკლია რა!.. მალე სულ
დაიწვის, დანელდება და... გათავდა! მაგრამ არა, შემდეგისა-
თვისაც ნახშირს დასტოვებს, რომელიც გამოსალეგი და სასა-
რგებლოა, რა ლამაზათ იწვის?.. გარს მოდებული აღი პრი-
ალებს და თანაც დუღუნებს, ფთითქო რაღაცას ჩივის... ვიღა-
ცას ესაყვედურებაო!.. ვინ იცის?.. ქვეყანაზე მისთანა არა არ-
სებობს რა, რომ თავისო თავ-გადასავალიც არ ჰქონდეს... რ
ყველას რომ შეეძლოს გამოთქმა... ყველას რომ გავიგებ-
დეთ!. მაშინ ქვეყნიერობა წინ იქნებოდა უნთუ, აენთე,
უსულო საგანო!.. მარტო შენ არ იწვი! ყველას თავთავის
ცეცხლი უკიდია, და მეც შენი დღე მაღვის, სამშობლოს
გამოთვალისწინებელს!. მისი „წარსული“, „აწმყო“ და „მო-
მავალი“, ერთ სიტყვბოს, სიმწარე და ოცნება, ერთად არეუ-
ლი, გულს ეჭიდებიან და მწვავობით ამოკლებენ დღეგრძე-
ლობას!.. როდის და სად მოვიპოვო მშვიდობა? ისე საფუტ-
კრის წინაც ვერ გამივლია, რომ ჩემი მამაპაპებრ და მათი გა-
დასული დრო არ მელანდებოდეს გულ-საკლავლ... ჯერ კი-
დევ ბევრი საუკუნები გაირენენ, სანამ კაცობრიობა ამ ფუტ-
კრების გზას დაადგებოდეს და მათგან მიიღებდეს ცხოვრების
წეს-წყობილებას!... სუკხოვრებენ თავისთვის ამ პატარა, სკაში
წმინდათ და უბიწოთს ღმერთს მათთვის საჩქო-საბადი აქვე
ახლოს, სამშობლოში მიუკიარ შრომიობენ... ფილვწიან ერთი
შეორის დახმარებით აკეთებენ თაფლ-სანთელს, საერთო ტრა-
ნეზზე სდებენ, თვითონ რჩებიან და ცა და ქვეყანასაც სამსა-
ხურს უწევენ! სხვისიარა უნდათ არა!, არავის რასმე სტაცებენ:
მაგრამ ხარბი და ჭაუშაძლარი სოფელი პირიქით არ ასვენებს
ამ კეთილ მუშაკებს; თოასი მტრები, ათი-ათასი ონავრები გარს
ეხვევიან და იძულებული ხდიან. მოსაგერებლად შათაც ფართ
ხმალი საალებიონ. ესენიც იბრძვიან ძალა უნებურათ და ხშირ
რათ ბრძოლის ველზე უტევებენ სულს!.. მაგრამ მაშინაც ერ-
თი რომ კვდება, მი თავდადებით, ათას და ასე გადაარჩენს, ხოლმე,
რომ საფუტკრე მანაც არ დაიმხრა! ა, ბევრი დრო, ფარგე

ბათ მტრების მოვერებულიში და უმეტესად ძლიერსოდ ასწრებენ, რომ სარჩო მოიმზადონ, მაგრამ მაგიერად, როცა-კი ბედნიერი წლები გამოვრევათ ხოლმე და მტრებს ველარსად ხედვენ, მაშინ-კი ხვავიანია ცა და ქვეყნის უძნაშილოკუნი მათი ნაშრომ-ნალვაწის სწორეთ მმ გვარათვე იყვენ ჩვენი წინაპრებიც: სკოლვრებდენ თავისთვის ცისა და ქვეყნის პირნათელ მოსამ-სახურედ!..

ეს პატარა სამფლობელო ხელს უწყობდა მათ ცხოვრებას, უკიმაყოფილებდა ყოველ გვარ მათ მოთხოვნილებას-და ონავ-რული სურვილი გულზე არ აწვებოდათ!.. არავის რასმე ედა-ვებოდენ! მაგრამ ამით მაინც უნაყოფო და, საზიზლარ სისხ-ლის ღვრას თავიდან ვერ იცდენდენ: ყოველ კუთხით შემომ-დგარი მტრება ხელს უშლიდა მათ უბიშო ცხოვრებას და ისი-ნიც ცალი ხელით რომ თოხ-ნამგალს იღებდენ, მეორეში ფარ-ხმალი ეჭირათ მტრის მოსაგერებლათ!. მოუსვენრად, მაგ-რამ მაინც კიდევ, მაინც საკუთრივ, შესაფერ ფერ-ხორცით ითენ-ილამებდენ წუთის სოფელს და, როდესაც კი-ათასში ერთხელ მათ ქორონიკონში, ფუტკრებისა არ იყოს, მშვიდობი-ანობის ხანა დაუდგებოდათ ხოლმე; იმათაც ხალისით შეჯონ-დათ მსოფლიო საგანძურო თავისი ღვაწლი და სიმღაბლით სდებდენ მცირე წვლილს საერო ტრაპეზზე. კეშმარიტათ სანა-ტრელია და სასიხარულო მაშინდელი მწარ-ტკბილი ცხოვრება!!.. „მხოლოდ მოსვენება და გულის დამშვიდება არის სრული ბედნიერებაო“ — ანბობენ ზოგიერთები. მართალია, მაგრამ მოსვენებაც არის და მოსვენებაც!!.. აბა, დაეკითხეთ ფუტ-კარს, თუ გასცვლის თავის უნებურ მოუსვენრობას ხარა-ბუზა-ნეხვის ჭიის ნებიერ მოსვენებაში? აიღებს თუ არა ხელს თაფლ-სანთელზე, გინდ მცირეც იყოს, და ნაცვლად მიიჩღავს ერთ გოდორ ფუნე-ნეხვს რომ ხელ-შეუშლელათ ასოსო-ლიკ-აკვარკვალიტოს და აგოროს? შეუძლებელია!.. მართა-ლია, ჩვენ მამა-პაპებშიაც გამოვრეოდენ ხოლმე უკულმართები, მაგრამ ეს ხომ მსოფლიო კანონია? ვარდი უკულოდ ვის გა-უგონია?.. თორმეტ მოციქულში იუდაც გამოვრია, მაგრამ მით

ქრისტიანობას წუნიან დასდებია!.. საქმე უმეტესობაა ჩვენ
წარსულში, სადაც კითოთო-ოროლა მოღალატე გაჩნდებოდა,
იქ, იმავე ღროს, ასი და ათასი მამულისთვის თავტა-
დებული მზათ იყო და მით საზოგადო ცხოვრების მიმღინა-
რეობას ბევრი არა კლდებოდა რა!.. განა უქაც, ფუტკრებში
აც-კი, არ გამოერევა ხოლმე სწორები და გაფუჭებული? ხში-
რათ, ძალიან ხშირათ, მაგრამ ის სხვებს, მარჯვე მუშა ფუტ-
კრებს, გააჭით გარეთ და გადააგდებენ ხოლმე! საფუტკრე
მაინც წმინდათ ჩეხება. არა! ტყვილად არ მიყვარს მე ჩვენი წა-
რსული!.. მიყვარს ისე, როგორც დედას კარგი შეილი და
მიტომაც გულ-გაუმაძლარს, მსურს, რომ ის გადატანილი ვნა-
ხო მომავალში დრო და ვითარების შეხამებით კიდევ უფრო
ძლიერად და ბეღნიერათ... ცხად ცხად მომ იყალა

„გაქრა! წავიდა! გახმა! დაგჭანახვე სად არის მაგის ხან-
გრძლივობის ნიშან-წყალიო?“ — კიუინასა საცემენ ზოგიერთები! მაგრამ გული მაინც საგულეზედ ურის, არა ფრთხის!.. მარ-
თალია ზედაპირს აღარ ეტყობა სიცოცხლე!.. უზომოთ გადა-
წეულ-გადმოწეული ტოტები გამხმარა, მაგრამ საქმე ძირია!..
ის ჯერ ისევ ძლიერია და მისი ფეხსვები აქეთიქით ღრმად
გამდგარია, მისვე აღმომაცანებელ ნიადაგში! მზად არის ხელ-
ახლად ამოიყაროს! საჭიროა მხოლოდ რამ ზედ „მომავალი“
ახალ-ნამყნად დაირგოს! და ჩვენც ჩვენი „აწმუო“ უნდა გზათ
და ხიდათ გავიდვათ ამ ორთა შუა. ვინ უნდა იკისროს ეს
ხელობა? საჭა არის მებაღე? ვინ არიან ხუროთ-მოძღვრები?..
ვინ და ინტელიგენცია, ახალ-თაობად წოდებული. ამათ ხე-
ლშია დღევანდელი ჩვენი ქვეყნის აც-კარგი, ისე როგორც
ძველიად დიდებულ ერისთავების ხელში იყო ქვეყნის ბედი და
უბედობა და კიდეც ავადობდენ!.. კეთილი, მაგრამ ვინ
არის და ან რა არის ეს ინტელიგენცია?.. ეგრომ დაიბადა
ჩვენში, ფეხი აიდგა და გამოვიდა სარბიელზე, მომსწრე ვარ...
აგერ ნახევარ საუკუნეს აღარ აკლია რა, რომ მე მაგათ მო-
ქმედებას, მაგათ ავსა და კარგს, მაგათ კეთილ-ბოროტს თვალ-
ურს ვადევნებ და ეგენიც აწონილ-გაზომილი მყავს. მინა-

ხავს ერთის წალმა ხნული ათისაგან უკულმა. ნაფარცხი. შემინიშნავს ბევრი მათგანის უკულმართობა და მიტომაც არის, რომ მე დღევანდელი თნტელიგენციის უმეტესობა მძულს, ისე, როგორც დედას გარეწარი შვილი... მძულს, მაგრამ იმავე დროს მაინც მიყვარს, კავშირი ვეღარ გამიშვებათ მათთან, და მათზე ფიქრი წმინდა მოვალეობათ მიმაჩნია!.. დღეს ინტელიგენცია ჩვენში დიდალია და სამ გუნდათ გაიყოფა: 1) ქარაფშუტებათ 2) ფარისეველ-გაიძვერებათ და 3). კეთილ-მუშებათ.

ჩარაფშუტები.

ბავშვი რომ ჯოხზე შეჯდება.. და დაიწყებს ხვიხეინით ეზოში კუნტრუშს, მაშინ იმას თავისი ჯოხის ცხენი რაშათ მიაჩნია. და თავის-თავიც უპირველესი მხედარი ჰგონია!.. ან და, როდესაც ყმაწვილები თოვლის გუნდას ააგორებენ, დიდ ბურთს გააკეთებენ, ამართავენ ვითომ ციხეს და მერე არა პირად გაყოფილნი იერიშით მიღიან ხოლმე მის ასაღებათ მაშინ, იმათ თავი მართლა მეომრები ჰგონიათ!.. ამ გვარ მო-თამაშე ყმაწვილებს წარმოგვიღენენ დღეს „ქარაფშუტა“ ინ-ტელიგენტები!. წაიკითხვენ თუ არა ერთს რომელსამე წიგნაკს, თავი მაშინვე ფილოსოფიული ჰგონიათ!... თუ სხვასაც კი-დევ წაუკითხავს არა თუ ის წიგნი, ათასი სხვაც იმასთანავე და იმაზედაც უკეთესი და წაუკითხავს უფრო უკეთესი შეგ-ნებითა და ყურადღებით, შეის წარმოდგენა აღარ შეუძლიათ და ტიკებივით-დაბერილები და ღრმად ჩაფიქრებულები დაბრძანა დებიან, თითქლს ქვეყნის ტვირთან მათ ზურგზე ეკიდოსთ!.. ადა ვილი ჟაცუნაბი კი არიან ეს ვაჟბატონები: შინაგან ლირსებას მოკლებულები, ცდილობენ, რომ გარევნობით გამოიჩინონ თავი და ხალხის წინ პირ-ბადით, დაიარებიან!.. ქალიანი გულითაც რომ ეცინებოდესთ ჩამეზე, მაინც ვერ ბედვენ გაცინებას იმ მოსაზრებით, რომ ქვეყანამ ამჩატება არ შეგვწამოს და, ვაი, თუ აღარად ჩაგვაგდოსო. ამ ქარაფშუტულა

თავმოყვარეობას სწირვენ თავის დღეს და სოფელს! ერთს, რომელსამე ამ ქარაფშუტათაგანს რომ ჰკითხოთ, მაგალითად, „ლორს შეუძლია გაფრენა თუ არათქო?“ ნუ გვონიათ, რომ იმან მალე რამ გაიპასუხოთ!... არა, ჯერ სახეს შეიჭმუხვნის, მოემზადება თვითონ, თითქოს საიდუმლოს მისაღებად, და ბოლოს მოჰყვება: „ჰმ... ლორის აგებულების ასხმა გვიმტკიცებს, რომ იმას არ უნდა შეეძლოს გაფრენა!.. მართალია ამ საგანზე თუმცა არას იხსენიებს ბოკლი და თვით დარვინიც არას ამბობს, მაგრამ ჩემი აზრით-კი სწორედ ასე უნდა იყოს, რომ ლორი ვერ უნდა გაფრინდეს!“

ამას რომ იტყვის, მისთანა სახესაც მიიღებს, რომ თითქოს ქვეყანას აყვედრიდეს: მე რომ არ ვიყო, რა გეშველებოდაო და სხვ... ეს უგუნურება იმისგან მოსდის ამ საწყლებს, რომ საკუთარი ტვინით თავის დღეში მათ არ უხელმძღვანელებიათ და ყოველთვის სხვისი ტვინის მონა ყოფილან. რისგან მოსვლიათ ეს უგუნურება? აი რისგან: ახალგაზის ნორჩ გრძობა-გონებას ეჭირვება ვარჯიშობა მშესთანა საგნებზე, რომელიც მის ახლოს, მის გარეშემო არის, რომელსაც ის კარგად იცნობს და რომელზედაც, მაშასადამე, თვითონაც შეუძლია სჯა: წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ყმაწვილი გაუგებრათ იზეპირებს, მეხსიერებას ატანს ძალას, გონება უჩლუგდება და კაცკაც-თუთიყუშს ემსგავსება, და ამიტომაც დღეს ჩვენ ინგელიგენტებში მრავალი ქარაფშუტაა. ამ საწყლებს, კითილის მოსურნეც რომ იყონ, თავის თავათ ქვეყნისთვის არა შეუძლიათ რა და იძულებული არიან მიეკედლონ ერთს და ან მეორე გუნდს, ე. ი. ან ფარისევლებ-გაიძვერებს და ან ნამდვილ მუშებს.

ნამდვილი მუშებს არც დრო აქვთ და არც შეძლება, რომ ალერსით, პირფერობით და მატელიარული შემწეობით იმ ქარაფშუტებს ლოლიობა დაუწყონ და მათი გული მოიგონ. მოცულილები და მხოლოდ პირადობის მაძიებელი ფარსევლები-კი ადვილად გადაიბირებენ ქარაფშუტებს, იხდი-

ან ყურ-მოჭრილ ყმებად და იმატებენ ხოლმე ძალას. სამ-წუხაროა ეს, მაგრამ ამას აღარა გაეწყობა რა...

ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ - გ ა ი ძ ვ ა რ ე ბ ი .

ერთს მარგალიტზე, რომ ვიანგარიშოთ, ასი თაღლითი მოდის! საღაც ერთი ნამდვილი წინასწარმეტყველი გამოჩენილა, იქ ათი და ოცი ცრუ წინასწარმეტყველიც წინ წამომდგარა! პირადობის მიმდევრობა და მუცელ-ლერთობა ძლიერი მანქანაა, გაიძვერობისა და ფარისევლობის წარმომშობი. იმათი „თეორიული მრწამსი“ გაცვეთილი ანდაზაა: „როცა მე აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნულა ყოფილაო!“.. და პრაქტიკული მცნება კიდევ უარესია: „ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევიო“ ან და: „რა ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქული დაიხურეო“. მათთვის სულ ერთია მარჯვენა და მარცხენა! და ამიტომაც საერო ბურთი და მოედანი ხელში აღვილათ უვარდებათ ხოლმე. ეს არის საზოგადო, მსოფლიო კანონი და ამას, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანაც ვერ ასცდებოდა. როდესაც ჩვენმა ახალ თაობამ ბევრი ტანჯვისა და ბრძოლის შემდეგ, ცოტა სახელი და ძალა შეიძინა ქვეყნის თვალში, მაშინ ეს გაიძვერებიც გამოხტენ მზამზარეულზე და ქვეყანას ფარისევლობით თვალში ეჩრებოდენ, აქტიონრულათ ახალ თაობისა და ნამდვილ მოღვაწეობის ქურქში გამოხვეულები. აუბეს თვალი საზოგადოებას და სადაც-კი. საზოგადო საქმე იყო, თავში დაუღენ მხოლოდ იმ განძრახვით, რომ თვალ-საჩინო სიმაღლეზე ყოფილიყვენ და საპირადოთ ხელი მოეთბოთ. ეს ყოველივე გზათ და ხიდათ გადვეს და ბოლოს ხელშეუშლელათ გადვიდენ სულ სხვა ბანაკში, რომელიც მათი პირადობისათვის უფრო სასარგებლო იყო. „მგზავსმან მგზავსისა თანა განისვენოსო“ ბრძანებს სახარება; ან, მდაბიურად რომ ვსთქვათ: „ტოლი-ტოლს ეძებსო“. აღამიანს ყოველთვის ეჯავრება ის, ვინც მისი მოქმედების წინააღმდეგია!.. ისტორიით ვიცით, მტარვალი რომ

უკანონოდ ტახტზე ასულია, კანონიერი მემკვიდრეები უსუ-
სური ბავშვებიც-კი, მხოლოდ იმ განძრახვით, რომ ოდესმე
ანგარიში არ მოგვთხოვონო, შეუძლებია, გაუმეტებია
და გაუწირავს. ასე მოხდა ჩვენშიაც. გაიძვერა-ფარისევლებმა
მიზეზ-მიუცემლად შეიძულეს, ამოიჩემეს საბრალო ნამდვი-
ლი მუშა-მოღვაწე ახალგაზღები, დაუწყეს დევნა და ცდი-
ლობდენ, რომ ქვეყნის თვალში ისინი დაემცირებიათ და რო-
გორმე დაეჩაგრათ. ამისთვის ყოველ გვარ საშუალებას ხმარობ-
დენ: არ დაუკლიათ არც ცილის წამება, არც ბეზღება და არც მა-
ხის გება!.. რომ უფრო ადვილად დაეჩაგრათ, კერძოობასაც
აღარ ერიდებოდენ, თითქმის მათ ოჯახობაშიაც-კი შეჰქონ-
დათ იერიში!.. მაგრამ თვითონ როდი გამოიღოდენ საპირ-
და-პიროდ!.. როგორც მათ ყურ-მოჭრილ ყმებს, „ქარაფშუ-
ტებს“ მიუსოვდენ ხოლმე ყოველი მხრით ჯარად და თი-
თონ-კი ჩუმ-ჩუმათ, ქვეშ-ქვეშობით, ბრძნულათ დასტურს აძ-
ლევდენ!.. სათვალთ-მაქცო იარაღით შექურვილებს და მორ-
ჭმულათ მჯდომარებს ხალხის უმეტესობაც, რომელიც თავის
თვათ ძვირად არჩევს ავ-კარგსა და უნებურად სხვის ფერ-
ხულში ებმება, ბანს აძლევდა. თუ ამ გარემოებას არ შეე-
ფორხებია ჩვენი მუშა ახალგაზღობის მოღვაწეობა, ჩვენი სა-
ქვეყნო საქმე ერთი-ორად წინ წაწეული იქნებოდა. დიდი
მომაკვდინებელი ცოდვა მიუძღვის ქვეყნის წინაშე ამ პირა-
დობის მაძიებელ ფარისევლებს. ჩვენ აქ შეგვეძლო, რომ
ბევრ მათგანზე მიგვეთითებია ქვეყნისათვის და დაგვეხატა მა-
თი სახე, მით უფრო ადვილად, რომ დამამტკიცებელი სა-
ბუთები ხელში გვიჭირავს. მაშინ-კი გამოახელდა საზოგა-
დოება თვალს, მაგრამ ეს დღეს შეუძლებელია მიზეზისა გა-
მო სხვისა და მხვისა და მომავლისათვის უნდა გადავდვათ!..
მაგრამ, მაინც და მაინც, დიდი სანუგეშო ესეც არაფერია!..
სწორეთ ამაზე უთქვამს ობოლს: „ვიცი რომ მამაჩემის მკვ-
ლელი არ ცხონდება, მაგრამ მე მამას მაინც ველარავინ გა-
მიცოცხლებსო!“..

ნაგდვილი მუშაბი.

ვინ არიან ეს მუშები? სად არიან, რატომ არავინ სჩანან და ან რას აკეთებენ? ზნეობით მუშაობა არა ჰგავს იმ მუშაობას, რომლის შედეგად ჩვენ ვხედავთ მრავალ-სართულიან სახლებს, მდიდრულად გამოჭიმულებს, ხან მამასისხლად გაფალებულ ფულებს, ხან სხვა რამ პირად დიდებას, ზიზი-პიპილებს და სხვ... ის თუ არ გონების თვალით, ისე არ დაინახვება და გონების თვალი-კი ხალხში ძალიან გვიან აიხილება ხოლმე: დრო ეჭირვება და ცოდნა. პირველ საუკუნოების ქრისტიანებსაც ასე ეუნებოდენ, როდესაც იმათ სიტყვა ქრიტესი გაჰქინდათ სხვა და სხვა ხალხებში და ჰქალაგებდენ ჰქეშმარიტებას, „რას აკეთებთო?“ იმათ არ შეეძლოთ წარმოდგენა, ამ სიტყვის კაცების მოქმედება თუ რას მოუტანდა კაცობრიობას, მაგრამ შემდეგმა საუკუნოებმა გაამართლეს მქადაგებელთ წინა-განძრახული. როდესაც მუშა ხორბალსა სთესავს, უგნურს, რასაკვირველია, გაუკვირდება: ეს კაცი რომ ამდენ პურის მარცვალს ტყვილა-უბრალოდ აბნევს, უკეთესი არ იქნებოდა, რომ დაეფქვა, გამოეცხო და ახლავე თვითონვე ეჭამაო? ამას ის მართლის გულით ამბობს, რაღანაც მისი მოსაზრება იმ მუშის მოსაზრებამდე ვერ უწევს. ზაფხულში რომ მივიდეს იმავ ყანაში და ნახოს ამოსული და დამწიფებული პური, ვერც მაშინ მიხვდება, თუ ეს რა გვარად ამოსულაო? მაგრამ ეს მისი რეგვენობის ბრალია და არა მუშის, პურის მომკა და ნამგლის ტრიალი, რაღანაც უფრო აღვილია და მასთანაც თვალისათვის სახეირო, ამიტომაც საზოგადოდ უფრო საქებ მუშაობათ მიაჩნიათ, ვიდრე ახოს აღება, ზვნა-თესვა და მარგლა!.. მაგრამ ეს განა სამართლიანი მსჯელობაა? საქმე ახოს აღებაა, ე. ი. ყანის გატეხა, და დახვნა-დათესვა, თორემ შემოსული პურის მკა რა ძნელია? დამწიფებული პური, თავისთავადაც ნამგალს მოითხოვს და მოამკევინებს თავს. მაშინ მეთაურობაც აღარ არის გასაჭირი. სწორეთ ამგვარივე ძნელია დასაწყისი ხალხის განცითარება-წარმატებისა!. და დღევან-

დელი ჩვენი მუშა ინტელიგენციაც ამ მდგომარეობაში არის და შემოდგომის მუშებს მოგვაგონებს. კეთილმა-მუშებმა დაინახეს, რომ ჩვენი ქვეყანა უმეცრებაშია, რომ იმის ზნეობით წიადაგს შამბი გადავლია, გაეკლულია... და ძნელი-ლაა, რომ გაუმარგლავათ და გაუწმენდელათ თესლი გამოიღოს!.. ამის-თვის ჩუმათ, თავ-დახრით შრომობენ და მარგვლენ. ამ გვარი მუშაობა თვალ-საჩინო არ არის, თვით მუშებიც დაბლობში დგანან, მაგრამ მით უფო გმირულია დღევანდელი მათი ღვაწლი, რომ უსასყიდლოთ უმზადებენ ნიადაგს მომავალ დგმას და სამუშაოს უადვილებენ. ეს უჩინარი პატარ-პატარა მუშები დღეს ყველგან არიან, ყოველ კუთხისკენ მოდებული!.. იმათ ვერ ვინ იცნობს, არა სჩანან, გარდა ერთო-ორისა, რომელიც შემთხვევას აუყვანია მაღალ საფეხურზე, მაგრამ ერთათ რომ თავი მოიყარონ და ერთს გზას დაადგენ, დიდი ძალა ექნებათ. დიახ, მაგრამ მათი უბედურება ის არის, რომ მეთაური, წინამძლოლი არა ჰყავთ და ხშირათ მათი ნა-შრომ-ნალვაწი ერთის მეორესას სცარავს და აფორხებს!.. წუ თუ მართლა ყველა მათგანი მწირი-მუშაა და მეთაუ-რათ ვერავინ გამოდგება? რა ბრძანებაა! მოინახებოდა, მაგ-რამ დღევანდელ ჩვენ მუშებში ერთი დიდი ცოდვა ტრია-ლებს და მისი ბრალია: ერთი მეორის ნდობა არ აქვთ და ერთმანეთის მიყოლა ერცვინებათ! ჯერ ვერ მიშვდარან, რომ ეს გონიერების წინააღმდეგი საქმეა.

მოსაკრავეთა გუნდი, თვითეული მაღვანი გინდ გენიო-სიც იყოს, ვერას დაუკრავს შეთანხმებით, თუ ყველას ერ-თად მეთაური, დირიჟორი, არ აურჩევიათ და და მის კვერთხს არ მიჩერებიან!.. დირიჟორი განა ყველაზე უფრო ნიჭიერი და უპირატესია?.. განა ის ყოველ გვარ საკრავზე უკრავს? სულაც არა! იცის მხოლოდ საზოგადოდ თეორია მუზიკის და შეუძლია ყველას გარჩევა და წინ წაძლოლა. განა არ შეიძლება, რომ ჩვენშიაც კაცი არც პოეტი იყოს, არც პედა-გოგი, არც არტისტი, არც სხვა რამ სპეციალურ ხელობისა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება შეგნებული ჰქონდეს,

ავი და კარგი იცოდეს და მეთაურათაც გამოსაღები იყოს? აღვილია ზოგ მათგანზე მითითება, მაგრამ პირადობას, როგორც იქ, ფარისევლებში, ასე აქაც, არ ვეხები!. ვიტყვით მხოლოდ რამოდენსამე სიტყვას გადასულებზე, რომელთა აჩრდილი თვალ-წინ გვიღვას!..

დღეს ბევრმა არც-კი იცის, თუ ვინ იყო და რა იყო თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი? მის დროში ძვირათ საღმე-მოიპოებოდა ჩვენში მისთანა სამშობლოს მოყვარული კაცი!. მისი გულის თქმა და მის სულის დგმა საქართველო იყო. ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა და ყოველი თემი, გინდ შორეულიც ყოფილიყოს, მისთვის გაურჩევლათ, ერთნაირათ საფიქრელი, საზრუნველი და საყვარელი იყო! არ იცოდა ეს იმერია, ეს ამერია, ეს ჩემი სოფლისა არის და ის იმისო; მოსაწონი რამ ყველგან მოსწონდა და დასაწუნს ყველგან სწუნობდა!.. სადაც-კი ხელი მუუწვდებოდა, საქმეს არ ერიდებოდა, არ იზოგავდა თავს არც ზნეობითად და არც მატერიალურად. მაშინდელი პატარა გუნდი მოწანავეთა სულში იძვრებოდა და პატივსა სცემდა. ოლონდ-კი სასარგებლოდ დაწენახა ქვეყნისათვის და მზათ იყო, ყველას უკან გაჰყოლოდა ისე, როგორც მწირი მუშა და მისი გამგონე ყოფილიყო. დიდი ფანატიკოსი იყო!.. ფანატიზმი, როგორც გადაჭარბებული რამ მოქმედება, ბევრჯელ მეტია და სასაცილო, მაგრამ მისი მოვლენა-კი ცხოვრებაში აუცილებელია და საკირო!.. სადაც-კი ფანატიკოსები არ ყოფილიან, იქ არც არაფერი მოვლინება გამტკიცებულა!. ეს უკიდურესობა მეორე წინააღმდეგ უკიდურესობისაგან არის ხოლმე გამოწვეული, რომ უსამართლობა დასკაროს და შეა სისწორეზე შეაჩეროს. არიან დღეს ჩვენში ზოგიერთი ახალ-გაზდები, რომელნიც თუ არ გაუჭირველათ, ისე უცხო ენაზე ხმას არ იღებენ და დედა ენაზე საუბრობენ. აგრევე ვიცნობ ერთ-ქალსაც, დიახ ჭიკვიანს და პატიოსანს, რომელიც უცხო ენას უარს ჰყოფს. აღვილი მისახვედრია ეს კერპობა!.. იმ წრეში, სადაც ის არის, მისი მშობლიური ენა პატივ ახდელია და დავიწყებული!.. ამას

უნდა, რომ წინააღმდეგი, ქცევით, საპირდაპირო უკიდურესობით შეურაცხყოფა ააშოროს დაჩაგრულსა და დევნილს!.. ეს გრძნობა და მოქმედება ერთი შეხედვით ახირებულია, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, წმინდაა და პატივსაცემი. უსამართლოდ ახირებული და აგდებული შვილი დედას სხვებზე უფრო ებრალება და უფრო მხურვალეთაც იკრავს გულზე. ეს ბუნების კანონია!.. ალექსანდრეს ფანატიკოსობა იმ დროში ბევრს, თითქმის ყველას, სასაცილოთ მიაჩნდათ და მიტომაც შეუნიშნავი დარჩა მისი ღვაწლი, მაშინ, როდესაც სხვების უფრო მცირერამაც გაზიადებულათ გადმოგვცეს საშვილიშვილოდ.

ეს რომ აღმოსავლეთ საქართველოში იყო, ამ გვარივე კაცი იყო სწორეთ დასავლეთ საქართველოსაკენაც თ. გრიგოლ გურიელი... მაგრამ, როგორც სამსახურის კაცი, უფრო ფხიზელი. საკვირველია, რომ არც ერთისა და არც მეორესი დღეს ჩვენ სრული ბიოგრაფია არ გვაქვს!. მაშინ, როდესაც ბევრმა ჩვენში არც-კი იცოდა გამაჰმადიანებელი ქართველები, ოსმალეთის ხელში ჩაცინულები, ჩვენი მოძმეული იყვენ თუ არა, გრიგოლ გურიელს, იმ ერთად ერთ კაცს-კი კავშირი ეჭირა მათთან, მისელა-მოსვლა ჰქონდა, და მიწერ-მოწერა მეთაურებთან!.. აგონებდა მათ წარსულს უქადაგებდა კარგ მომავალს და სხვანი!.. თავს არ იზოგავდა ამ აზრის გასახორციელებლად არც ზნეობითად და არც მატერიალურად. როდესაც ათი-ოცი წლის შემდეგ ისენი ისევ საჩვენო გახდენ... გრიგოლის სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა. „ქრისტე აღდგაო!“ მომახარა ბათუმში, რომ მნახა — „ამ დღეს ველოდიო; — რომ უკეთ დავაბოლოვო ჩემი აზრით, თანამდებობაც ვიკისრე და გარსაც ჩვენები შემოვიხვიე, არ ეს და ესაო.“ მე ცოტა შევიჭმუხნე და ცივად ვუთხარი: არ კმარა, რომ აღმინისტრატორი თვითონ კარგი იყოს, საჭიროა და უფრო საჭიროც, რომ გარს ღირსეულები შემოიხვიოს და არჩევანში არ მოსტყუვდეს!... მაგ შენი არჩევანის კმაყოფილი არა ვარ. მეთქი. როგორც საზოგადოთ გურული, ფიცხი იყო განსვენებული.... ეწყინა ჩემი სიტყვა და ცოტა

უსიამოვნობაც მოგვივიდა... ის იყო ჩვენ სიცოცხლეში პირ-ველი და უკანასკნელი სამღურავი... დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ჩარხი უკულმა დატრიალდა და იქაური მკვიდრები იძუ-ლებული შეიქნენ თავის მიწა-წყალი, სახლ-კარი და მამა-პაპ პის საფლავი დაეტოვებიათ — და სათათრეთში გადახვეწილი-ყვენ!.. გრიგოლმა ველარა გააწყო რა!.. ელდა ეცა... დასნე-ულდა ლა მიანება თავი ყოველიფერს, გადადგა!.. იმ ხანებში თბილისში შევხვდი და ველარ ვიცანი.. სახე დაშლოდა, ზა-ფრას აეტანა და მოხუცებულიყო: — „ბიძია, ქე არ წაგვიხდა ჩვენი მოსაზრება?“ მითხრა მარტო რომ დავრჩით — „თურმე შენ მართალს ჩიოდი და მე ტყვილათ აგეშალე!... საწყლები ტოვებენ სახლ-კარს და მიღიან თავისდა შუაგულ სათათრეთ-ში! მათ ნაცვლად სხვები, ვიღაც აზრუმელები, მოვლენ და ჩაგვისახლდებიან!.. დეილოცა ლვთის განვება, თუ ასე მოხთე-ბოდა, ნეტაი გულშიც არ გაგვლებოდა მათი ძმობა!.. დაგვე-ფსო ცეცხლი ჩვენცა და იგენსაც!..“

— ეგ აღრევე იყო საფიქრებელი, — ვუპასუხე მეც.

— აღრე? რეიზა ფიქრობ მაგრე? შენ გგონია სხვებმა ჩაიდინეს მაი საჯაყი საქმე?.. ისევ ჩვენების ბრალია!..

— მეც მაგას მოგახსენებ.

— რას მომახსენებ?.. იგინისაგან რა გიკვირს, რომ ჩვენ რომ გვერდში გვიდგა, იმან კიდომ უარესი ქნა!.. როცა პაწა გამოჩენის გულისოფერის ჰერთონი და რაც იწველა, ქე დააჭ-ცია!.. იგია, რაცა, ი კატა გაგლეჯილი! ლვთის ნებაა, ყველა-ყაი!.. კაცისაგან ტყუილია!.. მეც ქე ვარ ახლა ჩემდა მოსვე-ნებით! ამას კი ანბობდა, მაგრამ ეტყობოდა, რაც მოსვენება იყო: ნაღველი ყელში ეგუბებოდა დახმა უკანკალებდა!.. ცო-ტა სიჩუმის შემდეგ დავეკითხე: კიკოლიკი გახსოვთ, ბატო-ნო?

— ჩვენი, პაწა, ეპიფანე კალანდაძე? აკი მოკტა საწყა-ლი!.. მერე... რაო რომ მახსოვს?

— ის რომ იმისთანა კიკოლიკები დღეს ბევრი არიან და-დღითი დღეც მრავლდებიან, გულს ნუ გაიტეხთ!..

— მერე რაო, რომ მრავლდებიან, რა ფაიდაა? რა გინდა თქვა?

— ის რომ იმ კიკოლიკებიდან დიდი ნიკოლოზები დაიზდებიან ერთ დროს.

— მერე რაო? — თან და თან ცხარობდა — ვითომ რას გამოელი? ნიკოლოზები დეიზდებიან თუ კირაკოზები! მაინც ტყუილი იმედია!... დევეთხოვოთ, ვეჯო, ამ ლაპარაკს!.. ცხარობდა გულ-დაწყვეტილი, მაგრამ მაინც კიდევ თვითონვე უბრუნდებოდა საუბარს და თავს არ ანებებდა. აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა, რაზე მელაპარაკნა! შემეწია ლმერთი და თვითონვე მოიბრუნა გული, მოიგონა წარსული, წარმოიღვინა საიმედო მომავალი, ნელ-ნელა ლრუბელი გადაეყარა, გახალისდა, გამხიარულდა და ბოლოს ისე გამოცოცხლდა და ისეთ აღტაცებაში შევიდა, რომ ერთი „ჰერი“ რომ გეთქვათ, კედელს შეასქედებოდა. შევყევით საუბარს და თავზე დაგვათენდა, რომ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. ის იყო და ის, მასუკან აღარც ცოცხალი მინახავს და აღარც მკვდარი.

ეს ორი, გრძნობით სავსე, კაცი — ალექსანდრე ჭ გრიგოლ, ყოველთვის სამაგალითო უნდა იყონ ქვეყნისთვის მათი უებრო გულ-წრთელობით!.. მაგრამ სულ სხვა იყო განსვენებული დ. ყ., რომლის დიდებული აჩრდილი ახლაც თვალწინ მიღვას. ეს იყო ერთი იმ გვარ რჩეულთაგანი, რომელნიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში თვითო-ოროლა გამოერევიან ხოლმე. მალლით იყო ცხებული და ქვეყნისადმი მიჩენილი მისი მაღლიანი არსება! მთელ მის ხანგძლივ სიცოცხლეში საზოგადო საქმე არა ყოფილა რა ჩვენში, რომ იმასაც მონაწილეობა არ მიეღოს. ყოველ დღიურ ავსა და კარგს უყურადღებოთ არ სტოვებდა!.. არც ერთ სასარგებლო საქმეს არ ერიდებოდა! ეს პატარაა, ეს გარეულია, ეს არ მეკადრება, ეს ბევრს არ მოეწონებათ და სხვანი, არ იცოდა. ყოველგან მონაწილე იყო თუ საქმით, თუ სიტყვით და რჩევით. ზოგიერთებსავით იწროთ არ ჰქონდა შემოფარგლული სარბიელი! ყოველი მხრით ეჭირა თვალ-ყური!.. თუ პირად ვე-

ღარ მიწვდებოდა, ხმას მაინც მიაწვდენდა!.. ამას რომ არ სჯე-
რდებოდა... გონების თვალი უჭრიდა, მომავალშიც გადადი-
ოდა... ამ თავითვე წარმოიდგენდა ხოლმე, მომზალში რა იყო
საჭირო და რაზედ უნდა გვეზრუნა. ბანკი მისი მეოხებით
დაარსდა... მართალია დღეს ეს საქმე ჩვენთვის, როგორც ზნე-
ობითად, ისე მატერიალურადაც საჭირ-ბორდტოა, მაგრამ ეს
მისი ბრალი არ არის; მის ნება-სურვილზედ რომ წასულიყო
საქმე და წინ უკულმართი ძალ-მომრეობა არ გადალობებოდა,
სულ სხვებ იქნებოდა საქმე. ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოება მისი საქმეა, დრამატიული
საზოგადოება მან დააარსა და სხვანი. რომელი ერთი მოვთვა-
ლო?.. პირველი აზრი ყოველთვის ამას უტრიალებდა ხოლმე
თავში და განმახორციელებელიც ის იყო!.. და, თუ ბოლოს
ჩამოშორდებოდა ხოლმე, ეს სულ სხვა მიზეზის ბრალი იყო
და არა მისი ჯინიანობისა და დესპოტობის, როგორც ზოგი-
ერთები ავრცელებდენ ხმას. დაუღალავი მშრომელი იყო და
არ იცოდა დაღონება...

წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვესები.

I

ერთი იმერელი აზნაურშვილი მოკვდა ხოლერით და სურამში დაასაფლავეს. ჭირისუფლებმა შეიცხადეს და შორიდან გამოიგლოვეს, მაგრამ გულში-კი ნაკად დარჩათ, რომ ახლოს დაუტირებელს, მისი საგვარეულო სამარე აღარ ეღირსა და სადღაც, სასხვისშვილოში უპატრონოდ გდიაო. ეს გაიგო ერთმა მათმა მოგვარეთაგანმა თბილისში „გამოსუქისინებულმა“, მოვიდა ნათესავებთან და რჩევა მისცა: „მაგაზე ნუ იწუხებთ თავს!.. მე ვიცი ის ჩვენი მკვდარი, სადაც მარხიაო. თქვენ მხოლოდ ხელი შემიწყვეთ, მე ჩუმათ გავათხრევინებ მუშებს საფლავს, ამოვილებ და კარზე მოგაყენებთო!“ რასაკვირველია, ხარჯს აღარავინ დაერიდებოდა და მართლაც დანიშნულ დროზე, ლამით მოასვენეს კუბო! ჭირისუფლებმა იტირეს, ითავ-ცემეს... რაც წესი და რიგი იყო, გადაუხადეს, გაუთხარეს საფლავი და უპირებდენ მამა-პაპის გვერდით ჩასვენებას.

ამ დროს გაჭირვეულდა ქვრივი: „ახადეთ კუბოს და ერთხელ კიდევ დამანახვეთ ჩემი ქმარიო!“ სურვილი აუსრულეს, გახსნეს კუბო და რა ნახეს? მკვდარი მაზარაში გამოხვეული და გულზე წმინდა გიორგის ჯვარი ეკიდა. ეუცხოვათ ყველას, შეკრთენ და ერთმანეთს დაუწყეს ყურება!.. აღარ იცოდენ რა უნდა ექნათ. უტიფარი და ურცხვი მატყუარა მხიარულად მოვიდა გაოცებულ ქვრივთან და უთხრა: „მომილოცავს, ჩემო რძალო! მაღლობა უფალს!.. აქ უბედური იყო შენი ქმარი და იქ ბედი გახსნიაო: ასე მალე სამსახურშიაც შესულა და ჯილდოც მიუღიაო“.

2

ერთი დარბასეელი, ძველებური იმერელი მიიწვიეს საღილათ. ევროპიულათ გაუმასპინძლდენ და სხვათა შორის ქათამი მიუტანეს, რომელსაც თეორი საწები (სოუსი) ჰქონდა გადასხმული. სტუმარმა გამოარჩია კარგი ნაჭერი, გადაფხიკა დანით, გაწმინდა და ისე დაუწყო ჭამა. მასპინძელმა თვალი მოჰკრა და ჰკითხა: განა არ მოგეწონათ ეგ ქათამი? უგემური ხომ არ არისო?

— რას ბძანებო—მიუგო სტუმარმა—ქათამი ჩვენებურია და, ღმერთმა კაი მოგცეს, კარგიც იყოს, მაგრამ თქვენებურად რომ ლაფი გადაგისხამთ თავზე, იმას კი გაუფუჭებიაო.

3

ერთმა კაცმა ახირებული სიცილი იცოდა: თითქო ხვიხვინებსო. ერთხელ ცხენმა წიხლი ჰკრა და წინა კბილები ჩამტვრია.—რომ მორჩა, შეხვდა თვის კარგ მეგობარს და შესჩივლა: არ ხედავ და არ გიკვირს, რა მიყო ჩემმა ცხენმაო?

— მე ის მიკვირს, რომ ან ამდენ ხანს რათ გიაშენდა და აქამდისაც არ დაგმართა ეგ საქმე, რაც შენ იმას აჯავრებდიო — მიუგო მეგობარმა.—

4

ნათლილება-დღეს, წყალ-კურთხევის დროს რომ ტკვარაზე ხიდი ჩაინგრა, ერთი სომეხი ცოლ-შვილიანათ ჩავარდა წყალში, მცურავებმა გამოიყვანეს. გონზე რომ მოვიდა ვაჭარი, ჯიბეზე მოისვა ხელი: — „საფულე ხომ არ დამსველებიაო.“ ცოლ-შვილი კი მერე იკითხა.

5

იმ დღეს სომხებთან სხვებიც ჩაცვინდენ. ერთ ქართველს ჩაევლო ხელი სომხისათვის და ორივე ერთად იხტიობოდენ. რომ გამოიყვანეს ნაპირზე, ძლივს გააშველეს ერთმანეთს. — გონზე რომ მოვიდენ, ქართველმა უხუმრა სომებს: შე კაი კაცო! რომ ჩამფრენოდი, ხელს აღარ მიშვებდი და საიქიოს თან მიმყვებოდი, შენი მოვალე ხომ არ გეგონეო?

— არა, კნიაზოლ! — მიუგო სომებმა — მე კი არა შენ მტაცე ხელი, რადგანაც ფულის სესხებას გპირდებოდი, მაგრამ ხმელეთზე ვეღარ მოვასწარით და წყალშიაც თან ჩამოძიუვიო.

6

შემთხვევით როგორდაც თათარიც ჩავარდნილიყო.. იხრჩობოდა და შეშინებული ღმერთს შეჰყვიროდა: „ალლა! თალლაპო!“ ტერტერამ გაიგონა და გადააჭნია თავი: „ვერა ჰედავთ იმის კერპობასო!.. იხრჩობა, სალავათს მაინც არ იშლისო!. ამ ჩვენ ნაკურთხ, წმინდა წყალს „ტალახს“ ეძახისო.

7

ერთმა მახინჯი ცოლის პატრონმა მეგობარს გააცნო ახალი შერთული მეულე და უთხრა: „მომილოცე ბელნიერებაო!.. მართალია უსახურია ჩემი ცოლი, მაგრამ მაგიერად ანგელოზიაო!“

— მჯერა და მომილოცავსო — უპასუხა მეგობარმა — დარწმუნებული ვარ, მაგ ანგელოზს ისე ვერსად შეხვდება ეშმაკი, რომ არ შეშინდეს.. არ დაფრთხესო.“

8

მდინარეს ფრანცუზი მოჰქონდა. საბრალო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებრძოდა ტალღებს და დიდ განსაკლელშიაც იყო.

ხიდზე გადმომდგარიყვენ ერთი ინგლისელი და ერთი ნემეცი და გულ-გრილად ოდევნებდენ თვალს. თურმე ნიძლევი დაედვათ: დაიღრჩობა თუ არა? რუსმა თვალი მოჰკრა და მიაშურა საშველად. „ეი, რას შერები?! — ხელს ნუ გვიშლიო!.“ — მიაძხეს დანიძლავებულებმა. — რომ გამოიყვანო, შაშინ ხომ ჩვენი ნიძლევი უჯერო იქნებაო?

9

ინგლისელი, ნემეცი და იტალიელი დამეგობრდენ. პირობა დასდვეს: უერთმანეთოთ ნურას გავაკეთებთო. მოინდომეს ძეხვის გაკეთება. — ნემეცმა მასალა მოაგროვა, იტალიელმა გატენა და ინგლისელმა შესჭამა. ფრანცუზმა გაიცინა და სთქვა: „აბა, თანასწორობაც ამასთ ჰქვიანო!“.

10

თათარს მუცელი ასტკივდა. რუსმა წამალი მიაწოდა, ფრანცუზმა გაულესა, ნემეცმა ჰურკლებში ჩაუსხა და ინგლისელმა კი დაალევია. — ბერძენმა მწუხარებით გადააქნია თავი: დახეთ, რას მიშვრებიანო?!

მე ოყნის მეტი აღარა მერგო რაო!..

11

ფრანცუზის ქალმა რუსს კოცნა დაუწყო. რუსმა ხელი მოხვია, მიიკრა გულზე და მიიჭყლიტა. ავსტრიელმა რომ დაინახა, გაიცინა: აბა სიყვარულიც ამისთანა უნდაო!

12

ქალაქში მომავალი ურია, მცხეთას მტკვარში ჩავარდა. მცურავებმა გამოიყანეს. შეშინებული ებრაელი რომ მობრუნდა, სთქვა: ნეტავი, ეცლიათ და ტფილისში გამოვეყვანეთ, გზის ფული შემჩრებოდათ.

13

იმერელი წყალში ჩავარდა. მცურავმა გამოიყანა და ფულის თხოვა დაუწყო. იმერელმა შემოუძახა: რას მიედებ-მოედებიო?. თვალი დაუდგეს ახლანდელ სამართალს, თვარა შენ უნდა ერთი კაი ორაგულის ფასი გადამიხადოო: მე წყალში განგებ ჩავიყურუყმალე, რომ თევზი დამეჭირაო!. ერთ ორაგულს მოვავლე ბოლოში ხელი და შენ რომ უდროვო დროს ჩემთვის ფეხში არ გეტაცნა ხელი და არ გა-გეშვებინებია, ის-ის იყო გამომყავდა დაჭერილიო!

14

ქართლელი წყალში იხრჩობოდა, გამოიყანეს გაგულული. რომ დაწრიტეს და მობრუნდა გადახედა წყლისკენ და სთქვა: ლვინო რომ ყოფილიყავ, ვერ მომერეოდიო, მაგრამ წყალი ხარ და რაღას გიზამდიო.

15

ერთმა აღვოკატმა უთხრა ერთ მწერალს: შენ არცარასა ჰსთესავ და არცა მკიო და მე კი კიდევაც ვთესავ და კიდევაც ვმკიო! მართალს ამბობო — მიუგო მწერალმა — მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ კლიენტებს ციმბირისაკენ თესავ და მკიო კი აქვე ჩვენში მკიო.

16

წიგნის გამომცემელს შეხვდა ერთი ნაცნობი და ჰკითხა: ახალ წიგნს ხომ არ სცემო? — ვბეჭდავ და არა ვსცემო, — უპასუხა გამომცემელმა. არა, მე იმაზე მოგახსენებ, რომ ცოტა შელახული გამოდის შენი გამონაცემიო. — როგორ თუ შელახულიო?! — ისე, რომ, ჯერ ცენზორი ოთხში იღებს და მერე შენ ასილაქნებ ტიკჭორასავითო და მეტი-ლა ცემა-გალახვა იქნებაო!.. და ანდაზაც სწორეთ მაგაზედ უნდა იყოს ნათქვა-მიო: — „ვაი ჩემო ტიკჭორაო, რა ბევრ ტყუილს მიჭორავო!“..



გ ა უ მ - ს ჩ რ უ კ ი .

(ისტორიული შოთაწობა).

I

თვალ-მიუწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია!.. თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუ-ქცეული, დარეტიანებული და თავ-ბრუ დასხმული, თითქოს სულის გოსაბრუნებლათ იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და მერე-კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მეტის სიფრთხილითა და კვნესა დუდუნით დაშვებულიყო ქვემო-ატენილ ჭალებისაკენ. იმ კლდოვან-კიდის თავზე, ღრუბლიდან გამოსულიყო უზარ-მაზარი ციხე-დარბაზი, შეუპოვრათ გადმომდგარიყო და სანუგეშოთ გადაჰყურებდა არე-მარეს. ყოველი მხრით შეუვალ-გალავნით შემოზღუდულ შენობას, მხოლოდ ერთი მხრით, აღმოსავლეთისაეკნ, გულს უხსნიდა სიგძით ჩაყოლებული აივანი.

სამხრობა გადასული იყო. აივნის თავში ტახტზე იჯდა ფეხ-მოფრთხმით დარბაისელი მოხუცი, ზაალ ერისთავი და კრიალისანს ათამაშებდა. იქვე შორი-ახლოს, ზედ ხარიხასთან, მიედგა სკამი ზაალის მეუღლეს, მუხლებზე გადაეშალა დავითნი და „ჭირის კანონს“ კითხულობდა; სკვნილი *) ეჭირა ხელში

*) ძველათ ჭირხვის დროს მოწაფეებს ეჭირათ ხელში წვრილი ბაზარი, ანუ სხვილი ძაფი ათგან გამოსკვნილი. რამდენჯერაც წაიკითხავდენ, იმდენ ნასკვს ჩააგდებდენ კრიალოსანივით. ათს რომ გაათავებდენ, თუ კიდევ საჭირო იქნებოდა, თავიდან დაიწყებდენ. აი, ამ ძაფს ანუ ბაზარს ერქვა სკვნილი.

და, რამდენჯერაც-კი გაათავებდა იმ ერთსა და იმავე ფსალ-მუნს, დაიწერდა პირჯვარს, ჩააგდებდა სკვნილს და მიუბრუნ-დებოდა ისევ თავიდან!.. უნდა ორმოცჯერ წაეკითხა.

— „მიშველეთო“! დაიკივლა უცბათ და აქეთ-იქით კედ-ლებს დაუწყო ყურება. ზალიც წამოვარდა და მიაშურა.

— „რა იყო, ბატონო? რა დაგემართა, მარიამ?“

— „არაფერი!“ მიუგო, როგორც იქნა გულ-დამშვიდე-ბულმა მეუღლემ. თავ-ბრუ დამეხვა! სახლმა ქანება დაიწყო და მეგონა, თუ კედლები ინგრეოდენ... მომეჩვენა...

— აგრე იცის მიჯინებულმა კითხვამ! თავ-ბრუს ასხამს კაცს!

— მორევისკენ გადავიხედე და წყალმა თვალი მომჭრა, — დარცხვენით წაილაპარაკა მარიამმა.

— ჰმ! მეც არა ვთქვი!.. წყალს თელხი დაჰკრავდა, ჰევ-ლი შეინძრეოდა, შეითამაშებდა და, რასაკვირველია, შიგ ჩა-სახული სახლიც დატორტმანდებოდა... როგორ ვერ მიხვდი? ღმერთმა ბავშვსაც ნუ აქნევინოს ეგ საქმე—დაუმატა სიცი-ლით.

როცა კაცს გული საგულეს აღარა აქვს და შიშის ქარი უკლის ტანში, მაშინ რა არ წარმოუდგება! იმ სიზმარმა სულ გადამრია და გადამშალა!

— სიზმარმა?!.

— ღიახ! იმ უცნაურმა სიზმარმა, წუხელი რომ უნახავს მოძღვარს.

— ვეჟო, რა არის მაგისთანა?

— ნეტავი არც-კი გამეგონა, თვარა რავა გავიმეორებ?

— ეეი! ბიჭო, ბიჭო, რომელი ხართ მანდ! კირილეს და-მიძახეთ! მომგვარეთ ახლავ! თუ ეძინოს—გააღვიძეთ! დაიყვი-რა ერისთავმა და გასწორდა. კრიალოსანი მიაგდო გვერდზე, შუთაქა განზე გადადვა, ფეხები ძირს დაუშვა და აუჩქარებ-ლათ გაუყარა ფოსტლებში. შემოვიდა ღვდელი.

— მშვიდობა სახლსა ამას! სთქვა და გაჩერდა.

— დაბძანდი, მამაო! უბძანა ერისთავმა და მიუთითა სელზე.

- რაღაც უცნაური სიზმარი გინახავს?
- უფრო ჩვენება, ვიდრე სიზმარი, ჩემო ბატონო!
- ხალხი კი გადაგირევია და!..
- არ მინდოდა გამხელა, მაგრამ პარაკლისი რომ გადავისადე, მიზეზი მკითხეს და ველარ დავთიცე.
- რა იყო მაინც მაგისთანა?
- მართლა რომ საოცარი რამ. აქ ჩახველა ხმის გასასწორებლათ მოძღვარმა და ათრთოლებული ხმით მოჰყვა წყნარათ: ალავერდის მონასტერს, დიდება მის ძლიერებას, უწმინდური დაპატრონებოდა.
- უწმინდური?!..
- დიახ. გველეშაპი შამოხვეოდა გარს. სამჯერ რომ შემოგვერგვოდა, კუდი პირში ეჭირა, და ერთი მტკაველი კიდევ იქით იყო გადაცილებული, ეძინა იმ წყეულს. მისი შიშით საყდარში ველარავინ შედიოდა! ალარც წირვა იყო და ალარც ლოცვა. ხალხი გარს შამოხვეოდა და ზარ-დაცემული შეჰყურებდა. ველარავინ ინძრეოდა!.. ხან-და-ხან გამოიღვიძებდა ხოლმე ის არაწმინდა, გაიშლებოდა და, პირ-დალებული, თვალების ბრიალით წამოსრიალდებოდა ხოლმე ხალხისკენ!.. რომელ კუთხიდანაც კი მოადგებოდა, გაჭქონდა!.. ჩასანსლავდა ზედი-ზედ, ერთი მეორეზედ, იქვე უძრავათ გაშეშებულ ადამიანიშვილებს, გამომღებოდა, გასისინდებოდა და მერე ისევ გარს ეხვეოდა ტაძარს. ყოველი მისი გამოღვიძება მუსრი იყო შვეულისთვის. ერთიც ვნახოთ, მოულოდნელათ გამოჩნდა სამი მეომარი, ერთი მეორეზედ უკეთესი; მათ ნახვას არა სჯობდა-რა!.. შუბ-ისრით შექურვილებს ხელში ფარ-ხმალი ეპყრათ და უელვებდენ.—ერთი მათგანი მიუბრუნდა ზარ-დაცემულ ხალხს და შეჰყეირა: „ვინ ქართველი. და ვინ გულ-გატეხილობაო? ალარ გახსოვსთ ძველი ანდერძი „სირცვილს. სიკვდილი სჯობს და ორივე-კი ერთათ + ჯოჯოხეთიაო“. ამ სოფელს გამოთხოვებიხართ, დღეს თუ ხვალ ალარც ერთი ალარ იქნებით და ცხვრებივით-კი დაგიდვიათ თავი!.. არ გიჯობსთ, რომ წინა ალუდგეო უწმინდურს. და ბრძოლაში დალიოთ სული? განა

ეს უფრო ვაჟყაცური არ იქნება და გულის მოსაოხებელიო?!. „
ამ სიტყვამ ელვასავით დაურბინა ხალხს და გამოაფხიზლა;
შეიქნა ერთი ჩოჩქოლი, იგრიალა დიდმა. და პატარაშ. ზოგმა
ფარ-ხმალს მოავლო ხელი, ზოგმა ცულს, ზოგმა წალდს, ზოგმა
ნამგალს, ზოგმა ხელ-კეტს, ზოგმა რასა და ზოგმა კიდევ რას!
ვისაც რა ეხერხებოდა, და ან რა ემარჯვებოდა — იმას მიმართა.
წაუძღვენ წინ მეომრები, მიუახლოვდენ მძინარს, ერთად გას-
ტყოცნეს სამი ისარი; დალახვროს ღმერთმა, არც ერთი გვამში
არ გაერჭო იმ წყეულს! მისმა მაგარმა ქერტლმა სამივე აი-
რეკლა. გამოილვიძა გველეშაპმა, მაღლა აილო თავი, აიქოჩა,
ერთი საზარლათ იწივლა და მიაშურა. საოცარი სანახავი იყო:
კუდით ირეკლა მეომრებს, — ტოტსა სცემდა, ბრჭყალებით გლე-
ჯდა და კბილებით წიწვნიდა. ცუდათ იყო საქმე, თუ ის უც-
ხო მეომრები სამივ მხრით არ მიდგომოდენ და ბრძოლა არ
დაეწყოთ! საარაკო იყო მათი ლახტის ცემა!.. მაგრამ რა გა-
მოვიდა, რომ იმ უწმინდურს ყოველ ახალ ახალ ჭრილობა-
ზე, ყოველ წყლულზე ძალი ემატებოდა! დაელეწათ ფარ-ხმა-
ლი გმირებს და ლონე მიხდილი, მზათ იყვენ დამორჩილებო-
დენ, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მთიდან მომავალი მხედარი,
შუბით ხელში, თეთრ ცხენს მოაგელვებდა. მიეჭრა გათამა-
შებულ გველეშაპს და უგმირა ლახვარი. უწმინდურმა იწივ-
ლა, დაიკლაკნა, და სასიკვდილოთ გააღო პირი. შავი ოშხი-
ვარი კომლივით ამოუშვა და თან საზარელი სიმყრალის სუ-
ნი ამოატანა. ჩვენ ყველას გული შეგვიწუხდა და უგრძნობ-
ლათ დავემხეთ დედამიწაზე, — არ ვიცით, რამდენ ხანს ვიყა-
ვით უგრძნობლათ, მაგრამ, ბოლოს რომ გამოვფხიზლდით,
თვალი გავახილეთ და მაღლა ავიხედეთ, აღარაფერი აღარ
იყო! ყოველივე გამჭრალიყო. აღარც გველეშაპი ჩნდა და
აღარც მეომრები... თეთრ ცხენიანი მხედარიც წასულიყო.
სიჩუმე იყო და მხოლოთ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა,
თუმცა სამრეკლოზე-კი არავინ იდგა. ტაბარი განათებული
იყო და კარები ლია. იგრიალა ხალხმა, მოიხადა ქუდი და მია-
შურა პირჯვრის წერით. შიგ რომ შევედით, საყდარი ცარიე-

ლი იყო, მხოლოთ აღსავლის კარებთან ის სამი მეომარი ესვენა: ამ სოფლით გასულიყვენ... თავზე ნათლის სვეტი ადგათ და მაღლით გალობა გუნდთა ისმოდა: „წმინდათა თანა განუსვენეო“ და სხვანი.

— „წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაო!“ სთქვა პირჯვრის წერით გაკვირვებულმა ერისთავმა.

— „სავსე არიან ცანი და ქვეყანანი დიდებითა მისითა — განაგრძო მარიამმა.

— და საკვირველებითა!“ დაუმატა მოძლვარმა და სამი ვფ დადუმდენ. დიღხანს ხმა აღარ ამოულიათ, მაგრამ სახეზე კი ემჩნეოდათ, რომ უჩვეულო მღელვარებას შეეპყრო სამივე: ის ორი მხოლოთ სულზე ფიქრობდა, მაგრამ ზაალ კი ქვეყნიურ ძრახვებს ველარ აღწევდა თავს. — უცბათ დაიჭუხა ერთი და გაგრძელდა ხმა, თითქოს ცის ერთი კიდიდან მეორე კიდემდინ ეტლები გადაახრიგინესო. „წმინდა არს, წმინდა არს!“ თქვა ერისთავმა და პირჯვარი გამოისახა. — ლრუბელთ წინამძღვარი მიბძანდება მთაში! დაილოცოს მისი მადლი!

ამ დროს ზედი-ზედ დაიჭექა საღლაც შორს და მთებმაც ბანი მისცეს.

— ჰაა! გავარდა მეხი! კეკუჩ თავში ეშმაკს!.. თქვა სიზარულით ზაალმა და წამოლგა ზეზე. მსხვილმა წვიმამ შემოაჟხაპუნა აივნისაკენ; ზაალ უთახში შევიდა, მარიამმა სახატეს მიმართა, რომ სანთლები აენთო, კირილე კი იქვე დარჩა მარტო, მოიყარა მუხლები, ააპყრო ხელები და სასოებით წარმოთქვა; „ლმერთო! მოხედე შეჭირვებულ საქრისტიანოს და სიზმარი კეთილათ აგვიხდინეო!“ დიღხანს იდგა გაქვავებული, მხოლოთ ტუჩებს ანძრევდა და ცრემლები ღაპა-ღურით ეცემოდენ სპეტაკ წვერებზე.

II

მეორე დღეს, დილით ადრე გამოსულიყო ზაალ აივანზე და ჭალებს გადაჰყურებდა. შუა ხნის, ჭალარა-შერთული, მოურავი იქვე კედელზე ატუზული, თვალებში შეჰყურებდა.

— ესეც ჩვენი კირილეს სიზმარი!.. ახდა და მორჩა!! მართლა გველეშაპივით არ მოიკლაკნება ეს არაგვი?! ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა წყალ-დიდობას ჯერ არ მოვსწრებივარ—სთქვა ერისთავმა.

— არც მე, თქვენი რისხვა არა მქონდეს!.. ტყე და ვეფლი კი მოაქვს და... ხიდები სადაც იყო, დახვეტა. ქვითკორის ხიდი დაუქცევია, გზა შეკრულია და ჩვენი მწყემსებიც გამარტინებილიან—მოახსენა მოურავმა.

— რა უშავსთ... იქაც ჩვენი არ არის?!.... სწორამდე ესეც დაიკლებს. მთის წყალია... მალე ჩამოვარდება.

— უფრო ადრეც, მაგრამ მაინც ბიჭებია გამიცდებიან აშორ-სამ დღეს და ძნელია.

— განა იქ კი ვერ გაიჩენენ საქნარს?

— კი მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, თუ სულ არ ეჩიჩინები, თავის-თავათ არას მოიფიქრებენ.—დღეს რომ აქა მყავდენ, მივცემდი ხელში საგდებელს—კავებით, დავაყენებდო წყლის პირათ მოსახვევში და ვაჭერიებდი ჯირკებს.... შეშას დავამზადებდი, ზედ კარზე მოყენებულს.

— მართლა სად იყო ამდენი ხე-ტყე, რაც ამ წყალს მოაქვს? აცდის... აცდის და ჩამოატარებს.

— მთაში დამზადებულ ხორებს დაშლიდა ნიავლვარი და ჩამოყრიდა წყალში.

— აგრე იქნება!.. სხვა ბიჭები აღარ არიან, რომ მიაყენო?

— გახლავან!.. როგორ არ გახლავან? მაგრამ ყველას თავთავის საქმე აქვს, მოგეხსენებათ, და მწყემსების მოცდენა მიტომ მაწუხებს.

— თუ გიყვარდე, რამდენიც შეიძლოთ, იმდენი, დაამზადეთ!.. კირი გვაქვს დასაწვავი, რომ საყდარი შევაკეთოთ როგორმე. მოძღვარი აღარ მასვენებს და ქალბატონსაც დაუჯინია, უნდა შევლესოთო!.. კარგია! სულის საქმეა!.. წყლის მოტანილი შეშა წმინდა იქნება და წმინდა საქმესაც უნდა მოხმარდეს.

— აგრე ვქნათ შენი ჭირიმე!

იმ საუბრის დროს შორს, ხვადაბუნებში გამოჩნდა ერთი ვილაც ცხენოსანი. პირდაპირ სასახლისაკენ მოაგელვებდა ცხენს. ზაალმა შენიშნა და თქვა: მოურავო! ის ცხენოსანი, ვილაცა არის, თუ ფათარაკს არას გადაჰკიდებია, სწორეთ გიჟი უნდა იყოს!.. თავ-შიშველა, უქუდოთ რომ კაცი მოგზაურობდეს, გაგონილა?

მოურავი მიაჩერდა და ლიმილით მოახსენა:

— იმერელი უნდა გახლდეთ ვინმე! — გაჩეჩილ თმაზე ფაფანაკი ედება და არ ეტყობა.

— იმერელი?! იმერელს აქეთ რა უნდა?

— რა მოგახსენოთ, მაგრამ, სწორეთ იმერელი კი უნდა გახლდესთ — ცხენსაც ისე მოათამაშებს... — ცხენოსანი ამასობაში პირდაპირ მოადგა არაგვს. ხიდი რომ წალებული დახვდა, ფონს დაუწყო ძებნა; აატარ-ჩამოატარა წყლის პირად ცხენი და ბოლოს უკანვე გააბრუნა, „ვე პუ! შენ საქმეს. ნურას უკაცრავათ იმერელო, ხიდი ვერ დაგახვედრეთ!“ — თქვა დაცინვით ზაალმა და მიუბრუნდა მოურავს — იმერეთის ლელეები ეგონა, ბუჭულა წისქვილების საბრუნებელი... მგონია, ისე კი დაფრთხა, რომ ერთ წლამდი ლომიც ველარ იცნოს!..

— შენი რისხვა ნუ მომეცემა, თუ არ გამოალოცვინა, გული საგულეს აღარ შერჩეს! — დაემოწმა ლრეჭით მოურავი.

ცხენოსანმა მისი ბედაური გააჭენ-გამოაჭენა ჭალებში — გაახურვა და წამოიყვანა პირდაპირ მდინარისაკენ. რომ მოადგა კიდეს, ჰქონა დეზი და გადაუშვა აზლვავებულ წყალში. ცხენმა და კაცმა ორივემ ძირი გაიარეს, თითქო ჩაინთქენო. ცოტა ხანს შემდეგ ამოყო ცხენმა თავი და იწყო ცურვა

გვერდელათ; მხედარი ზურგზე ეკრა და თავს უჭერდა, რომ
პირდაპირ მეორე კიდეზე გაეყვანა კლდეს ზემოთ; მიუახლოვ-
და კიდეც, მაგრამ წყალმა დიდი ხე ჩამოატარა და მოხვდა
ცხენს; ცხენი მოტრიალდა, მისცა თავი ქვემოთკენ წყალ-
წყალ, რაღანაც გასასვლელ კიდეს ჩამოსცდა; მხედარმაც მი-
უშვა ლაგამი და თვალის დახამხამებამდი ტრიალ მორევში
ამოყვეს თავი— „არიქა, ვინ ხართ მამაცი?! მიეშველეთ! მცუ-
რავებს დაუძახეთ! უშველეთ!..“ ჰყვიროდა ერისთავი. მო-
რევში ცხენი შეჩერდა, თითქო თავს ანებებს ბრძოლას და
ბედს ემორჩილებაო, მაგრამ, მხედროდ თურმე ისვენებდა.
მოიკრიფა უკანასკნელი ღონე და, მხედრის კიუინით გამხნე-
ვებული, გადაეშვა საჩქეფზე. იქ კი რამდენიმეჯერ გადაა-
ტრიალა აღუღებულმა წყალმა. მხედარი ზედ აღარ იჯდა,
ფაფარში ხელ-ჩაკიდებული განზე მიჰყვებოდა ცურვით. დიდზე
ადევნა თვალი ერისთავმა და ბოლოს, როცა მიეფარენ და
აღარა ჩნდენ, მწუხარებით სთქვა: ვაი, უბედური!.. აქ კიდევ
შეიძლებოდა შველა, ამ მორევში, მაგრამ იქ, იმ უცნაურ
ჩენჩერში ვინდა რას გააწყობს!.. სთქვა ჟ საჩქაროთ დააპი-
რა წასვლა.

ჰყირილზე მარიამი შემოვარდა დაფეხებული. ქმარმა
უამბო ყოველიფერი და როდესაც მიაწია ბოლომდე, უთხრა:
იქ კი დაიღუპენ, მგონია, საჩქეფშიო! მარიამმა მოუხშირა
კივილს, ორჯელ-სამჯელ დაიკრა მუხლებზე ხელი და ერთ-
ხელ ყბაზედაც ჩამოისვა, თითქო ჩამოიპოტნაო. ბევრი იწუ-
წუნა: ვაი, დედი მისის თვალების დადგომასო და რომ მოი-
ოხა გული, დავითნი გადაშალი!.. მიმართა ჩვეულებრივათ
ჭირის კანონს.— შემოიტუზა მოურავი და ჩაახველა. რა ქენი
მოურავო, ვერავინ მიაშველე? ჰკითხა ზაალმა.

— მივაშველე, შენი ჭირიმე, მაგრამ მცურავები შემი-
შინდენ, ველარ შებედეს წყალში!. ნამეტანი გადარეულია.

— ჩაატარა?

— შორს არ წაუდია! იქვე მოსახვევში, ხეებს რომ ხერ-
გავს ხოლმე, ზედ მიაყარა...

— ეგება გამოატანიო როგორმე, მადლია! სთქვა ქალბატონშა.

— რაღა გამოსადევი გახლავთ, შენი ჭირიმე — კაი რამე კი გახლდათ!.. ას ოქროთ მამა შვილს არ დაუთმობდა!..

— ხომ არ გადარეულხარ, მოურავო? ბძანა ვაჟბატონშა — მირონცხებულზე მაგრე გაგონილა ლაპარაკი?

— ვინ მირონცხებულია, შენი ჭირიმე? მე ცხენზე მოგახსენებთ, თვარა ის კაცი როდი დამხრჩალა.

— როგორ თუ არ დამხრჩალა?! მიაყვირეს ორივემ.

— თქვენი რისხევაარა მქონდეს!.. აქ რომ ჩაყო წყალში, ე იქ ამოყო ჰა; იხვივით!.. ცხენის დაღუპვას ჩივის როგორ ვერ გადავარჩინევო, თვარა თვითონ, გინდ წყალიც არ გადასხმოდეს თავზე... გაწუნწულა კი ძალიან და სახაბაზოში შევგზავნე თორნეზე გასაშრობათ! .

— მადლობა ლმერთს! სწორეთ კაი მახარობელი ხარ!.. მიამა ჭეშმარიტათ? ვინ არის და რა საქმე აქვს, ვერ გაიგე?

— ჯერ არა უთქვამს რა, შენი ჭირიმე! თქვენ ნახვას კი ეჩქარება და, როგორც კი გაშრება, გიახლებათ, თუ უპძანებთ!

— ძალიან კარგი იქნება... შემომგვარე! მოურავი გავიდა და ერისთავი კი გახარებული ეუბნებოდა თავის მეუღლეს: არ ყოფილი უბრალო ვინმე! უკეთესი სიმარჯვე ლმერთმა შეარცხვინოს!.. ხომ გაიგონე, მცურავებმა ვერ შებედეს შეცურვაო და იმან კი ეს აზლვავებული არაგვი სიგძისათ გამოივლო ლაჯებში!.. სწორე მოგახსენო, მეც გამიჭირდებოდა ჩემ სიყმაწვილეში მაგის გაბედვა. — მარიამმა ჩაიცინა და ჩაახველა.

— რას იცინი? გაგახსენდა განა, შენ რომ თავს გაწონებდი და ალაზანში ჩავაგდე ცხენი. ეჭ, ყოველიფერს თავისი ღრო აქვს — ღაამატა ხვნეშით.

მოურავი შემოუძლვა ახალგაზდა კაცს. ტანმაღალი, წელში წვრილი, მხარ-ბეჭიანი, ფაფანაკ უკან გადაგდებული, გაჩერილი თმით და გაწკვერტილის ულვაშებით, ტიტველა პირზე, სწორეთ სასიამოვნო შესახედავი იყო. მოხდენილათ.

გადაიჯვარალინა ფეხები და თაყვანი სცა ერისთავს. — გამარჯობა შენი! უბძანა ერისთავმა.

— ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგიშალოსთ, ჩემო ხელმწიუფევ! მოახსენა მოსულმა და მეორეთ სცა თაყვანი.

— მადლობა ღმერთს, რომ გადარჩენილხარ!. . რა გაჭირვება გადგა მისთანა, რომ განსაკუდელში იგდებდი თავს? ..

— ჩემი განსაკუდელი რაღა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ როდესაც მთელი საქრისტიანო განსაკუდელშია ჩავარდნილი?!.. მასთანაც არ მეგონა, თუ ეს დღე დამადგებოდა... ცხენის იმედი მქონდა. ბევრჯელ შემიცურებია ჩემი აფხაზურა აღალვებულ ზღვაში და არა გაჭირვებია-რა და დღეს კი ამ უბრალო წყალმა დაგვამარცხა. ალბათ, წერა იყო, სთქვა და ისეთი ამოიხვნეშა, თითქოს გულ-ლვიძლი ამოატანაო! თვალებზე ცრემლები მოადგა.

— შენ, როგორც გატყობ, ძალიან გებრალება შენი „აფხაზურა!“

— მმასავით მყავდა, ჩემო ხელმწიუფევ, თანშეზღილი და შეჩვეული.

— თუ ზღვაში მისთანა არა იყო რა... ხმელეთზე ჩემ „არაბულის“ ვერავინ მისწვდება, სამაგიეროთ მიჩუქებია შენი თვის! ჭაბუქმა რამდენიმე ბიჯი წინ წადგა, ცალი მუხლი მოიყარა და ჩოხის კალთაზე აკოცა. მოურავი შეიშმუშნა და შურით შეხედა დაჯილდოვებულს.. მოურავო, ბძანა ზაალმა ხომ გესმის!.. რას ყოყმობ? ზედაც შენი მოჰედილი უნაგირი და-ადგი + შენ ჯერ მაინც არად გინდა და მერე სხვას გაჩუქებ.

— არ ემჯობინება, შენი ჭირიმე, რომ წითელი ლაფშა უბოძოთ?

— ვინა გკითხავს? შენ აასრულე, რასაც გიბძანებენ!

— კი, შენი ჭირიმე, მაგრამ რომ არ იყარებს უნაგირს ის შეჩვენებული.

— როგორ თუ არ იყარებს?

— არ იდგამს!.. წელიწადია, ზედ აღარავინ შემჯდარა!.. ოროლ მეჯინიბეებს ძლივს გამოჰყავს!.. გაურავებულია!..

— შენ ჯავრი ნუ გაქვს? ამან იცის და იმ ცხენმა.

თუ კი ვერ შეჯდება, რათ უნდა!..

— წმ! აპა, ღმერთო, კიდევ თავისას ამბობს — სულელი არ მოჰკვიანდება, თორემ გიჟის მოთვინიერება ყოველთვის შეიძლება — შენ რას იტყვი, ყმაშვილო?

— მოვიხმარ ლვთისა და თქვენის მოწყალებით! რაშებს ხედნიან და ცხენი მისთანა რა იქნება, რომ ვერ დაიმორჩილოს კაცმა, — მოახსენა ლიმილით.

— მეც ანგრე მგონია. ღმერთმა მოგახმაროს; — ახლა კი მიაშენ, რისთვის გარჯილხარ და ხაიდან ხარ?

— კახეთიდან გახლავარ!

— კახეთიდან?! მერე და გზა შეკრული არ არის?

— გახლავთ, მაგრამ მე კი ფირმანი მიწირავს ხელში.

— იმერელი უნდა იყო?

— გახლავარ, მაგრამ დიდი ხანია, რაც მოვშორდი იქაურობას და კახეთში ვარ! თქვენმა სიძემ გაახლოთ ჩემი თავი, ბიძინა ჩოლოყაშვილმა.

— რა ამბავია?

— წიგნი მოგართვათ და იქიდან გაიგებთ ყველაფერს, ჩემო ხელმწიფევ! ამოილო უბიდან წერილი, და მიართვა... ესეც ქალბატონმა მოართვა დიდ-ქალბატონს...

— საკვირველია, რომ არ დაგსველებია?..

— გასამთლულ ტილოში გახლდათ გახვეული! — ფაცა-ფუცით გახსნა წიგნი ერისთავმა და დაუწყო კითხვა ჩუმათ. მისმა მეუღლემ სათვალეებს დაუწყო ძებნა. მოურავი და იმერელი კი იდგენ და შესჩერებოდენ. კითხვის დროს ერისთავი აღელვება ეტყობოდა და რამდენჯერმე შეხედა იმერელს...

— ხომ არ გადარეულა?!.. რა მოსაფიქრებელია!.. ჰკითხა ზალმა. იმერელმა მოურავს შეხედა და ხმა არ ამოუღლია... ერისთავი მიხვდა და დაითხოვა მოურავი. მარიამიც სათვაზლეების მოსაძებნათ წავიდა. დარჩენ მარტო ორი.

— იწერება: ჭრისტიანობა ამოვარდაო. წირვა-ლოცვა აღარ არის, ზარების ჩეკა აღარ ისმის; ხატი შეურაცხყვეს და ტაძ-

რები გააუპატიურესო!.. ეს ჩვენც გაგონილი გვქონდა, მაგრამ რა ვქნათ, რომ თავს ზევით ღონე აღარ არის!.. ღვთის რისხვა მომდგარია და უნდა ავიტანოთ, ღვთის ნებასვე უნდა მივენდოთ!

— მე რა მრჯის თქვენი სიტყვის შებრუნებას, შენი ჭირიმე, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: ურია იღრჩობოდა და ღმერთი ახსენა—მიშველეო. ღმერთმაც უბძანა: ხელი გაანძრიე და გიშველიო.

— ეგ ანდაზა კარგია, მაგრამ უფრო სხვა დროს!.. მარტო ხელის განძრევა ველარის გვიშველის!—მაინც რისი იმედი აქვს?

— ჯერ ღვთისა და მერე თქვენი!.. ხუთასი მეომარი თვითონ გამოჰყავს სულ დარჩეულები, ხუთას-ხუთასს ერისთავებიც ჰპირდებიან—ეს ათას ხუთასი; ერთი ხუთასის იმედი თქვენგანაცა აქვს!

— მერე და ორი-ათასი კაცით სამოცი-ათასზე გალაშქრება რა მოსაფიქრებელია? სხვა რომ არა იყოს რა, ისიც კმარა, რომ ალაზნის პირზე გაღმა-გაშოლმა თხუთმეტი-ათასი ულუსი სახლობს... დიდი და პატარა ყველა მეომარია.

— ორი-ათასი ქართველი ხუმრობა არ გახლავთ, შენი ჭირიმე, თუ აქედან შემწეობაც იქნება. ნათქვამი გახლავსთ: ცდა ბედის მონახევრეაო.

— ეგ ანდაზა ჩემისთანა ხნიერებზე აღარა სჭრის!.. ჩემი სიძე ჯერ კიდევ ყმაწვილია, გული საგულეს აქვს!—მე მიკვიდის ქსნის ერისთვისაგან, როგორ დაეთანხმა?.. არ იცის, რომ მაგითი იქ ყევნს ააშფოთებს. და აქ ქართლის მეფეს გაარისხებს?

— გამარჯვებას რომ გაიგებს, ქართლის მეფეც აღარას იტყვის. მართალია გათათრებულია, მაგრამ გული მაინც ჩვენს-კენ უფრო აქვს და რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება ღვთით, ამაზე ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ.

— აბა, ჩემო იმერელო! ყმაწვილი ხარ და წინ-დახედულობა გაკლია. მთელმა კახეთმა ვერა უყორდა და ახლა ორი ათა-

სი კაცით უპირებთ გადენას? — აბა, რა სათქმელია! ციხეები ხელში უჭირავთ და ქალაქი!.. ვერცა რას კახეთს ვუშველით და ქართლსაც საფრთხეში ჩავაგდებთ... გამშვინებული ყევნი მიზეზს ეძებს, რომ ქართლსაც ის დღე დააყენოს, რაც კახეთს! — დღეს თუ კიდევ სული გვიღგას, ბატონი მეფის წინდახედულობის ბრალია. ღმერთმა დიდი დღე მისცეს ვახტანგ მეფეს.

— შახნავაზს?! ნაღვლიანი ღიმილით უპასუხა იმერელმა. და უნდოდა რაღაც მოეხსენებია, მაგრამ ამ დროს გიუკით შემოვარდა კირილე მღვდელი და მოახსენა.

— ქსნის ერისთავები გიახლენ, შენი ჭირიმე!

— ქსნის ერისთავები?.. მობძანდენ.

— ისინი გახლავან შენი ჭირიმე! სწორეთ ისინი — იმეორებდა გულ-ამოვარდნილი — სწორეთ ისინი ვნახე!.. დიდება შენს საკურველებას, უფალო!..

— მღვდელო, შენ როგორდაც ვერა ხარ შენს გონებაზე?

— თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, ისინი არიან? სწორეთ ისინი! ვიცანი!

— დიდი საქმე მომხდარა: რავჭნათ მერე, რომ იცანი?.. ახა ღმერთო? რას გაჩერებულხარ! წადი სთხოვე მობძანდენ. შეუძეხი. სასტუმროში და მეც ახლავე გამოვალ. — ქალბატონს შეატყობინეთ!.. შენ, ჩემო იმერელო, მიდი მოურავთან, მოიცადე სანამდი პასუხს მივწერდე ჩემ სიძეს... ეს ერისთავებიც უმიზეზოდ არ უნდა იყონ ჩემთან მოსული... ჩაილაპარაკათავისთვის და შევიდა ოთახში.

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. ფარეშები გარბიაგამორბოდენ აქეთ-იქით; მზარეულებმა ნებიერი წამოაქციეს, ხაბაზებმა თორნეს ჩაუკიდეს; გამდლები დატრიალდენ და შეიქნა ერთი ალიაქოთი. მოურავი დიდი გულმოდგინებით შეჰვიროდა ხან ერთსა და ხან მეორეს: არიქა მიშველეთ!.. აბა, გაისარჯეთ! არ შემარცხვინოთ... აბა, თქვენ იცითო და სხვანი. ამაებს ძალიან გულ-მოდგინებით იძახოდა, მაგრამ თვითონ: კი ერთ ალაგას იდგა და არ ინძრეოდა, არც ის იცოდა,

ვის რა უნდა გაეკეთებინებია და ვინ რა საქმეზე მიღიოდა... ის შხვლოდ ისე, როგორც მოურავის რიგი და წესი მოითხოვდა, ისე იჩარჩებოდა, რომ მისი ყიჭინი გაეგონათ და ერთგულებაში ჩამოერთმიათ. ცხვრები მოაბლავლეს, ქათმები აკრიახეს, ბატ-ინდოური მორეკეს. იყო ერთი ფაცა-ფუცი და მზადება. მოურავი ზან იმას დაუხვდებოდა წინ და ზან ამას. შინჯავდა საკლავებს, სიმსუქნე ხომ არ აკლიათო და ოფლს იწურავდა.

ამ დროს ერისთავები: სტუმრები და მასპინძელი სამივე ერთათ იჯდენ სასტუმრო ოთახში ტახტზე ფეხ-მოფრთხნით და გაცხარებული საუბარი ჰქონდათ. ერთი მათგანი ახოვანი მოხუცებული გაჩუმებული იყო და თავის ქნევით ეთანხმებოდა ახალგაზდა კაცს, გაცხარებით მოლაპარაკეს.

— შალვა ჯერ ყმაწვილია და გულის აუყოლობა მაგის-თვის ძნელია, ჩემი სიძე ბიძინაც არ არი დიდი ხნის... მას-თანაც ყოველ დღე უყურებს თავის თვალით ქვეყნის უბე-დურებას, და თვითონაც თავს იმეტებს. მაგრამ, შენი კი მიკვირს, ჩემო ელიზბარ — მიუბრუნდა მოხუცს ზაალ — ლხინი ბევრი გინახავს და ჭირი კიდევ მეტი აგიტანია!.. მადლობა ლმერთს, გამოცდილება არ გაკლია და როგორ გაივლეთ გუ-ნებაში მაგისთანა ძნელი საქმე?

— რა ვქნა, ჩემო ზაალ... მეც ბევრი ვურჩიე ამ ჩემ ძმის წულსა და შვილობილს, მაგრამ რომ ვერა შეფაგონე-რა?.. დაუჯინია: მარტო წავალო!... და შასთანაც, ღმერთთან სწორი სჯობს, მეც მიჯდება. ჭკუაში ამ ყმაწვილების განძრა-ხვა!.. ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია.. საქრისტიანო უნდა იმხობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ გულ-ხელ და-კრეფილი? — „უგანგებოთ ვერას მიზმენ, გინდ შემებან ხმელ-თა სპანიო!“ ჩვენც მივენდოთ განგებას.

— კი, მაგრამ განგებას უნდა დავაცადოთ... დღეს ასეა, ზვალ ისე იქნება; აი, გუშინ რა ავდარი იყო და დღეს რა დარია? — დროსაც შერჩევა უნდა.

— უკეთეს დროს ჩვენ ვეღარ ჩავიგდებთ ხელში — წამო-იძახა ცხარეთ შალვამ. — კახელების გულის გატეხა ქართლსაც

გადაედება!. ჯერ კიდევ სანამ სასოება არ წაჰუეთიათ და კი დევ რაღაც იმედი აქვთ კახელებს, ჩვენც უნდა მივეშველოთ!. თუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვანათ მაინც დავიხოცებით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“.

— დიახ, კარგი კაცის ნათქვამია ეგ სიტყვები, მაგრამ არც იმას უმოძღვრებია ცუდათ, ვინც სოჭვა: „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“.

— კი, მაგრამ ხანდახან სიფრთხილე — სიფრთხილის განაყოფია, — ჩაილაპარაკა ღიმილით ელიზბარმა — და სიამოვნებით შეხედა შალვას.

— აგულისანებ? სოჭვა წყენით ზაალმა. — თქვენ შეგიძლიათ თქვენი თავი გასწიროთ, მაგრამ ქვეყანას რას ერჩით? იმას აღარას კითხავთ?.. ორი ათასი მხედარი იქ გავწყვიტოთ... ჩავკლათ! აქ ვინდა დავახვდეროთ, როცა გარისხებული ჩვენზე მოვლენ... მაგ ურჩობით მეფეს გავიწყრობებთ და მეტი არა გამოვარა... ჯერ ასეა, თუ ისე, თავის წინდახედულობით ბატონმა მეფემ ქართლი შეინახა. ყენის გული მოგებული აქვს და ჩვენ რათ გავუხდეთ მიზეზათ, რომ ამდენი ხნის მეცადინეობამ ჩალათ ჩაუაროს?

— ვაი, ამისთანა ქვეყნის შენახვას!.. წამოიძახა ცხარეთ კიდევ შალვამ. კახეთი გათათრდა; ქართლის მეფე, მირონ-ცხებული ვახტანგ — დაცვეთილ შახნავაზად გადაიქცა... სამოც ქალ-ვაჟს გარდა დღეს კიდევ ორი იმდენს ვაგზავნით ხარკათ ყოველ წლობით... ქვეყანა გოდებით აივსო — მეტი უბედურება რაღა დაადგება ქვეყანას!.. დღეს თუ ხვალ ქართლიც აღარ იქნება, ისიც კახეთივით აოხრდება. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ კახელებმა სახელი მაინც ნახეს, ხორცი გასწირეს და სული გადაირჩინეს და ჩვენ კი სულსაც ვწყმენდავთ!..

— მართალია — დაამატა ელიზბარმა — „მტერი მოყვრულათ მოსული მტერზედაც უარესია!“ — შახაბაზის მელა-კუდობა პირველი არ არის ... მანამდი ეფერება შახ-ნავაზს, სანამ

ესაჭიროება და მერე კი უკუ აგდებს! — უნდა, რომ ჯერ კა-
ხეთი ჩაჰულაპოს ხელ-შეუშლელათ და მერე ქართლსაც მოს-
წვდება... მტერი პირდაპირი ისე საშიში არ არის, როგორც
მოყვარულათ შინ მელასავით შემოპარული.

— ჰეშმარიტათ მაკვირვებს თქვენი განზრახვა!.. მე ჩემი
მხრით ვერცარას გავტედავ და უარს შევუთვლი იმ ჩემ სიძეს
და თქვენ კი ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ. არ ინანოთ ბო-
ლოს კი!.. დიდხანს. გასტანა მათმა საუბარმა. შალვა ცხა-
რობდა. ზაალ მოთმინებიდან გამოდიოდა და ელიზბარი არ
ცეცხლ-შუა იყო, ორივე მხარეს აგონგროვებდა, რაც კი მო-
ხერხდებოდა. ბოლოს იქამდი მიდგა საქმე, რომ ქსნის ერის-
თავები უსადილოთ აპირობდენ წასვლას... უკმაყოფილოთ
წამოდგენ ზეზე, მაგრამ კარი გაიღო და შემოვიდა მარიამი.
ხელში წმინდა გიორგის ხატი ეჭირა. ღმერთმა კეთილათ
დააგვირგვინოს ეგ თქვენი ქრისტიანული განძრახვა და ეს
იყოს თქვენი წინამძლოლიო — დაუსვენა ხატი. სამივე ზეზე წა-
მოდგა გაკვირვებული. ჩემო ბატონო, მიუბრუნდა ქმარს —
ქვეყნიური გონება ცამდინაც რომ უწევდეს, მაინც ვერ მი-
წვდება ლოთის განგება!.. ნუ ეწინააღმდეგები და ეურჩები
ამათ სურვილს, რომელიც იქ თურმე ცაში დასკვნილა და აქ
მხოლოდ საგულისხმოთ გადმოტანილა!.. შემოდი მამაო და
ამხილე!.. „ გასძახა მარიამმა. შემოვიდა კირილე და გაჩერდა.
ერისთავები ერთმანეთს შეჩერებოდენ, თითქო ეკითხებოდენ:
რა ამბავიაო? „აბა, მამაო, რას იტყვი? განავრძო მარიამმა.

— ეგენი გახლავან, შენი ჭირიმე, ვიცანი!..

— მღვდელო, რა დაგიჯინია ვიცანიო — ეს მეორეთ ამ-
ბობთ... რა ვქნათ მერე რომ იცანი?.. გამოცანა გერგება
თუ? ჰკითხა გულ-მოსულმა ზაალმა.

— აკი, მოგახსენეთ, ბატონო, ისინი არიან მეთქი!...

— ხომ არ გადარეულხარ!.. — მეც ვიცი, ვინც ბძანდე-
ბიან.

— არა, ბატონო, მე ხომ მაგას არ მოგახსენებ..

— რა დაგემართა? როგორ უერთგაიგე? სიზმარში რომ
ნახა... გააწყვეტია მარიამმა...

— სიზ... მარ... ში?!... — გაოცებით იკითხა ერისთავმა და ჭი-
რი გააღო.

— დიახ! ჩემო ბატონო! — თქვა კირილემ და მოჰყვა თა-
ვიდან სიზმარს... ერისთავები, გაოცებით უგდებდენ ყურს.
როცა მივიდა კირილე იმ ადგილამდე, სადაც საყდარში შე-
სულმა, გმირები დახოცილი ნახა, ზაალმა უცბათ გააწყვეტია
სიტყვას; მესამე? მესამე ვინ იყო? უელარი იცანი...

— ახლა, ესენი რომ ვნახე, ისიც მომზეონდა თქვენი
სიძე გახლდათ, სწორეთ ის იყო!

— ბიძინა ჩოლაყაშვილი? მე ხომ არ გინახავარ?

— არა, შენი ჭირიმე, თქვენ იქ არ ბრძანებულხართ!.. და
ის უცხო მხედარიც ეს იქნებოდა — მიაშვირა ხელი მარიამმა
წმინდა გიორგის — გწყალობდესთ და გიშინამძლვროსთვის... ერის-
თავები გაქვავებულსავით იდგენ საგონებელში. ჩავარდნილი
და ხმას ველარ იღებდენ. ბოლოს ელოზბარი მოუზრუნდა
ზაალს: ახლა რაღას იტყვი?

— იყავნ ნება უფლისა, რაღა მეთქმის... აქ წინდაწინვე
სასწაულსა ვხედავთ, თქვენ სამიცა კმარხართ! ხომ ხედავთ,
მე ნამეტანი ვყოფილვარ, მე მეფის ურჩი ვერ გავხდები...
მაგრამ თუ კირილე მოძლვრეს შეგონებით ჩემ საყმოდან, წა-
მოგვებათ ვინმე, არ დავუშლი, მით უფრო, რომ მე არა
ვიცი-რა — გაიცინა და ჩაილაპარაკა. — მამაო კირილე, იმედია,
შენ თუ შეაგონებ და ჯვრით ხელში წინ წაუძლვები, წაგვებიან.

— ღმერთო შენით! სითქვა კირილემ, გამოისახა პირჯვარი
და ემთხვია ხატა!

— ამინ! გამეორეს ერისთავებმა და ემთხვიენ ისინიც...
მერე დასხდენ და შეუდგენ თათბირს, მოილაპარაკეს; დრო
დანიშნეს, ზაგრამ გააფრთხილეს კი ერთმანეთი, რომ ეს საქმე
საიდუმლოთ ყოფილიყო. სპარსელების სახელიც არ უნდა
ხსენებულიყო და მიზეზათ იმერლები გამოეგონებიათ, რაღ-
განაც ისენიც იმ დროს დადიანზე ეპირებოდენ გალაშქრებას..

სიზმრით გამხნევებულსა და დაიმედებულ ერისთავების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. გაიმართა ლხინი, როგორც არაგვის, ისე ქსნის ერისთავების საკადრისი. მზის გადახრამდი შეექცენ და მერე გაუდგენ გზას. მეორე დღეს იმერელმაც ჩაიდა უბეში სადასტურო წერილი ჩოლაყაშვილთან გატანებული, გააცურვა თავის ახალი ბედაური „არაბულა“ და იმ გზითვე წავიდა, რა გზითაც მოდიოდა. მოურავი შესჩერებოდა გამოლმიდან და გულზე მუქს ირტყამდა ვაი, შენს ტყავს!.. ბატონს იმისთანა ბედაური გამოალალა მზს გახრეკილ ბახში და მე ზედაც აღარ შემომხედაო — წუწუნებდა გულ-დაწყვეტილი და აქეთ-იქით აქნევდა თავს.

III

ერთ დროს საწერეთლოში ბეჭრი გამოჩენილი აზნაურებული იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა. მეფის ერთგულმა ბატონის მორჩილმა და ქვეყნის მოუყარულმა გვარიც კი დააწინაურა, არა თუ თავისი სახლი. წერეთლის მოურაობამ მარც სულ ფეხზე დააყენა. ერთათ ერთი სამწუხარო მისი ის იყო, რომ შვილი არა რჩებოდა, მაგრამ, როცა მეზობლების რჩევით, ახალშობილს გლახა და არქვა და ლვთის სახელობაზე გაუშვა, ისიც მართლა ჩიტივით წამოეზარდა. ვაეს კიდევ ორი ქალიც თან მოჰყვა ტყუპათ და ამან ხომ სულ მთლათ დაგვირგვინა მისი ბედნიერება, მაგრამ სოფელი განა დიღხანს ვისმეს ახარებსო? მართლი ნათქვამია: „ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიცო“!.. სულ სხვა ნაირი კაცი იყო მისი უმცროსი ძმა კიკო!.. ოჯახზე გულ-ავარდნილი და გარეწარი. ამბობდა გუნებაში: „სადაც კვამლი მაღალია, მეც იმისი მაყარიო“ და ლხინი, ან დღეობა არსად გაუცდებოდა. აქეთ-იქეთ ხეტიალში ერთხელ სადღაც სახადს გადაეყარა და შინ საორმოცო სნება შემოიტანა, თვითონ მოიხადა, მაგრამ ძმა და რძალი კი, ორივე ერთი კვირის განმავლობაში გამოიათხოვა წუთისოფელს. დარ-

ჩენ აბლები ბიძის საპატრონოთ. კიკო დააწეა სავსე ოჯახს თავზე და ნელ-ნელა გაუტკბა ბატონბა.

პატარა ქალები გააბარა ლვიმის მონასტერში და ვაჟი კი მიუშვა ნებაზე, რომ, ეგები, ფეხი საღმე წაამტვრის, საფრხეში ჩავარდეს და ოჯახი მე დამრჩეს საკუთრათო! მაგრამ ნათქვამია: „კვიცი გვარზე წავაო“, დღითი დღე პატარა გლახუკი სიკეთეში შედიოდა და თექვსმეტი წლისას იმ ახლო-მახლოში ველარავინ ჰუბლა. ერთხელ, სასახლეში მიმავალმა შენიშნა, რომ დიდი და პატარა, ბატონ ყმიანა უველა ერთათ ეზოს-ხეს გარს უხვევოდენ, ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, გადახტა, ცხენი ყორეზე მიაბა და ქვეითათ იახლა ბატონს. „ოჟ, გამარჯობა შენი — მიაყვირა წერტელმა — სწორეთ კაი დროს მოხვედი!.. გაქებენ და, თუ მართალია, ახლა გამოჩენდება: ქორი ჩამოვკიდა ხის წვერზე და უნდა აუშვა როგორმე.

— ბატონი ბრძანდებით! ასვლით ავალ ხეზე, — მაგრამ შტო რომ ველარ მიმაგრებს წერტოში.

— ჰო და, საქმეც ეგ არის მიაძახეს აქეთ-იქიდან კარის კაცებმა, თვარა ასვლით განა ჩვენ კი ვერ ავიდოდით?

— არა, სხვა რამე უნდა იფიქრო — დაამატა ბატონმა.

მაშ, მეტი აღარა გაეწყობა-რა, თოფით უნდა აუშვათ მოახსენა გლახუკმა.

— თოფით?! ქორი კი არ მომიკლა.

— რა ბრძანებაა, ღიმილით უთხრე ახალგაზდა ბაქრაძემ და გადმოილო თოფი, რომელსაც იმ დროის მიხედულობით არ იშორებდა და სულ თან დაპქონდა. გადგა განზე, წამოიჩინა ცალ მუხლზე და ამოილო ნიშანი. ყველამ სული გაკმინდა, დაიკექა თოფმა დაბლა და მალლა ქორმა შეიფრთქიალა.

„ვეჟ, წაგიხდა“ — მიაყვირა წერტელმა.

— რათა, შენიჭირიმე?.. ქორი ორივე ფეხებით გახლავთ ჩამოკიდებული, გაფარჩეულათ და ერთი ტყვია ორივე თას-მას ხო ვერ მიუდგებოდა? მარჯვენა შევწყვიტე და ახლა მარ-

ცხენას ვესვრი. გატენა მეორეთ თოფი და ესროლა. ქორი დაბლა დაეშვა, მაგრამ ჯერ შუამღინაც არ ჩამოსულიყო, რომ უცუფათ ჰაერშივე გადატრიალდა და ჰკრა ცშში კამარა. გაფრენილ ქორს ბაზიერები დაედევნენ. ყველას ძალიან გაუკვირდა ეს სიმარჯვე ახალგაზრდა მეთოფის, მაგრამ თვითონ იმას არც კი შეუმჩნევია, თოფს დაუწყოფერვა.

— გამომიტანეთ ჩემი ყირიმი! ნათქვამია: „თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსო“. სწორეთ შენი საჭადრისი ყოფილა ის თოფი, და ღმერთმაც შენ მოგახმაროს + სთქვა წერეთელმა. გამოიტანეს წვრილ ლულიანი სულ ოქროთი შემოსალტული გრძელი თოფი და გადასცეს. მეთოფეს სასახლეში ბევრს არავის დარჩენია სასიამოვნოზე ახალგაზრდა გლახუკის გამარჯვება, მაგრამ მაგიერათი ერთო ვინმე კი სულ სხვა გუნებაზე დააყენა: კოშკიდან თურმე გადმომდგარიყო ახალგაზრდა წერეთლის ქალი და სარკმელში უყურებდა გულის ფრიალით ამ ამბავს. გაგონილი ჰქონდა ახალგაზრდა ბაქრაძის ქება გულში გასავლებათ, მაგრამ დღევანდელმა ნანახმა კი ისე: გაიტაცა, რომ თავი ველარ შეიმაგრა და სატრიფიალოთ გადაუშალა გული:

ტყუილა არ ჩიოდა შველათ. სამღვდელოება, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასო; საუკუნეების განმავლობაში დიდი და პატარა ყველა იმას ეწაფებოდა; კაცები, ტარიელ-ავთანდილსა ბაძავდენ, ქალები ნესტან თინათინობას ცდილობდენ. მეფე და კარის-კაცები—როსტევან სოგრატობაზე სდებდენ თავს; მსახურნი შერმადინობდენ და მოახლე გამდლები კი ასმათობას სჩემობდენ. აქაც ამ შემთხვევაში, წერეთლის ქალს გამოუჩნდა ასმათი და გაიმართა მიწერ-მოწერა. სიყვარულის უმეცარმა ახალგაზრდა ბაქრაძემ იგრძნო პირველათ უცნაური რამ, გაიმსჭვალა სულიან-ხორციანი, მიჰყევა სიყვარულის მდინარეს, გადაჰყევა საჩქეფს და შეტოპა მორევში. გუნება შეეცვალა, ჩვეულებრივ რამეებს თავი დაანება და მარტო ხალვას ეძლეოდა. „შორით ბნედა, შორით კვნესაო“—ამბობდა გუნებაში და სატრიფოს

საიდუმლოთ ითხალისწინებდა. იმ დროის ქალები პირობას უდებდენ საყვარლებს „გვიჩვენეთ საქმენი საგმირონიო“. ეს პირობა ჩვეულებისამებრ ახალ შეყვარებულსაც დაუდეს, მაგრამ სად იყო იმ ახლო-მახლო მისი საასპარეზო? მაშინ კახეთში თათრობა იყო და დიდი და ბატარა იქ სპარსელების ულელს ეწეოდა. განსაკუთრებით თავად-აზნაურობა. ეურჩებოდენ მხოლოდ ზოგიერთები აქა-იქ და მათ რიცხვში ახმეტის ბატონი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ყველაზე უფრო შეუპოვარი იყო. იმისა გმირობის ხმა იმერთამდინაც უწევდა და, აი, ამას შიმართა ახალმა ავთანდილმა. მოემზადა საუცხოვოთ, გამოეწყო სამგზავროთ, შეიკაზმა „აფხაზურათ“ და გაეშურა აღმოსავლეთისკენ. გზაში სევდები შემოაწვა, სამშობლოს დატოვება გულსა სწყვეტდა და საყვარლის მოშორება ზედ ტანჯვის ცეცხლს აკვესდა. მიღიოდა და მიღილინებდა:

„ეჭ, სთვეულთ რაშიგან სარ, რას გვაბრუნებ, რა ზე გჭირსა; უფლებიმც შენი მთნდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირს. სად წაიგან. სჯავრსა, სად აღუთხვრი საით ძრისა“ - ა.

შეჰკვენესოდა მთვარეს და შესჩიოდა ვარსკვლავებს. თვალზე ცრემლი ადგებოდა, მაგრამ რომ მოაგონდებოდა უკანასკნელი ლექსის ხანა:

„მაგრამ დემერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსა“ - ა, იმედი აფრთვანებდა და გაორკეცებული სურვილით მიაჩარებდა თავის პედაურს. მისი „აფხაზურაც“, გაიგონებდა თუ არა მათრახის ტკრციალს, თითქო მიუხვდა პატრონს გულის პასუხსო, ყურებ გაცქვეტილი, გედივით მოილერებდა კისერს, აქეთ-იქით ერთს შეიკუნტრუშ-შამოიკუნტრუშებდა და მერე გასწევდა პირდაპირ, თითქო უნდა, რომ გულ-მკერდით მთა და ველი გაიტანოსო.

IV

კახეთის მეფე, თეიშურაზ პირველი, დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში: ის ჩემი წინაპარი და

მუ მისი ჩამომავალი, ისიც გვირგვინოსანი-მგოსანი ჲა მეცო—
ჰფიქრობდა და ის კი ავიწყდებოდა, რომ დავით მეფობდა
უმაღლესათ ჩაგონებული და თეიმურაზი შხოლოდ ქვეშე-
ვრდომთაგან უმდაბლესათ შეგონებული. ის იქ ებრძოდა „ამა-
ლეკთა“ და ეს აქ—თათარ-ლეკთა!.. პოლიტიკაში პოეტობდა,
პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი და მით საზარელ
მომავალს უმზადებდა სამეფოს. ამას ატყობდენ ზოგიერთები,
მაგრამ ვინ გაბედავდა ცხადათ მხილებას?—და ჩუმათ კი აქა-
იქ საყვედურები ისმოდა. ზამთრის პირი იყო. გამხიარულე-
ბული ბუხარი გუგუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი
გაჭქონდა... ერთი ყმაწვილი. კაცი მისჯდომოდა ბუხარს და
ნაკვერცხლებს დაშტერებოდა. იქვე, მახლობლათ ტახტზე
მხარ-თეძოს წამოწოლილიყო მოხუცი და პირის სახეს ათამა-
შებდა, ეტყობოდა, რომ თავის გულში რაღაცას საუბრობდა.
უცბათ აილო თავი ახალგაზდამ და ჰყითხა მოხუცს:

„რა ამბავია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი საღარბაზოთ
აღარ დაბრძანდება?.. ჩაუკეტია კარები და ჩამწყვდეულა!..

— სტვირის გუდას თუ ბერავს?! უპასუხა მოხუცმა ცი-
ვათ.

— გუდას?!..

— ჴო! შარშან გაზაფხულზე ჩაიკეტა და „ლეილი-მეჯ-
ნუნიანი“ დაგვიწერა, ერთხელაც ზაფხულში— „შამი-თარვა-
ნიანი“, მეორეთ, შემოღვომას— „ხილთა-ქება“ და ახლაც
უთუოთ ზამთრის შესაფერსა სწერს რასმე... .

— მაგითი არა დაშავდება რა!.. სწეროს! მოცულის დროს
ეგეც კარგია.

— მოცულის დროს?! მერე და მეფე და მოცულილი დრო
ვის გაუგონია?.. არა, შვილო!.. მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუს“
დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებს..

— დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამე-
ფოსთვის არა დაუკლია რა.

— აღმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, აღიდებ-

და უოვლის შემოქმედს; მისი იამბიკუ ლოცვა იყო და აძისი შაირები კი ლაზლანდარობაა!..

— რუსთველს ეჯიბრება.

— ჰმ! უკვდავების წყარო და ნაძალადევი კა, ერთმანეთს ვინ შეადარა?!.

— აგრე ჰკითხე კარის კაცებს!.. მაგრე არ არწმუნებენ,

— კიდეც ეგ არის, შვილო, რომ პირფერობა ახდენს საქმეს! პირმოთნეობა და ფარისევლობა საზოგადოთ კარის კაცების ხელობაა, მაგრამ მეფისგან კი მიკვირს, რომ ტყუფ-დება.

— ალბათ სნეულებაა, იმ ერთის ზღაპრული მზეთუნახა-ვისა არ იყოს.

— როგორ თუ მზეთუნახავის?

— არ გაგიგონია, თუ ალარ გახსოვს? ერთი მზეთუნახა-ვი თურმე ყოველ დილ-დილაობით მიღიოდა წყაროსთან და პირს რომ დაიბანდა, ეკითხებოდა ხოლმე წყაროს: „წყაროვ! მე ვჯობივარ, მზე, თუ მთვარეო?“ „შენც კარგი ხარ, მზეც და მთვარეც, მაგრამ ეთერი კი ყველას გჯობიათო!“ — ეს-მოდა პასუხათ და ეყრებოდა გულს ბ-ნ მეფესაც სწორეთ ისე ემართება რომ რამდენ დასწერს, ეკითხება თავის გულს: მე ვჯობივარ, ჩახრუხა, თუ შავთელიო? „შენც კარგი ხარ, ჩახრუხაც და შავთელიც, მაგრამ რუსთველი კი ყველას გჯობიათო“, — უჩურჩულებს გონება და რუსთველის მოქიშ-პეს შურით ევსება გული.

— უბედურებაც ეგ არის, შვილო, გულში რომ შური შევა, მაშინ სულიც დასნეულდება! დიდი ცოდვაა, შვილო, შურიანობა და ჩვენ სამეფო ოჯახს რაღაც ცოდვის მიმატება ეჭირვება. უანსვენებული პაპა მაგისი სულ იმას ჩიოდა, რომ ხალხი გამრავლდა, ქვეყანა გაშენდა და ჩემ კახეთში სანალი-რო ადგილები აღარსაღ დამრჩაო!... ამ საყველურებით აწყენია ღმერთს და კიდეც გადახდა: დღემდის ვის გაუგონია საქარ-თველოში, რომ შვილი მამას დასტაკებოდეს და ის კი მისმა შვილმა დავით მეფემ; ამ თეიმურაზის მამამ, ციხეში ჩამწყვე-

დია; — მეორე — შეიღმა; გაურჯულოებულშა კოსტანტინ ემ, მოჰკლა და თავისი ძმა გიორგიც თან მიაყოლა!.. აი რა დიდი ცოდვა ტრიალებს მათ ოჯახში, შეიღო! სისხლი მართებს და დიდი მსხვერპლიცარის საჭირო, მართომა გაიშმინდოს!.. დაამატა ამოოხვრით მოხუცმა და გამოისახა პირჯვარი.

— ღმერთმა შეუნდოს იმ ოჯახს და ნუ მოჰკითხოს მამა-პაპის ცოდვა ჩვენს ბატონ მეფეს! და თუ მოჰკითხოს მაინც, მის სამეფოს კი ააშოროს რისხვა! სთქვა ახალგაზდამ მწუხარებით და მოიხადა ქუდი.

— ამინ! დაამატა მოხუცმა და ხელებ-აპურობით მაღლა ზეცისკენ აიხედა.

სწორეთ იმ დროს, როცა ორი დარბაისელი მამა-შვილი ბუხრის წინ საყვედურობდენ, თეიმურაზ მეფე მართლა ჩაკეტილში იჯდა მარტოთ-მარტო, დიდ საგონებელში ჩავარდნილი, მაგრამ რუსთველზე არ ფიქრობდა. წინ ედვა ორი წერილი: ერთი ჩრდილოეთიდან და მეორე აღმოსავლეთიდან გამოიზავნილი. პირველი ტკბილი იყო, ალექსიანი და იმედით გამამხნეფებელი, მეორე — რჩევა საყვედურებითა და მუქარით სავსე, ერთი გულში უხიცინებდა და მეორე კი გულზე კბენდა: „თეიმურაზ-ხან — სწერდა შაჰაბაზ პირველი — შევიტყე, რომ პაპიშენის კვალს შესდგომიხარ და გადამჟიელი გინდა კარზე მომაყენო საჭირ-ბოროტოთ, მაგრამ სანამ მე მომადგებოდენ, ხომ შენი სამეფო უნდა დაუდვა გზათ და ხიდათ! და მიკვირს, რომ ჩემთან ერთათ ძმასავით თანშეზდილს, ჭკუა-გონება დაგკარგვია! ჩვენი ძმური კავშირი უძველეს დროიდან დღემდი მტკიცეთ შენახულა და ახლა რაღათ უნდა გაწყდეს? მართალია, ჩვენი დიდი სახელი ადევს თქვენს პატარა სამეფოს, მაგრამ საქმით ხომ დამოუკიდებელი ხართ და არავინ ეხება თქვენს რჯულს, ენას ეროვნობას, ზნე-ჩვეულებას და წეს-წყობილებას? მართალია სპარსეთის „ვალლათ“ ითვლები, მაგრამ ესეც თქვენივე სასიკეთოთ: ასე რომ არ ყოფილიყო და ჩვენი დასახელებული არ ყოფილიყავით, ვინ იცის, აქამდის რამდენჯე აგაოხრებდენ რ თურქები და დღეს კი ჩვენი

შიშით და, მორიდებით, ხვანთქარს თქვენი ბუზიც ველარ აუფრენია. ხარკს თუ იტყვი, აბა, რა სახსენებელია. ხარკათ სამოცი ზონა, *) ახალგაზდა ქართველი ქალი, მაშინ როდე- საც სამაგიეროთ ჩვენგან ათას-თუმნობით მიგაქვთ და ხალათი კიდევ ზედმეტია. თეიმურაზ-ხან, გადაიგდე გულიდან ეგ ორივესათვის მავნებელი სურვილი, თვარა, თავმან ჩემმან, ველარ გადაურჩეთ ჩემ სამართლიან რისხვას ველარც შენ და ველარც შენი სამეფო!..“

ეს წერილი რომ წაიკითხა, თეიმურაზმა თავი ჩაღუნა და ღრმათ ჩაფიქრდა ბოლოს, თითქოს რაღაცამ გამოაფხიზლა, უცბათ გასწორდა და დაიყვირა: არა! არა! გათავებული საქ- მეა... აქ ფეილამბარია თავმდები და იქ კი ჯვარი და სახარე- ბა!.. პირველს რომ დავერწმუნო და მეორეს არ ვენდო, ეს ხომ რჯულის გმობა იქნება?! უნდა გადაწყდეს... რაც მოხ- დეს, მოხდეს!.. ეს პატარა კახეთიც ხომ ნაწილია იმ დიდი საქართველოსი, რომელიც წილათ ხვდა ლვთისმშობელს და დედა-ლვთისა განა ხელს აიღებს თავის საუფლისწულოზე? ცოდვაა აქ იჭვიანობა! არ ვკადრება საქრისტიანოს, რომ გულ-გრილათ აიტანოს მაჰმალიანების მედიდურობა: წამიერმა ჭირმა, დროებითმა უბედურობამ როგორ უნდა გაუტეხოს გული მორწმუნეს?!.. გამოცდა იგივე გამობრძედაა, მისგან რჩეული ხალხი ღმერთმა არ ჩაყარა ეგვიპტის ტყვეობაში და მანვე არ დაუბრუნა აღთქმული მხარე და დაუჯდინა სამეფო ტახტზე ჩემი წინაპარი დავით! დღესაც შეურყეველი იქნე- ბოდა მათი სამეფო, თუ რომ ღმერთი, ქრისტეთ მოვლენილი, ეცნოთ ძედ ლვთისათ და არ გასდგომოდენ?!.. შორს... შორს ჩემგან იჭვიანობავ! მრწამს და აღვიარებ, რომ მომავალი ქრისტიანობისაა! დღესვე შევყრი დარბაზს და გადავაწყვეტი- ნებ, რომ ორივემ თავთავისი საკადრისი პასუხი მიიღოს და ღმერთო შენით! სთქვა, გამოისახა პირჯვარი და შეაჩერდა სახატეს.

*) სოდა, ანუ სონა სპარსულათ შეენიერსა ნიშნავს და სპარსელუ- ბიც ასე ეძახდეს საქართველოდან წაყვანილ ქალებს.

ამავე დღეს დარბაზში ხმის უმეტესობით გადასწყიტა, რომ გაეწყვიტა კავშირი სპარსეთთან და მიკედლებოდა ჩრდილოეთს.

V

მრისხან ებით აღტაცებული შაპ-აბაზი, ცეცხლითა და მახვილით შემოექრა კახეთს და მუსრი გაუვლო: ციხე-ქალაქები და სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია და შებლალა. ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა— დაილუპა. სიბრალული აღარსად იყო და მდინარეებს სისხლის ლვარი ერთობა. ამ უბედურებამ ლანგ-თემურჩის ცდროებსაც კი გადააჭარბა. მძვინვარე შაპიმ რაც გასწყვიტა— გასწყვიტა და რაც არა; ათასობით და ათი-ათასობით სპარსეთში გადაასხლა! ამათ მოადგილეთ ულუსები გადმოასახლა და გაღმა-გამოლმა აღაზნის პირები დაიჭირა. მაჰმადიან ები უოველი მხრით ულოცავდენ გამარჯვებას ირანის ლომს, მაგრამ თვითონ ლომს კი გული უკვნესოდა: „ეს გამარჯვება დამარცხებაზედაც უარესია— ამბობდა გუნებაში— არ სად უიგრძენ ჩემი უძლურება!.. ერთზე ათი მომყავს, ათზე— ასი და მაინც ვერასა ვხედები!.. ჩემი მთავარი ძალ-ლონე შემოვალიე მარტო ამ კახეთს და ეს ხომ მცირედი ნაწილია საქართველოსი?.. მაშ მთელი საქრისტიანო როგორლა ჩავიგდო ხელში? არ ჩავიგდო და, მაშინ ხომ სპარსეთსაც უნდა გამოვეთხოვო?!. ეს დასავლეთ-აღმოსავლეთის გზა და ხიდი, ეს ხმელთაშუა კარები, ეს პატარა ქვეყანა, თუ ხელში არ ჩავიგდე, რა იქნება უმისოთ ჩემი დიდი სამეფო? უზარ-მაზარი ციხე უგალავნოთ, ადრე თუ გვიან დღვილათ ასალები და დასანგრევი!.. არა, საქართველო ის ნატვრის თვალია, რომელიც ხელში უნდა იგდოს სპარსეთმა!.. იგდოს?.. ვმ!.. თქმა აღვილია!!.. რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს?.. საარაკო ლანგ-თემურმა მხოლოთ აქ იგრძნო

თავისი კოჭლობა, როტა ამ პატარა „ქვეყნის ქვა-კუთხებს“ წამოჰკრა ფეხი. ვაი, თუ ირანის ლომბაც აქ ამიმძუოს კუდი?! ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაუებთა და სული ცამდი აუმაღლებია—საშიშია!.. ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე შეიძლება მისი მოდრეკა!.. ჰო, სწორეთ! სწორეთ!! ზოგან, სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე!.. იქ სადაც ლომის ტოტი ვეღარას თესავს, მელას კუდმა უნდა მოიმკოსო!..“ ასეგადასწყვიტა ძლიერმა და კიდეც შესცვალა თვისი გმირული, პირდაპირი, პოლიტიკა საქვეშ-ქვეშო სავერაგოზე.—იმ დღიდან დაუტკბა შისგან აოხრებულ ქვეყანას და რისხვა წყალობათ შეცვალა.—ერთავათ მიფენილი მზის სხივები, თვალის ჩინს ართმევენ კაცა და სწორ-მხედველობას აკარგვინებენ... ყაენის უხვმა წყალობამ დააბრმავა კახეთი. კუჭმა გულს ძლია, სულმა ხორცს დაუთმო და ნელ-ნელა „დღეს-ხვალიაობით“ ქვეყანამ შეტოპა საფრთხეში. მოწინავე გუნდს და მათ მეთაურებს ტყუილათ კი არ უსვამდა თავზე ხელს სპარსეთის ახალი პოლიტიკა!!.. სასახლის კარზე უპირველესი ადგილები დაიჭირეს ქართველებმა და ადვილათ გამდიდრებულები მიეცენ მცონარებას. არც ნიჭი, არც ცოდნა და არც სხვა რამ კაცური ღირსება არა სჭრიდა. რომელიმე პირადობის ასამაღლებლათ საკმაო იყო მხოლოთ თავდადებული ერთგულება სპარსეთისადმი და სამშობლოს ნელ-ნელა გაწირვა.—ვინც ქართველობას არ ივიწყებდა, ის იჩაგრებოდა და წინ ბიჯის წადგმას ვერ ახერხებდა, გინდ გმირთა-გმირიც ყოფილიყო!.. ამას ხედავდა შაპ-აბაზი და გულში იცინოდა. სიკვდილის შედეგაც ანდერძათ დაუგდო მემკვიდრეებს ირანის ლომბა იგივე პოლიტიკა და მიტომაც ერთ საუკუნოსაც არ გაევლო ჯერ, რომ აღმოსავლეთი საქართველო ნახევრათ გათათრდა: შემოვიდა ხალხში სპარსული ზნე, ჩვეულება, რჯული და კანონი!.. ქართველს ქართველობა აღარ ეტყობოდა!.. ენა შეიბლალა, ღიღ-ოჯახებში ქართულათ ლაპარაკი კიდეც ერცხვი-ნებოდათ!.. სამართალი უცხო ენაზე იყო, წირვა-ლოცვის და

გალობის კილო შეიცვალა, მღვდელთ-მთავრების მოადგილეთ
ახენდები გახდენ და მსაჯულ-მოძღვრებათ—მოლლა-ყადები,
აშან, ყოველივემ, ისე გარევნა ხალხი, რომ ქართველი ქარ-
თველზევე მეზვერეობდა და ბოლოს ისე დაუძლურდა,
რომ თვით სპარსელების საზიზლარ-გასაკიცხი შეიქნა, ოდეს-
მე სახელგანთქმული ქართველობა. ასე რომ, შავ-აბაზ, მეო-
რის დროს ქალაჩუნობა სრულიად საჭირო აღარ იყო და პირ-
დაპირაც თავში დაუწყეს ცემა დაუძლურებულ ქვეყანას.

საკენკით მიტყუებული და ალერსით თვალ-ახვეული კა-
ხეთი მიხვდა, რომ უბედურებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ
თანჯე იგრძნო თავისი უძლურებაც და გაკმიდა ხმა.—„სულ
არაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო“—სთქვა თვის სანუგე-
შებლათ და წაუშვირა კისერი უღელს!.. ვინც აღრე ამი-
ლახვრობას, ამირეჯიბობას, ეშიკაბაშობას და ამირბარობას
არათ აგდებდა, დღეს იმას ჩაფრობაც კი ენატრებოდა სი-
ლარიბე უფრო მაღლა წოდებას დაეტყო და სიმშილით გამ-
წირებული თავად-აზნაურობა დაბალ-წოდებას დააწვა თავ-
ზე... ერთმანეთშიაც ისე აირ-დაირიენ, რომ სისხლ-ხორცო-
ბა აღარასა, ნიშნავდა და ნათესავი ნათესავს აღარ ჰზოგავდა,
ოლონდ კი ჩამორჩენოდა რასმე!—თავის წმინდანები რომ
აღარ აგონდებოდათ, „ყეენის თავის მზეს“ ფრცულობდენ!..
და თუ აქა-იქ სადმე თავად-აზნაურობაში რიგიანი ვინმე გა-
მოერეოდა, ჯერ კიდევ გადაურჯულებელი და სამშობლოს
მოჭირისუფლე, თავისიანებსვე არ მოსწონდათ და უკიუინებ-
დენ.—გლეხობას კი, იმ მუშა ხალხს, რომელიც ყოველ დღე
მამა-პაპების მოწამურ—სისხლს, სამშობლოს მთა-ბარზე მსხვერ-
პლათ დათხეულს, პატიოსან შრომის ოფლს აღვრიდა, არ
ჰქონდა ჯერ კიდევ საერთ კავშირი გაწყვეტილი... მზათ იყო,
რომ კვარივით ანთებულიყო უცდიდა მხოლოთ ნაპერწკლებს,
საიდანმე მონაკვესს!!.. ამ დროს, სწორეთ ამ დროს, სცხოვრებდა
კახეთში ახმეტის მებატონე, ბიძინა ჩილოყაშვილი, ბუნებისაგან
უნაკლულოთ შემკული, რომლის გულიც ვერაფრით ვერ
მოიგეს თაორებმა ვერც რისხვითა და ვერც წყალობით. კა-

ხელებს უკვირდათ მისი ახირებულობა და ათვალწუნებული ჰყავდათ...

„გაგონილაო“ — ამბობდენ თავადები — ბედი კარზე მის-დგომია და ეგ კი ჭირვეულობს... შინ არ უშვებსო! კერძის თავის მზემ.. ჩვენ უნდა ვიყოთ მაგის ადგილას, რომ ქვეყანა გავაკვირვოთ და მტრებს თვალები დავუყენოთ“. ამისთანავე ბი რამ ბევრი ესმოდა ბიძინას, მაგრამ ხმას არ გიღებდა... მხოლოდ ნალვლიანათ აქნევდა თავს.

ერთ დღეს ბიძა მისი ჯანდიერი ესტუმრა. ეს ჯანდიერი ისეთ კაცთაგანი იყო, რომელიც აქეთაც არის და იქითაც; დროს შეჰქონდებს!.. ხან წალმა ხნავს და ხან უკულმა ჰეფარცხავს!.. თათრების წყალობით გადიდკაცებულს დიდი გავლენა ჰქონდა კახეთზე... თითქმის, პირველი ჟეზირი იყო მთავარმართებლის!.. მის უკითხავათ ლეიქარ-ხანი წყალსაც არ დააქცევდა და ახლაც თურმე იმას გამოეგზავნა მოციქულათ ჩოლოყაშვილთან. საღილზე ნელ-ნელა სიტყვა შეაბარა მასპინძელს და გამოიწვია საღაპარაკოთ: „ჩემი დისტულო — ჯუთხა სხვათა შორის — მე მხოლოდ შენი ახირებულობა მაკვირვებს!.. ღვთის მოცემული ყოლიფერი ბევრი გაქვს. ჰესა არ გაკლია და გონება! ბედიც გწყალობს, მაგრამ შენ კი შენი თავის მტერი ხარ!.. მითქვამს და კადევ გეტყვი, რომ იქ სასახლის კარზე ბედნიერება მოგელის და შენ კი აქ მოგიყენია ნაცარ-ქექიასავით!.. რას ჩაკვდი ამ ახმეტას? საღ გაექცევა შენი არ არის? კაცობა ის არის, რომ შორიდან მოიხვეჭო...“

— კაცია და გუნება, ბიძაჩემო!.. მე აქაც კმაყოფილი ჟარ!.. ცოტა წმინდა მირჩევნია ბევრ უწმინდურს!..

— უწმინდურს?! როგორ თუ უწმინდურს?!... მაშ ჩვენ სულ გასვრილები ვყოფილვართ, სასახლის კარზე ვინცა ვართ?

— მე მხოლოდ ჩემ თავზე მოგახსენებ.

— შემცდარი ხარ!.. შეხედე სხვებს, როგორ ხმარობენ დროს და რა რიგათა ცხოვრობენ!.. ღმერთმა ნუ მოგვიშა-

ლოს ყეენის თავის მზე!.. დღეს მისი წყალობით, ავათ, თუ კარგათ, ქვეყანა პურსა სჭამს.

— ჰმ!.. შინ ლუკმას გვაცლიან პირიდან და გარედან კი ნასუფრალს გვიყრიან ძალლებსავით.

— რომ ეგეც აღარ გვექნეს, ხომ სიმშილით ამოვწყდებით?!

— უწმინდურ სიცოცხლეს მე წმინდა—სიკვდილი მიჩ-ჩევნია და სანამ მოვკვდებოდე, მანამდი მაინც კიდევ ვეცდები, რომ ჩემი ლუკმა როგორმე დავიბრუნო.

— გვიანლა არის, ჩემო დისწულო!.. ძალა აღმართს ხნავ-სო, არ გაგიგონია? მაგრე აღარ ფიქრობს ქვეყანა და შენ ერთი მარტო რას გააწყობ? ნათქვამია: „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“.

— გაზაფხულს ვერც ერთი მოიყვანს და ვერც ათასი! მაგრამ თვითონ გაზაფხულს კი ერთიც მოჰყავს და ათასიც. ეგებ ჩენი გაზაფხულიც მოდიოდეს!.. დღეს მე ვარ ერთი, ხვალ ათი იქნება და ზეგ ათასი!..

— კეთილი, მაგრამ ხშირათ აღრე მოფრენილ მერცხალს სუსხი სცემს და სიცივე ჰკლავს.

— მესმის, ბიძახემო, მაგამ მაინც მე ჩემდა თავათ გა-ზაფხულის მახარობლობის დროს სიკვდილი მირჩევნია ზამთ-რის წინასწარმეტყველობაში მედიდურათ სიცოცხლეს!.. ვი-ცი!.. განა არ ვიცი, რომ დიდ-კაცობა ტკბილია?.. სად თე-ირანი და სად ახმეტა?!.. იქ ყოველიფერი თვალს იტაცებს, გრძნობა-გონებას ჰხიბლავს და კუჭს ატკბობს... მაგრამ კი-დეც მაგისი მეშინია!.. არ მინდა, რომ ის გადამივარდეს გუ-ლიდან, რაც უნდა სიკვდილამდე მახსოვდეს და ვეტრფოდე.

აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყოლიფერი მალამოთ ეცხება ჩემ გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი, ყველა ერთად ნათესაურის კავშირით გადაბმულა ჩემ-თან!.. ვგრძნობ რაღაც ერთ სისხლხორცობას მათთან! ვგრძნობ და ჭირს ადვილად ვიტან!.. ამის სამაგიეროს რას მომცემს უცხოეთი?.. რათ მინდა შენი გარეგანი, თვალ-სატყუარი

დიდ-კაცობა მაშინ, როდესაც დამალული გრძნობა-გონება იჩაგრება და სულს აჩიავებს?! ტკბილია თქვენი შარბათები, მაგრამ ვერ გავსცვლი იმ ჩემ ღვინოზე, რომელიც ჩემი მამა-პაპის სისხლით არის წითლათ შეფერილი!.. გემრიელია თქვენი მურასა-ლავაშები, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყნის პური მირჩევნია, ის პური, რომელშიაც ჩვენი ძველების ნაწილები ურევია... დიახ, ნაწილები!.. ჩვენი საყანეები მათის ძვლებითა და ხორცით არიან დაპოხიერებული!.. მართალი არის ჩვენი გლეხ-კაცობა, როდესაც ღვინის დალევის დროს პირ-ჯვარს იწერს და პურის გატეხის წინეთ ჯერ პურს ემთხვევა!!.. ის, წმიდა-წმიდათა, ზიარებაა ჩვენთვის... და ჩემს სამშობლოს რომ გავშორდე, სადღა მივიღო?!. არა, ბიძაჩემო, არა!.. ისინი ჩვენთვის უცხო არიან და ჩვენც იმათვის!.. რაც ბუნებასა და საუკუნოებსა არ შეუხორცებია, მისი შეწებება ტყუილია!.. არა გამოვა-რა!.. ან განშორება. და ან სიკვდილი!.. ორში ერთი აუცილებელია!!.

ეს რომ სთქვა წამოვარდა ზეზე, გავარდა აივანზე და დაიწყო გიუივით სიარული... ჯანდიერმა გადააქნია თავი „ვაიმე, ჩემო დისწულო, რა კაცი იღუპებიო?!.“ სთქვა მწუხარებით, გამოვიდა კარში, შეჯდა ცხენზე და გაუდგა გზას.

დიდხანს იბორგა გაბოროტებულმა ბიძინამ და რომ დაიღალა დღე-და-ღამის გაყრის დროს, ჩამოჯდა ტახტზე და გადახედა ალაზნის პირებს. ბნელი თან-და-თან იჭერდა არე მარეს... თვალი სინათლესა ჰყარგავდა, მაგრამ სამაგიეროთ ყური ძალას იჩენდა... ალაზნის შხუილი, ნიავისაგან მოტანილი, თითქოს შესჩივის და შეხვნეშის მის გარეშემოს!.. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდენ!.. მთვარე ჯერ კიდევ ისევ მთას ეფარა... მაგრამ ცოტაოდნათ კი შემოსცინა ცის კიდეს. ეტყობოდა, რომ შორს აღარც ის იყო.. აქვე ახლოს გაისმა შოლტის ტკაცუნი და ზედ „ოროველას“ ღილინი მოჰყა. „მაღლობა ღმერთს! რომ კიდევ ერთი მშობლიური ხმა მეს-მის!—სთქვა ამორხერით ბიძინამ—დიდი ხანია, რაც ახალმა ცხოვრებამ გადაფხიკა კახელის გულის ფიცარზედ დღემდე

ლრმათ დაბეჭდილი მისი ისტორიული ნაგრძნობრ და ნაფი-
ქრები!.. ქართულ ტკბილ-ღილინს, ვაშკაცურ შეხმატკბილე-
ბას და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო მოულო თა-
თრულმა შექაქანებამ!.. ტკბილი ჩანგური და სალამური ზუ-
რნა-ჭიანურმა ჩაჰყლაპა!.. მხოლოდ ეს ორი სავალალო ზმა
„ოროველა“ და „მუმლი მუხასა“, კიდევ შერჩენია მუშა
ხალხს... და მაღლობა ღმერთს, სანამ ესენიც არ მივიწყებუ-
ლან, ჯერ კიდევ იმედია“, —წაილაპარაკა ბიძინამ. ამ დროს
თავი ამოყო გადალმიდან მოვარემ... ნელ-ნელა გადმოეშვა
შთის წვეროზე. სამკურნალოზ შივთინ-მოვთინა სხივები ცა და
ქვეყანას. გამოსალვიდა სიბნელეში სულ-განაბული არე-მარე,
დაკჭროლა ნიავმა, აბიბინდა მდელო, აშრიალდენ ფლთლები,
შეირხენ ბუჩქები და ერთ ხმათ შეუჭიკიკეს ბულბულებმაც!..
ბნელით გამოსულმა ქვეყანამ სული მოიბრუნა და დანალვ-
ლიანებულ ბიძინასაც გული დაუტკბა. —გზაზე გამოჩნდა
ურემი... ნელ-ნელა მოდენილა მეტრე კამეჩებს და „ღილინს“
სათვალავს უხშირებდა: „ნუ ეძალები წყალ-ღიღსა, უნდა
ეძებდე ფონებსო!.. ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოი-
გონებსო!“ შემოსძახა მაღალის ხმით და თან „ხიოც“ მიაყო-
ლა შოლტის გატლაშუნებით. —ბიძინა შეკრთა, უცბათ წა-
მოდგა ზეზე და ზეცას დაუწყო ყურება... ღიღხანს ხმას არ
იღებდა.. ბოლოს —თითქო გამოერკვაო —წაილაპარაკა: ეს რა
გავიგონე?!. —მიწამ შემომტყორცნა, თუ კამ ჩამობერა ეს
საგულისხმო სიტყვები? „ხერხი სჯობია ღონესო?!.“ საიდამაც
უნდა იყოს სულ ერთია... უგანგებოთ ცაცა და მიწაც ორი-
ვე მუნჯია!!. ჩემი ღიღი ხნის გრძნობა-გონების ჭიდილი ამ
ორმა სიტყვამ უნდა გადასწყვიტოს?. დიახ! დიახ! „ხერხი
სჯობია ღონესო!“ ხერხი! ხერხი!!! მაგრამ ხერხი საქვეყნო
და არა საპირადო!.. ციურნო მნათნო! თქვენ იყავით მოწამე
ჩემი განზრახვის და თავდები ჩემის მოქმედების!.. —თქვენ
კიდევ ჩასული არ იქნებით, რომ მე მორჩილებრით მივმართავ
ალი-ყული-ხანს.

VI

ჩოლოყაშვილმა კარგი ფეხი ვერ მიუტანა საარსელებს: გადავიდა თუ არა მათკენ, მაშინვე გაჩნდენ კახეთში სხვა-და-სხვა გუნდები გავარდნილთა და მოსვენებას აღარ აძლევდენ თათრებს. სადაც-კი შეიგულებდენ და მოასწრებდენ, სულ მუსრს ადენდენ, და ისე შეაშინეს, რომ არა თუ სოფლებში ველარ დაფარტაშობდენ ადრინდულათ, ციხე დარბაზშიც კი შიშის ქარი უქროდათ. და თუ არ სიფრთხილით, გალავნის გარეთაც ველარ ბედავდენ ფეხის გადადგმას, შესანიშნავი უფრო ის იყო; რომ მარტო თათრებს კი არა, ქართველებს უფრო სდევნიდენ, რაღა-კი შეატყობდენ. რომ თათრების მომხრე და იმათი ერთგულები არიანო, ბევრი გამოჩენილი და თათრის სამსახურში დაწინაურებული გამოათხოვეს წუთი-სოფელს; რამდენიმე თავად-აზნაურობის ოჯახი აიკლეს; სა-ბუეში ერთი მღვდელი შეიძყრეს, როგორც ქვეყნის ორგულს, თვალები დასთხარეს, ახლა მაინც ჩაიხედე გუნებაში და შეინანეო. ჯანდიერს სახლკარი გადუწვეს. ამბობდენ რომ ჩოლოყაშვილსაც რამდენჯერმე დაესხენ თავზე, მაგრამ კაც-ტრავალმა ოჯახმა, როგორც იქნა, მოიგერაო. იმათი წინა-აღმდევგობა და მოპირდაპირობა მით უფრო საძნელო შეიქნა, რომ არავინ იცოდა ვინ იყვენ, სად იყვენ და საიდან როგორ მოდიოდენ. ჩავარდა მთავრობა საგონებელში: „ადგილის კურდლელს ადგილისვე მწევარი თუ დაიჭრს, თვარი უცხო ვერას გახდებაო“, — ფიქრობდა ფეიქარ-ხანი და კახელებსვე ეხვეწებოდა, რომ გამოდგომოდენ იმ უკულმართებს და მით ერთგულება გაეწიათ ყენისათვის. გუნებაში, ეგება, ბევრს უნდოდა, მაგრამ ცხადათ-კი მათი დევნა შიშით ვერავინ გაბედა და ჩოლოყაშვილს მიანდო მთავრობაში, რომელსაც, როგორც თუითონ ამტკიცებდა, ცდა არ დაუკლია, მაგრამ მაინც ვერა გააწყო-რა!“. გუნდები უფრო და უფრო გამ რაღლდენ და გავარდნილები გათამამდენ. გასჭირდა საქმე-ფეიქარ-ხანმა აღარ იცოდა, რა უნდა ექმნა, და უნდა ეცნო

ბებია ყევნისთვის, რომ ერთ დღეს არ გამოცხადებოდა სკი-
მონ მაყაშვილი და არ შეპპირებოდა: „მე დავამშვიდებ ქვე-
ყანასა!“.. ეს მაყაშვილი, როგორც გაიძვერა და გაუტანელი
კაცი, ყველას სტულდა. თეირანში იყო გამოზღილი ყმაწვი-
ლობიდანვე და ერთ დროს დიდი ადგილიც ეჭირა სასახლის
კარზე, მაგრამ ცოტა რამეზე გადაუბრუნდა ფეხი და შერის-
ხული გამოისტუმრეს თავის ქვეყნისკენ და მას შემდეგ უმნი-
შვნელოთ დაეხეტებოდა აქეთ-იქით. დიდ-კაცობისა და მტარ-
ვალობის ნაჩვევს მოსვენება აღარა ჰქონდა და სულ იმაზე
ჰუკერობდა, თუ როგორ დავიბრუნო ძველი დრო და დიდე-
ბაო. თარეშობის დრომ ხელი მოუმართა მის მოუსვენარ
სურვილს და ხელ-მეორეთ გამოიყვანა სარბილზე: მთავრო-
ბაშ მთავარ მეთვალ-ყურეთ დანიშნა დიდების მაძიებელი და
უფლება-შეუსაზღვრელი მოხელეც მაშინვე შეუდგა საქმეს.
შეატყობინებდენ თუ არა მისი ხელ-ქვეითები, რომ ამა და ამ
სოფელში თავზე დასხმიან ვისმე და ან ტყუილა გზით გაუვ-
ლიათ საღმე გავარდნილებსო, მაშინვე აიკლებდა იმ სოფელს
და ააოხრებდა გაუკითხავათ. „ბატონი! ჩვენ რას გვერჩით?
ძალაც თქვენ ხელშია და სამართალიცაო; ვინმე მოთარეშე-
თაგანმა ჩვენ სოფელში გაიაროს, ჩვენ რა ვიცით და რა ჩვე-
ნი გადასახადიაო?“— ევედრებოდენ სოფლელები, მაგრამ სად-
და იყო გაკითხვა? მით უფრო, რომ მთავრობა უწონებდა
მკაცრობას და აგულიანებდა მტარვალს. ამ გვარმა მეცადინე-
ობამ უნაყოფოთ არ ჩაიარა!.. მართალია, მოთარეშეები არა
თუ არ გაუწყვეტია, თვალითაც არ უნახავს არავინ მათგანი
მთავრობას, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში მართლა
შესწყდა თარეშობა და გავარდნილების. აღარა ისმოდა რა. ეს
სამსახური იმდენათ მოუწონეს და დაუფასეს მაყაშვილს, რომ
ყევნმა გული მოიბრუნა და პირველი ხალათი უბოძა.

ყევნის ტახტზე აბძანების დღეობას იხდიდენ. ალვანის
მინდორი მოჭედილი იყო ხალხით. ერთი მხარე ბამბის კარ-
ვებით იყო მოფენილი. ოქროს კარავში კახეთის მმართველი
ალი-ყული-ხანი იჯდა და გარს დიდებულები ჰყავდა შემო-

ხვეული. მზე დიდი ხნის ამოსული არ იყო, ასე, ორ-სამ
შუბის ტარზე თუ იქნებოდა აღმოსაცლეთით წინ წამოწეული,
რომ მოსაკრავეებმა ქაბული დაუკრეს. ხანი გამოვიდა ამალით
და მიმართა საჭიდაოს; ხალხმაც დაიგრიალა და ყოვლის
მხრით მოატყდა და შემოერტყა ირგვლივ წრეს. იმ დროს
ჭიდაობა დიდათ მიღებული იყო, როგორც თათრებში, ისე
ქართველუბშიაც. ფეიქარ-ხანი მოყვარული იყო ფალავნობის
და ხშირათ ესწრებოდა ხოლმე ჭიდაობაზე. განთქმული ფა-
ლავნები ერთმანეთს არა ზოგავდენ გვარ ტომობის გაურჩევ-
ლათ, მაგრამ უფრო ხშირათ-კი თათრები და ქართველები
ეჭიდავებოდენ ერთმანეთს. თუმცა თათრები ჩვეულებისამებრ
ტიტვლები გამოდიოდენ საჭიდაოთ, ტანზე ქონ-წასმულები,
ასე რომ ხელი აღარსად ეკიდებოდათ და ქართველები კი
საჭიდაო ჩახით გადიოდენ, მაგრამ მათ ცი ხშირათ გამარჯვება
ამ უკანასკნელებს რჩებოდათ. წინა დღეს კოზმანიშვილმა
გალახა თათრების განთქმული მოჭიდავე, ბეჭი ამოუგდო და
ამან ისე შეაწუხა თათრები და თვით ფეიქარხანსაც ისე დასწყვი-
ტა გული, რომ აბდუშაპილს უბრძანა, გინდა თუ არა, დაეჭი-
დეო. ეს აბდუშაპილი ერთი უთვისტომო ვინმე იყო, მაგრამ
თავის ვაშკაცობით პირველობა დაირჩინა არდალანში და
ფეიქარ-ხანის ცხენოსან ჯარის მეუფროსობა იშოვნა. ჭიდა-
ობა თუმცა აღარ ეკადრებოდა, როგორც ღიდვაცს, მაგრამ
ხანს ხათრი ვეღარ გაუტეხა. და შევიდა წრეში წელ ზევით
ტიტვლი. ერთი შეხედვით, ჩასხმული, უზარ-მაზარი, შავი მარ-
მარილოს ქანდაკი ეგონებოდა კაცს. შავი წვერები ტევრათ
ეყრებოდა გულ-მკერდზე, დიდი ულვაშები აქეთ-იქით ტო-
ტებათ სცემდენ სიგძისათ; დიდროვანი შავი თვალები, სქელი
წარბებით გაღმოხურულ-დაჩრდილულები საოცრათ ბრიალებ-
დენ. დაუკრეს საჭიდაო. ატორტმანდა ფალავნი, ჯერ მაღ-
ლა აღაბყრა ხელები, ზეცას შეხედა, თითქო გამარჯვება გა-
მოსთხოვაო, მერე დაემხო დაბლა და მიწას სამჯერ აკოცა;
წამოდგა ზეზე და კალოს შემოუარა; ცერებზე დგებოდა ყო-
ველ ბიჯის გადადგმაზე და ძალზე ჰაერს ისუნთქავდა, თით-

ქოს სცდილობდა, რომ გულ-ბოყვი გაედიდებია, გაებერა ერთხელ რომ შემოუარა წრეს, ისევ თავის პირველ ადგილზე გაჩერდა, დაიჩოქა ცალ მუხლზე და იქითკენ დაიწყო ყურება, საიდანაც მოპირდაპირე უნდა შემოსულიყო. უყივლეს მსურველებს, მაგრამ არავინ გამოჩნდა. მეორეთ დაუარა კალოს, კიდევ არავინ ჩანდა.

— სად არის გუშინდელი თქვენი გამარჯვებული კოზ-მანიშვილი? — იკითხა ხანმა.

— უარზე დგას, ასე ამბობს, მე ფალავანებს ვეჭიდავები და არა გოლიათებსაო. — მოახსენეს ქართველებმა.

— მაშ კარგი, სირცხვილი თქვენიო! ღიმილით სთქვა ხანმა და უბძანა მოჭიდავეს მესამეთ კიდევ წრეში შენავარდება და ისე გასვლა წრიდან.

მოჭიდავემ აასრულა ხანის ბძანება და მედიდურათ დაა-პირა წრიდან გასვლა. თათრებმა კმაყოფილების ნიშნათ წვერებზე მოისვეს ხელი და ულვა-შებში ჩაიცინეს.

— ამ დროს ხალხში რაღაცა ჩოქქოლი ატყდა და მოისმა კიუინი: დაუკარით, დაუკარითო! უცბათ შეჩერდა აბდუშაპილი და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. წრეში ვეფხივით შემოვარდა ერთი ვილაც ტან-წვრილი, მაღალი, მხარ-ბეჭიანი და ომა-გაჩეჩილი ახალგაზდა, შეხედა მოპირდაპირეს და შეჩერდა. თათარშა ტორტმანი დაიწყო და ხელების შლა; უცემე გაექანა შურდულივით ახალგაზდა, შეუვარდა ფეხებში, გამოჰკრა თრივე ხელი, ჯირკივით გადააგრძა ფალავანი. და გამოიქრა წრიდან.

— არა, არა, ჯერი არ არის! მაგრე არ იქნებაო! — ყვიროდენ თათრის მომხრეები. გაბრუებული აბდუშაპილი წა-მოდგა ზეზე და სთქვა: — მე ჯერ სალაში არ გამეთავებია და ის ღალატით მომვარდაო.

ძალათი გამოათრიეს. მეორეთ ახალგაზდა; ის გაჩერდა ერთ ადგილას და აღმარ იძროდა.

— თათარო, სალაში რომ გაათაო, დამიძახე და მოვა-ლო! — მიაყირა ფალავანს. იმანაც, ბრაზ-მოსულმა, კამეჩივით

შიაშურა ახალგაზდას, მაგრამ ის განზე გაუხტა და თათარმა ხელები ჰაერს მოუპოტინა. რამდენჯერმე ჩაუქროლ-ჩამოუქროლა ახალგაზდამ გოლიათს, მაგრამ ატყუებდა, ხან აქეთ და ხან იქით განზე უხტებოდა, რომ ხელში არ ჩავარდნოდა. მოთმინებიდან გამოსული თათარი წყველა კრულვით დასდევდა მოპირდაპირეს; შეურჩია დრო, როგორც იქნა, ახალგაზდამ, მოავლო ხელი მკლავში, წამოიკიდა ზურგზე, გადიღო კისრულით და უშვა ხელები. აბდუშაილი სიგძისათ გაიდღა შაგულ-აღმა დედამიწაზე... გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადაახტა და გავარდა წრიდან. ხალხმა კიუინი დასცა.

— შაიტან, შაიტან! — დაიძახეს აქეთ-იქით თათრებმა.

— ახლა გინდა შეიტანე და გინდა გამოიტანე ეგ-თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანი, სულ ერთიაო. — უპასუნებდნენ მხიარულათ ქართველები.

დაცუმული წამოაყენეს და წაიყვანეს გაბრუებული უფრო სირცხვილით, ვიდრე გალახულობით. მოიკითხეს გამარჯვებული, მაგრამ ვეღარსად ნახეს, მიიმალა ხალხში. ვეღარ გაიგეს, ვინ იყო. ფეიქარ-ხანმა წარბები შეიჭმუხნა და ზეზე წამოდგა, გაბრუნდა ისევ თავის კარვისაკენ. ხალხიც დაიშალა, წავიდ-წამოვიდა აქეთ-იქითკენ. იმ დღეს, მართალია, ხანი გუნებაზე ვერ იყო, მაგრამ მაინც მხიარულათ ჩაიარა საერო ლხინმა და შექცევამ. ნასაღილევს, ჩვეულებისამებრ, ცოტა წაიძინა დიდ-კაცობამ და მერე კი, რომ აგრილდა, გამართეს ჯირითი.

ცხენოსნები გაიყვენ ორათ და დადგენ გაღმა-გამოლმა მოედნის პირათ. ცხენებმა იგრძნეს, კუდები აიღეს, თავი მოიქანხეს, ცმუტავდენ ერთსა და იმავე ადგილას, მარჯვნივ და მარცხნივ ტრიალით. ზურნის ხმა რომ გაისმა, მაშინ კი შეკუნტრუშდენ და თუ მხედრებს თავი არ მოექანჩათ მათთვის, გამოიჭრებოდენ შეუა მოედანზე. ახლა-კი, თავ-შეკავებულები; ბერავდენ ცხვირის ნეშტოებს, ფრთქვინავდენ, კბილებს უჭერდენ ლაგამს, ყურებს აცქვეტდენ და თვალებს აბრიალებდენ. გამოახტუნა ერთმა მხედართაგანმა თავის ყარაბათ

ლული და მოხდენით მიაგდო მოპირდაპირე გუნდზე, გამოიწვია მოწინააღმდეგე და საოცარი სისწრაფით გამოატრიალა ცხენი. უკანამ ჯირითი შესტყორუა, მაგრამ წინამ ჯირითს ჯირითი აუკრა და გადაივლო თავზე. ახლა სხვები გამოვიდენ, ახლა კიდევ სხვები რიგ-რიგით, ასე რომ წესი არავის დაურღვევია: შვენიერი სანახავი იყვენ მხედრები, როცა ისინი შენატყორუ ჯირითის ასაკილებლათ ხან მარჯვნით და ხან მარცხნით მანდიკურათ გადაეკიდებოდენ ცხენს და ზოგჯერ მუცელ-ქვეშაც ამოევლებოდენ ხოლმე. ბედაურებისათვის საჭირო აღარ იყო არც დეზი და არც მათრახი; იმათ თვითონ იცოდენ, რა დროს რა გვარი მიხვრა-მოხვრა იყო საჭირო; გამეტებით ჯირითის გაგდება დაშლილი იყო.

ზოგ მოჯირითეთაგანს ნება არ ქონდათ, მარჯვენა ხელ-ში აელოთ ჯირითი და მარცხენათი ათამაშებდენ. აბდუშაჰილს სულ არ მიულია იმ ჯირითში მონაწილეობა. გათავდა ჯირითიც, შეერთდა ორივე მხარე, მწერივათ დააყენეს ცხენები ყველამ ერთათ, ცოტა შეასვენეს და, დაიჭირებლა თუ არა ზურნამ, მიანებეს თავი ცხენებს და ისინიც ჭიხვინ-ჭიხვინით გავარდენ ჯეირანიერით. ცხენოსნებს უნდა ის მინდორი სიგირ სად გადაეჭრათ, მისულიყვენ კიდემდე და მერე იქიდან სათითაოთ გამოეჭენებიათ ცხენი, რომ ყაბახი ჩამოეგდოთ. იმ დღეს ყაბახათ ოქროს თასი იყო დასმული თვალ აუწდომელ ჭადრის წვერზე; თითო ჯირითი ყველამ შესტყორუა, ზოგმა ახლოს მიიყვანა, ზოგმა ხეს გადაავლო თავზე, მაგრამ ვერც ერთმა-კი ვერ შეანძრია ნიშანი. ბოლოს წამოვიდა ვიღაც შავ-ცხენოსანი, ისეთი სისწრაფით, რომ თითქმის აღარ ჩნდა ცხენზე, შორიდანვე შესტყორუა ჯირითი, ჰკრა შუაგულში და მაღლა შეაგდო. თასი ბზიალ-ბზიალით წამოიდა; მხედარმა მიაგდო ცხენი ხის ძირში, შეაყენა უკანა ფეხებზე და ჰაერშივე მოავრიო ხელი თასს, დაბლა იღარ დაუშვა; ჰკრა ჭუსლი ცხენს და მიაჭენა იქ, სადაც ქართველი დიდებულები იდგენ, ვითომ ზრდილობისამებრ დააპირა გადმოხტომა, მაგრამ გაგიჟებული ცხენი ხელს უშლიდა. მაშინ ცხენ-და-

ცხენ გაუშვირა თასი. ერთ დიდებულთაგანს და დაიყვირა: „ღმერთმა ნუ მოუშალოს გამარჯვება ბატონ მაყაშვილსო!“ სეიმონ მაყაშვილმა წინ რამდენიმე ბიჯი წამოდგა და ჩამოართვა თასი. ამ დროს უცბათ ჰაერში რაღაცამ გაიელვა და მაყაშვილი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, რომ თავი მიწაზე კოტ-რიალებდა. მხედარმა გამოატრიალა ცხენი და უკანვე გაჰქუსლა. შეკრთა დიდი და ჰატარა! ბოლოს დაიძახეს აქა-იქ: „ჰე, ბაში აჩუკია, ბაში აჩუკიო!“ გამოუყენეს მდევრები, გვიანდა იყო. გარისხდა ფეიქარ-ხანი, გაწყრა მეთვალყურეებ-ზე და ბაში აჩუკის თავიც ათას ოქროთ დააფასა.



VII

ამ ხანებში არეულობა მოხდა იმერეთში და ქართლის მეფე ვახტანგი, შახ-ნავაზათ წოდებული, გადაიწვიეს, რომ მისი შვილი არჩილ იმერეთის მეფეთ დაესვათ. იმერეთის დიდკაცობა დიდი პატივისცემით და ძლვნით დაუხვდა დიდებულ სტუმარს. სიუხვით ყველას წერეთელმა გადააჭარბა, თუმცა მეფის გული კი აბაშიძემ უფრო მოიგო და ბევრიც არა დახარჯვია რა; მხოლოთ ათი ახალგაზდა ქალიშვილი, ერთი მეორეზე უშვენიერესი, მიართვა: ყენისთვის საჩუქრათ დაგჭირდებაო. ამ მცირე ძლვნით ისე კმაყოფილი დარჩა შეფე, რომ სხვების განძი ჩალათაც აღარ ჩაუგდია. წერეთელი, როგორც მეტოქე და მოქიშპე აბაშიძისა, ყველაზე უფრო გულ-ნატკენი დარჩა და დაღონდა. კიკო ბაქრაძემ შეურჩია დრო ბატონს და მოახსენა:

— თქვენი ქება-დიდება თქვენი ყმების ქება-დიდებაა, თქვენი ძლევა მოსილობა ჩვენი გამარჯვებაა და ნუ გვიზამ მისთანა საქმეს, რომ აბაშიძის საყმოს სასაცინო გავხდეთ! მეფე რომ ქართლში გადაბძანდეს და წერეთელზე აბაშიძე უფრო ჰატივით მოიხსენიოს, ეს ჩვენი სიკვდილი იქნება.

— მეც მაგას ვწუხვარ, ჩემო კიკო, მაგრამ რა ვქნათ? —
მიუჟო ბატონმა დალონებით. ხარჯი არ დამიკლია, თავი
არ დამიზოგავს, სალარო თითქმის დავაცალიერე და მეტი
რაღა მექნა?

— ჩემო ხელმწიფევ, თუ არ გამიწყრებით, ჩემი უგუნუ-
რი ჭკუით ისეთ რამეს გირჩევთ, რომ მეფის გულიც თქვენ
დაირჩინოთ და აბაშიძის ძლვენიც დავიწყოთ; ისეთი რამე
მიუძლვენით, რომ მართლა გასაკვირველი და საარაკოც იყოს!

— თქმა ადვილია, მაგრამ რა გამოვძებნოთ მაგისთანა?

— ღმერთი მოწყალეა! რახან ლამაზ ქალებზე კი მივარ-
და საქმე, არა გვიჭირს რა, ბედი ჩვენსკენ არის, ლვიმის მო-
ნასტერში ორი დები იზდებიან, ტყუბის ცალები, ერთი მე-
ორესგან არ გაირჩევა და არც მათი მსგავსი რამ ნახულა
ჯერ ჩვენში.

— მერე და ობლები არიან? უპატრონო?

— თითქმის, ჩემო ხელმწიფევ! ჩემს მეტი აღარავინა
ჰყავსთ და მე ან ჩემი თავი რათ მინდა და ან ისინი, თუ არ
თქვენი ჭირის სანაცვალოთ? დედა იმათ აღარ ჰყავთ და მამა,
ერთი ძმა ჰყავდათ და ისიც დაიკარგა, ამდენი ხანია მისი
ასავალ-დასავალი აღარა ვიცით რა; მეც ხომ უცოლშვილოთ
გადავდივარ ეს არის და თქვენს გარდა პატრონი და ჭირის
უფალი ვინდა ეყოლებათ? გამოიყვანეთ ორივე და მიუძლვე-
ნით მეფეს, ისინი სადაც უნდა იყვენ, სასახლის კარზე,
საქრისტიანოში თუ საურჯულოში, მაინც არა უშავთ რა;
მათი სილამაზე და მზეთ უნახაობა არც ერთს გზას არ და-
კარგვინებს.

დიდხანს ყოყმანობდა წერეთელი; მისი ნაერთგულარი
ბაქარას შვილები დასაკარგავათ არ ემეტებოდა, მაგრამ აბა-
შიძის მეშურნეობამ დარია ხელი; გამოიყვანა ორივე დები
და წასვლის დროს მიუძლვნა ვახტანგს: როგორც მეფე, ისე
მთელი მისი ამაღა გაოცებული იყვენ ბაქრაძის ქალების სი-
ლამაზით, მით უფრო რომ ერთს მეორესგან ვერ არჩევდენ.
მეფემ აღარ იცოდა, როგორი მადლი გადაეხადა წერეთლი:

სათვის და დიდალი ყმა და მამული უბობა ზემო-ქართლში. თვითონ კმაყოფილი დაბრუნდა ქართლისკენ და დაიბარა, რომ როგორც ეს ორი მხეთ უნახავი, ისე დანარჩენი ათი ქალიშვილიც, თორმეტივე ერთათ გამოემგზავრებიათ.

მისი ნება ასრულდა, მაგრამ შიგ შეუგულ ქართლში ერთი უცნაური და უჩვეულო რამ მოხდა; მეფის ბარგს და-ესხენ თავზე ავაზაკები მოულოდნელათ და თორმეტივე ქალი მოიტაცეს; ნივთეულობისათვის კი ხელი არ უხლიათ.

მეფე ვახტანგს რომ მოხსენდა ეს თავხედობა, გარისხდა, ბძანა გზების გაკვრა, მთელი სამეფო შესძრა, იმერეთშიაც ბევრი ეძებეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერა გაიგეს რა. ხალხში კი ჩუმათ ლაპარაკობდენ აქა-იქ: „ეს ბიჭობა კახეთში რომ გამოჩენილი ბაში აჩუკია, მისი საქმე უნდა იყოსო“. დიდმა ხანმა გაიარა ამას შემდეგ.

ჭიდაობის შემდეგ აბდუშაპილ თავის ქერქში ველარ იყო; გულში ჩაიღვა ბაში-აჩუკის ჯავრი და სულ მარტოთ მარტო აქეთ-იქით დაეხეტებოდა მთელი დღე; უდაბურ ტყეებშიაც კი დადიოდა, რომ ეგება სადმე წავატყდე ჩემ მძლეველს, სამაგიერო გადავუხადო და სირცხვილიდან გამოვიდეო.

მარტო აბდუშაპილი არა ფიქრობდა ბაში-აჩუკზე, სხვებ-საც ბევრს ჰქონდა გატეხილი ძილი, მაგრამ მიზეზი-კი სხვა-და-სხვა იყო; პირველს ვაშკაცური ჯინი აშფოთებდა და სხვებს კი ათასი ოქრო არ ასვენებდა. ამ უკანასკნელებში უველაზე უფრო მეტათ ჰქონდა საღერღელი აშლილი თიმ-სალმაკოს. ეს იყო თელავში მცხოვრები, ტერტერას ქვრივი, ჭკუითა და მოხერხებით განთქმული; უამისოთ არც ჭირი და არც ლხინი არ იქნებოდა, ავშიაც გამოსადევი იყო და კარგ-შიაც, და მასთანაც განთქმული მაჭანკალი. ატყდებოდა თუ არა სადმე ახალგაზდებში ტრფობის ცეცხლი, ეს მაშინვე, თითქო ტრუსის სუნი ეცაო, იქ გაჩნდებოდა და დაატრია-ლებდა ჯარას; დიდსა და პატარას ყველას იცნობდა, ყოველ ოჯახში შინაური იყო, ყველასთვის საჭირო და გამოსადევი, მაგრამ არავის არ უყვარდა. გაიგო თუ არა, ბაში-აჩუკის თა-

ვი ათას ოქროთ დააფასესო, ანგარებამ აიტანა და ამბობდა გუნებაში: ხუმრობა არ არის ამდენი ფულიო? ჩემი ხერხი და ეს ერთათ ქვეყანას უნდა წაღმა დაიტრიალებენ და უნდა უკულმაო. ბაში-აჩუკი როგორმე მე უნდა ჩავიგდო ხელშიო, როგორ შეიძლება, რომ მისი ბინა და ვინაობა ხალხში არა-ვინ იცოდესო. მარტო ის ჭომ არ არის გავარდნილი, მასთან ერთათ ვინ იცის, რამდენი ახალგაზდებიაო! როგორ დავი-ჯერო, რომ ერთ მათგანს მაინც ვინმე სოფლელებთან დამოკი-დებულება არა ჰქონდესო? ეს რომ გადასწყვიტა გუნებაში, კიდეც შეუდგა საქმეს; სადაც კი მოპკრავდა ყურს, ამა და ამ სოფელში ნაძრახი ქალი ვინმე არისო, იმდენს ეცდებოდა, რომ გასცნობოდა და დამევობრებოდა. ზოგიერთ ოჯახებში ნათელ-მირონიც-კი შეიტანა, მავრამ ვერას გახდა, ვერა გაიგო რა; მხოლოთ ეს კი აიღო აზრათ, რომ თუ ვინმემ იცის მათი ამბავი, თევდორაანთ მელანამ უნდა იცოდესო და და-უხშირა იმასთან სიარულს. თევდორაანთ მელანო თელავის მახლობლათ, ერთ პატარა სოფლის განაპირას, ტყის პირათ, სკეოვრებდა ორი პატარა შვილით; ქმარი თათრის ჯარში ჰყავდა ჩაფრათ შესული, თითონ ოროლ თვეობით თვალით ვერა ხედავდა. სილამაზით ნაქები იყო და, ცოტა არ იყოს, სახელიც გატეხილი ჰქონდა. თიმ-სალმაკომ ერთხელ, სტუმ-რათ რომ მივიდა მასთან, სახეზე უსიამოვნობა შეატყო და განგებ იგვიანებდა წასვლას, სანამ მოსალოდნელმა ავდარმა მართლა არ მოასწრო; შეიქნა ერთი ჭექა-ქუხილი და თავ-სხმა, ასე რომ სტუმარი უნდა დარჩენილიყო მელანოსთან. მასპინძელს შფოთვა თან-და-თან უფრო ეტყობოდა და ვახ-შმის მზადებას დაუჩიარა; ხელათ გაშალა სუფრა, გვერდში ამოიდგა ერთი დოქი კახური და ზედი-ზედ უსხამდა სტუმარს; ახალებდა: „დალიყ, ლმერთმა შეგარგოს, და ტკბილათ დაგე-მინებაო!“.

თიმ-სალმაკო სიცილით ეუბნებოდა: ჩემო ნათლი დედავ, ეგ რომ არ დავლირ, ისეც ტკბილათ დამეძინებიო. მისთანა წამალს დავაყრი ხოლმე ვახშმათ ჩემ საჭმელს, რომ გათენე-

ბამდის ზარბაზნებიც რომ თავზე მახალონ, მაშინაც ვერას გავიგებო, მხოლოთ ფერად-ფერადი სიზმრები, თითქო სასუ-ფეველში ვიყო, ისე დამტრიალებს თავსაო; ერთხელ რომ შინჯო, შენც, ჩემი არ იყოს, მერე ხელს ვეღარ აიღებო. ეს რომ სთქვა, ამოილო ჯიბიდან პატარა გამოკრული პარკი, გაშალა და ფხვნილი შეჭამადს მოაყარა, ხაშხაშისაგან შეზა-ვებული ძილის წამალიაო; — შენ კი ვერ გირჩევ, ჩემო ნათ-ლიდედაო, ბალდების პატრონი ხარ და ღამე ბევრჯელ გა-მოლვიძება დაგჭირდებაო; მე-კი რომ დავეგდები რუმბივით, გათენებამდი ვეღარას გავიგებ, მკვდრის ძილი წამილებსო. მოუკრა თავი პარკს და ჩაიდვა ისევ ჯიბეში.

ჯერ შეუ ჭამამდი არ იყვენ მისული, რომ თიმ-სალმაკოს მთქნარება დააწყებია და თვალები მოეპრუწა; ერთი-ორი წა-ილუდლულა გაუგებრათ და ჩაკიდა თავი... ძილი მოეკიდა; მელანომ ძლივს მიათრია კუთხისკენ, მიაწვინა ლოგინზე და საბანი გადააფარა. სტუმარი გაიშმუშნა, გადაბრუნდა კედ-ლისკენ და ამოუშვა ხვრინი. მელანომ ღიმილით წაიჩურჩუ-ლა: მეორეთ მოსვლამდისაც ნუ გამოგლვიძებიაო და გამო-ტრიალდა სუფრისკენ, მაგრამ ალაგების ნაცვლათ ხელ-ახლა დაუწყო გაწყობა; მიდგა თაროზე, გადმოილო იქიდან ცივათ მოხარული დამზადებული დედალი, ყველი, რგვლათ მოხარ-ული კვერცხები, ხელადით ლვინო, გაწყო სუფრა და ხელ-პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა, წითელი ბალდადი მოიხვია თავზე და კოპწიაობა დაიწყო. რამდენჯერმე მოიხედა თიმ-სალმაკოსკენ, მაგრამ ის ვერას ხედავდა; პირ-შექცეული კე-დლისაკენ ეგდო უძრავათ და ხვრინავდა. მელანომ მიიტანა თავისი ძველი თავსაფარი და თავზე გადააფარა, გამობრუნდა, დაჯდა ცეცხლთან სამფეხს სკამზე და კარებისკენ იწყო ყურე-ბა. დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ეზოში ძალლმა დაიყეფა და შეუტია ვილაცას, მაგრამ მალე გაჰქმინდა ხმა, წუწუუნი დაიწყო; მელანო ზეზე წამოვარდა და მიაშურა კარებს გასა-ლებათ; თავ მომძინარებულ თიმ-სალმაკოს გულმა დაუწყო ძერა, მაგრამ არ განძრეულა. სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი

ნაცნობი,—გლახა ბაქრაძე, მოიხსნა სველი ნაბადი და მია-
ყუდა კედელზე მოიხადა ყაბალახი, უკან ზურგისკენ გადიგ-
დო ფაფანაკი, თოფო იქვე მიაყუდა, დამბახა, ხმალი და ხა-
ნჯალი ტანზევე გაისწორა და ლიმილით გადაეხვია მელანოს.
ქალი წურბელასავით ჩამოეჭიდა კისერზე; დიდხანს შეტყუ-
პებულსავით იყვენ თავ-დავიშეყბული...

ახალ მოსულს უცბათ ხვრინი შემოესმა და შეკრთა.

— ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლევ, ჩემი ნათლია არის,
ტერტერას ქვრივი, ხაშხაშ ნაჭამია და სძინავს. შენ მტერს
ნურა გაუგია, მაგან ვერა გაიგოს რაო. უამბო ყველაფერი, მა-
გრამ ვაჟი მაინც იჭვნეულად აქნევდა თავს. თავის სიმართ-
ლის დასამტკიცებლათ მელანომ ჯინჯგალი დაუწყო მძინარს,
ხან ფეხებში მოავლო ხელი, ხან თავი აუწია, ბევრი აცოდი-
ლა, მაგრამ ვერ გამოაღვიძა. ერთხელ-კი წაიჭუჭყუნა მძი-
ნარმა და ამოუშვა ისევ ხვრინი.

— დაეხსენ, ნუ აწვალებო! — მიახახა ბაქრაძემ. უანამ ეგ
გამოილვიძებდეს, მე აქედან შორს ვიქნებიო; მიუჯდა სუფ-
რას და საყვარელიც გვერდში მოისვა.

დიდხანს იჭიკჭიკეს ისე, როგორც შეყვარებულთა რი-
გია; სხვათა შორის ქალმა ჰყითხა: — ბაში-აჩუკს რათ გეძახი-
ანო? და ვაჟმაც მიუგო, ეს აქ დამარქვეს თათრებმაო, ფა-
ფანაკით რომ მხედავენ, უქუდო ვგონივართ, თავ-მოხდილი,
და მათებურათ ბაში-აჩუკი თავ მოხდილსა ნიშნავსო.

ამისთანა ამბები ბევრი ილაპარაკეს ვახშამზე; ბაში-აჩუკმა
ერთი კვირის, როგორც თავისი, ისე თავის ამხანაგების თავ-
გადასავალი დაწვრილებილ უამბო მეგობარს; ნავახშმევს ცო-
ტა მოიალერსეს. მეორე მამლის ყივილზე ვაჟი გამოესალმა
ქალს, უთხრა, დღეისწორამდის ნულარ მელიო და გაუდგა გზას.

ტერტერას ქვრივს ერთი სიტყვაც მათი ნალაპარაკევი
არ გამოპარვია, მაგრამ დილას კარგა ძალზე იყო ამოსული
მზე, რომ გამოეღვიძა და ისე წამოდგა ზეზე, თითქო წუხე-
ლი. სიზმარიც არ ენახოსო, გამოეთხოვა ნ-თლი-დედას და
გაუდგა გზას.

VIII

ალიყულიხანმა იმ დღეებშივე დაიბარა აბდუშაპილი და უთხრა:

— ერთგულობის გამომჩენი, როგორც ჩვენებში, ისე სხვისიანებშიაც, ბევრი მყავს, მაგრამ ამ საიდუმლოს შენს მეტს მაინც არვის მივანდობო!

აბდუშაპილმა მორჩილების ნიშნათ შუბლზე მიიდვა ხელი და მოახსენა: „ბაშ უსტაო!“ მაშინ მოუყვა ყოლიფერს, რაც თიმსალ-მაკოსაგან შეეტყო და დაავალა, რომ ცხენოსნები წაიყვანე დანიშნულ დღეს, შემთარტყი გარს მელანოს სახლს და, როგორც ის ქალი, ისე ბაში-აჩუკიც დაჭერილი მომგვარეო.

აბდუშაპილს არ ეჭაშნიკა ეს საქმე.

მარტო რომ სადმე შევჰყროდი და სამაგიერო გადამეხდევინებია, ის იქნებოდა კარგი, თვარი კაცს უდროოთა და უადგილოთ მივასწრო, ჯარი დავახვიოთ და დავიჭირო, ეს რა ვაშკაცობაა და რა საკადრისიაო. მთელი ის დღე სულ ამაზე ფიქრობდა; დაღამდა თუ არა, გაუდგა გზას მარტოთ-მარტო და მიადგა კარზე თევდორაანთ მელანოს; მელანომ რომ უდროო დროს მოსული უცხო თათარი დაინახა, შიშის ქარმა აიტაცა, მაგრამ აბდუშაპილმა უთხრა:

— ნუ გეშინია! სამოყვროთა ვარ მოსული და არა სამტროთო. ქალმა რომ შვენიერი ვაშკაცი ტკბილათ მომლიმარი ნახა, გული მოიბრუნა.

— „კურთხეულ იყოს თქვენი მობრძანებაო“, — ყელმოლერებით უთხრა, მორცხვათ კავები გაისწორა და სკამი დაუდგა. თათარმა მიიხედ-მოიხედა, კარები გადაუგდო შიგნიდან და ხანჯალი ამოილო. ქალი შეკრთა და უთხრა:

— რა საჭიროა იქ ძალადობა, სადაც ნებაყოფლობას წინ არა უდგას რაო. თათარმა, ვითამ ვერც-კი გაიგონა ეს სიტყვები, ჩაიყო მეორე ხელი ჯიბეში და სავსე ქისა ამოილო.

აი, ხომ ხედავშე ერთ ხელში ხანჯალი მიჭირავს, მეორეში ოქრო, რომელიც გინდა აირჩიეს თუ ჩემ სურვილს შეას-

რულებ,—გაგამდიდრებ, თუ არა და—ამ ხანჯალზე აგავებ ახლავეო.

ქალმა შორცხვათ წაიღაპარაკა: ნურც ხანჯალს გარჯი და ნურც ოქროს დახარჯავ, მე შენს მარტო ვაშკაცობასაც დავჯერდებიო. აბდუშაპილმა მკვახეთ მიაძახა:

— სცდები! შენ რომ ფიქრობ, მე იმ განზრახვით არ მოვ-სულვარ! მე ვიცი, რომ შენთან ბაში-აშუკი დადის და ას როგორმე ხელში ჩამაგდებიეო.

ამის გამგონე მელანო გაფითრდა და კანკალი აუვარა და; დიდ ფიცსა და უარზე დადგა; აბდუშაპილმა სიამოვნებით შეხედა ქალს, მაგრამ ისევე უცბათ შეიჭმუხნა სახე და ურჩია:

— არა! აქ ფიცი ალარ გაგივა, დაწვრილებით ვრცი, როგორც არის საქმე. აპა! წაიღე ამ თავით ეს ქისა და მერე; როცა იმას ხელში ჩამიგდებ, ის ათასი ოქროც შენთვის დამითმია და არც მოლალატობას გაგამხელ, ალ-ლახი მომიცია თავდებათო. ამგვარი რამეები ბევრი უთხრა, დიღხანს ურჩევდა, მაგრამ გაკერპებულმა ქალმა გააქანა თავი. აბდუშაპილი თან-და-თან აღტაცებაში მოდიოდა და გუნებაში ფიქრობდა: აი, სად ყოფილა ქალი! კიდეც ეს არის, რომ ამდენი ხანია ქართველები გვიმკლავდებიანო! უკანასკნელათ მიუბრუნდა ქალს და შესძახა:

— მაშ, ახლა კი გამოეთხოვე სიცოცხლესო! ქალი ჩიი-კეცა და სიკდილის მომლოდინემ თვალებზე ხელი მიიფარა; თათარმა ხელები მოავლო, წამოაყენა ზეზე და დამშვიდებით უთხრა:

— გეხუმრე, შენ სასიკვდილოთ გასამეტებელი არა ხარ! აფერუმ დედა-კაცო, სიყვარულიც გცოდნია და მეგობრობაც! ბევრი რამ გამეგონა ქართველ ქალებზე, მაგრამ- ნახევარიც არ მეჯერა, ახლა-კი გამოგცადე და დავრწმუნდიო. მელანო მუხლებზე მოეხვია და დაუწყო კოცნა.

— მე ვიცი—განაგრძო აბდუშაპილმა, რომ ამა და ამ დღეს ბაში-აჩუკი შენთან იქნება; მეც ნაბრძანები მაქვს,

რომ ჩემი ცხენისნებით შემოვერტყა გარს შენ სახლს და დავიჭირო, მაგრამ გააფრთხილე, რომ აქ არ დამიხვდესო | გაოცებულმა მელანომ უცბათ შეჭკივლა:

— მაშ, შენ მეგობარი ყოფილხარ ბაში-აჩუკისო? — არა, მტერი, დაუძინებელი მტერი! ან ის უნდა იყოს და ან მე! ან უნდა მოვკლა, ან უნდა შევაკვდე, მაგრამ უნდა შევხვდე სადმე და პირ-და-პირ უნდა მივიდეთ ერთი მეორეზე ისე, როგორც ვაშკაცის წესია და არა ქურდულათ, ღალატით, როგორც ნაბძანები მაქვს!.. ხომ გესმის? ესეები ყველა გადა-ეცი ბაშიაჩუკს და ახლა-კი მშვიდობით და გამარჯვებითო. გამოეთხოვა, გადაუგდო სავსე ქისა და გაიარა კარი.

დანიშნულ ღამეს აბდუშაპილი მართლა შემოერტყა გარს მელანოს სახლის, მაგრამ სახლში შეშინებული ქალისა და მძინარი ბავშების მეტი ვერავინ ნახეს. იმავე დონის შიგ თე-ლავში ავარდა ალი და თიმ-სალმაკოს სახლი ისე გადიბუგა, რომ ველარაფერი ველარ გადაარჩინეს, გარდა ადამიანებისა.



IX

ერთ დღეს, დილიდან საღამომდი, შეუ მთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბდუშაპილი, რომ, ეგება, ბაში-აჩუკს, ან მის ამხანაგთაგანს და ან მათ ბუდეს საღმე წავაწყდეო, მაგრამ მოუცდა განზრახვა. დაბრუნებულზე წინ ერთი შველი შეე-ფეთა, შეჩერდა ახლო-მახლოს და ისე დაუწყო ყურება, თით-ქოს შინაურიაო. აბდუ-შაპილმა შვილდ-ისარი მოიმარჯვა, სტყორდა და გააგორა მიწაზე; რომ მივიდა ასაღებათ, ნა-დირი უცბათ წამოვარდა ზეზე და ბარბაცით გაუდგა გზას!.. მონადირე მიჭყვა კვალ-და-კვალ. შუაგულ ტყეში თურმე ერ-თი დიდი მინდორი იყო და იმას მიაშურა, მონადირეც რომ მიადგა ტყის პირს და მინდორს თვალი გადაავლო, შენიშნა, რომ მეორე მხრით ტყიდან გამოვიდა ერთი ახალგაზდა ქა-ლი, რომლის მზგავსი ჯერ ამას არა ენახა-რა; შეჩერდა და

ამოეფარა ხეს. დაკოდილმა შველმა პირ-და-პირ ქალისკენ მიმართა, შესწივლა ორჯელ-სამჯელ, მიუახლოვდა. და მიადვა კალთაზე თავი. ქალი შეკრთა, მიიხედ-მოიხედა და რომ ურავინ დაინახა, თეძოში გარკობილი ისარი ამოულო, გადა-აგდო, მოჰკიდა შველს ნაყარ ჩქებში ხელი და იქვე ახლოს წყაროსთან მიიყვანა, სისხლი გაბანა და წყლული ამოუწმინდა. შველი ისე ემორჩილებოდა, როგორც გრძნობიერი რამ: დაუწვა ფეხთით ცალ გვერდზე და მიანდო თავი; ქალმა მანდილს ყური მოხია და დაუცვა ჭრილობა. ამას ყოლითერს გაოცებით უყურებდა მონადირე და გუნებაში ამბობდა: ნა-დირთა ღმერთს რომ იტყვიან, სწორეთ ეს უნდა იყოსო! ალარ მოუთმინა გულმა, მიეპარა ფეხ-აკრევით და წაადგა-თავზე. შველმა იგრძნო, დაფრთხა, წამოვარდა ზეზე, ორჯელ-სამჯელ გადახტა განზე, მაგრამ უცბათ შეჩერდა და მოიხედა უკანვე. ეტყობოდა, რომ მონადირეს ერიდებოდა და იმავე დროს ქალის მოშორებაც არ უნდოდა. ქალი წამოდგა ზეზე, მოიხედა უკან და თათარი რომ დაინახა, ერთი სჭოცრათ დაიკივლა, ჩაიკეცა და შემოეყარა გულს. აბდუშაპილი მივი-და, მოჰკიდა ხელი, ბევრი აბრუნა აქეთ-იქით, ცხვირი მო-უსრისა, ყურები აუწია, მაგრამ ვერ გამოაბრუნა; მივიდა მერე წყაროზე, პეშვი აივსო წყლით, გამობრუნდა და ასხუ-რა გულ-წასულს. ქალმა თვალები გამოახილა.

— ნუ გეშინია! შენ და და მე ძმაო! — მიაძახა აბდუ-შაპ-ილმა, — მითხარი მხოლოთ, ვინ ხარ და საიდან, რომ ჭირის-უფლებთან მიგიყვანოო? ”

ქალმა ხმა: ვერ გასცა, გაუშვირა, თითო დასავლეთით ტყისკენ და ხელ-ახლა შეუწუხდა გული თათარმა აიყვანა. ხელში ბავშივით, გადაიწვინა მკლავებზე, მიიყრდნო გულ-მკრდზე და ალალ-ბედზე. წაილო იქით, საითკენაც ანიშნეს. შველი ძაღლივით აედევნა, წაუსწრო წინ, ერთ-ორს რომ გადახტებოდა, შეჩერდებოდა ხოლმე და მოიხედავდა უკან. თათარმა იფიქრა აქ რაღაც განგება არის, მივყვები ამ ნადირს და სადაც მიმიყვანს, მიმიყვანსო. გზაში ქალმა, რომ

ვაშკაცის გულ-მკერდის სითბო იგრძნო, გონზე მოვიდა: რაღაც უცნაურმა ურუანტელმა დაუარა ტანში; ჯერ გამო-უცდელი სიტკბო იგრძნო; ვერ გამოერკვა!.. იფიქრა, ეს სწორეთ სიზმარია! ძილში ადრეც მინახავს ამგვარი რამ, მაგრამ ეს კი ყველაზე უძლიერესია; დახუჭა თვალები და განაბა სული. ახალგაზდა აბდუ-შაილსაც რაღაც უცნაური ემართებოდა; დაჩერებოდა სახეზე და ფიქრობდა გუნებაში: ეს სწორეთ მაჰმადის დაპირებული მზეთ-უნახავი უნდა იყოს და მეც ცოცხლათ სამოთხეში მივდივარო. ყოველ ბიჯის გა-დადგმაზე გულის ძერა უხშირებდა და უმატებდა ქალთან სიახლოების უჩვეულო არ ყოფილა, მაგრამ არაოდეს ეს არ უგრძვნია, რასაც ახლა გრძნობდა. სხომის მხოლოთ ხორცი გრძნობდა, ახლა კი ხორცი დადუნებულია, მხოლოთ სული იტაცებს და მიაფრენს სადღაც სანეტარო უფსკრულისაკენ. ამ ყოფით რომ მიდიოდა ნელ-ნელა, უცბათ შუაგულ ტყეში შენობა გამოჩნდა და პირდაპირ მის გალავანს მიატყდენ.

შველი მიადგა ჭიშკარს და წივილი დაიწყო. აბდუ-შა-ილმაც წიხლი ჰქონა, მაგრამ მაგრათ დაკეტილი დაუხვდა, მი-აყურა და ხმაურობა არა იყო-რა. დადვა თავისი ძვირფასი ტვირთი ძირს და მოინდომა გალავნის ირგვლივ შემოვლა და იმავე ადგილს რომ მოვიდა, აღარც ქალი დაუხვდა, აღარც შველი, კარები-კი ისევ ისე დაკეტილი იყო შიგნილან. აბ-დუ-შაჰილს თითქმის ელდა ეცა; დიღხანს იყურყუტა, ბევრი ათვალიერა აქეთ-იქით, გალავანსაც ორჯელ-სამჯელ გარს შემოუარა, მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი არაფერს ეტყო-ბოდა. სთქვა, რაც განგებას ჩემთვის დაუნიშნავს და ბედს ერთხელ უჩვენებია, ის, იმედია; აღარ ამცდება და კიდევ სადმე შევხვდებიო, მაგრამ საიდუმლოთ-კი უნდა შევინახოთ. დალონებული და ნეტარებით გაბრუებული დაბრუნდა თე-ლავისაკენ.

იმ დღიდან, რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, უფრო და უფრო ეკიდებოდა მას სიყვარულის ცეცხლი, მოსვენება აღარ ჰქონდა, შუა მთის მონასტრის ახლო-მახლო ტრიალებდა

შოჯადოებულსავით; ბევრჯელ წყაროსთანაც გაუთენებია, მაგრამ აღარ იქნა, ვერ მიხვდა საწადელს. აღმოსავლეთურმა შიჯნურობამ შეიპყრო, გაახელა და მარტოობისათვის მიაცე- მია თავი. მეგობრები სწუხდენ, არეულათ რომ ხედავდენ, ყკითხებოდენ მიზეზს, მაგრამ ის საიდუმლოს ფარავდა და უბრალო ავადმყოფობას სდებდა ბრალს.



X

ვახშმობა გადასული იყო. ტახტზე მხარ-თეძოზე წამოწო- ლილი ალი-ყული კრიალოსანს, ათამაშებდა და მალ-მალ კარებისაკენ იხედებოდა. გაიჭრიჭინა კარმა, შემოჰყო თავი ტერტერას ქვრივმა, ფრთხილათ შემოვიდა, დაბლათ თაყვანი სცა ხანს. და გაჩერდა.

— აჲ! შენა ხარ თიმსალ? — უთხრა ხანმა; — სად არის?

— მარტო გიახელი! — მიუგო მოწყენით ქვრივმა.

— მარტო რაში მინდებხარ? — მიაძახა ცოტა გულმოსუ- ლათ და წამოჯდა; — ეგები, საჩუქარი ეცოტავა?

— რა ბძანებაა, ჩემო ხელმწიფევ! მხოლოდ ვეღარ მივუს- წარ. ეჭვი აუღიათ ჭირისუფლებს და გადაუხიზნავთ.

— როგორ თუ გადაუხიზნავთ?

— სადაც კი გამოჩნდება ლამაზი ქალი, სულ მონას- ტრებში მიჰყავთ, ჭითომ და მოლოზნებად და იქ კი მალა- ვენ, რომ ან თქვენ დიდებულებას ან სხვა ვინმე გამოჩენილ ხორციელს ხელში არ ჩაუვარდეს. აი, ბატონო, რაღა შორს წავიდეთ, შუა-მთის მონასტერი ლამაზებით. არის გატენილი! შარშან რომ დიდებული ყევნის საძლვნო თორმეტი ქალი მოსტაცეს, ქართლის მეფეს, ისინიც იქ არიან. თავ შეფარე- ბული.

— იმათ მოტაცებას ხომ ბაში-აჩუკს აბრალებდენ?

— სულაც ეგ მინდოდა მომეხსენებია, ჩემო ხელმწიფევ! იმ მონასტერში ბევრი რამ საწინააღმდეგო ხდება თქვენი. რომ ისინი არ უწყობდენ ხელს გადავარდნილებს, განა ამ-

დენ ხანსისინითავს შეინახვდენ უდაბურ ტყეში? მაგრაც
ნათქვამია: „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, — კარის კაცები
აფარებენ ხელს.

— ვიზე გაქვს ეჭვი? ჰკითხა სიჩქარით აღელვებულმა
ხანმა.

— ქართველები არც ერთი სანდო არ არისნ და ყველა-
ზე უფრო მეტათ ჩოლაყაშვილი.

— გაქვს რამე საბუთი?

— განა ის ისეთი კაცია, რომ სასაბუთოთ დაიჭიროს
საქმე? არა! მაგრა გული კი მეუბნება და ჭან-და-ხან წინა-
გრძნობაც საბუთია.

— შენ ბაში-აჩუკზედაც-კი გეუბნებოდა გული, მაგრამ,
ტყუილი გამოდგა.

— იქაც მართალი გახლდით, ჩემო ხელმწიფევ, შაგრამ,
უეჭველია, გავგთქვეს, თვარა ვინ რას ერჩოდა ჩემ საცო-
დავ სახლს?

— მიქარავ! მედა აბდუ-შაპილის მეტმა არავინ იცოდა.
შენ შენი სახლ-კარის გადაწვა გამწარებს და ალარავის ზო-
გავ!... ქვეყანას ცილსა სწამებ; ჩოლაყაშვილი დილიდან სა-
ლამომდი გვერდში მიღებას, ჩვენ ერთგულებაში პოენ-ალამებს
და შენ-კი ორგულობასა სწამებ! თუ მაგრე მართალია მო-
ნასტრის საქმეც, ვაი შენ ტყავს!

— არა, ჩემო ხელმწიფევ, მე თქვენი ერთგულება მაბე-
დვინებს, თვარა არა მრჯის მაგისთანა საქმეებში გარევას!
მიუგო ცახცახით დედა-ბერმა. მონასტრის შესახებ-კი რაც
მოგახსენეთ, ის სულ მართალია და, თუ მტყუანი გამოვდგე,
თავი გამაგდებინეთ.

— შენ როგორდა გაიგე?

— კოჭი ბროლამ გადმომცა.

— ვინა?

— კოჭი ბროლამ. აქ ერთი დერციკის ცოლი გახლავთ,
ჩემი მამიდაშვილი, სილამაზით განთქმული... თქვენ სად მო-
გაგონდებათ, თორემ აქაც კი გხლებივართ ერთათ..., ის გა-

დავკიდე ერთ ჭინშე ახალგაზდას, რომელზედაც უჭვი მქონდა
აღებული და იმას გამოუტეხია.

— ამის გამონა ხანი თოფ ნაკრავივით წამოვარდა ზეზე
და ბრაზ მორეულმა დაიღრიალა: „ეი, აბდუ-შაჰილ, აბდუ-
შაჰილო!“ შეშინებული დედაბერი იქვე კუთხეში მიიკუნჩხა,
უვირილზე ერთი შუახნის მხედარი შემოვარდა და მოახსენა;
აბდუ-შაჰილ შეუძლოთ გახლავს და დღეს მის მოადგილეთ
მე გახლავარო.

— კეთილი, სულ ერთია — ათროთოლებული ხმით უბძანა
ხანმა, — წადი ეხლავ ცხენოსანი ჯარი შემოარტყი შუამთის
მონასტერს და ააოხრეთ! აიკელით! ნურავის დაზოგავთ? ნურც
დიდს, ნურც პატარას, ნურც ბებერს და ნურც ყმაწვილს!
ჯერ უველა გააუპატიურეთ იქვე საჯაროთ!.. ნამუსი ახალეთ
და მერე ნაკუწა ნაკუწათ აქციეთ უველა! მხოლოთ რამდენი-
მე მათგანი, რომელიც სხვებზე ულამაზესი გამოდგეს აქ წა-
მომგვარეთ ხელუხლებლათ; ნადავლი ჯარმა გაიყოს. გასწია
ნულარ აგვიანებ!

მხედარი აჩქარებით გამოვიდა ბრძანების ასასრულებ-
ლათ. შეშინებული ბებერი უკან გაჰყვა და ხანმა კბილების
ცახცახით წაილაპარაკა თავისთვის: „მე გაყურებიებთ, თუ
როგორ უნდა ღალატი და მოტყუებაო!“..

გათენებისას, ცისკრის დროზე, მოულოდნელათ, ერთი
საოცარი ტირილისა და გოდების ხმა გაისმა შუა მთაში.
თათრები დაერიენ უმწეო დედაკაცებს უდაბნოში და მუსრი
გვადინეს. ზოგი გალავანზე გადაცვინდა, ზოგი კლდეზე გა-
დაეჭრა, რომ თავი საბილწავათ არ მიეცათ, ზოგმა თვითონ
მოიკლა ნამუს ახდილი თავი და სხვებს უწყალოთ გამძვინე-
ბული მტრები ჰკეპავდენ. ამ დროს ჯარის უფროსმა გამოა-
თრია გარეთ ერთი ახალგაზდა, სრულიათ გაწეწილ-გაგლე-
ჯილი ქალი და გულ შეწუხებული დასვა ცაცხვ ქვეშ, პტყელ
ქვაზე.

— ნუ გეშინია! გული მოიბრუნე, შენ არავინ რას გერ-
ჩის.

— რალას აგვიანებ? ბარემ მომკალ და გაათავე! სადაც
ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტიათ, მე რალა დასატოვე-
ბელი ვარ? სასო-წარკვეთილებით შესტირა ქალმა:

— შენს სილამაზეს უმადლოდე! იმან გადაგარჩინა. ახ-
ლა უნდა წაგიყვანო, შენი თავი დიდებულ ხანს მიუძღვნა,
ვინ იცის, რა ბედი მოგელის? ადვილათ შესაძლებელია, შენი
სილამაზის პატრონმა. მზე ბრწყინვალე შახის ცოლობასაც
კი გამოჰკრა ხელი.

ამ სიტყვებზე შეკრთა ქალი და კანკალი აუვარტა. თა-
თარმა ეს სიხარულის ნიშნათ მიიღო და სიცილით უთხრა:
თუ, ვინიცობაა, ჩემი სიტყვები გამართლდეს, ნუ დაგავიწ-
ყდებიო. ქალმა ძალ დატანებით, ვითომ გული მოიბრუნა
და დამშვიდებით უთხრა:

— ჩემო კარგო, უგ ახდება თუ არა, არავინ იცის, მაგ-
რამ დღეს რომ შეს სიკვდილს გადამარჩინე, მეც მინდა ეხ-
ლავ სამაგიერო გადაგიხადო! ისეთს ჯადოსა მოგცემ, რომ
ვერც ტყვია მოგეკაროს და ვერც რკინეულმა გაგჭრას. თათარმა ჯერ გაოცებით შეხედა და მერე ღიმილით უთხ-
რა.

— თუ მართლა მაგისთანა წამალი იცით ქართველებმა,
რატომ არ იკეთებთ? თქვენმა თავმა ქვა გკრათ?

— ვინ გითხრათ, რომ არ ვიკეთებთ? მაშ თუ არ ჯა-
დოს წყალობით, რა გაგვაძლებიებდა აქამდე ამდენ უაი უშვე-
ლებელში? მთელი ქვეყნის ხალხი უხსოვარ დროიდან გარს
გვეხვევა მტრათ ამ ერთ მუჭა ხალხს. ჩვენ, მაღლობა ღმერთს,
ვიგერებთ და სადაც ასი-და-ორასი მტრები წყდება, იქ თითო
ოროლა ქართველი თუ კვდება, მეტი არა და ისიც მისთა-
ნები რომლებზედაც ჯადო აღარა სჭრის. შენა გგონია, რომ
დღეს ჩემმა სილამაზემ გადამარჩინა? არა! შხოლოთ ამ ჯადომ
დამიხსნა! ამოიღო უბიდან ტყავში გამოკრული—ნაწილებია-
ნი ხატი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა და უჩვენა.
თათარმა შეხედა და ერთი ბიჯი უკან გადადგა, ცოტა სიჩუ-
მისა შემდეგ ჰკითხა: სხვებსაც ხომ ჰქონდათ ეგ ჯადო, რალა

მარტო შენზე გასჭრა? — უბრალო შემთხვევის ბრალია; მე უვახშმოთ დამეძინა, სხვები-კი ვახშამ-ნაჭამი, იყვენ; და ამ ჯადოს მხოლოდ მაშინა აქვს ძალა, როცა კაცი მარხულია; თათარმა იჭვნეულათ გადააქნია თავი.

— არა გჯერა? — დაბეჯითებით ჰყითხა ქალმა — მაშ ვცაჩ ლოთ, მაგაზე ადვილი ღარა არის!.. აი, ჩამოიკიდე გულზე, ეგ შენი ხმალი მომეცი, მე დაგკრავ რაც ძალა და ლონე მაქვს და ნახავ, თუ ან კანი გაგიჭრას!.. თათარმა გაიცინა.

— ისემც კარგი დაგემართოს, მაგრამ უცაბედათ რომ გაჭრას, მერე რაღა ვქნათ? ჰმ!.. მით უფრო, რომ წუხელი კარგა ლაზათიანათ შევეჭეცი ვახშამს, შენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცალე.

— შენა გგონია, რომ გატყუებ? მაგას სიტრთხილე გალპარაკებს; აბა ჩემზე შინჯე: რაც ძალი და ლონე გაქვს, ნუ დამზოგავ და ნახავ, თუ კაბისა და პერანგის მეტი გამიჭრას რამე? გადაწვა გულალმა ქვაზე და გულზე დაიდვა ხატი; თათარმა გამოსაცდელათ, თუ მართლა არ შეშინდესო, ამოილო ხმალი და დაუქნია, მაგრამ ჰაერშივე შეაჩერა. ქალი არ განძრეულა და ლიმილით უთხრა:

— არ გითხარი, რომ ვერას დამაკლებ მეთქი? თათარი დარწმუნდა, რომ ეს ალარ ხუმრობსო. ჯადოს ხელში ჩაგდების სურვილში წაიტყუა, მართლა მოუქნია ხმალი, რაც ძალი და ლონე ჰქონდა და შუა გაწყვეტილი ქალი ნახევარი იქით გადავარდა და ნახევარი აქეთ. შეკრთა მოტყუებული მხედარი, შემოიკრა თავში ხელი, „გამაბრიყვა ამ უბედურ-მაო!“ გადააქნია მწუხარებით თავი აქეთ-იქით, ერთი კიდევ დახედა დარცხვენით, ჩააგო ხმალი და გაშორდა. ამავე დროს იბრიალი და ავარდა საოცარი ალი აოხრებულ მონასტერს.

გაიგეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლო-მახლო სოფლები აღელვდენ, მაგრამ მწუხარების გამოცხადების როგორ გაბედავდენ? არ სწყენიათ მხოლოდ ქართველობის. მტრებს და სასიამოვნოთ მიიღეს ყველა თათრებმაც, გარდა ერთისა, რომელმაც, გაგონების უმაღვე, გრძნობა-გო-

ნება დაბნეულმა გააქანა ბედაური ზუა მთისაკენ. ეს ერთი იყო აბდუ-შაჰილი. რომ მივიღა, მონასტერი გადამწვარი და-ხუდა და სიჩუმე-არარაობას მოეცვა არე-მარე, დაღონდა და პირველათ გაივლო გულში სალავათი: ნუ თუ, ღმერთო ამი-სთანა მსხვერპლი შენთვის მართლა საჭირო იყოს? ან რა ვაშკაცობაა უიარალო, უმწეო, სუსტი დედაკაცებისა და ბა-ლდების ულეტა? ქრისტიანები ამგვარს არას ჩადიან!.. თვით ყაჩალებიც კი ერიდებიან ამ საქმეს. ამ ორ სამ. წელიწადში, ვინ იცის რამდენი ლჯახი აიკლეს, როგორც თათრების, ისე თვით ქართველებისაც, მაგრამ, აბა თუ ერთი საღმე უკად-რებიათ, უიარალო დედაკაცებისა და ბავშვების ხელის შეხე-ბა? — ამ ძრახვით გაიარა დიდი ეზო და განაკიდეს მიადგა ცაცხვს; იქ უცბათ შექერდა, დახედა გაჩეხილ ქალს, — ერთი საოცრათ დაიყვირა, წაბარბაცდა და იქვე, ცაცხვს რომ არ მიყუდებოდა, წაიქცეოდა. დიღხანს ჩყო ისე ხმა დაშოულებ-ლათ; ბოლოს შეიძრა, დააშტერდა მკვდარს და სასოწარკვე-თილებით სოჭვა:

— „რა დაგიშავე, ღმერთო, რომ ცხადი სიზმრათ გადამიქ-ციე? ამას ველოდი? გაქრა წავიდა! ჩამიარა ოცნებამ, მაგრამ რაც ერთხელვე გულზე ისე ნათლათ დამეჭდო, იმას ველარ ამოშლის-რა!.. თუ ცოცხალი დავკარგი, მკვდარი ხომ მაინც ჩემიაო!.. დაავლო ხელი ორათ გაჭრილს, მიიკრა გულზე და წაიღო იქითკენვე, საიდანაც ამ რამდენიმე ხანის წინეთ ისე ნეტარებით. მოჰქონდა, მაგრამ სულ სხვა-და-სხვა-კი იყო. მა-შინ და ახლა მაშინ ნეტარებით გაბრუებულს, მიღლით ცა-ეხსნებოდა და ახლა-კი; უბედურებით სულ შეხუთულს, დედა მიწა უსკდებოდა! მოიტანა წყაროსთან და დადვა. დიღხან დაპყურებდა თავზე და ცრემლები ლაპა-ღუპით ეცემოდენ წვერ-ულვაშზე. იმ დღესვე გასჭრა საფლავი წყაროსთან, მიაბარა საიღუმლოთ თავის დაუვიწყარი განძი. სამარეს და საფლავის პირი მიასწორ-მოასწორა. იმ დღიდან ხშირათ, ძალიან ხშირათ, ამოდიოდა ხოლმე და ძვირფასს სამარესთან. ღამეს ათევდა..”

XI

ერთხელ, მთვარიან ღამეში, აბდუ-შაჰილი მხართებოს წა-
მოწოლილი რომ იყო და ჩვეულებრივათ ტკბილ მოგონებით
გატაცებული, გაბრუებული ოცნებობდა, შრიალი მოესმა;
მოიხედა, დაიყვირა, ზეზე წამოვარდა, რამდენიმე ბიჯი უკან
გადადგა, მოისვა ხანჯალზე ხელი და გაშრა, თითქო ენა ჩა-
უვარდაო. მის წინ იდგა ის, ვისაც ეს იგლოვდა და ტიროდა.

— შორს ჩემგან! შეგაჩვენოს მაჰმადმა, თუ ფარსაგი სუ-
ლი არა ხარ! მიაყვირა ხელის ქნევით.

— ნუ გეშინია; მე ისა ვარ, ვისაც შენ იგლოვ და სტი-
რი! — მიუგო დამშვიდებით ქალმა.

— სული, ჩემ სანუგეშოთ და დასატკბობლათ საიქიო-
დან მობრუნებული?

— სწორეთ შენთვის და შენთან მოსული, მაგრამ სული
კი არა, ხორც შესხმული, ცოცხალი ადამიანი, შენს სიყვა-
რულზე დარწმუნებული და შენი მოყვარული.

— როგორ! გაცოცხლდი?

— მე მკვდარი არა ვყოფილვარ.

— მაშ ეს? — მიუთითა გაოცებულმა საფლავზე.

— შესცდი, ეგ და იყო, საბრალო პირ მთვარისა ჩემი
ტყუპის ცალი და მგვანი! მე კი პირი მზისას მეძახიან.

— დაილოცოს, ღმერთო, შენი განგება! — დაიღრიალა
აბდუ-შაჰილმა, მივიდა და დაუჭირა ხელები: — „მითხარი, მით-
ხარი, სიზმარია თუ ცხადი! ? როგორ მოხდა ეს ყველაფერი,
ამიხსენი, თვარა გონება მეკარგება! “ მეტი აღელვებისაგან
ფეხზე ვეღარ დგებოდა და ჩაჯდა, ქალი მიუჯდა გვერდით
ახლო და ალერსიანათ უთხრა:

— ი, ხომ ხედავ, რომ არ გერიდები? ამიტომ რომ და
ვარ შენი, თუ გაგონდება, სწორეთ ამ ადგილას, გულ-შემო-
ყრილი რომ გამომაბრუნე, ძმობა მითხარი და ვიცი ვაშკაცის
სიტყვა არ გატყდება. იმ დღიდან მეც შენი სიყვარული ჩა-
მივარდა გულში, მაგრამ როგორც უნაყოფო რამ და გაუ-

ჭორციელებელი. რადგანაც რჯულის სხვა-და-სხვაობა ჩვენს ერთობას ხელს უშლიდა, ის გრძნობა გადავიტანე და-ძმურ სიყვარულზე და დავმორჩილდი ბედს.

თათარი გაოცებული უსმენდა და ბოლოს ხმის კანკალით ჰკითხა:

— დაო, მაგრამ დაზე უტკბესო, შემატყობიე როგორ გადარჩი და ან აქ ვინ მოგიყვანა?

— მონასტერი რომ აიკლეს, ჩვენ რამდენიმე აგვარჩიეს; ტყვეთ უნდოდით წავეყვანეთ, მაგრამ იმ არეულობის დროს თვალსა და ხელ შუა გავეპარე მე და იქვე უცბათ მივიმალე. მახლობლათ ცარიელი ქვევრი მეგულებოდა და შიგ ჩავძვერი. როდესაც მონასტერს ცეცხლი წაუკიდეს და წავიდენ, გამოვედი, აქვე ტყეში დავიმალე, გიყურე საცოდავ ჩემ დას რომ გლოვდი და ან როცა დამარხე; ვიცოდი, რომ მე გეგონე და სიყვარულზე სიყვარული მემატებოდა. მას აქეთ აქ ვდგევარ ერთ გამოქვაბულში და ხშირათ გხედავ ხოლმე ფარულათ აქ მჯდომარეს. დღეს გულმა აღარ გამიძლო და გამოგეცხადე. ახლა ამის მეტს ვერაფერს გაიგებ ჩემგან და, თუ კიდევ მეტი გინდა შეიტყო, წამომყევი სადგურზე, მაგრამ იმ პირობით კი რომ, რაც უნდა ნახო, არ გაიკვირო და არც იარალი იხმარო. შენდობი?

— გინდ ჯოჯოხეთშიაც წამიყვანო.
— ფიცი?..
— ვფიცავ მაჰმადს!..
— რომელსაც ქრისტიანები ვერ ვენდობით!
— მაშ თვით თქვენ ქრისტეს!..
— შენი რა არის?.. არა! სხვა თავდები მომეცი! დაიფიცე ვაშკაცის სიტყვა.

— ვფიცავ და ზედაც დავამატებ იმ ჩემ უცნაურ სიყვარულს, რომლის გამოთქმაც არ შემიძლია!..

— ახლა კი მჯერა! სთქვა ქალმა, წამოდგა, წამოაყენა კაციც და ხელი-ხელ ჩაკიდებული შევიდენ უდაბურ ტყეში.

XII

შუაგულ ტყეში, ერთ თითქმის მიუვალ ნაპრალში, გა-
მოქვაბულში, ისხდენ ახალგაზდა ბიჭები ცეცხლის წინ და
მწვადებს აშიშხინებდენ! იქვე გძელი სუფრა ედგათ, მაგრამ
ცარიელი, ზედ არც პურები ეწყო, არც ლვინო და არც
შეჭამადი. გარედან ფეხის ხმა მოისმა და შემოვიდა ქალი მო-
ზღილი ხელ კალათით.

— აჲ, მელანო, შენა ხარ? ჰკითხა ერთმა, რომელსაც
მეთაურობა ეტყობოდა.

— მე ვარ, სანდო ვერავინ ვიშოვნე, რომ გამომეტანე-
ბია და მეტი რაღა გზა მქონდა? მოვდიოდი, მაგრამ შიშით-კი
მუხლები მიკანკალებდა. მალე დამიცალეთ... მძინარი, ბალ-
ლები მარტო დავყარე შინ, — სთქვა მელანომ და გადასცა
ხელ-კალაფი.

— ჴა, ვახშამს გავათავებთ და კიდეც გაგატანთ ვისმე
სამშვიდობომდის, — უთხრა უფროსს რომ გავდა იმანვე. მე-
ლანომ წყნარათ გადიარა და მიჯდა კუთხეში ფავისთვის.
ხელ-კალათიდან პურები ამოალაგეს, ხელადით ლვინო, ქოთ-
ნით შეჭამადი დააწყვეს სუფრაზე; გაუმარჯოს მეძლვნეს! და-
იძახა ერთმა იქ მყოფთაგანმა; სამაგიეროთ ჩვენც ჩვენი
დღევანდელი ნანაღირევი, ვუზიაროთო! დასთანხმდა ყველა-
და დიდი-ძალი ასო-ასოთ აქნილი შვლის ხორცი ჩაუწყვეს
კალათში. უცბათ ზარნაშომ დაიკივლა; წამოცვინდენ სუფ-
რიდან, მოავლეს იარაღს, ხელი და გავარღნას აპირობდენ
კარში, რომ ზარნაშოს ხმა არ შეწყვეტილიყო და ნაცვლათ
წრომს არ დაეწყო. წივილი. შემობრუნდენ, ისევ. სთქვეს:
„ალბათ მეთვალ-ყურები შესცდენ, მაგრამ რა ხუმრობაა?
ჩვენ კი გული გადაგვიტრიალდა და!“.

— შემოვიდა პირი-მზისა და სიცილით სთქვა:

— ვაი, თუ შეშინდით! მეთვალ-ყურე შეცდა, კარგათ
ვერ გაარჩია. ბნელაში, ჩემი ტყვე მტრათ მიმღლო და ნდშანი

მოგცათ. კიდევ კარგი რომ მალე გავაგებინე და სამშეიღოა
ბოზე გადავიდა.

ტყვე? ტყვე? ტყვეო? — იკითხეს გაოცებით აქეთ-იქითა
— დიახ! მოგიყვანეთ დამორჩილებული!

იარალიც არ ამიყრია, რომ ვაშკაცისთვის სირცხვილი
არ მეჭმია. მიიღეთ, როგორც სტუმარი! საწყენი არა ჰყალ-
როთ რა! ამ სიტყვაზე უცბათ გავიდა გარეთ და შემოიყვანა
აბდუ-შაპილი.

წამოცვინდენ სუყველა ზეზე და შეაჩერდენ; აბდუ-შაპილი
შემოსავალშივე შეჩერდა და გაოცებით დაიძახა: „ბაში-
აჩუკ!“

— დიახ! აბდუ-შაპილ, ეს ბაში-აჩუკია და მე ამისი და!..
კურთხეულ იყოს თქვენი შეყრა და ფეხ ბედნიერი აქ შემო-
სვლა!

ჩამოვარდა სიჩუმქა ყველა გაოცებული უყურებდენ ერთ-
მანეთს.

— აბდუ-შაპილმა ხელები ააპყრო მალლა და სთქვა: და-
ილოცა, ღმერთო, შენი უცნაური განგება! ვეძებდი, როგორც
მტერი და შევხვდი, როგორც მოყვარე. ბაში-აჩუკმა გაიცინა
და უბასუხადა.

— ჩემი სათქმელიც ეგ არის!.. შენ სტუმარი და ჩვენ
მასპინძელოვა!

მივიდა, გადახვიათხელი, წამოიყვანა და მოისვა გვერდით.
— მოულოდნელათ ლვთის შოცემულო სტუმარო, ნუ
დაგუიშუნებ სუფრას! ლარიბია, მაგრამ მხიარული, უთხრა
ბაში-აჩუკმა და შამოუსხდენ სხვებიც გარს; გაიმართა ლხინი;
მაგრამ სიმღერის მაგიერათ საუბარი. ჭაბეს დაბალის ხმით.
გაგძელდა ვახშამი; ბევრი რამ ითქვა, თითქმის ყველამ გამო-
ამულავნა მოკლეთ თავის თავგადასავალი და ბოლოს, ჯერდ
რომ მიდგა, მოჰყვა აბდუ-შაპილიც:

— მე ერთი უთვის-ტომო კაცი ვარ, არ ვიცი ვინ ყო-
ფილა ჩემი მამა-პაპა და საიდან მოეხედი არდალანში? ძლიერ-
მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედიჩემისგან

გამიგონია!.. ოდესმე ერთ სოფელს სადღაც ლეკები დასცე-
მიან, აუკლიათ მთელი სოფელი, ჩვენი ოჯახიც ამოუწყვე-
ტიათ, ასე რომ მე დავტჩენილვარ ძუძუ მწოვარი და დედას-
თან ერთათ ტყვეთ წაუყვანივართ; მყოლია კიდევ ერთი უფ-
როსი დაც, მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებუ-
ლი მღვდელთან და გადარჩენილა. ამის მეტი არა ვიცი რა...
მელანო სულ განაბული უგდებდა ყურს, უცბათ მიაყვირა:
ექვსი თითი ხომ არა გაქვს მარცხენა ფეხზე? და დასტური
რომ მიიღო, მივარდა, გადაეხვია და დაიწყო ქვითინი: ღმერთს
არ სდომებია ჩვენი ერთმანეთისთვის დაკარგვაო.

მაყურებლები გაოცებული პირჯვარს იწერდენ, ღმერთს
მაღლობას სწირავდენ და ულოცავდენ ახალ შეყრილებს.
აბდუ-შაჰილმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა! ჩამოვარდა სიჩუ-
მე. პირი-მზისა მიუბრუნდა და უთხრა აბდუ-შაჰილს:

— მეც მომილოცავს!.. ახლა რახან ნამდვილი და გა-
მოგიჩდა, ჩვენი და-ძმობილობა აღარაფერი საჭიროა. აბდუ-
შაჰილი შექრთა და შეშინებულმა უთხრა:

— როგორ! მაშ დღეიდან ჩვენ აღარაფერი ვიქნებით
ურთმანეთისათვის?

— ნაცნობები, ისე როგორც ქრისტიანი და მაჭმადიანი
შიუგო ქალმა.

— არა! აქ მაჭმადიანი აღარ არის! ხომ გაიგონე, რომ
ქრისტიანათ ვყოფილვარ დაბადებული და დღეს განგებამ
მოინდომა, რომ გამოვბრუნებულიყვავ! დღეიდან მეც თქვენი
რჯულის აღმსარებელი და თაყვანის მცემელი ვარ. ბაში-აჩუკ!
მიმილეთ თქვენს გუნდში, რომ ამიერიდან მეც თქვენი ჭირი
და ლხინი გავიზიაროო!..

ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა აღტაცებაში მოი-
ყვანა და დიდი სიხარული შეექნათ.

— აბდუ-შაჰილ! ცოტა დაფიქრების შემდეგ უთხრა
ბაში-აჩუკმა—დიდია ღმერთი და განგება მისი მიუწდომელი!
შენ შეგიძლია, რომ ჩვენს ქრისტიანობას დიდი სამსახური
გაუწიო. მოვალეცა ყოფილხარ და ნუ აჩქარდები!.. ეს რაც

მოხდა, დრომდე ყოლიფერი უნდა საიდუმლოთ დაიმარხო გულში, მიხვიდე ისევ შენ ჯარში და ისე დაიჭირო თავი, რომ ცვლილება არსფერში გეტყობოდეს. დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალითქო; ნიშნათ წაიღე ეს ჩემი ფაფანაკი და სისხლში მოსურილი მიართვი უფროსებს; დაგიჯერებენ და ჩვენც რომ ალარსად გამოვჩნდებით, გულ-დამშვიდებული ხანი წყალობით აგავსებს. დრომდე ეს ყოლიფერი საჭიროა ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის. ახლა მეტს ალარას გეტყვი. დაწვრილებით მაშინ გაიგებ ყოვლიფერს, როცა ჩოლოყაშვილთან ერთათ მოვილაპარაკებთო! მივიდა, გადაეხვია და გადაჰქოცნა ძმურათ.

— ახლა ჩემი შვილებიც გებრალებოდეთ, მარტო დავყარე! — სთქვა მელანიამ; — დროა ჩემი წასვლის, გამცილებელიც ხომ ღმერთმა მაშოვნია, სხვა საჭირო ალარაცინ არის, ჩემი ძმაც მიმიყვანს! — სთქვა და ჩაჰკიდა ხელი აბდუ-შაჰილს. პირი-მზისამ, თითქო შურით ვააყოლა თვალი, წარბებ შექმუხვნით შეხედა; მელანომ შენიშნა და ცბიერის ღიმილით უთხრა:

— ღამე მშვიდობისა, ჩემო რძალო! და ძილი ნებისა, რომ ტკბილი სიზმრები აგხდენოდესო!.. გავიდა სიჩქარით და თან გაიყვანა აბდუ-შაჰილიც.



XII

სისხლიანი ფაფანაკი დიდხანს იყო გამოკიდებული მოედანზე, რომ ხალხს ენახა და დარწმუნებულიყო ბაში-აჩუკის სიკვდილზე. დიდი ზა პატარა ყველა ულოცავდა გამარჯვებას აბდუ-შაჰილს, მაგრამ მისი პასუხი კი ყოველთვის ეს იყო:

— მე რა?! მადლიერი უნდა ვიყოთ ჩოლოყაშვილის თუ იმას არა, მარტო მე რას გავაწყობდი, დღეს ბაში-აჩუკიც ცოცხალი იქნებოდა და მისი უნდიც გაუფანტავიო.

გავიდა ხანი, რამდენიმე თვემ გაიარა, დაწყნარდა ქვეყანა და გავარდნილებისა ალარა გაუგონიათ რა. დამშვიდებენ თათრები. სიფრთხილეს თავი დაანებეს. აღრინდულათვე

უშიშრათ დაიწყეს ფარფაში. ამ ამბავმა ყევნის კარამდის მიაწია. დაუფასეს ჩოლოყაშვილს სამსახური და ერთგულება, მაგრამ თვითონ ის-კი ლოგინათ იყო ჩავარდნილი. ახმეტილან ცუდი ხმები მოდიოდა... ამბობდენ, რომ მისი გამობრუნება აღარ შეიძლება, დამბლას ორივე ხელ-ფეხი წაურთმევია. ფეიქარ-ხანი ხშირათ კითხულობდა და პატივის ცემის ნიშნათ ორჯელ-სამჯელ აბდუ-შაჰილიც გაუგზანა. ერთ სალამოს, ვიღაც შორიდან მომავალმა, შემოაჭენა თულათ გახეთქილი ცხენი ჩოლოყაშვილის ეზოში, გადახტა მარდათ, მიაშა სვეტზე, როგორც შინაური, აიჭრა კიბეზე და შევიდა პირ-და-პირ სახლის პატრონთან. ჩოლოყაშვილი ტარტზე იყო წამოწოლილი; დაინახა თუ არა მასთან შესული, უცბათ წამოჯდა და მიაძახა:

— ოო, ბაქრაძე?! ბაში-აჩუკმა მძიმეთ თავი დაუკრა.

— ასე მალე მოიარე? ჰკიოთხა ჩოლოყაშვილმა.

— მოვიარე, შენი ჰკირიმე, — მოახსენა ბაქრაძემ. და წერილები გადასცა. ჩოლოყაშვილმა გახსნა სიჩქარით და კითხვა დაუწყო, სახე ულელავდა და თან-და-თან სიამოვნება ეტყობოდა. ბაში-აჩუკი უძრავათ აღგა თავზე; რომ გაათავა-კითხვა მიუბრუნდა და ჰკიოთხა:

— კაი სანუგეშო ამბავია!

— ღმერთმა ნუ მოგიშალოს, ნუგეში, შენი ჰკირიმე! მაგ ამბავს უფრო ადრეც მოვიტანდი, რომ წყალ-დიდობას არ შევეჩერებიერ.

— მალე დასთანხმდენ?

— არაგვის ბატონი არა და ქსის ერისთვები-კი.

— იციან ყოლიფერი ჩვენი საიდუმლო?

— შალვას მეტს არავის გამოვტეხივარ.

— მაშ ზაალ როგორ დათანხმდა?

— არ დათანხმდებოდა, რომ მის კარის მღვდელს ჩვენება არ ენახა ჩემ მისევლის წინა დღეს.

— ჩვენება? გაკვირვებით შეხედა ბიძინამ.

— დიახ, შენი ჭირიმე, — მიუგო მორჩილათ და მოუყვა, რაც იცოდა გველეშაპის შესახებ; ისიც მოახსენა, რომ ერთი იმ გმირთაგანი თქვენ ბრძანებულხართო, მაგრამ სიკვდილის შესახებ-კი არაფერი უთხრა. ბიძინამ სასოებით პირჯვარი გამოისახა და სთქვა:

— დაილოცოს ღვთის განგება და მისი სასწაული! მაშ მოგვეშველებიან?!

— დღეის თუთხმეტს უეჭველათ გაჩნდებიან,

— ჯარი მეცოტავება! ვაი, თუ ვერ გავსწვდეთ ამდენ თათრებს!..

— რა ბძანებაა?! თუ ღვთის ნება იქნება, ათ იმდენსაც ვეყოფით. ფშავ-ხევსურები ბახტრიონს დაეცემიან დანიშნულ ღროზე, ქსნის ერისთვები მთავარი ჯარით თქვენ შემოგიერთდებიან თათრის ჯართან საომრათ და ულუსებს ჩვენც ვეყოფით.

— სულ რამდენი ხართ?

— საკუთრათ ჩვენი დასი ას-ოცი კაცი, ერთი ამდენი თევდორაძისაც იქნება.

— ისინი ხომ აქეთ-იქით არიან დაფანტული?.. ზოგი თათრის ჯარშია და ზოგი კიდევ ვინ იცის. სად!..

— ისე, როგორც ჩვენი! მაგრამ იმ დროსთვის ყველა ერთათ მოვიყრით თავს.

— მაშ, კარგი, ნულა აგვიანებ! დროა ქაქმეს შეუდგეთ! წადი, ცოტა შეისვენე, რომ აღრიანათ ვეწიოთ საქმეს.

ბაში-აჩუკი გავიდა. დარჩა მარტო ბიძინა. ხელ-ახლა გადაიკითხა წერილები, გაიმეორა გუნებაში, რაც ბაში-აჩუკმა უთხრა სიზმრის თაობაზე, ადგა ნელა, მოიხადა ქუდი, მივიდა სახატის წინ და დაიჩოქა. დიღხანს ხელებ-აპყრობილი შესჩერებოდა უხმოთ ღვთის-მშობელს და ეველრებოდა მის ძესთან შუა-მდგომლობას, რომ ქრისტიანობა გამოეხსნა ურჯულოს ხელიდან, გადაერჩინა კახეთი. და მისი მაღიდებელი მთელი საქართველო გაეძლიერებია.

მკრთალი ნათელი, სახატიდან მინაშუქი, პარპალით ეცე-
მოდა სასოებით აღტყინებულ მის ვაშკაცურ სახეს და მდუ-
ღარე ცრემლები წურწკურით ჩამოდიოდენ. წვერ ულვაშზე.

XIV

იკორთაში მღვდელ მთავარმა გამოიყვანა წირვა, პრა-
კლისი გადაიხდა და აიაზმა ასხურა ჯარს ყველა დარწმუ-
ნებული იყო, რომ ერისთავების ლაშკარი იმერეთში მიღი-
ოდა, მაგრამ იმ ღამესვე ელიზბარმა და შალვამ მხარი უქცი-
ეს და საიდუმლოთ კახეთისკენ მიემართენ; გზაში არაგველე-
ბი დაუხვდენ, სულ დარჩეული ვაშკაცები. წინ კირილე
მღვდელი უძლოდათ წმ: გიორგის ხატით და შეუერთდენ.
დიდის სიფრთხილითა და სისწრაფით გავლეს გზა, გადაიარეს
მთა და ჩავიდენ ახმეტაში, სადაც ბიძინა ჩოლოყაშვილი და-
უხვდათ დიდ ძალი ჯარით. აქ ბიძინამ, როგორც მთავარ
სარდალმა, ორათ გაჰყო შეერთებული ჯარი: ნახევარი თა-
ვისთან დაიტოვა, მეორე ნახევარი მრავალ გუნდებათ დაჰყო
და აქეთ-იქით, სხვა-და-სხვა მხრისკენ გაისტუმრა, რომ ერთსა
და რმავე დანიშნულ დროს ყველგან თავს დასხმოდენ თათ-
რებს მოულოდნელათ.

უმთვარო ღამე იყო, პირველ მამლის ყივილზე, როცა
ქვეყანა მიწყნარებული იყო და მხოლოთ მდინარეების ერთ-
ნაირი შხეული შორს და შორს უწევდა, ავარდა ალი მრა-
ვალგან გაღმა-გამოლმა ალაზნის პირათ, მოედვა ულუსების
სახლ-კარობას და გააქათქათა არე-მარე. დასცეს კიეინა და
მასთანვე მოჰყვა საზარელი ვაი-უისა და გოდების ხმა. გა-
ვარდნილები ბაში-აჩუკის თაოსნობით დაესხენ თავზე თათ-
რებს და დაუწყეს ულეტა. იმავე დროს ბახტრიონს შამოერ-
ტყენ არაგველები; ციხე გალავანს გადაევლენ თავს ფშავ-
ხევსურები და გაავლეს მუსირი. ესევე ამბავი მოხდა ბევრგან
სხვაგანაც და დაიძრა ბიძინას წინამდლომლობით მთავარი ჯა-

რიც. ალი-ყული-ხანს ოომ სხვა-და-სხვა კუთხეებიდან ცნობა
მოუვიდა, შეშფოთდა და აბდუ-შაჰილის თაოსნობით მთელი
მისი მხედრობა მიაგება წინ ქართველ ჯარს. მაგრამ ბევრ
ხანს აღარ გაუვლია, ოომ მოულოდნელი და ზარ დამცემი
ამბავი მოუვიდა: ერთ ვიწრო ხეობაში მოასწრეს თატრის
ჯარს, შეიმწყვდიეს, იარაღი დაყრევინეს და აბდუ-შაჰი-
ლიც ტყვეთ წაიყვანესო.

ეს სულ იმან ქნა, ოომ აბდუ-შაჰილმა არავისი რჩევა არ
დაიჯერა და გზის სიმოკლის გულისათვის ისეთ ლრიანკელ-
ში შეიყვანა ჯარი, ოომ გაშლა არ შეიძლებოდა და საძრაო-
ბა აღარ ჰქონდათო. იმავე დროს-კი, თურმე იქვე ახლო ჩა-
საფრებული ქართველი ჯარი შემოერტყა გარს, თვალის და-
ხამხამებამდე გადაუჭრა უკან გასაბრუნებელი გზა და თითქმის
დატყვევებულებს დაერიაო. ამის გამო ალი-ყული-ხანი ში-
შის ქარმა აიტანა და ათრთოლებული ხმით ბრძანა, ოომ
ჯანდიერისთვის შეეტყობინებიათ, მაგრამ სწორეთ იმავე დროს
მოიჭრა ერთი ცხენოსანი და აცნობა: ჯანდიერმა გვი-
ლალატა და მისი ქართველებით ჩოლოყაშვილისკენ გადავი-
დაო. თავ-ზარ დაცემულმა ფეიქარ-ხანმა დიდხანს ხმა ველარ
ამოილო და ბოლოს თითქო თავისთვის წაილაპარაკა: აკი
ჩოლოყაშვილი დამბლა იყო და ჯანდიერი ჩვენი ყურ-მოქ-
რილი ყმაო? ჰა, გიაურ! ახლა კი ფხედავ, რაც არის, მაგრამ
რაღა დროს! სთქვა კბილების ღრჟენით.

— ცხენიო! — დაიძახა, მოაჯდა უნაგირს და ისეთი სისწ-
რაფით გაუდგა გზას, ოომ ორმა-სამმა მხლებელმა ძლიეს მო-
ასწრო გაყოლა: ის იმ ღამესვე ქურდულათ გავიდა კახეთით
და მეორე ღღეს, სამშვიდობოზე გასული, სპარსეთისკენ მო-
ეშურებოდა მისი ორიოდე მხლებელით. დარჩენ თათრები კა-
ხეთში. უსარტლოთ და უპატრონოთ, და აქა იქ ციხე-სიმაგ-
რებში. ჩაკეტილები, მხოლოთ იმას ფიქრობდენ, თავი ოო-
გორმე გადაერჩინათ; მაგრამ წელ გამართული და გაგულა-
დებული კახელები მოსვენებას არ აძლევდენ. ისინი, ვინც

გუშინ თათრის ერთგულებასა და ქართველების მტრობას იჩენდენ, დღეს პირველი თავდადებული ქართველები გახდენ და რამდენიმე კვირის განმავლობაში ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო. დახშული ეკლესიების ქარები გაიღო და ხელ ახლა გაისმა ზარების რეკა; გულის სიღრმეში ჩაეჭრა დიდსა და პატარას, როგორც ნიშანი საქრისტიანო, ის ეკლესიის ენა და შეიქნა საერთო ლიტანიობა; ქალი და ქაცი, მოხუცი და ყრმა, მაღალი და დაბალი ყველა ერთ ხმათ ადიდებდენ ღმერთს და აქებდენ გმირებს. ბიძინასი, შალვასი და ელიზბარის სახელი ყველას ტუჩებზე ეკერათ აღტაცებით. კახეთის სიხარული ქართლელებსაც გადაედოთ და მათ თანაგრძნობას მათი მეფე ვახტანგიც გულში დასტურს აძლევდა, მაგრამ როგორც შაჰნავაზი-კი, ვითომ ჯავრობდა და პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა; როგორ გაბედეს ერისთავებმა ჩემი ურჩობა და დიდებული შაჰ-აბაზის ღალატიო?!..

შაჰ-აბაზმა რომ ეს ამბავი გაიგო, ფილენჯის ქარმა მოურა და ფიცხელი ბძანება შეუთვალა განჯის ხანს: „ კახეთი შენთვის მიბოძებია, წადი და ააოხრეო!“ ხანმაც წყალობისათვის მაღლი მოახსენა დიდებულ შაჰს და გამოტეხილი შეუთვალა: თუ მანდედან ჯარი არ მომაშველეთ, ახლა ისე გაგულადებული და გამაგრებული არიან კახელები, რომ ჩემი სახანო ერთი ორათაც რომ უფრო მეტი იყოს და უფრო ძლიერი, მაშინაც ვერ გავტედავ კახეთზე საომრათ მისელას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ვერას გავხდები და თავს შევირცხვენო. ამ მოხსენებამ, უფრო მეტათ დააღონა და დააფიქრა ყენი. ბრაზი მოაწვა გულზე და სირცხვილის ოფლი ასკდებოდა. ამ დროს მოუვიდა ქართლიდან შაჰნავაზის წერილიც; სამძიმარს უთვლიდა და თანაც ატყობინებდა: კახეთის გამარჯვებამ ქართლიც შეარყია; ერისთავები გამიდგენ, აღარას მიჯერიან და მოიღეთ წყალობა, თქვენი უძლეველი და ქვეყნის დამპურობელი ჯარი მომაშველეთ,

რომ ურჩები ისევ დავიმორჩილო და კახეთსაც საშვილი-შვილოთ შევანანო თქვენი ორგულობაო. ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ: დღევანდელი გამარჯვებით იმდენათ წელ გამაგრებულია ქვეყანა და გათამამებული, რომ თუ არ დიდძალი ჯარით, ცოტათი ვერას გავხდებითო. შაპაბაზმა გადაიკითხა წერილი, დაჭმუჭნა და დაახეთქა ძირს!

— ესეც იმას იწერება! — სთქვა წარბებ-შექმუხვნით; — დიდძალი ჯარით?! ჰმ... ასე ჰგონიათ, თუ მარტო მათვეის ვიყო მოცულილი და მეტი საქმე აღარა მქონდეს რა? არა, ახლა დრო არ არის! დროს შერჩევა უნდა და მე ვიცი, როგორ გადავუხდი მაშინო. დასწერა პასუხი და მურთუზალ ხანის ხელით გამოუგზავნა ქართლის მეფეს. საპირფერო და სამლიქვნელო სიტყვებით აავსო წერილი!.. მადლობას უთვლიდა ერთგულებისა და მორჩილებისათვის, მაგრამ ურჩევდა, რომ ასე გულფიცხათ არ მოჰკიდებოდა საქმეს. — „მართალია, ვერ უნდა გაებედნათ კახელებს. მისთანა საქმეო, — იწერებოდა და ვერაგი, მაგრამ, როგორც შევიტყვე, სულ მანდაური მმართველობის ბრალი ყოფილა: წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა დიდ გაჭირვებაში თურმე ჩაუგდიათ ქვეყანა და კახელებიც იძულებული ყოფილან, რომ მაგრე შოქცეულიყვენ.. ველი შენგან ამ საქმის გამოკვლევას და დაწვრილებით მოხსენებას; ამასთანავე გავალებ, რომ ეგ გამოჩენილი ვაშკაცები ჩემ კარზე გამოგზავნო; მე შინდა, რომ სამივე ჩემი თვალით ვნახო და, როგორც წინდაწინვე ჩემგან შენდობილებს, ჩემი პირით გამოვკითხო ყოველიფერი ტკბილათ და არა მრისხანებით. ვფიცავ ჩემ მზეს და თვით მაჰმადის წვერებსაც, რომ ეგენი აქ საკადრისათ მივიღო და გულ-დაწვეტილ-მომდურავი არც ერთი არ დავაბრუნო; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ჩემი ტკბილი წყალობა არ დააფასეს და კიდევ ურჩება გამიწიეს, მაშინ ვფიცავ ყოვლის შემძლებელს, რომ ამ ჩემ უკადრის შეურაცხებას არა თუ მარტო კახეთს; მთლათ საქრისტიანო საქართველოსაც ვაზღვევინებო და, მე რომ ვერ

შევძლო, საშვილი-შვილო ანდერძათ დავაგდებ ამ სურვილ-სო”.

ორჯელ-სამჯელ გადაიკითხა ვახტანგმა ეს წერილი და მუქარა. მწუხარეთ გაიღიმა და სთქვა გუნებაში: მეც ამას ველოდი ჩემი წერილის პასუხად! ჩვენ ორივე ერთ სოროში ვართ გაზდილი! გიცნობ, რაც ხარ შაჰ-აბაზ! ჯერ-ჯერობით ლომობა რომ აღარ გაგიღის, მელობას ეპოტინები, მაგრამ ლმერთი ყოვლის შემძლებელია, შეიძლება ისიც მოგიცდესო! ჩაფიქრდა ნაღვლიანათ და ჩაჰილა.

XV

დიდი ხანია ქართლ-კახეთი ისე მოსვენებით არ ყოფილაς როგორც 1659 წელში. შემოდგომა მიწურული იყო, ზამთრის პირი მოახლოვდა, მაგრამ მაინც გაზაფხულის დღეები იყვა, თითქმ ქვეყნის დაშვიდებულ გულს ტაროსიც-კი ეტკბილ-დასტურებაო. ვახტანგმა მთელი ქართლისა და კახეთის დიდებულები შეპყარა სალხინო-სადარბაზოთ, თითქმის არავინ ჰკლებია და მათ რიცხვში კახეთის გმირებიც მოჰყვენ.

მეფემ დარბაზი გამართა, შაჰ-აბაზის მოწერილი წიგნი წაიკითხა და რჩევა-ჰკითხა დიდებულებს. უმრავლესობა უარზე დადგა: როდის ჰქონდა სიმტკიცე მაჰმადის წვერებს სპარსელის პირში და ან ყენის სიტყვა რა დასაჯერებელიაო? ცხადია, რომ მაგათი მიტყუება უნდა საღალატოთ და ეს რომ მოხდეს, ჩვენი თავი ცოცხალი რაღათ გვინდაო?! ზოგიერთები სულ სხვა აზრისა იყვენ და მათ მხარი მისცა არაგვის ბატონშა. ზალ ერისთავმაც ამ სიტყვებით: — მართალი არის!.. და ვინ არ იცის, რომ ყენი ჩვენზე გულს ვერ გაიწმენდს და მოიყრობას არ დაუწყებს ერისთავებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით გარემოება ნებას არ აძლევს, რომ თვეის გულის პასუხი გამოაშელავნოს. და მტრობა გამოგვიცხადოს. ან რა ანგარიშია, ახლა რომ შორიდან მუქარითა და წინ დაუხედაობით საქმე

გაიფუჭოს. მართალია, დღეს ქართლი სპარსეთის საკუთრებას არ შეადგენს, მაგრამ მისი ხელ-დებული მაინც არის. სიფრ-თხილე მართებს ყევნს, რომ საზღვარსარ გადაცილდეს, თორემ ერთი კიდევ ამისთანა გამარჯვება, როგორიც კახელებმა ნახეს და მაშინ იძულებული შეიქნება. ქართლზედაც ხელი უაღლოს. ეს კარგად ესმის შაპ-აბაზს და, თუ არ სამოყვროს, სამტროს არას ჩაიდენს. უეჭველია, რომ კახეთის გმირებს საპირფეროთ პატივით მიიღებს და დიდებით გამოისტუმრებს. მერე კი, როცა დრო ხელს მოუმარჯვებს, მელასავით შემოგვეპარება და უცდება გვაზღვევინოს; ეს უნდა ვიცოდეთ და მზაო ვიყოთ! მანამდი-კი უნდა მოვიხმაროთ და მივყვეთ მის დღე ვანდელ ნება-სურვილს, მით უფრო, რომ საშიში არა არის-რა; და თუ არა, მაშინ თავ-მოყვარეობა იმდენათ გააბრაზებს, რომ ეცდება მუქარის გამართლებას. დარწმუნებით შემიძლია ვსოდა, რომ, როგორც ჩემ სიძეს, ისე ერისთავებს იქ სახიფათო არა ელით-რა, თუ ლვთის ნება არ იქნება და, თუ მისი ნებაა, მაშინ, აქაც რომ იყვნენ, მაინც ვერ აცდებიან განგებასო!..

ამ სიტყვებმა ბევრს გამოაცვლევინა აზრი; მეფეც დაეთანხმა და ბოლოს ჯერი მიღვა თვით ყევნის მოთხოვნილობაზე. პასუხის ნაცვლად წამოდგა ზეზე მოხუცი ელიზბარი, მიღვა სარქმელთან, გაიხედა შიგ და დაფიქრდა. დარბაზი გაოცებით შეაჩერდა.—ბატონო მეფევ, მობრუნდა და სთქვა ერისთავმა:—ამ თქვენ ჭადარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები გასციენია?

— როგორ თუ რა ჭადართნია?!—მიუგო გაკვირვებით მეფემ;—რაღა, დროს ფოთლოლია, ზამთარი დგება!..

— ვაი, თუ გახმეს უფოთლოთ?— როგორ თუ გახმესში გაზაფხულზე განა აღარ შეიფოთლება?

— დიახ, შეიფოთლება, ჩემი ხელმწიფევ, და ჩემი პასუხიც ეს არის დღევანდელ საღარბაზო კითხვაზე. როგორც მეფე, ისე დარბაისლები გაოცებული შეაჩერდენ, ეგონათ, თავის გონებაზე აღარ არის და ბოდავსო, მაგრამ ერისთავმა ნაღვლია-

ნი ლიმილით განაგრძო: — „დიდებულო ხელმწიფე! რაც ფოთ-ლებია ხისათვის, ჩვენც ისვე ვართ ქვეყნისათვის დაც წელი-წადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი. სა-უკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიჭირენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსო“. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და . ზედ ქრისტეს რჯულია დამყნილი. სანამდი მისი ძირი არ შესუსტდება, დერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრათ ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვინით არა უჭირს-რა. ჩვენც ერ-თი ფოთლებთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვინი და ჩვე-ნი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაჭირვება საშეფოს? არა, ჩვე-ნო დიდებულო მეფევ, ჩვენ, უეჭველია, უნდა ვიახლოთ ყევენს და, რაც მოსავალია—მოგვივიდეს!“

— ბატონო მეფევ,—წამოიძახა ჩოლოყაშვილმა, — ჩვენი სა-შივეს სათქმელი ერისთავმა მოგახსენათ და მე მხოლოთ დავამა-ტებ, რომ ხე, როგორც მცენარე, მოურწყველათ ვერ იხარებს; ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებელათ და ფესვების განზე გასადგმელათ ოფლთან ერთათ ხენტახან წმიდა მოწა-მებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავათ!.. ამ გვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილათ უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასო-ებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ!.. საქარ-თველოს ჭირიც წაგვილიაო!.. მივიდა და ამოუდგა ერისთავს გვერდში. „ამინო!“ დაიძახა შალვამ და გადადგა ბიჯი მათ-კენ. დარბაზს ურუანტელმა დაუარა. ჩამოვარდა ხანგძლივი სიჩუმე. მივიდა მეფე ხმა ამოულებელათ, გადაეხვია სამივეს და გადაკოცნა. რამდენიმე კურცხალი გადმოგორდა ინით შეღ-ბილ წვერებზე და დაეცა ძირს. ვახტანგმა მიუთითა ზედ სა-მივეს და უთხრა: აი, ეს იყოს საწინდარი ჩემსა და თქვენს ოჯახებს შეუაო!..

ამ ამბის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ შალვა, ელიზბარ და ბიძინა აღმოსავლეთისკენ გზას აღგენ და სპა-

რსეთისკენ მიღიოდენ. სწორეთ იმავე დროს დასავლეთისაკენ გადაეშვენ კორტოხს სამი ცხენოსანი: აბდუ-შაჰილ, პირი-ჭი-სა და ბაში-აჩუკი. ხმა ამოუღებელათ მიაჩქარებდენ ცხენებს, სხვა-და-სხვა ფიქრებით მოცულნი. აბდუ-შაჰილისთვის ყველგან ბალდადი იყო, სადაც-კი მისი სატრფო იქნებოდა, სიყვარულით გამსჭვალულ პირი-მზისას ეჩქარებოდა, რომ სამშობლოში გადაეატნა თავისი ბედნიერება და ბაში-აჩუკს-კი მაინც და მაინც მაგდენათ აღარატრათ ეპიტნავებოდა იმერეთი, რა-დგანც გაიგო, რომ მისი კახეთისკენ გადავარდნის მიზეზი რაჭის ერისთავისთვის მიუთხოვებიათო. იმერეთმა დედა-შვილურათ მიიღო ორივე ვაშკაცი.

ბაში-აჩუკი დაუბრუნდა თავის სახლ-კარობას და აბდუ-შაჰილიც ჩაესიდა. მართალია, დევი ყურით არ დაუჭერიათ სიძე-ცოლი-ძმას, მაგრამ ბევრჯელ-კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერეთს თურქებთან ბრძოლის დროს და სამაგიეროთ ადგილ-მამულიც ბევრი შეიძინეს საწერეთლოში. ცხოვრებდენ მყუდროთ და მხოლოთ ერთხელ კი შეშფოთდენ. ეს მაშინ, როდესაც გაიგეს, რომ მათი საყვარელი კახეთის გმარები სპარსეთში უწამებიათო. ბევრს ეჭირა თვალი სასიძოთ ბაში-აჩუკისაკენ ანუ, როგორც შემოკლებით ეძახოდენ, ბაჩუკისაკენ, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი; ის ცოლ-შვილის მოკიდებას არ აპირებდა, სანამდი წერეთელი არ მოკვდა და ერისთავიც არ მიიცვალა! მაშინ-კი გადავიდა რაჭაში, მოიტაცა ქვრივი და ჯვარი დაიწერა. უშვილ-ძიროთ არც სიძე და არც ცოლის ძმა არ გადასულან: აბდუ-შაჰილის ჩამომავლობა დღესაც არიან ჩვენში—აბდუ-შელი-შვილები, და ეტყობათ კიდეც, რომ კარგი წინაპარი უნდა ჰყოლოდათ. რაც შეხება ბაში-აჩუკის ანუ ბაჩუკას ნაშიერს, ისინი უფრო გამრავლებულიც არიან დღეს, მაგრამ ბაჩუკა-შვილობას ხუობენ და ბაქრაძეობაზე სდებენ თავს და დაუბრუნდებიან თუ არა ბაჩუკა-შვილობას, ის ღმერთმა იცის.

გეპირ სიჭყვაობის გამო.

ქართველებს რომ დღეს სხვა-და-სხვა საჭიროება გვაქვს
და აუარებელი საჭმეც გვაწევს ტვირთათ, ეს ვინ არ იცის?
მაგრამ არც ერთი-კი მათგანი ისეთი სასწრაფო არ არის, რო-
გორც „ზეპირ-გადმონაცემების“ შეკრება-შეგროვება. ჩვენ-კი
მაინც ამდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს!..
ხალხური პოეზია უტუური სარკეა გადასული ცხოვრების
და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცნობილია
დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭი-
როებათ. ჩვენი ქართული „ზეპირ-გადმოცემებიც“ მით უფრო
შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობას
გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვთ. საქართველო იყო ხიდათ
და გზათ იმ დიდ მოძრაობის დროს, როდესაც სხვა-და-სხვა
ერი აზიდან უვროპაში გადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი
ქვეყანა უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი
და მოწამე ამას დავუმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ
ქართველი საზოგადოთ ბუნება თანაზიარია და რაც უნახავს,
ან გაუგონია, უყურადღებოთ არ დაუგდია, უოველივე შეუს-
წავლია და საშვილიშვილოთ გადმოუცია საზეპიროებით.

არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მეზღაპრეობა“,
„მესტვირობა“ და „მეშაირობა“, როგორც ჩვენში!.. საშვი-
ლიშვილოთ გადმოიცემებოდა ხოლმე ერთი-მეორისაგან ასისა
და ათასი წლის ამბები, და ამის გამო უმაღლეს წერტილიამდე
იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია. ძველი და ახალი აღ-
თქმა სულ ერთიანად გალექსილი იყო და ტრიალებდა ჩვენს
ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოვო შაირები
„აბრამზე“, „იობზე“, „სოლომონზე“ და სხ?.. არც ერთი
შესანიშნავი მოვლინება არ ყოფილი ჩვენში, რომ ხალხს

უყურადღებოთ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას!.. ამას
გარდა, ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით ბერ-
ძნებისა, სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული; აქვე შეხვ-
დებით ჰომეროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზუ-
ლებათაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და
სულით კი. ვინ იცის, ჩვენ გადმოგვიქართულებია, თუ იმათ
გადაურჯულებიათ ჩვენი რამე? ესეები ყცელაფერი დღემდი
კარგათ იყო ჩვენში დაცული, სანამ საშვილიშვილოთ გადა-
დიოდა!.. მხოლოდ საქართველო წარმოადგენს ერთათ-ერთს
მაგალითს, სადაც პატონ ყმობის დროს ზოგიერთ გლეხებს
მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და შაირების მეტი არა
ემართათ რა გადასახადი დღეს, როდესაც ძველი წეს-წყობი-
ლება დაირღვა დაიშალა და ახალგვარი ცხოვრება მშემოვიდა
ჩვენში, ამ ჩვეულებასაც, ე. ზ. ზეპირ-გადმოცემასაც, ბოლო
მოელო, ახალ-დგმას აღარ ეხალისება ეს ძველებური საზეპო-
როები და მოხუცებულ მამებს საფლავში ჩააქვთ ასეთი ძვირფასი
განძი!.. ერთი ათი წელიწადა კიდევ და მშვიდობით!.. ჩვენი
დღევანდელი დაუდევრობით დავკარგავთ იმას, რისიც მოპო-
ვება მერე შეუძლებელი იქნება. ეს აზრი მე ამ ოცი წლის
წინათაც გამოეთქვი „დროებაში“ და ზოგიერთებმა კიდევ
მომაწოდეს მათგან შეკრებილი ზღაპრები და არაკები, მაგრამ
შემთხვევით, გზა-და-გზა ამ გვარი რამ არ გაკეთდება!.. იმათი
შრომა უნაყოფო გამოდგა, რაღანაც ამისთანა საქმეს გულ-
და-გულ შედგომა უნდა და ცოტა ოდენი ცოდნაც. მოუმზა-
დებელი კაცი ვერ მიხვდება, რას უნდა მიაქციოს ყურადღე-
ბა და როგორ უნდა ჩაწეროს გაგონილი? მით უფრო, რომ
ხალხური სიტყვიერება მრავალგვარია და ყველა მათგანს-კი
არა აქვს საერო მნიშვნელობა, ზოგჯერ შიგა-და-შიგ ობრო-
დობაც გამოერევა ხოლმე. პირველი ადგილი ხალხურ ნა-
წარმოებში ეკუთვნის იმ სიტყვიერებას, რომელიც საკუთარ
ნიადაგზეა აღმონაცენი და, როგორც მისი საკუთარი გრძნობა-
გონებისა. და თავ-გადასაფლის ნაყოფი, საუკუნოების ბრძმედ-
შია გამოვლილი და აღვილადაც გაირჩევა იმგვარ პოეზიისაგან,

რომელიც სხვა უცხო ქვეყნებიდან შემოპარული და ახალ გემოზე გადაკეთებულია. ავიღოთ მაგალითი:

„თამარ მეფე ლმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექნეს დრეკა“...

ეს რომ ქართულ ნიადაგზეა აყვავებული და ქართველი ერის გენიოსობის წარმონაშობი, — ვინ არ დათანხმდება? ხალხს უნდოდა რომ მისი სატრფიიალო და სალოცავი თამარ მეფის სიწმიდე და ძრიელება გამოეხატა და შემდეგი საუკუნოებისათვის ძეგლად გადმოეცა. და ხედავთ, როგორ გამოსახა? ხალხის წარმოდგენით იქ, სადაც ლვის სადგურია და ანგელოზები მსახურობენ, გაუსხლეტელი წირვა-ლოცვა და გამჩენის დიდებაა; იქ, რასაკვირველია, ზარების რეკაც ხშირია, მაგრამ ცოდვილი მიწის შვილის სმენა იქამდი ვერ მიწვდება და მხოლოდ ერთად-ერთი მისი საკვირველი თამარი იყო, რომ იქაურ ამბავს თავისი ყურით ისმენდა!.. — „ციდან ჩამოესმა რეკაო!.. განა ამაზედ ძლიერად სიწმიდის გამოხატვა კიდევ შეიძლება სხვა გვარად? „იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთება იწყეს დრეკაო!.. აი, ქვეყნიური ძლიერება, სავსებით დასურათებული!...“

ახლა შეეუწონოთ ამ ორ ტაეპს მთელი პოემა „თამარიანი“, ანუ შავთელის მიერ შესხმითი ქება და რას დავინახავთ? იმას, რომ შავთელმა, რომელსაც საგნად ჰქონდა აღებული თამარ მეფის სიწმიდისა და ძლიერების ხელოვნებით გამოხატვა, შისი მეათასედიც ვერა სქვა რა, რაც ხალხის გენიოსობამ ორი უბრალო სიტყვით გადაჭრა. ამ გვარი სამაგალითო და სამარგალიტო ცველგან არ მოიპოვება და არც ბევრია; რადგანაც ხალხურ ნაწარმოებშიაც მეტ-ნაკლებობა არის ხოლმე. მოვიტანოთ მაგალითი:

„მაყვალს გიგავს თვალებიო,
გოგო გენაცვალებიო!“..

ან და: + ხელსახოცის გაღმოგიგდებ.
ოქრო მკედით მოქარებულსა,
შიგ გაგიხვევ სულს და გულსა
შენთვის დამწვარ დადაგულსა!“
ეს ორივე ლექსი ტრფიალების წარმონაშობის, მაგრამ რა
განსხვავებაა მათ შუა?!.. ავილოთ კიდევ სხვა:

„პატარა ხარ და კარგი ხარ,
გაიზდები, რა იქნები?!..
შენ-ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები“.

მეორე ამგვარივე: „ყმა ბატონისთვის მოკვდება,
ბატონიც მწყალობელია;
ხორცის აუმღერებს პატივით,
სულისაც მგალობელია.“

ახლა კიდევ ამგვარივე, მაგრამ სხვა ხასიათისა:

„აქამდი ჩვენი ბატონი
უწრუწუნებდა ქორებსა,
ახლა-კი მისი შვილები
ჭალას დასდევენ ლორებსა.“

„აზნაური ჭაღს არა ჭამს
მოშივდება, ჭირსაც მომჭამს“.

„გლეხი კაცი იზრდებოდესო,
ვირდებოდესო“ და სხვანი.

ესენი ყველა ხალხის ნაწარმოებია, მაგრამ რა განსხვა-
ვება არის იმ პირველ ორსა და სხვებს შუა?! ერთი გვიხა-
ტავს მრავალ საუკუნოების განმავლობაში. ბატონ-ყმურ კე-
თილ დამოკიდებულებას და შეორე-კი ხალხის ზნეობით და-
ცემის დროს და სხვა-და-სხვა წოდებათა ერთმანეთთან გადა-

კიდებას. უმნიშვნელო არც ერთი არ არის, თუმცა პირველს-კი საისტორიო, საერო მნიშვნელობა აქვს და მეორე მხო-ლოდ კერძოობითია, ადგილობრივი და დიდხანსაც უერ და-ისადგურებს ხალხის გრძნობა-გლობაში. მაგრამ მაინც ყველა უმეტნაკლებოდ უნდა ჩაიწეროს და გამოიგზანოს რედაქცია-ში. ამიტომაც მივმართავთ ყველას, ვისაც შეუძლია და-ხმარება, განსაკუთრებით სოფლელ ახალგაზღიობას, რომ მხარი მოგვცენ ამ დიდათ საჭირო საქმეში. იმათ უნდა აი-ღონ თავიანთი სოფლები და აგვიწერონ ამ გვარად: რა გვა-რის კაცები ცხოვრობენ იქ და ან რა თქმულებაა დარჩენილი მათში იმათ ძველებზე? დაგვისახელონ, რა და რა ფრინველე-ბი, შინაურ და გარეული ცხოველები შენობენ იქ? რა და რა მცენარე-ბალახები იზრდებიან და რა თვისებისა არიან ზო-გიერთი მათგანი? რომელი მათგანი გამოდგება სალებავად? საწამლავად? სამკურნალოდ? რამდენი ნანგრევი ციხე-კოშკ-დარბაზებ-ტაძრებია და რა არის მათზე თქმულება? რა და რა მღინარენი ჩამოლიან? რა თევზებია შიგ? ტბები თუ აქვს? წყაროები? ლელეები და სხვანი. შეკრიბონ აქვე ზეპირ-გადმონაცემებიც. ყოველ გვარი: ზღაპრები, შაირები, ლექსები, ანდაზები, ზმები და სხვანი. გვარში თუ რამე გუ-ჯრებია. აგრეთვე ყოველი სიტყვა, რომელიც ეუცხოვოსთ, ჩაწერონ და მისი მნიშვნელობა გამოჰკითხონ ხალხს. შემკრებელმა, რასაკვირველია, უნდა უმეტ-ნაკლებოთ ჩაწე-როს, როგორც გაიგონოს, ე. ი. ფონგრაფიულათ. დაქს-წროს ხოლმე სოფლის ჭირში და ლხინში, რომ მათი ზნე და ხასიათი შეისწავლოს და აგვიწეროს. ერთს სოფელს რომ მორჩება, მერე მეორეში გადავიდეს და ამ გვარათ მოიაროს ერთი-მეორეზე მისი მაზრა, ან ხეობა. ეს ძალიან ადვი-ლი საქმეა და ამას არც ძალიან ბევრი დრო მოუნდება. ამ საქმეს მხოლოდ გულ დადება უნდა და მცირეოდენი ბეჯი-თობა, რომ თავის საკუთარი, ფანტაზია არ წაამატოს. შემ-კრებელმა, ამ ოცი-ოც-და-ათი-წლის წინეთ მე თვითონ ჭავდიოდი სოფლი-სოფლათ და იმდენი რამ შესანიშნავი

ვნახე და გავიგონე, რომ სწორეთ გასაკვირველია. ბევრი მათგანი ერთი შეხედულობით უმნიშვნელო და სულელური რამ ჰქონია კაცს, მაგრამ ბოლოს, რომ დაუკვირდება, მიხვდება; თუ რა გონივრული არიან ისინი. ავიღოთ მაგალითად შემდეგი: სვანეთში მოსახლეები კოშკებში დგანან და თითო სახლში ხშირად მთელი გვარეულობა არის მოთავსებული. ასე რომ, რუმცა ერთი კაცის ჩამაშავალნი არიან, მაგრამ მათში თითქმის ნათესაობაც აღარ არის. ერთი დედმამის შეიღო ერთმანეთში ძმებათ იწოდებიან და სხვებთან კი ქმანებათ. აი, საიდან წამოშდგარა მრავლობითი რიცხვის კიდევ განმეორებული მრავლობითი რიცხვი!.. რასაკვირველია, ამ ძმებსა და ძმანებს ისე სწამთ ერთმანეთში ნათესაობა, რომ მისი გატეხა მომაკვლინებელ ცოდვათ მიაჩნიათ. ეს შემიკვირდა. ერთმა უბრალო შემთხვევამ ყოლიფერი ამიხსნა. ერთ სერზე რომ გადავდიოდი, ჩემმა მხლებელმა სვანმა მონადა ქუდი და სთქვა: „ლმერთო შეუნდეო!“.. და მიათითა ერთ პატარა ჩავარდნილ ადგილს, ტახტის მგზავს. რომ გამოყკითხე, აი, რა მიამბო: — ეს სერი ყოფს საბატონო და თავისუფალ სვანეთს; აქედან ორივე კარგათ მოჩანს. ერთ დილას ამოსულიყო საბატონოდან გოგო, გადაეხედა და ეთქვა: „რა კარგი რამ არის ეს თავისუფალი სვანეთიო!“.. იმ დროსვე მეორე შხრიდან ვაჟი გადმოსულიყო, გადაეხედა და ეთქვა: „რა კარგია საბატონო სვანეთიო!“.. ორივეს გრძნობა მორეოდა. მერე დაენახათ ერთმანეთი გრძნობა-მორეულზე, შეყვარებოდათ, ცოლ-ქრმობის პირობა დაედვათ და შემცდარი ყვენ, მაგრამ მაშინვე დედა-მიწა გასკლომოდათ და შიგ ჩავარდნილიყვენ; — აი, ბატონო, ხომ ხედავთ ტახტივით რომ მოჩანს და ზედაც დიდი სასაფლავიაო?.. თურმე, ნუ ბრძანებო, ერთი მათგანი ტყვეთ ყოფილიყო ჭამოყვანილი, ძმა ყოფილიყო ამ გოგოსი და კი არავინ იცოდავო. ისე სვანი ვერ აუვლის გვერდს ამ ადგილს, რომ შენდობა არ გამოითხოვოს იმ შემცდარებისათვისო. ამ გვარი რამ თვით ხალხის გულიდან ამონალები დიდი ძალა და კანონია იმავე ხახლისა.

თვის. აფხაზეთში ერთს ნამოსახლზე ვინც გაივლის, დიდი
და პატარა ყველა ფიჩხს დააგდებს და, როდესაც შეგ-
როვდება, მერე წაუკიდებენ ცეცხლს დასწვენ ხოლმე. ეს
ჩვეულება ჯერეცა კიდევ არ გადავარდნილა. ამბობენ, აქ
ერთი მოსახლე იყო, რომელმაც ზამთარში გაყინული მგზავ-
რი შინ არ შეუშვა; სტუმრობის გატეხისათვის ასე უნდა იყოს
ხოლმე შეჩვენებული, რომ საიქიოს ცეცხლი არ გამოელიო-
სო. ამ გვარი რამეები თავისთავათ საგულისხმო არიან და
ახსნა აღარ ეჭირვებათ. საკვირველი ქს არის, რომ ჩვენში
ყველგან ამაო რწმუნებასაც გონივრული საფუძველი აქვს და
არა ისე ტუტუცური, როგორც ზოგიერთ ხალში. ესეები
ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის
ფასს და ჩვენ თავსაც გავიცნობთ; მაშინ ნამდვილად გვექნება გა-
თვალისწინებული საქართველო ყოველი მხრით: გეოგრაფიუ-
ლად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად, არხეოლოგიურად
და სხვანი. მაშინ ლექსიკონების შედგენაც აღვილი იქნე-
ბა, როგორც საზოგადოსი ისე კერძოთ ზოოლოგიურის, ბო-
ტანიკურის მინერალოგიურის და სხვანი. სხვა ქვეყნებში
დიდი ძალი თანხაა საკუთრად ამ ზეპირ-სიტყვაობისათვის გა-
დადებული და ჩვენშიაც უსასყიდლოდ ძნელი იქნება სავსე-
ბით საქმის წაყვანა, მაგრამ ჯერ, რაღაც საკუთარი შეძ-
ლება ნებას არ გვაძლევს, რომ ქირით ბევრი ვიყოლიოთ,
ოთხის მეტი არა გვყავს საკუთარი მკვლევარი და ზეპირ-გად-
მონაცემების ჩამწერი. შემდეგში-კი, თუ საქმე კარგათ წავი-
და და საშუალება გვექნება, რასაკვირველია, ყოველ მაზრა-
ში გვეყოლება თითო კაცი: ახლა-კი, ჯერ-ჯერობით ყველას
ვთხოვთ, რომ ვინც რითაც შეიძლოს, ამ დიდ საქმეში დახ-
მარებას და შემწეობას ნუ მოგვაკლებს.

სოფ. ხიჭაბავრა.*)

(ახალქალაქის მაზრა).

ხიზაბავრა ჯავახეთშია და ეკუთვნის ვარევანის საზოგადოებას; ის ისაზღვრება აღმ. სოფ. ვარგავით, დას. მდ. შტკვარით და სამხ. სოფ. საროთი.

მთელი ეს მიღამო (სოფელ გარეშე ადგილებიანათ) აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ 5—6 ვერსი იქნება, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთისკენ-კი 12—15 ვერსი. ადგილები უმეტეს ნაწილათ სახნავ-სათესი და ყიშლებია (საძოვარი); შემდეგ კარგა ბლომა ადგილი ხარძნარს (ლოდნარს) და ტყეებს უჭირავს და მცირე-კი ღრანტე-ღელეებსა.

ხიზაბავრა გაშენებულია მაღლობზე და შევნიერათ გადაცემის წინ (სამხ. და დას.) ვაკე მინდვრებსა; უკანიდან-კი (ჩრდ. და აღმ.) მოდგმული აქვს ჩირგვნარი და ლოდნარი მთა-გორაკები. ჩრდილოეთის მხარეს ჰქვია „საბურთალა“¹⁾ ანუ „ბეჭვას მინდვრები“²⁾, ხოლო აღმოსავლეთისას — „წვერი“. ³⁾ უკანასკნელი ტყითაა მოცული, ხოლო პირველი-კი ლოდნარია. ორივეს თავებზე მინდვრები ეშლება; პირველის მინდორი დასაწყისია ჯავახეთის თვალ უწვდენელი ტიალ-შინდვრებისა. ზღმოსავლეთით ერთ-ერთი კუნძული გორაკისა უღელ-ტეხილდება (დაბლდება), საიდანაც მუდამ-ნიადაგ ჯავახეთის ქარი ჰქინის, რის გამო შაირათაც თქმულა:

*) ამ წერილის გეგმა დაახლოვებით აკმაყოფილებს ჩვენს პროგრამ-მას და სამინუშოდაც შეიძლება მივიღოთ. რედ.

¹⁾ საბურთალა უწინ საბურთაოთ ყოფილა.

²⁾ ბეჭვა კარგი, თავ-მომწონე მონაცირე თავადიშვილი ყოფილა ძველათ.

³⁾ წვერი აქ ყველაზე მაღალი სერია.

„ხიზაბავრა ქარიანო,
წინ მინდორო, უკან ტყეო!“

ან კიდევ:

„ხიზაბავრა ქარიანი,
დარნები აქვს ქარიანი,
წინ მინდორი და უკან ტყე,
ლვინო იცის გვარიანი.“

ეს მუდმივი ქარი, თუმცა ზიანს არ აძლევს მცხოვრებ-ლებს, მაგრამ ისეც ცივს ზამთარს-კი ერთიან ასუსხიანებს. ზაფხულში-კი სამაგიეროთ გახურებულს ჰაერს აგრილებს დთ ყანის მუშებს დიდს ხიამოვნებას აგრძნობინებს. საზოგადოა ხიზაბავრა. წარმოადგენს მთას და ამის მიხედვით, როგორც სხვა მთა ადგილებში, ჰავა აქაც ცივი უნდა იყოს; მაგრამ, რადგანაც აქაური მდებარეობა ოლრო-ჩოლროა: ზოგან ვაკე, ზოგან მაღლობი, ზოგან-კი ერთ-ბაშათ ჩავარდნილი, ამისთვის ჰავაც სხვა და სხვა ნაირია. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ „წვერზე“, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით ძევს სამიოდე ვერსის სიშორეზე და ვერს-ნახევრით უმაღლესია, ზაფხულობით ისე ცივა ხოლმე, რომ ბოსტნეული და ზოგ-ზოგი ხეხილები ვერ ხეირობს; შიგ სოფელში-კი, დასავლეთის მხარეზე, იმდენათ გრილა რომ ყურძენი, მსხალი, ვაშლი და სხვა, თუმცა ნაყოფს იღებენ, მაგრამ დამწიფებას-კი ვერ ასწრობენ; შემოდგომის ნაადრევი მწარე სიცივები ნაყოფს შრეტს და აჭკნობს. ხიზაბავრის ვენახებში-კი, რომლებიც სოფელზე, დასავლეთით 2—3 ვერსზე, ერთი ვერსით უდაბლეს, ჩავარდნელ ხეობაშია გაშენებული, მტკვრის პირათ, საშინლათ ცხელა და აქ ბევრნაირი ხეხილიცა ხარჯბს. საზოგადოთ ხიზაბავრის ჰავა ზომიერია და ამასთანავე ხმელი და სალი.

აქაური წყალი მეტათ საამო სასმელია; ზევრი შაოგანი სამკურნალო თვისებისაც არის, მაგ. ვარანტის აბანო მუნსა რგებს. აქ წყალი მწვანეა და მეტათ ცივი. ამ შიდაშოში, რადგან ეს ტყიან მთას წარმოადგენს, მრავალი ცივი წყაროებიცა. მათ შორის შესანიშნავია: წვერის წყარო (მთაზე), მაღლი-

რიის წყარო (ტყეშია), ობილეთის წყარო (ტყეშია), კლდე-
კარის წყარო (ტყეში და ხევშია), კოდის წყარო (ტიალ ხევ-
შია), ხიზის წყარო (ხევშია), სასოფლო ჭალის წყარო (ჭა-
ლაშია), აბაზა წყარო (მთაზეა), ხიზაბავრის წყარო (სოფელშია).

ეს ცივი და მარჯი წყაროები უხვათ რწყავენ და ბა-
ნენ ადგილობრივ მთის და ბარის ძვირფას მცენარეობას,
ასაზრდოებენ და ახარებენ ჭალას და ბალ-ვენახებს, წყურ-
ვილს უკლავენ და აკოცხლებენ ადგილობრივ მობინადრე
სულიერთა; ეგუნივე გამხდარან ბუნებრივ საუკეთესო მკურ-
ნალად და უდგიან წინ ყველა იმ კაცობრიობის ჩვეულ ჭირ-
სნებას და სატკივრებს, რომლებიც წამხდარი ჰავა-წყლის შემ-
წეობით ჩნდებიან, როგორც, მაგალითად, ციებ-ცხელება,
მუცლის და კუჭის ტკივილი და სხვა. ასეთი ჰავისა და წყლის
ზეგავლენით აისხება ხიზაბავრელების ჯანმთელობა და ხან-
გრძლივი სიცოცხლე. აქ 80—100 წლამდე სიცოცხლე ჩვეუ-
ლებრივ მოვლენას შეადგენს. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ
ხიზაბავრელები უწმინდურათ ცხოვრებას არიან დაჩვეული,
რის გამო საოფლე ხშირათ მძვინვარებს აქ და ბევრსაც უს-
პობს ხოლმე სიცოცხლეს. ეს ნაკლი რომ არ ჰქონოდათ ხი-
ზაბავრელებს, ისინი გაცილებით მეტს იცოცხლებდენ, ვიღრე
ახლა ცოცხლობენ.

ხიზაბავრაში ცხოვრებს 160 მოსახლე ქართველი კათოლი-
კე¹⁾ და ერთი მოსახლე მართლ-მაღიდებელი ქართველი—სულ

1) კათოლიკობა არის ქრისტეს სჯულის ცოტა სხვა ნაირათ, ვირდე
მართლ-მაღიდებლობა, აღმსარებელი სარწმუნოება, რომლის უზენაესი წარ-
მომადგენელი იმყოფება იტალიის ქალაქ რომში და იწოდება პაპად. კა-
თოლიკის სარწმუნოების შეიძლება იყოს ყოველი ტომის კაცი, მაგალითად,
ქართველი, სომეხი, რუსი და სხვა, მაგრამ ამით ისინი თავის გვარ-ტომო-
ბას არ ჰქონენ და ისევ ქართველებათ, სომხებათ, და რუსებათ რჩებიან.
კათოლიკის სარწმუნოებისა ზოგიერთ ადგილას, მომეტებულათ ახალ ციხის
მხარეში, ქართველებიც არიან და ჩვენში ფრანგებათ იწოდებიან. ჩვედა სა-
მწუხაროთ, ბევრი იმათგანი სხვა და სხვა მიზეზების მეოხებით დღეს სომებს
კათოლიკებათ არიან ცნობილი და ტიბიკონიც სომხური აქვთ. ეს არა

800 სულზე შეტი. ესენი ყველა გლეხობაა; ერთი მათგანი — პეტრე ხუციანთი — მემამულეა; მას აქვს მამულები ს. თოკ-ში და ვარდის ციხეში (ნასოფლარია).

ხიზაბავრელების გვარები შემდეგია: გოგალათი, დათათი, მაზმანათი (იგივე შარილათი), ქუჩუკათი, ხუციანთი, ველიჯანათი, ჰისითი, კაკათი (იგივე მამუკათი), ყაჭიათი (იგ. მამუკათი), ტატურათი, ბერნადეთი, კანკრითი, ალოთი, გორელებიანთი, ყრუანთი, კოშორათი, შემაზათი, ფეიქრიანთი, ქურქიანთი (მანანაძე), ღარიბათი, პლაჭიათი, ფირფილათი, ცეცხლათი, ჭონიათი და სხვა. დიდი განმავლობა აქვს ხუციანთ გვარს.²⁾ ამათივე ოჯახი მუდამ ღიაა ყოველ სტუმრისათვის.

უწინ აქ 10—12 კომლამდე ქართველი მაჰმადიანებიც ცხოვრობდენ, მაგრამ, რაღაც ისინი ვერ შეთვისდენ მე-

სასურველი მოვლენა მიეწერება სომხ კათოლიკეთა პატრების თავდადებულ მეცადინებას და ჩვენს უდარდელობა-დაუდევრობას!..

ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ დროიდან შემოვიდა და გავრცელდა ჩვენში კათოლიკობა, ჯერ საქსებათ არაა გამოკვლეული. ეს-კი ნამდვილათ ვიცით, რომ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან შემოღიან ჩვენში კათოლიკეთა პატრები და ახალ-ციხე-ახალ-ქალაქის მხარეში ავრცელებდნ კათოლიკეს სარწმუნოებას. იმათ მოქმედებას ხელს უწყობდა ოსმალოს ბატონობა იმ დროს დასახელებულ მხარეში. ოსმალები (თათრები) აიძულებდენ ხოლმე მკვიდრთ ქრისტეს სარწმუნოების უარის ყოფას და გამაჰმადიანებას. ბევრი დახოცეს ბარბაროსებმა და ბევრიც გაამაჰმადიანეს!. მხოლოთ დევნიულთა ერთმა ნაწილმა გადაირჩინა თავი ამოულეტისა და გამაჰმადიანებისგანაც მით, რომ მიიღო კათოლიკობა ანუ ფრანგობა. ამ უკანასკნელთ ვეღარ დევნიდენ ოსმალები, რაღაც ხვანთქარსა და პაპის შორის ხელშეკრულობა იყო დადებული ამ საქმის თაობაზე. რედ.

2) ხუციანთ გვარში ბევრი მღვდლები გამოსულან. მათ შორის შესანიშნავი იყვენ: მდვდ. ანტონ და იოსებ. ორივე მწიგნობარი იყვენ. იოსები შედ მეტი ვინმეც გახლდათ. ის იყო ქართველების ჰუცენბერგი, რომელმაც ამ 40—50 წლის წინეთ ხეზე ამოსჭრა ქართული ანბანი და თავის ნაწერებს და ლოცვებს უწყო ბეჭდვა. მეტად შესანიშნავი ნაბეჭდია: რა გინდა თვალზაკლული და ბეცი ადამიანი იყოს, იმ ნაბეჭდს უსათვალოთაც წაიკითხავს (დიღრონათ და მსხვილათა ნაბეჭდი). სტამბა სახლში ჰქონდა და ჩუმათ სტამბავდა. გაუგო ეს მთავრობამ და ჩამოართვა. ის გარდაიცვლა ახალციხეში ღრმად მოხუცებულებაში ამ 5—6 წლის წინეთ.

ზობელ ქრისტიანებთან, ამიტომ გადასახლდენ საკვირიკო (ეს მთა მდებარეობს მტკვრის პირათ, სოფლის დასავლეთით 2—3 ვერსის მანძილზე) მთის გადაღმა კალთებში. ამ ახალ დასახლებულ ადგილს „ახალი სოფელი“ დაერქვა.

ხიზაბავრაში ხალხი მეტად ზორბაა, ძვალ მსხვილი, კან-ხრე-ში და შავგვრემანი. ამათ ცხადათ უტყობათ, რომ დიდ შეწუ-ხებაში უნდა იყვენ ცხოვრებაში და ყოველნაირ გაჭირვებას სულგრძელებით უნდა ითმენდენ. აქაურები არიან კეთილი და დინჯ-დარბაისელნი: საქმის კეთება არ ეჩქარებათ, ავ-კა-ცობა სძულთ; ქურდობა ნაკლებია, კაცის კვლა ხომ აქეთ ძალიან იშვიათი და შემაძრწუნებელი მაგალითია. ხიზაბავრე-ლის ფიცი არის „პური მაღლმა“, ხოლო წყევლა „მეხი-კი დაგაყარე თავჩი!“.

აქაურების ცხოვრება ერთნაირია: არ აქვს, ცოტას კმა-რობს, აქვს და, მეტსაც არ ხარჯავს. მიზეზიც არის, რომ ვალი და ვახში ხიზაბავრაში მეტად ნაკლებია და არა ისე გავრცე-ლებული, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. ხიზაბავ-რელები, ნამეტურ ახალგაზდობა, მღვდლების და უფროსების, მოხუცებულების, მორჩილობაში არიან, მათ გადაუვალს არ იზმენ.

ხიზაბავრელი შამა-კაცი ტანზედ იცვამს მოკლე ნაოჭე-ბიან ჩოხას მოკლე ახალუხზე; განიერი შარვალი ჩაკალთიე-ბული აქვს წინდა-პაიჭებში, წელზე არტყია შალის სქელი სა-რტყელი ან დაფულული (ფაცები დავებული აქვსთ) ყაიში (ქამარი); ავდარში ჩოხაზე რუსთველისებურს საწვიმარს ისხ-მენ, ზამთარში-კი თბილ ქურქს. თავზედ ხურავთ დიდი ბო-ბოლა (მთელი ცხვრის ტყავისა) ქუდი წითელ, თათრულ ფე-რზე. თავი სულ შემოპარსული აქვთ, გარდა საქოჩირისა; სა-ქაჩრეზე გძელი თმა აქეთ გადმოშლილი გაპარსულ, შიშველა თავზე; წვერს სულ იპარსავენ, ხოლო იშვიათად ზოგი მოხუცი უშვებს ხოლმე.

აქაური მანდილოსნები ჩარჩის (ამერიკა) პერანგზე და მის ამხანაგზე იცმენ ალბეზის, წინ კალთა გაჭრილს, კაბას,

რომლის წევრებს უკან წელზე იყალთიებენ და წინ უკალთო ადგილს შალის ფეშტამალით ისაფარებენ. პერანგის ამხანაგის მუხლები წითელი შალით შემოკერილია, რომლის ტოტებს ჭრელი ბალები ავლია და ლამაზათაც უშვენებს ხიზაბავრელ ქალს შიშველა ფეხებს (აქ იშვიათია, რომ ფეხსაცმელი ეცვათ ქალებს). თავზე იხურავენ თათრულ იაზმას (შავი თუ ჭრელი ლეჩაქია) და ლეჩაქს; კაბების სახელოებზე ვერცხლის ფულები აქვთ შემოყოლებული, რასაც სიარულის დროს ჩხარა-ჩხური გაუდის. ხიზაბავრელი ქალი თმას მრავალ ნაწილებათ იკეთებს და სხვა-და-სხვა ნაირ მძივებით და ლოკოკინის მგზავრი ძვლებით ირთავს. მეტათ საკვირველია აქაური მელოგინე ქალის საქციელი: 5-6 ღლებზე ადგება, ფეხ-შიშველა, ზურგზე კოკებ მოკიდული, მწარე თოვლიან ზამთარში, წყალზე მიღის წყლის მოსატანათ და არ ცივდება, ავად არ ხდება!.. ხიზაბავრელები ლაპარაკობენ წმინდა ქართულს მთიული კილოთი. სწავლა განათლებას ისინი კარგი თვალით არ უყურებენ და მოკლებულიც არიან მას. აქ ერთ კლასიანი სასოფლო (სამი-ნისტრო) სასწავლებელია, რომელიც მღ. ი. გვარამაძემ აუშენა და დაუარსა მათ 1880 წ.

ხიზაბავრა საბატონოა. აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სახაზინო ადგილებიც არის. ხიზაბავრელები თავის ბატონს (ფეიზიულ ბეგ ათაბაგს, ახალ-ციხის მცხოვრებს) აძლევენ ლალას: სახნავ-სათესიდან ბურსა და ქერს 4-5 კოდზე ერთს; საქონელზე: თხა-ცხვარზე 1-2 კაპ. ახდევინებენ სულზე, ხოლო მსხვილ საქონელზე-კი (ხარ-კამეჩზედ)—თითო აბაზამდე წელიწადში. ბალ-ვენახებზედაც ფულათ ახდევინებენ. ლალას ჰკრეფენ შუბახები (მოურავები), რომლებიც ღიღს და განუზომელ შეწუხებას აყენებენ ხოლმე მკვიდრთ.

ნიადაგი ხიზაბავრაში ნოყიერია; მიწა თვისებით ყამირი და ფხვიერია: ზოგან შავი ფერისაა ზოგან გრიჭა (თერთი მიწაა), ზოგან თიხა (წითელი მიწა). მიწები, უმეტესათ შავი საგუთნარია. მიწას მოჰყავს პური, ქერი, ღიკა და ჰვავი.

ხიზაბავრელები შისდევენ მეურნეობას: მუშაობენ მიწას, აშენებენ ბაღ-ვენახებს, ამრავლებენ საქონელს (უფრო თხა-ცხვარს), მისდევენ ფუტკრის მოშენებას და ამ ბოლო დროს ფეხზე ვაჭრობასაც მიჰყვეს ხელი. იმათ ნაწარმოებს შეადგენს: პური ქერი, ერბო, ყველი, ხილი, მატყულ-ბალანი, სელის ზე-თი, თაფლი, ლვინო, არაყი და მატყულისაგან ქსოვილი: შალები, ნოხებ-ხალიჩები (ჯეჯიმები), ბალები (არშიები), წინდა-პაჭი-ჭები და საბელები (თოკები). ყოველივე ამას თვითონ ხმარო-ბენ, ხოლო მოჭარბებულს მახლობელ ქალაქებში—ახალ-ქა-ლაქში და ახალციხეში ჰყიდიან.

ხიზაბავრელ მამაკაცებს დედაკაცებიც შველიან ხოლმე შიწის მუშაობაში. ამას გარდა ყოველივე საშინაო საქმე მათ აწევთ თავზე, მაგ. საქონლის წველა, ერბო-ყველის კეთება, პურის ცხობა, ბატკნების და კრავების ძოვება, წყლის ზიდვა 2-3 ვერსის სიშორიდან დიდრონი კოკებით, ჭრა-კერვა, და-ხვეტ-დაწმენდა და სხვა. იმათ ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას ისიც ემატება. ზედ, რომ ქმრები უღიერათ ებყრობიან. ხშირათ იძულებული არიან მოთმინებით აიტანონ იმათგან გვემა-ცემა და ლანძღვა-თრევა. ერთი სიტყვით, ხიზაბავრელი ქალი სრუ-ლი მონაა მამა კაცისა!.. ქმარი ცოლის მბრძანებელია, გო-გოობით იხსენიებს მას; ცოლი-კი ბრძანების ამსრულებელია და ვაჟბატონობით იხსენიებს ქმარს. ასეთი საზღვარი შეულლების დღესვე იდება მათ შორის. აი, ეს ცერემონიაც: სანამ მეფე პატარძალს ჩააბარებდენ ჯვარის დასაწერათ, მეფე ერთი-ორი ნაბიჯის სიშორიდან გაექანება და ფეხზე ფეხს შემოჰკრავს საცოლეს, რაც მომავალი მისი მორჩილება-მონაბის მომასწა-ვებელია. ქალიც ხმას არ იღებს და ამით უცხადებს ასეთ პირო-ბაზე თანხმობს!.. აქაური მანდილოსნები ბევრნაირ გემრიელ და მსუყე საჭმელებს ამზადებენ. დღესასწმულებში და ყანის მუ-შაობის დროს საუკეთესო საჭმელებს ხმარობენ. შესანიშნავია: ერიშტა, პალვა, მოხრაკული ქათამი, რგვლათ შემწვარი, დასა-ციებული, ფლავი, წვნიანი ხორცი, მწვადი, საციო, წვნიანი თევზი, საციო თევზი, ბოზბაში, ნაღები, ფილის პირი (უმი ნა-

ლები), კარაქი და სხვა. უბრალო დროს-კი შემდეგ საჭმელებს ამზადებენ: ხაჭო, ანძლატი, დო, მაწონი, (ესენი სულ რძისაგან მომზადილია), რძიანი კორკოტი, კორკოტის შეჭამანდი, კორკოტის ფლავი, ლობიო შეჭამანდი, ლობიოს მარცვალი, მოშუშული ლობიო, მოშუშული კართოფილი, ერბოში შემწვმრი კართოფილი, დაძმარულ-დაზეთილი და შეზელილი კართოფილი, ფუშრუკი, ფაფა, მაწვნის-შეჭამანდი (ღოღმაჭი) და სხვა.

პურს აცხობენ თორნეში და კეცებზედაც. თორნეში გამონამცვარს ეძახიან „კაკალას“ (რგვალია), „ლოლოს“ (გძელია), „თხელი პური“ ანუ „ლაფათა“. კეცებ გამონამცვარს ჟუნთუშსა“. შესანიშნავი გემოსია კეცებ გამონაცხობი ნამცვარი ქადა, ყათმარი და სხვა.

ხიზაბავრელები ცხოვრობენ ჯგუფათ, როგორც ქალაჭებში; სახლებს იკეთებენ ქვა-ტალახისაგან. თვითონეულ მოსახლეს აქვს სადგომი სახლი, წინ კალო (კალოზე ორმოები აქვს პურის შესანახავათ), კალოსთან სმბზელები ბზისთვის, აქვე საცხვარე და ხალხამი (საქონლისთვის შემოღობილი), აქვე სანახველა (საქონლის განავალის გროვა ყანების სასუქად ინახავენ). სადგომი სახლი 3-4 თვალისაგან შედგება: ერთს ჰქვია „დარბა“, საცა იძინებენ და დგანან, მეორეს „ახორი“, რომელიც დარბისგან ძელებით ან ღობითაა გადამკედლული და შიგ 30-40 სულ საქონელს ინახავენ, მესამეს „სათონე“ სადაც თონეა მოწყობილი, (ბევრჯერ აქვე ფილავენ რძეს), მეოთხეს „ოდა“ (ახვრითურთ) სტუმრის მისაღებათ; აქვთ საკუჭნაოც ხორაგეულობისათვის. ყველა აქ სენებული თვლების კარები ერთ საზოგადო დერეფანში გამოდის და ამის კარიც კარაპანში, რომელიც ბევრი მოსახლის კალოზეა წამოხურული და სადაც სანისებს ინახავენ ხოლმე. დარბას და ოდას აქვს ბუხრები და ზევიდგან ჩამოხვრეტილი ერდოთი (ფანჯარით) ოდნავ ნათლდება; კედლებზე თაროები აქვს, სხვა და სხვა ჭურჭლებით მოპწკარული. ახორის მხრით კედლიდან გაბმულია თოკი ტანისიმოსის გა

დასაკიდათ. აქვე ძირს ერთი ან ორი ხის ჭრელი კიდობანი დგას ახალი ტანისამოსებისა და ძვირფასი ნივთეულობის შესანახავათ. იატაკი (მიწისა) ჯეჯიმებითაა დაფენილი და ზედ ბალიშ-მუთაქები აწყვია.

ხიზაბავრელების საოჯახო ვეჯ-მოწყობილობას შეადგენს: ქვაბი, ტაფა, საინი, ლანგარი, იფრიხი, თუნგი, ტაშტი, მაშრავა, (სპილენძისაა), კუტალი, კოკა ქარსანგი, ტაბაკი, ვარცლი, პინა, ოოდინი (ხისაა), ქოთანი, კოჭობა, დერგი, ჭური, ჯამი, კეცი, ღოჭი, ქიშა (თიხისაა) და სხვა; ყანწი, კათხა (ყველა ესენი ჭურჭლებია), ცხაუი, ქვა-ცხრილი, ცხრილი, (პურის გასაკეთებელი ვეჯებია), საცერი, სამტკიცავი (ქბილისათვის), ნუკი (100 დრამიანი ქვა), ხის სასწორი, კოდი, კოში (პურის საწყავია: კოდი 1 ფუთია, კოში $\frac{1}{8}$ კოდისა); თოფი, ხატევარი, დანა, დამბახა (საომარი იარაღებია); ფუთანი, ჭილლა, ფოცხი, ფარცხი, ორთითი, არნადი, ფიწალი, ხახელური, კეტი, თოხი, ბარი, ნიჩაბი, ყაზმა, ხელებო, ცული, წალდი (ესენი მიწის სამუშაო იარაღებია); ურემი, ღრიკინა, საბარო და სხვა ამათი გაწყობილობა: უღელი; აპეური, ტაბიკი, კოტა, გოდორი, ძარი, კალათი და სხვა.

ხიზაბავრის მიღამოში ხარობს მრავალი მთის და ბარის უძვირფასესი მცენარეობა, ბუდობს მრავალი ცხოველები, ფრინველები, მწერები, ქვემდრომნი და წყალში ბევრნაორი თევზია.

მცენარეები. შინაური: პური, ტოლი, დიკა, ჭვავი, ას-ჭი (ესენი ჭინახულია); წიწმატი, ქინძი, რეჟანი, ხახვი, ბოლოკი, ჭარხალი, მალდანისი, კართოფილი, ლობიო, აყირო (კვახია), ძესტანა (ესეც კვახია); ყურძენი სხვა და სხვა გვარისა: ბუდეშური, თავ-ცეცხლა, თითა, ცხენის, ძუძუ, მელიკულა, ხარისთვალა, კლერტ-მაგარა, არიჭული, ანდრიული, ბეჟანა და საფერავი ანუ საღვინე; ატამი (საპობი, ვაშლატამი და სახრავი), წირანი (წირანი და ყაიხი), შინდი (ჭან-ჭურა შინდი და სხ.), ვაშლი (შაქარ-ვაშლი, ყარაფილა, შალ-

მა და სხ.), კანჭური, ოტური, ქლიავი, თუთა (თეთრი და ხართუთა), ბალი, ალუბალი, ღოღნაშო, კაკალი და სხ.

მინდვრის და ტშის ჟვავილ-მცენარები: ვარდი, იანეგო, შროშანი (სუნოვანი ყვავილებია), აპრაჭიჭა, ღინღილო, ენძელა, სოსანი, ყაყაჩო, ობოლი ყაყაჩო, მთის ყაყაჩო, პეპელა ვარდი, თუთა ვარდი (უსუნო ყვავილებია), გარეული პიტნა, გარეული, ქონდარი, ქარა ძენძა (ესენი სუნოვანი საჭმელი ბალახებია ანუ მხალი); კვაბჩხილა, სუქანა, ღიმი, ფამფარა, ნაკარ-ქათამა, ჭინჭარი, სოკო, ღვალო, ტიტა სვინტრი ანუ სატაცური (ესენი ყველა მხალეულია); იოჯა, მრავალ-ძარღვა, რძიანა (ეს ბალახები ჭრილობისათვის მარგია); ქარცეცხლა (მუწუკისათვის), ჯორის ძუა (ჭლეჭისათვის), ბაბაყველა, აბზინდა (რწყილის გასაწყვეტია), ჩიჩქვის ბალახი (ჩიჩქვის გამწყვეტია), გვირილა, შავთარა, თუხტი ანუ ფოხვერა, ხარი-კუდა, ხარი-ძირა, ქრისტე-სისხლა, ძირ-ტკბილა, ძირმწარა, მოლოქა ანუ კორკოტინა, ღიდ-გულა, ვირისტერფა (ესენი ხველებისათვის); ძალლი-ნიორა, ძალლი-სოკო, მგლის-სოკო, ძალლ-ყურძენა, ობოლი ჭინჭარი, ძალლი რძიანა, ლენცოფა (შხამიანი ბალახებია); ფოთოთი (შავათ საღებავია); ინა, ენდრო (წითელი საღებავია), ქერი ანუ ქვის ხავსი (ყვითელი საღებავია); გორგოშა, გლერძი, ნარი, ეკალი, კურიოსთავი (ესენი ეკლებია); ყავი-კუდა, გუდა-ფშიკა, ოღვალო, ჭაუქა, ჭარელა, უზალეკი, მარანიჭე, ფოლიო, თავ-შალა, სატევარა, კლდედუმა, ჭინგა, ვირი-კბილა, ოქრო-ცოცხა, ცოცხი, ვარდ-კაჭიჭა, ეშმაკის სანთელა (უბრალო ბალახებია.); თხილა, თხიფსელა, ტილიფი, იფნა, ღვია, ნაჟვი, კატარი, ფიჭვი, (ტყის ხეებია); კოჭახური, ასკილი, ლაბა, მოცხარი, უზანი, ჭნავი, ეოღო, მაყვალი, ატოლი, მარწყვი, მამლი-ზფლა, პანტა, სხალ-პანტა, თხილი, კნაპი (ტყის და მინდვრის ხილი).

ვრინველები. შინაური: ქათამი, იხვი, ბატი, ინდო-ური, ტრედი; გარეული: გარ. ჭატი, გარ. იხვი, ტყის ქათამი, მწყერი, მწყერ-ჩიტა, გნოლი, გარიანი, კაკაბი,

ქედანი, გარა ტრედი, ჩხართი, გვრიტი; ბელურა, ლალ-ლა, მთის ჩიტი (ამ ფრინვლების ხორცია ჭამენ); ტოროლა, შაშვი, მერცხალი, შოშია, ბულბული, ვიტავიტა, ჩახხახა, წრიალა, იადონი, ბზე-წვია, ლაჟო, (ეს ფრინვლები მგალობ-ლებია); მანგალა, ბუზი-ყლაპია, ნარის-ჩიტი, კედელ-კედე-ლა, ოფოფი, ხე-კაკუნა ანუ კოდარა, ბუ, ქორი, წერო, ლაკ-ლაკი, ტარბი, ალალი, ყართალი, ყვავი, ჭილ-ყვავი, ყორანი, ორბი, კაჭკაჭი, არწივი (ბევრი ამათგანი მტაცებელი ფრინველებია).

ოთხვეხი ცხოველები. შინაური: ძალლი, კატა, ცხვა-რი, თხა, ჯორი, ხარი, კამეჩი. გარეული: მელა, კურდლელი, მგელი, თხუნელა, კვერნა, წყლის-ძალლი (წავი), ძლარბი, დათვი, შველი (ნუკრი), ყავი, გარეული თაგვი, მინდვრის თაგვი, თრითინა, ლამე-ბუა და სხვა.

მწერები: ბუზი, რწყილი, ფუტკარი, ძალლი, ტყი-პი, ცხვარი-ტყიპი, ცხენი-ბუზი, ობობა, ბალლინჯო, ცხე-ნის ბზიკი, წელიჭია, პური-ცომა, პური-ჭია, ჭრიჭინა, კა-ლია (ფრთიანი და კუტი), პუჭურიკი (ბურნავი), ვაშლი ჭია (იაფისი), ლოკოკინა (იჭმება), თეთრი ლოკოკინა, ყვე-ლი-ბუზი, მარიამ-დედა, ჭიანჭველა, ჭარამი ბუზი, ჭარამი ფუტ-კარი, წურბელა, ლრიანკალი, ჭინჭლა, მორიელი, ბუზალები. **მატლები:** მემცხრი-ძალლი, ჭიანყელა, რცხილი და სხ.

პეპელები: სანთლის პეპელა, წითელი პეპელა, თეთრი პეპელა, ჭრელი პეპელა, შავი პეპელა, ყვითელი პეპელა.

ქეშმძროშნი: ბაყაყი (წყლისა და მინდვრისა), ჯოჯო, ხვლიკი, ანკარა, კიბო, წყლის გველი, მინდვრის გველი.

თევზები: ლურჯა, შავი თევზი, წითელი თევზი, ჭანარი, ციმორა ანუ წვერა, ლორ-თევზა, ნაფოტა, კალმახი, ფიჩ-ხული და სხ.

ხიზაბავრის მიღამოში ბევრი ისტორიულათ შესანიშნავი ადგილებია თავისი სიძველით და ნავერან-ნაოხრებებით; აი ესენი:

დათათ სერი. აქ დარანია, რომელშიაც ორი ოთახი და ერთი საყდარია. საყდარში ტრაპეზთან კედელზე ქვაზე ამოჭრილი

ჯვარი ვნახე, შიგ თაფლის სანთელი იყო ჩაკრული, რომელიც
ხელი შეხებისათანავე დაცუინდა. ეს დარანი ამოაჩინა მღ. ი.
გვარამაძემ 1886 წ.

კოჭიათ ნაფუზარი. აქ გოგოლათ სახლში მიწის თხრის
დროს ამოჩნდა დიდი ლოდი; ზედ ბევრნაირი ხელოვნური
ფიგურებია ამოჭრილი; როგორც ეტყობა საკერპო უნდა
ყოფილიყოს. გადმოხატული აქვს მღ. ი. გვარამაძეს.

ღიტოს კაკლები. აქ ორი ძალიან დიდი კაკლის ხე და სამი
ძალიან მაღალი ჭანდარია. აქვეა შვენიერი ქვის ეკულესია,
რომლის ეზოში ქვაზე ლურსმური წარწერაა. წარწერა გად-
მოღებული აქვს მღ. გ-ძეს. ეს ადგილი ინახულა გენერალ-
მა კამაროვმა 1882 წ. და წარწერაც გადმოხატა.

იმურიდათ ნაჟხვები. აქედან იწყება მთელი მიღამოს დარ-
ნების კარები.

ძამის ჩვა. აქ დიდი ლოდი აგდია, ზედ-ადამიანის ხელი,
თითო, თავის და მხრის მინაწოლი ეტყობა. ამბობენ, უწინ-
დელს გმირ ადაშიანს დაუჩნევია; ყველა ესენი შიგ სოფელ-
ში არის.

საბუზარა. სოფლიდან აღ. 1¹/₂, ვერსზეა. მაღალი სერია;
აქ საკერპოების და ნასაფლავების კვალი ეტყობა.

ოდისები (სოფ. აღმ. ერთ ვერსზე). ნასოფლარია.

ჭითელი კლდე. (სოფ. აღმ.) ნასოფლარია, აქვე აბაზა
წყაროა.

გარანტის აბანო (სოფ. აღ.-სამ. 1¹/₂ ვერსზე). ნასოფლარია.
აქვეა მუნის აბანო.

წერა-კუნტა (სოფ. აღმ. 3—4 ვერსზე). ნასოფლარია
შალლობზე. აქ საკერპოებია.

წერი. ნასოფლარია. აქ წყაროა ძალიან ცივი.

დედოფლეთი. (აღ.-ჩრდ.) ტყეში ნასოფლარია; აქვე წყა-
როა.

აბოლეთი. (აღ.-ჩრდ. 3 ვ.) ტყეში საყდარია ხუცური წარ-
წერით. ნასოფლარია; შვენიერი წყაროუა.

ჭაიტის ტე (აღ.-ჩრდ. 15 ვ.) აქ შვენიერი და დიდი

ეკკლესიაა ხუცური წარწერით. ტაღმოხატული აქვს მღვ. ა. გ—ძეს.

სიზა. (დას—ჩრდ. 4 ვ.) აქ ბევრი დარანებია; არის საყ-დარიც. ნასოფლარია, აქვე წყაროა.

სამეინგართ. (დას—ჩრდ. 5 ვ.) აქ ხარძლებში დარანია და შიგ ზაფხულობით ყინულია.

ჩიხორიში. (დას—ჩრდ. 6 ვერ.) ხევში, მტკვრის პირად, საყდარია.

ძაღლის სარჩობელა (1¹/₂ ვ. დას.). ლრანტე ხევია. ძაღლების სარჩობლათ ხმარობენ. აქ მაღაროა (გამოქვაბული), რომელშიაც უნახვათ ძველი გუთანი.

გურისხავი (დას. 4 ვერ.) მტკვრის პირათ, ნასოფლარია.

შეპირ გადმოყენები

(ხუციანთ პეტრეს ნამბობი)

გოგალათ გვარში (ხიზაბავრელია) წინ დროებში ერთი ძალიან ზორბა და გმირი კაცი გამოსულა; ძალ-ლონესთან ერთად თურმე იარაღის ხმარებაც სანაქებო იცოდა. როდე-საც მტერმა (ლეკმა) შეაწუხა. ხიზაბავრელები, მაშინ ისინი დარნებში იფარავდენ თავს; სხვათა შორის გოგალაათ გმი-რიც დაძვრებოდა დარნებში და იქიდან ძალიან მეღვრათ. ხო-ცავდა თურმე მტრებსა.

ერხელ ამ გმირჭა ფამოხვრიტა დარანი, თოფს გამოაყო-ფინა პირი და გამლელი მტერი აღირ გაუშვა, სულ უველა გასწყვიტა თურმე. მტრებმა მოინდომეს უჩინარი გმირის მი-კვლოვა და ხელში ჩაგდება, მაგრამ საიდან მოახერხებდენ ამას მიწაში? ნახუს დათათ გვარის კაცი და დიდ სიმდიდრეს დაპირდენ, თუ-კი იმ გმირს ჩაუგდებდა ხელში მათ დათათ კაცმა მოინდომა ლალატი და კიდევ შეასრულა!..

მტრები როცა ჰკლავდენ გმირს, მან ნება გამოითხოვა უკა-ნასკნელი. ლოცვისათვის; მივიდა იქ, საიდანაც მტერს ხოცდა

დარჩის ნაჭვრეტიდან, აღაპყრო მაღლა ხელები, დაიჩოქა და
დაიწყო:—მაღლა ღმერთო, დაბლა ჯინჭველნო, იცოდეთ,
ჩემი სისხლი დათათ გვარმა იდო თავს და ღმერთმა ჰკითხოსო!..

შემდეგ სიკვდილისა ნახეს, რომ შავი ბალნით შემოსი-
ლი ტანი ოქროს ფერ ბალნათ გადაქცეულიყო და მის სი-
შვენიერებს და სილამაზეს ზომა არა ჰქონდა, სანახავათ მაღ-
ლი იყო თურმე. აკვირვებდა ეს სასწაული ყველას. ჯარის
უფროსებმა რომ ნახეს ასეთი საკვირველება, გაუჯავრდენ
ჯალათებს, თუ რისთვის დაიღვეს ამისთანა კაცის სისხლი.

ლექები როდესაც ეცემოდენ ხოლმე ხიზაბავრასა, ხალ-
ხი დარჩებში იხიზნებოდა ყოველივე თავის სარჩოზი, ამი-
ტომაც მტრები ვერაფერს აკლებდენ. ერთხელ ვინც ლა
ხიზაბავრელს მტკვარში, რომელიც აქედან ვ ვერსზეა,
თევზი დაეჭირა და ისევ თავისი გზით (დარანში) გა-
მობრუნებულიყო და წამოედო. გზაში დაპყროდა და ხი-
ზაბავრის წყაროზე ჩუმათ გამოეტანა დასარეცხათ, თან
ცხელი პურიც ჰქონებოდა. ამ ღროს, ვიღსიც ფეხის ხმა
გაეგონა და საჩქაროთ დარანში შემძერალიყო, ის თევზი და
პური-კი იქვე დარჩენოდა. მტერმა ნახა ესა და გაუკვირდა: ამ
მიწაში საღლა შოულობენ თევზსა და ეს ცხელი პური საღლა
უცხვიათო, — თქვა თავისთვის და მოსულ გზას დაადგა, — ამათ
ვერაფერს გამოვრჩებითო.

ჯავახეთში მთავრათ იყო აჭარელი ბაშ-ალა, რომელიც
„ხერთვისში“¹⁾ იჯდა. ეს კაცი დიდი უსინდისო ყოფილა. და-
რიგებული ჰყავდა თურმე თავისი კაცები, შემდეგ ნაირათ: საღმე
რომ წავიდოდა სოფლებში, მისი კაცები ეტყოდენ რომ შენი ცხე
ნი ქერს არა ჭამსო. მთავარი იხუებდა აშას თურმე და უბრძანებდა,
რომ სახლის პატრონს, ვისთანაც ჩამომხტარი იყვენ, გადაახდე-

¹⁾ ხერთვისი სოფლებია შტკვრის ხეზაში; იქ მტკვარს თაფარავნის წყალი ერთვის და „ხერთვისი“-ც იქიდან დარქმევია..

ვინეთ ჯარიმა, რადგანაც იმისი მიზეზია ესო. მაშინათვე მხეცებსავით მისცვინდებოდენ საწყალ სახლის პატრონს და, მადლობის მაგიერ პატივის ცემისათვის, ფულს ახდევინებდენ. ერთხელ თურმე ასე მოიქცა ბაშ-აღა ხიზაბავრელი გოგალაათ გმირის სახლში. გმირმა მასპინძელმა ვერ მოითმინა ასეთი უსინდისო საქციელი მთავრისა, აიღო დიდი კეტი, მოურთო მთავარს და მის კაცებს, რომელნიც რიცხვით ოცდა ათი იყვენ, და თავ-პირ დანტვრეული გაირეკა ყველა და გამოუდგა თვითონაც: — აი-თქვე ასეთ ისეთებოო, პატივის ცემამ გაწყინათ, რომ ფულ, საც მახდვინებთო! .. აღარ გაბედოთ აქეთ მოსვლა, თორებ ან მე და ან თქვენო! .. მართლაც ამის შემდეგ ბაშ-აღა ში-შით და სირცხვილით აღარ მიჰკარებია ხიზაბავრას მთელს თავის სიცოცხლეში.

ხელმწიფის ქალი ბედნიერია.

(ზღაპარი).

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე; აშას აუარებელი სიმღიღრე ჰქონდა და შვენიერი ქალიშვილიცა ჰყავდა. ქალიშვილის შვენიერება მთელ დედა-მიწის ზურგზე გავარდა და ამისათვის მრავალი უცხო, შორეული ხელმწიფის შვილები მიღიოდენ ამ ქალის სათხოვნელათ. ხელმწიფემ კი არ მისცა, არ მისცა თავისი ქალი არავის! .. მაგრამ, ბოლოს მაინც შვიდ სახელმწიფოს იქით გადაკარგულ ხელმწიფის შვილს მისცა და თანაც აუარებელი ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი გაატანა მზითვათ. ერთ ზამთრის მწარე, სუსხიან დღეში გაეგზავრენ ძვირფასი ეტლით თავის სასახლეში ეს ახალი დიდებული მეფე-დედოფალი; გზა შორი იყო: შვიდი სახელმწიფო უნდა გაეარათ, რომ მისულიყვენ სახლში.

გაიარა შვიდმა კვირამ მაგრამ გზის დალევას მაინც არა-ვერი ეღირსა; რამდენ მეტს გზას გადიოდენ, იმდენათ სიცი-ვები უმწვავდებოდათ. ერთ ბნელს დამეს მიაღვენ დიდ ტიალ უდაბნოს და უტყულათ საშინელი ქარ-ბუქი. ცხენებს გზა აე-

რით და, ქარ-ბუქისაგან სულ-შეკრულნი, ერთ დიდ ღელე-
ში ჩაცვინდენ მგზავრებიან ეტლიანათ

ნახეთ ღვთის განგება!.. დედოფალი, ეტლ ქვეშ ქოხსავით
გაკეთებულ თაღში, უვნებელათ გადარჩენილიყო დახმბას და
უბედური, გულ-შეწუხებული, შიშისაგან თავ-ზარ დაცემული
ძლივსლა ფეთქავდა... მეორე ღლეს რაც სასწაული მოხდა:
უდაბნოში ერთად ერთი მცხოვრები—ჩობანი, რომელსაც ლმე-
რთის და თავის ცხვრის ფარის მეტი არავინ ჰყავდა, მივიღა
იმ ადგილს დაკარგული ცხვრის საძებნელათ და თოვლის
უფსკრულიდან ცოცხალ-მკვდარი დედოფალი ამოიყვანა. გა-
უკვირდა ჩობანს და თანაც შეწუხდა, რომ იქ ხუთი ექვსი კაცი
და ცხენები დამხჩვალი ეყარენ. წაიყვანა ეს ქალი თავის მახ-
ლობელ ქოხში, მოაბოუოლა სიცივისაგან დამძრალი, გონი
მოიყვანა და ბოლოს ამბავიც გაიგო. ხელმწიფის ქალი დიდ
მაღლობას უცხადებდა თავის მასპინძელს და მალე მას ცო-
ლობაც გამოუცხადა, აბა რა უნდა ექნა, მეტი ლონე არა
ჰქონდა!..

გავიდა ხანი, დრო, უამი და მათი სიცოცხლე-ცხოვრება
ერთნაირათ მიღიოდა. ბედს არც ერთი არ ემდუროდა. ამათ
გაუჩნდათ სამი შვილი დედოფალმა ერთს—უმფროს — დაარქვა:
„რა ვიყავი“, მეორეს „რა ვარ“ და მესამეს „რა უნდა ვიყო“.
მას შემდეგ შვიდ წელიწადზე მეტი გავიდა. ხელმწიფეს
თავის ქალისაგან და სიძისგან ვერაფერი ამბავი გაეგო; ადგა
და რამდენიმე კარის კაცებით გაემგზავრა ამბავის გასაგებათ.
მგზავრებს ერთ ლამეს ჩობანის სახლში მოუხვდათ ლამის გა-
თევა.

ჩობანმა დიდებული სტუმარი მიიღო თავისდა შესაფერათ.
ჩობანის მეულლეს ძალიან გაუხარდა ამისთანა სტუმრების
მისელა და, რაც კი შეეძლო, პატივი სცა. ხელმწიფემ რაც
ლა სიამოვნება იგრძნო მასპინძელი ქალის მზერით, როცა
მას ელაპარაკებოდა ხოლმე, არ უნდოდა თვალი მოეშორებია,
რადგან თავისი ქალის სახე გაუხსენა და თვალ-წინ სულ ის

წარმოუდგა!.. განა-კი რა იცოდა, თუ მართლა თავისი ნამდვილი ქალი იყო!.. ხელმწიფებ დიდი ყურადღება მიაქცია ამ ქალის შვილების სახელებს, როდესაც დედა ხშირ-ხშირათ დაუძახებდა ხოლმე: ბიჭი, „რა ვიყავი“, — „რა ვარ..“ და „რა უნდა ვიყო“. სტუმარმა სთხოვა მასპინძელ ქალს აეხსნა თავისი შვილების ასეთი უცნაური სახელები. ქალმა აუხსნა: ჯერ მას თავის გადასავალს მოუყვა, — მით უმფროსი შვილის სახელი აუხსნა „რა ვიყავი“, მერე აწმყოზე ულაპარაკა, ამით აუხსნა „რავარ“ და მომავალი ღმერთზე მიაგდო, მით ახსნა უმცროსი შვილის სახელი: „რა უნდა ვიყო“.

ხელმწიფებ უფროსი შვილის სახელის ახსნა რომ მოუშმინა დედას, მაშინვე მიხვდა, რომ ის მისი ქალი იყო, მაგრამ არ გამოემცნაურა, რადგანაც ამბავის დათავება აცალა.

— მე მაინც ჩემ ბედს არ ვეძური, დაამატა თავის ლაპარაკს ქალმა, ჩემი გულ დასაწყვეტი ჩემი ძვირფასი დღე-მამა არის, რომელთაც მოვშორდი სამუდამოთ და ვეღარ ვიხილავ თავის დღეშიო. თვალში ცრემლი-მოერია მამას, ვეღარ შეიკავა თავი და თვალ-ცრემლიან ქალს ჩაეხვია შემდეგი სიტყვებით: — „მე ვარ, შვილო, შენი მამა, შენ საძებნელათ ვარ წამოსულიო!“. ამის გამგონე ქალი გახარდა, გამხიარულდა და, მეტის მეტი სიხარულასაგან ატირებული, ჩაეკონა მამას. გააღვიძეს ჩობანიც, რომელიც ყმაწვილებთან იყო მიძინებული. განუცხადეს მასაც ამბავი. ხელმწიფებ საჩქაროთ გააგზავნა კარის კაცები სახლში, მოატანია ამათთვინ სახელმწიფო ტანისამოსები, გამოუყვალა ქალისაც, ჩობანსაც, ყმაწვილებსაც და დიდი ამბით წაიყვანა სახლში საქორწილოთ. ჩობანი სიძეთ გაიხადა და თავისი ტახტი ქალიშვილს და სიძეს გადასცა... იწყეს ბედნიერათ ცხოვრება თავისივე შვილებით და განაგებდენ სახელმწიფოს.

ლ յ ქ ს ე ბ ი.

Ո Տ Ծ Խ Ռ Ա Շ Լ Ո.

ցոյնաս լրպետութեան յականա, մոտ մռածալու վերնա,
ալառերես յրտուանատ, մռու մռահին տոտու լըրնա,
վայր-քապեծու դասեպես, և լու դասփրես լրուլու պալու,
վալ-սեալու, պանու ֆասեյս, և լու գուլու սանաժրելուա.

Ց Թ Ո Ւ Շ Լ Ո.

տուշո յոռուա մտանելա, տաեթրեզան ցալազաննելա,
մռայլու ռհասու տուրի, նեւ դայինրա բարնելա!.. .

Ս Ա Կ Ռ Զ Ա Ժ Վ Ե Ր.

յս նոցու յապու հասա ձգազս, անյ սատվմելատ հոսատզուս,
հասաւ օմոզուս, ոնաեցս օմ յրտու մազու դռուսատզուս;
արպ տազուս տազնե դասեարջազս, արպ և եզուստզուս, արպ լուտուս-
տզուս, ցադածրունդյեծա, մռայլու դարհիցա, յանայուսատզուս!.. .

Ս Ա Մ Ի Ւ Ց Ո Ա Ռ Ո.

եցանուրնո համռուություն դոսասամոնուս վալնուու,
յեսատ ոյրուս սապուրենու, պուլուրուալյեծլատ վարնուու,
ներաւու մատուան մամպուու, առ մռմեթռունա ոյալնուու.

եցանուրնուս ոյրուս լողունիշու մոտ սամնու դանու ֆանանու,
վոտա ներուսա վարսայլազնու, լրուծյել վեց սկզբուան, սիանանու,
առ վուրու, հռմելու մեցարդյ, սամնու յրտմանցու ցանանու.

Ս Ա Շ Հ Յ Ա Ջ Ո.

վարմուսա ցալզութելյ, թուրդատ ուցա վալուս չարու,
մռառույլու դա մռամանցու, ֆին յեզենա եաբո-չվարու.

ვარძიას შეკვეთილი ვარ, ჩემი პურით და ღვინითა,
როდის იქნება დავბრუნდე სიხარულით და ლხინითა?.

ს ა ს უ ლ ი ვ რ ო .

მოდი, ძმაო, ჭყუას მოდი, ამ სოფელს ნუ გაჰყვები,
თორემ ბოლოს ფიშმან შეხვალ, სულით ხორცით წაწყდები!

ს ა ლ ხ ი ნ ო .

ლხინო, ლხინს გამოგიგზავნი, ვარდო გაშლილო იაო,
ნეტავი შემატყობინა, გულში რა ჩაგიდვიაო.

—
თუ მასპინძელი მოილხენს, სტუმარსაც მოელხინება.

გ უ შ უ რ ი .

ჯავახეთს გუთანი მება, თრიალეთს მანჭუ მეჭირა,
ქართლიდან სადილს ველოდი, მეხრეებს თვალი ეჭირა.

გ ა შ რ უ ლ ი .

ხელმწიფევ, შენსა გვირგვინსა, ღვთისაგან ჯვარი სწერია,
ვერ უკადრია ხელმწიფეს, ყმაწვილია და სცხვენია!..

—
მოვდივართ მოგვიხარია მოგვყავს წითელი პეპელა,
ქალი სძალი შვენიერი, პირ-ვარდი, ალვა, კეკელა.

ა ფ რ ი ზ მ ბ ი .

სამშობლო მისთვის შემრგეა,
ვინც დედა-ენა იცისო,
ვინც არა, ალარც კაცია,
არ რა მრწამს მისი ფიცისო.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

რათ მინდა ოქროს ლაკანი შიგ სისხლი ჩამდიოდესო?!

არ გაიხარა განუხარელმან.

გ ა მ ღ ვ ა ნ ე ბ ი.

ცას კოკროჭინა ჰქილია სიგძითა და სიგანითა,
შით პირამდისინ სავსეა თოხლითა (ბატყანია) და თიკანითა.
(ბროწეულია)

ჭ უ ლ ი ს ჭ ა ლ ი.

ამაო რწმენა.

ჩიხორიშში, მტკვრის ნაპირზე, ერთი ქვა გდია, ზედ წყლის
ქალი ჯდება ხოლმე და მის შვენიერ ოქროს თმას ივარცე-
ნის. ამბობენ, ვინც ჩუმათ მიეპარება, თმას გამოაძრობს და
ისეთ ადგილას შეინახავს, რომ ქალმა ვერ მიაგნოს, მაშინ
ის ქალი სიკვდილამდე ემსახურება მასო.

ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა.

(ცერომინიები).

ხიზაბავრელებს ჩვეულებათ აქვთ—ყველიერის შაბათს და
აღება ღამეს. დააბმენ კალოზე ფერხულსა (ქალები ცალკე,
კაცები ცალკე) და სიმღერით თამაშობენ და ჰყვებიან ჭიჭ-
ყინას (ზურნას).

კოტე მესეი გვარამარისაგან ჭარბოდგენილი.

ლ ე ჭ ე ნ დ ა დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ზ ე . X

(ნაამბობი ს. საქარის მცხოვრებ სინო გ—ძისაგა5
და ჩაწერილი ფიქ. ებანო-ძისსაგან).

დავით ალმაშენებელი იყო ძალიან მოწყალე და ღვთის
მოყვარე. იმას უყვარდა ეკკლესიების შენება და ძალიან ხა-
ლისიანითაც ასრულებდა ამ საქმეს. ერთი ომის გათავების
შემდეგ მოისურვა დავითმა აეგო დიდებული გელათის მონას-
ტერი. მისი სურვილი, რასაკვირველია, სისრულეში უნდა
მოსულიყო. მუშები დაიბარეს და დაიწყეს შენება.

წყეულმა ეშმაკმა მოინდომა ხელი შეეშალა მისთვის ამ
წმინდა, ღვთის სასრამოვნო წაქმეში. კედლები რამდენჯერ
ააშორეს ბალავერს, იმდენჯერ ანგრევდა ი წყეული ღამდა-
მობით. დღეს ხვალ, დღეს ხვალ და არ იქნა, კედლები ბა-
ლავერს ვერ ააშორეს. მეფე, რასაკვირველია, მიხვდა, რომ
მისი ხელის მცარავი ეშმაკი იყო და გადასწყვიტა, როგორც
უნდა დაჯდომოდა, ეშმაკი ხელთ ვეღო, იმან აიღო ჯამი,
აავსო წყლით და დადგა ბალავერის მახლობლათ; თითონ-კი
კუთხეში მიიმალა და დაუწყო დარაჯი. როგორც კარგათ
დაბნელდა, სად იყო, სად არა, გაჩნდა ი წყეული და გულ
მოდგინეთ. შეუდგა თავის საქმეს. ამ დროს იმან შენიშნა
წყლიანი ჯამი და ზედ მივიდა. უცებ. საფარიდან გამოხტა
დავითი და ხელები სტაცა. ეშმაკი ჯორათ იქცა! მაგრამ გუ-
ლადი მეფე მაინც არ შეშინდა; იმან ამოსდო ჯორს პირში
ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ.

ამ დღის შემდეგ ის ამ ჯორს არ იშორიებდა. ამის შემ-
დეგ ადვილათ მოათავა გელათის მონასტერიც. აგრეთვე ააშე-
ნა ვარძია და სხევები.

გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა
გაუწევია. წყალ-წითელიდან თავის ხელით ამოუტანია ორი
უზარმაზარი ქვა. ეს ქვები მეტათ დიდებია. ისინი არიან
დატანებული სამხრეთ-დასავლეთის ყურეში. ერთ მათგანზე.

დღემდისაც არის — ვითომ დავითის მიერ გაკეთებული — მზის საათი; დარუბანდიდან ჩამოუტანია დიდი უშველებელი კარები და მონასტრის გალავანზე დაუკიდია.

ეს „ეშმაკ ჯორი“ — კი ისევ ემსახურებოდა დავითს: დადიოდა ის აქეთ-იქით იმ ჯორით. გაჭირვების დროს, ცუდ გზებზე, როცა მათრახი მოხვდებოდა ხოლმე, ისეთი სიმწარით ადგამდა ჯორი ფეხს, რომ ყველგან კვალს აჩენდა. დღესაც იმერეთში უჩვენებენ ერთ კლდეზე ნიშანს, რომელსაც „ჯორის კვალს“ ანუ „ეშმაკის ნაფეხურს“ ეძახიან. ის ორი ვაება ქვა და დარუბანდის კარებიც თურმე იმ ჯორით მოიტანა დავითმა — უკან შემოკრული. დავითიც ამ ჯორს თავის ხელით უვლიდა: დაყავდა წყლის დასალევათ და საძოვრათ, რადგანაც სხვას ვერ ენდობოდა: „ეშმაკია, მოატყუებს და გაექცევაო“.

ერთხელ მეფეს მოუცლელობის გამო არ შეეძლო თითონ წაეყვანა წყალზე ეშმაკ-ჯორი. დაუძახა მეჯინიბეს და უბრძანა ჯორი წყალზე წაეყვანა. ამასთანავე უთხრა: „არამც და არამც აღვირი არ წაჰყაროო“.

მეჯინიბემ მიიყვანა ეშმაკ-ჯორი წყალზე. ჯორმა ზასუნა წყალს თავი ისევ მაღლა აიღო და მოყვა საშინლათ ფრთხვენას და წიხლებს ისროდა. მეჯინიბემ ითიქრა: საწყალს იქნება აღვირი უშლისო და წაჰყარა. ეშმაკ-ჯორმა სიხარულით დაიფთხვინა, წყაროში ჩახტა და გაუჩინარდა!



ს ტ ს კ რ.

(აჭარაში გაგონილი, მისივე) ¹⁾

ერთი კარგი, პატიოსანი კაცი ცხოვრებდა ერთ სოფელში. ეს კაცი ჯერ თუმცა მდიდრად იყო, მაგრამ მერე

¹⁾ ს. აჭარა მდებარებს შორაპნის მაზრაში, შორაპნის საზოგადოებაში, იქ სადაც ძირულა და ჩხერიმელა ერთდებიან.

ბედი გადაუბრუნდა და გაღატაკდა. თავის ცოლ-შვილით სულს ძლიერ იბრუნებდა. თუმცა უწინ ბევრი მეგობრები და პატივის მცემელნი ყავდა, მაგრამ ახლა ყველამ უღალატა!..

ერთხელ ერთმა მისმა მეგობარმა, რომელიც მას ძალიან უყვარდა, ლხინი გამართა და შეცოთმით მოწვია თავის ძველი ნაცნობიც (გულით მოწვევა-კი, მართალი გითხრათ, არ უნდოდა, რაღანაც ის უსათუოდ ძველ დახეულ ტანისამოსში უნდა მოსულიყო.) სპირიდონს (ასე ერქვა იმ კაცს) ძალიან გაეხარდა, რომ მის მეგობრებში ერთი კარგი მეგობარი კიდევ შერჩენია. იმან სიამოვნებით ასრულა თხოვნა და დანიშნულ დღეს ეწვია. მასპინძელმა მხოლოდ ახლა გაიგო თავის შეცდომა, მაგრამ რაღას იზამდა, ძალაუნებურად უნდა მიელო. სტუმრებიც ნელ-ნელა შეიკრიბენ. იმათში ძალიან ბევრი ერთა სპირიდონის ნაცნობებიც, მაგრამ არც ერთი მათგანი მას ყურადღებას არ აქცევდა, რაღანაც ეშინოდათ, თავი არ შეერცხვინათ ამდენ ხალხში „გლახასთან“ მუსაიფით. არც ერთმა ხელი არ ჩამოართვა და არც სალამი მისცა. სპირიდონმა შეამჩნია ეს და ჩუმათ გაიპარა. საჩქაროთ ინათხოვრა შვენიერი ჩოხა-ახალოხი, შარვალი, ლაფ-ჩინები, ღვედი, ქუდი და ჩაბალახი; გამოიწყიპა, როგორც სასიძო, და ისევ გაბრუნდა წვეულებაში. ახლა-კი ყველა მისი ნაცნობები გამოიეგებენ და სალამს აძლევდენ. მაგრამ მათ აოცებდათ სპირიდონის საქციელი. ის არც მადლს ეუბნებოდა, არც მაგიერ სალამს ძლვნიდა მათ; მას აელო ხელში ჩოხის კალთა, დაეგრიხა, შუაში ჯოხი დაეტანებია, ზედ ქუდი ჩამოეცვა და ამ ნაირ „ფიგურას“ უქნევდა მათ—კითომ მადლს უხდისო. გარცებული ხალხი ეკითხებოდა. სპირიდონს:

— კაცო, რას შვრები? ჩვენ სალამს გაძლევთ და შენ-კი საცინლად გვიგდებო?!

— მე რას მერჩით, ძმებო, — მიუგებდა სპირიდონი, — ვისაც სალამს აძლევთ, ის მაგიერსაც გეუბნებათო. ეს რა ჩემი ბრალიაო!? თქვენ მე კი არა, ჩემ ტანთ საცმელს აძლევთ სალამს და ისიც სამაგიეროს გიხდისო. მე წელანაც ვიყავი

აქანა, მაგრამ ხმაც არავინ გამეცითო; წელან რო მოგეცათ სა-
ლამი, მე მაღლს მაშინ გეტყოდითო.». ხახლი გაშრა და სი-
ტყვაც აღარ დაუძრავს.

გ ა მ ღ ც ა ნ ე ბ ი.

(იმავე სოფელში ჩაწერილი).

კიჭი, კიჭი, კიჭინასო,
მკვდარი ცოცხალს მიჭირავსო,
ღმერო, ჰერთე კიჭინასო,
რა უბრალოთ მიჭორავსო. (ზორკილი).

ჩემიპატარა ბაჭია
სირბილით არის მაკა. (თითის ტარი).

კიკლი, კიკლი, კიბესაო,
ხორასაანთ ციხესაო,
ზედ კურდლელი შემომჯდარა,
აწეაპუნებს ყურებსაო. (ზარა და სამრეკლო).

გავშალე ქვეყნის ოდენა
დავკეცე ფარის (პატარა ფული) ოდენა (თვალი.)

სირი, სირი, სირი გოვდი,
სირის ფრთები გასხიაო,
შენს სამყოფსა რა შორდები,
სული ალარ გიდგიაო. (თევზი).

ბოსელში ხარი შევაგდე, კუდი ხელში შემრჩა, (მაქო).

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(იქვე შეკრებილი).

კაშეჩის მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩება.

თუ ღმერთი მწყალობს, მისი ანგელოზი ვერ რას დამაკლებს.

კაცია და გუნებაო.

თეთრი ტანი, შავი ტანი აბანოში გამოჩნდება.

აღდგომა და ხვალეო,

ერთი ქალის ოდენს ცხრა უღელი ხარიც ვერ გაიწევს

პეტრე სანამ მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.

გლახა მეზობელიც-კი მეზობელისთვის ამომავალი მჩეა და
კაი რაღა იქნება?!



სოფ. ს ხ ვ ი ჭ ო რ ი.

(შორაპნის მაზრა)

სოფელი სხვიტორი დაბა-საჩერის ნაწილია და მდებარეობს მდინარე ჩიხურის პირად, გალმა-გამოლმა გორაკებზე. სულ 80 მოსახლეა ანუ კომლი. მათ რიცხვში რამდენიმე ოჯახი თავადი წერეთლებია. ეს წერეთლები განთქმული ვაშ-კაცის დავით წერეთლის ნაშიერი არიან. ქველ წერეთლს, საზოგადოთ უველა თავად წერეთლების წინაპარს, ორი შვილი ჰყავდა: დავით და პაპუნა. პაპუნა ბერათ იყო შესული ღვიძევის მონასტერში. დავითი უშვილოთ ბერდებოდა და იმ მოსაზრებით, რომ საწერეთლო უპატრონოთ არ დარჩენილიყო, გამოიყვანა მონასტრიდან ქმა და ცოლი შერთო. მისი ჩამომავალი დღეს თხუთმეტ იჯახათ არის. დავით წერეთლი შესანიშნავი რაინდი იყო და მისი ხმალი მთელ საქართველოში განთქმული. ხელ-ჩარეულ ომში რომელ მხარისაკენაც მიმართავდა, გაიტანდა. გაღმონაცემია: ღვინო თავის დღეში არ დაულევია, მაგრამ სისხლი-კი ათრობდა და ომში მიუკარებელი რამ იყო. მხოლოდ ერთხელ კი გაქცევია ომს. ეს მაშინ იყო, როცა ქართლისა და იმერეთის მეფე შეიტაკენ. მეფემ თურმე ჰქითხა გაქცევის მიზეზი და მანაც საჯაროდ უპასუხა: „შიშმა გამაქცია, საოცარი რამ ჩვენება ვნახეო: დედა-ჩემს ჩემი ქმა მარჯვენა ძუძუსა ჭრიდა და მეც მიწვევდა, რომ მარცხენა მომექრაო!“ ამ სიტყვამ ისე გამოაფხიზლა იმერეთის მეფე, რომ ქართლის მეფეს მოციქულები მიუგზავნა,—გავრიგდეთო! სიბერის დროს დაქვრივდა, შეირთო მეორე ცოლი და მიეცა ვაჟი—გიორგი. ეს გიორგი მისთანა ვაშკაცი ვერ ყოფილა, მაგრამ ლონე-კი საოცარი ჰქონია. ერთხელ თურმე მთაში მიღიოდა, დიდი თოვლი იყო და ვიწრო ნაკვალევში ჩამდგარიყო, გადახვევა არც იქით შეიძლებოდა და არც აქეთ. წინ დაჭრილი ტახი შემოეფეთა და რომ სხვა ვეღარა მოასწრო რა, ნაბადი ამოსდვა და

თავზე გადაივლო. პირ-და-პირი, გაუღრეკელი კაცი ყოფილა
და მიტომაც დაურქმევიათ ხარ-გიორგი. ორჯელ დაქვრივდა
და უშვილოთ რომ არ გადასულიყო, მამი მისისა არ იყოს,
იმანაც სიბერეში შეირთო ერისთვის ქალი და მიეცა ორი
ვაჟი: სვიმონი და როსტომ. ეს სვიმონი მეფის სახლო-უხუ-
ცესი იყო და სიბერის დროს მოესწრო უკანასკნელ მეფეს და
დიდი სამსახურიც გაუწია: გადაპყვა სპარსეთში და სანამ არ დაა-
საფლავა ტრაპიზონში, აღარ დაბრუნებულა. მისი თანამედრო-
ვე იყო მეორე სვიმონ წერეთელიც, სახუციშვილი. ერთი მა-
თვანი საოცარი თვალადი ყოფილა და მეორეცი ტანადი და
ამიტომაც დიდი მეფე სოლომონი ხშირად თურმე იტყოდა
ხოლმე: „ერთის თავი რომ მეორის ტანს დაადგა, მაშინ ჩე-
მი სამეფო საკვირველების მხარე იქნებოდაო!..“

სვიმონ მეღვინეთ ხუციშვილი უკეთეს ცხენოსნად ით-
ვლებოდა იმ დროში და ყოველთვის, როცა ჯირითი თავდე-
ბოდა და საერთო ცხენის ჭენებაზე გადიოდენ, ეს თურმე
ისეთ თხრილზე გადაახტუნებდა ხოლმე ცხენს, რომ ყველას
უკვირდა. ერთხელ ალექსანდრე ბატონიშვილმა, დიდი სო-
ლომონის შვილმა, უხუმრა: გააძრახა მხლებლები და საიდუმ-
ლოთ ცხენს თვალები გაუფუჭა. ჩვეულებრივათ რომ გაა-
ჭენა ცხენი სვიმონმა და უნდოდა თხრილზე გეეხტუნებია; ცხენი
თხრილში ჩაუვარდა და თვითონ-კი გაღმა ნაპირზე გა-
ხტა. ალბათო, ამბობდენ ზოგიერთები, მეჯინიბემ უთხრა და
ისიც მომზადებული იყო, რომ თან არ ჩაყვა ცხენსაო!.. მე-
ფე სოლომონს ეწყინა ეს ხუმრობა, გაუჯავრდა მემკვიდრეს
და სვიმონს წირქვალში დიდ ძალი ყმა და მამული აჩუქა!
სვიმონმა მაღლი მოახსენა, მაგრამ სიხარული-კი მაინც არ
დაუმჩნევია!.. აქ დიდი არა არის რაო, მაგრამ ის ჩემი ბედაუ-
რი-კი ერთად ერთი იყოო,—იტყოდა ხოლმე ხშირად მეგო-
ბრებში. ამ სვიმონის და როსტომის შვილი-შვილები არიან
დღევანდელი სხვიტორში მოსახლე წერეთლები. იქვე სახლობენ
აზნაურებიც,—გვარათ ცქიტიშვილები და მაჭავარიანები, მაგ-
რამ ესენი ბოლოს დროს არიან გაღმოსახლებული, აქაური

მკვიდრი არ არიან. მკვიდრი გლეხები, დიდი ხნიდან გადმო-
სახლებული კირვალიძეები, რაჭიდან გადმოსულან და ისევ ისე
იციან „ბოსლობა“,¹⁾ როგორც რაჭაში; გოშაძეები, რომელთაც
ბატონ-ყმობის დროს მარტო ხაბაზობა ემართათ, მოსიაშვილე-
ბი, არჩევაძეები, მაჭარიშვილები, მწვანელებად წოდებულნი,
ომიაძეები, ლურსმანიაშვილები და ზაბახიძეები. ერთი ამგვა-
რიშვილთაგანი ნინიკა ზაბახიძე მოდინახეში მეციხოვნად იყო,
როდესაც აბაშიძის ქალმა, ქაიხოსრო წერეთლის ცოლმა,
რუსების საწინააღმდეგოთ ციხე გაამაგრა... სხვიტორშივეა-
ჩამოსახლებული სარალიძე და ბერძენი კაპანაძე.

სხვიტორს ორი მთა აკრავს, გონჯიხევ-კვერეთი და
საფალავნიშვილო, რომელიც რაჭამდი უწევს. შუაში ჩამოუდის
მდინარე ჩიხურა და შიგ ერთვიან პატარ-პატარა მთის მდინარეე-
ბი: გონჯურა, კვერეთულა, სკინავა, დიდ ლელე, საბუედა სხ.
ესენი ყველა, გარდა გონჯურისა, საკალმახეა. ჩიხურის თევზე-
ბია: კალმახი, წვერა, ტობი, ქაშაპი, ნაფოტა, ლორჯო, ჩხამა
და გველენა. ადგილობრივი ხეები: მუხა, წითელა, ცაცხვი,
თელა, რცხილა, კოპიტი, მეკენჩხალა, ლეკი, არყა, ვერხვა,
სოჭი, წაბლი, ნიგოზი, თხილი, შინდი, სხმარტლი, დათვი-
მსხალა, კვინება, ცხევლა, ძელქვა, კატნა, ტირიფი, თხმელა.
ბარათ: ვაშლი, მსხალი, ატამი, ვაშლ-ატამი, ჭერამი, ბია,
ჭლიავი, უნაბი, ბალი, ალუბალი, ალუჩა, ტყემალი, ბრო-
წოული, კუნელა, ლელვი, ჯახველა, ლოლნაშო.

¹⁾ რომ დადგება ხორციელის ხუთშაბათი, საღამოს მოხარშვენ ლო-
ბისა და გამოაცხობენ ხაჭაპურებს; მასთან დააწყობენ ქოჩს და წაიღებენ
მოზრდილი ყმაწვილები ბოსელში, რომელებსაც, გარდა ხონჩისა, პატარა-
ბავშვები ზურგზე ყავთ მოკიდებული. აიღებენ ქონს და უსმენ ხარებს
ზურგზე ამ სიტყვებით: „ასთე გასუქდითო“. მერე დაჯდებიან და ღვინის
სმის დროს გაიძახიან, „ბოსელ-ბოსელ ბუო“. მწყემსი იმ საღამოსცე, ბა-
ვშვების თანა დასწრებით, ერთ კვერცხს ხარებისკენ შეინახავს ბაგაში და
მეორეს ძროხებისაკენ. დილოთ ადგებიან ბავშვები, მინალოც კვერცხებს
ამოიღებენ, გადუსვამენ ზურგზე პირუტყვებს და თან ამბობენ: „ასე გარ-
გვალდეს შენი ტანიო“, მიუმატებენ სხვასაც და გააკეთებენ ხაჭაპურს რო-
მელსაც დილასვე შეჭამენ.

ადგილობრივი მხედ-ნადირი. დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, გარეული კატა, შველი, არჩვი, კურდელი; ადრე ფოცხვერი, გარეული ლორი, ირემი და ჯიხვიც ბევრი ყოფილა, თრია, კვერნა, წავი.

ადგილობრივი ფრინველები. ქორი, ძერა, ყვავი, ყორანი, შევარდენი, ალალი, მარჯანი, იშვიათად, ტრედი, გვრიტი, მიმინო, კოდარა, შაშვი, ჩხართვი, წყლის შაშვი, წყლის კივტი, ბულბული, იგივე შემოდგომის ყარანა, მესკია, გულწითელა, გულყვითელა, ბეღურა, სკვინჩა, მწყერჩიტა, ბოლოქანქალა, მთიული ჩიტი, მეკვირტია, ხაჯალია, ჭინჭრაქა.

ლაგის ფრინველები: ბუ, ზარნაშო, უფეხუა,
გვერდარმავალი: გველი, ძლოკვი, ხვლიკი, ფსვენა, ბაყაყი, მუდო, ზლარბი, სინდიოფალა.

ჩირგვები: კაპარი ანუ ჯონჯოლი, შექრი, მოცვი, იელი, ბაბუსაგძალა, ასკილი, ეკალა, მაყვალი.

გვავილები: ია, ვარდი, ნარგიზი, ფირისულა, კორჩიოტა, შროშანა, ზამბახა, ყვავიფრჩილა, გვირილა, ყვავიკუდა, ძალლიენა, ლორიხოკა, ლენცოფა, ქურჩუმელა.

გხალეულობა: ჭინჭარი, ფშალა, ეკალა, მოლოქი, ღვალო, ქალაკოდა, აჯაკელი, ანჩხლი, სვინტრი, ქალშავა, ოლენა, ჯიჯლაყა, ქათანაცარა, სუქანა, ხვართქლა, ჭიკარტულა, ქათმი-ქონა, ხარიეშილა, ფთაშეჭრილა, ხოხბის საწეწელა, ძროხაენა, ტაბაკა, ფამფარა, ბორბალა, ზიორშა, კატაბარდა.

სოკოვები: ნიყვი, მჭადო, ვარყა, მიქლიო, მტრედო, ქამა, სილის სოკო, ქფილიო, წიფლიო, ბაბილო, მწყერიო, ნოშიო, ხახვილო, შავ-ჩოხა, მანძილო, მანჭკვალა, ცხვარიო.

პიმპილა. ქათამ-ბარკალა, წერეწო, ღვინიო, კატამჯღავანა, ხომიჭკო, ძერანა.

უვარგი სოკოვები: ჯლავანა, გველისოკო, ბებერა, (მეცხომიჭკო).

ეის სოკოვები: ტყავლა, მანძილო, ძერანო.

ბუზ-კეპლები: ფუტკარი, ბზიკი, ბუზი, ხარაბუზა,

ბოგანო, ხოჭო, მახარობელი, ხატის პეპელი, კორა-ბუზი, კორტიზის ბუზი, წერი, კოლო, ფუმფლა.

შესანიშნავი ნანგრევები ციხე-მონასტრების არსად ჩანს. სხვიტორლებს ქირისა და ლხინის ჩვეულება საერთო აქვთ საზოგადოთ ყველა ჩვენებურ სოფლებთან. განსხვავებული იყო მხოლოდ „მოტყიერობა“. სულიწმიდის მოფენის დროს დიდალი ხალხი მოატყებოდა მაცხოვრის ეკლესიას; გალავანში რომ ველარ ეტეოდენ, გარეშემო მიღამოს იჭერდენ. იმათ უნდა წერეთლები გამასპინძლებოდენ იმ დღეს. თვითეული ოჯახი ვალდებოლი იყო მიეტანა საყდარზე ძროხა მოხარული, პურები გოდრებით, ლვინო რუმბებით. დიდი, საგანგებო გობები იყო გაკეთებული, რომლებშიც რამოდენიმე კოკა ჩადიოდა. იმაში ასხამდენ ლვინოს და არავის ნება არა ქონდა, რომ იმ დღეს ლვინო პურჭლით დაელია, უნდა შემოხვევოდენ რიგისათ გარს იმ გობებს, დაეჩიქნათ; დახრცხნობობდენ და ისე წრუპით ესვათ ლვინო. ეს ჩვეულება დიდი ხანი არ არის, რაც გადავარდა. ამ ორმოცი წლის წინეთ ერთი კაპიტანი—ტამილოვი მისი როტით დაესწრო ამ დღეობაზე. ხალხმა ისინიც მიიწვია. სალდათებმა მიუჩიქეს გობებს, მაგრამ ზეზე აღარ წამომდგარან. ეს ერთ ხანია „მოტყიერობა“ გადააგდეს და სოფელი იხდის დღეობას მხოლოდ გიორგობას—ოც-და-სამ აპრილს, მაგრამ ამ თემობასა და დღეობას აღრინდელი ხასიათი აღარ აქვს, გაფუჭებულია ისე, როგორც ყველგან საზოგადოთ ჩვენში. სხვიტორლები გამრჯელი და მუშა ხალხია და რომ დღევანდელი წეს-წყობილება ხელს არ უშლიდეს, მდიდრათ იქნებოდენ საზოგადოთ, რადგანაც მოსავალიც კარგი იცის. მოჰყავთ პური, ქერი, დიკა; ლვინო, სიმინდი, ლობიო, და ყოველ გვარი ბოსტნეულობა. ბატონ-ყმობის დროს აქაც იყვენ. მესტვირეები, კარგი მოშაირეები, და მეზღაპრეები. დღეს აღარავინ მისდევს ამას და, თუ გაიგონებთ იშვიათად სადმე, იმასაც ახალი დროს შესაფერად გადმოსხვაფერებულს და გაფუჭებულს!..

გროწოულის წყარო.
(ზღაპარი)

იყო და იყო, ლვთის უკეთისი არა იყო რა. ერთი ხელმწიფე იყო და ორი ვაჟი-შვილი ყავდა ნანატრი და სმნაქებო. სახემწიფო კარგათ იყო და ხელმწიფის ბედსაც ძალლი არ დაუყენდა, მაგრამ მაინც გაცინებული არავის უნახავს. შვილები რომ წამოიზარდენ, მივიდენ და კითხეს: რა არი რომ შენ პირზედ ღიმილი არ დაგვინახავსო? ხელმწიფემ ამოიოხრა, ისე რომ გულ-ლვიძლი თან ამოატანა და სთქვა: შვილებო! რაღა სასაცინო პირი მაქვს, რომ დედა-თქვენი მზეთ უნახავ-მზეთ უნახავი დევ-კაუმა მომპარა და ამდენი ხანია მისი ასავალ-დასავალი ვეღარა გავიგეთ რაო. შვილებმა მოახსენეს: ნება გვიბოძეთ, ჩვენ წავალთ, მოვნახავთ, სადაც იქნება, და და-ვიბრუნებთ დედასო. გაეხარდა ხელმწიფეს, შეყარა ჯარი და გაისტუმრა შვილები. წავიდენ, დიდი იარეს, პატარა იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და მიადგენ ერთ ორ-კაბალა გზას; მარ-ცხნივ ეკლიანი იყო და მარჯვნივ ია-ვარდით მოფენილი. უმფროსმა ძმამ უთხრა უმცროს ძმას: ამ ორი გზის მეტი არ-სად სჩანს... ან იქით იქნება წაყვანილი დედა ჩვენი და ან აქეთო. წილი ვყაროთ, ჯარი გავიყოთ, ერთი ერთს გზას დავადგეთ, მეორე მეორესო. დათანხმდენ; ყარეს წილი და ეკლიანი გზა უმცროს ერგო. ჯარის გაყოფაზედ რომ მივა-რდა საქმე, არჩევანში აღარავინ აღარ ისურვა ჩაყოლა და უმფროს გაპყვენ!.. გამოვიდა მხოლოდ ერთი ახალ-გაზდა და უთხრა მარტო დარჩენილ ბატონიშვილს: დედი ჩემის ძუძუ ნაწოვარი ხარ, მე შენი ძიძის შვილი ვარ, ვერც ჭირში და ვერც ლხინში თავს ვერ დაგანებებო. წავიდა უფროსი მარ-ჯვნივ და იახლა მთელი ჯარი. დააღგა ეკლიან გზას უმც-როსი და თან გაყვა მარტო ძიძის შვილი. მთელი დღე იარეს, და გავიდენ ერთ მინდორში; ნახეს რომ ერთ კაცს წისქვი-ლის ქვები წამოუცვაშს მუხლის კვირისთვებზე და ისე და-სდევს კურდღელს დასაჭერად. გაუკვირდათ მგზავრებს და

ჰყითხეს? კაცო, რამ გადაგრია? რას შვები? რათ იჭირვებ სა-
ქმნას, რომ ამოდენა ქვები მუხლის თავებზედ წამოგიცვამსო? მონადირემ უპასუხა: ასე რომ არ ვქნა და ისე ფეხ-და-ფეხ
გამოვუდგე კურდლელს, გავასწრებ და უკან დამრჩებაო; და
ახლა კი ამ ქვების შეალობით ღონაზე მომყავს ფეხები, რომ
დავიჭირო. გაუკვირდათ და კიდევ კითხეს: სადაური ხარ
და რა ქვეყნის, რომ მაგისთანა სწრაფი ყოფილხარო? ყვე-
ლა შენსავით გარბის, თუ მარტო შენ ხარ განსხვავებუ-
ლიო? მარტო მეო! — უპასუხა მონადირემ, — სხვები ყველა
თქვენსავით დადიანო; მე თილისმით მაქვს ნასწავლი და, თუ
თქვენ შვილდ-ისარს აიყრით და გადმომცემთ, ჩაგიყვანთ ორ-
მოში და ერთ დღესა და ლამეს გასწავლით ჩემსავით სირ-
ბილსო. აიყარეს მგზავრებმა შვილდ-ისარი, გადასცეს და
ორმოში-კი მარტო ძიძის შვილი ჩაჰყა. ბატონიშვილი ორ-
მოს პირად უცდიდა: დანიშნული ვადა რომ გავიდა, ამოვიდა
ორმოდან ბიძიშვილი და უთხრა ბატონს: „ვისწავლეო!“ და
გაუდგენ გზას. ცხრა მთა რომ გადაიარეს, ვაკე გამოჩნდა. შუა
გულში ერთი კაცი დამხობოდა დედამიწას თავ-დალმა და
იცინოდა. გაუკვირდათ მგზავრებს და ჰყითხეს რა გაცინებსო? როგორ
რა მაცინებსო — სთქვა დაწოლილმა — ქვესკნელში
ჭინჭველები ირევიან, ერთათ ველარ მოთავსებულან, ერთმა-
ნეთს ეყრებიან, ყოფა ცხოვრებას იყოფენ და ჩხუბი მოსდი-
თო. გაუკვირდათ მგზავრებს და ჰყითხეს: რა სურიელი ხარ
და რა ქვეყნის, რომ მაგ სიშორეს ხედავო? თქვენ ქვეყანაში
ყველა მაგრე შორს, მჭვრეტელია თუ მარტო შენ გამოსულ-
ხარ მაგისთანაო? — მარტო მეო! — უპასუხა — თილისმითა მაქ
ნასწავლი და თუ ფარს აიყრით და მომცემთ გასამზღელოში,
ჩაგიყვანთ ორმოში, ერთ დღესა და ლამეს გაგრწონითო.
ხმალი აღარა გვაქვს და ფარი რათ გვინდაო, სთქვეს მგზავ-
რებმა და დაეთანხმენ. ჩაჰყა ორმოში ძიძიშვილი, ხელმწიფის
შვილი გარედ დარჩა, ერთი დღე და ლამე უცადა და რომ
ამოვიდა ორმოდან ძიძიშვილი, მზე შუბის ტარზე იყო გად-
ბოხრილი. ბატონმა უთხრა ყმას: ხომ ხედავ, ფარი ჩვენ

აღარა გვაქვს და ხმალი?! თუ რამე იცი და შეგიძლია, ახლა
გამოგაჩდებაო, ოთხივე მხრით გაიხედე და რაც ნახო გასა-
კუირვალი, მითხარიო. მიიღვა შუბლზედ ხელი ძიძის შვილმა,
ჩამოიფარა თვალებზედ, გაიხედა სამ კუთხით და არა სთქვა
რა; მეოთხეს რომ მიუბრუნდა, სამხრეთისაკენ, დაიყვირა:
ერთ მაღალ კლდის ძირში შვენიერი ბროწოული ამოსულა,
მაღლიდან თავზე წყარო გადმოჩუხხუხებს, კლდეში გამო-
ქვაბულია და შიგ ხელმწიფის სასახლეა; იქ ოქროს ტახტზედ
ზის მარტოთ-მარტო ერთი მზეთ უნახავი და ცხარე რცემლით
ტირისო. კლდეს კარები არა აქვს, თავის-თავად ხან გაიხსნე-
ბა და ხან შეიკრავს პირს თვალის დახამხამებამდიო, თუ არ
ქარი; ისე ხორც შესხმული ვერავინ შეასწრებსო. მაშ კარგი,
შენ ხომ შეგიძლიაო — უთხრა ხელმწიფის შვილმა; — წავიდეთ,
შეხტი და შემიყვანეო! წავიდენ, დიდი იარეს, პატარა იარეს,
მიუახლოვდენ დანიშნულ ადგილს. კლდემ რომ პირი გააღო,
ისკუპა ძიძიშვილმა და შევარდა შიგ; მისცა ალიკაპი, დაა-
ტანა რიკი კლდის პირსა და პირს. შუა და შეიყვანა ბატონიც.
გაოცდა მზეთ უნახავი და იკითხა: ვინ ხართ და რა სურიელი,
რომ აქ მოსულხართო? დევ-კაჟის შიშით მაღლა ცაში ფრინ-
ველები ვეღარ დაფრენენ, და დაბლა მიწაზედ ჭინჭველები
ვეღარ დაცოცვენო... წადით თავს უშველეთ, თუარამ, სანადი-
როთ წასულია და თუ მოგასწროთ, მეც მომკლავს და თქვენ-
ზე უცოდვესი ქვაც ალარ იქნებაო. ხელმწიფის შვილმა თა-
ვის თავ-გადასავალი უამბო. შეკივლა მზეთ უნახავმა, გადაე-
ხვია და მიიკრა გულზე, ჩემი შვილი ყოფილხარო და თავს
უშველეო!.. ატირდა აავსო ცრემლებით მილები და წყაროდ
ბროწოულის თავზედ გადააჩუხხუხა. თურმე ბროწოულის წყა-
რო ამ მზეთ უნახავის ცრემლები იყო, ჩუმათ მილებში ნაგუ-
ბარი. ხელმწიფის შვილმა უთხრა ძიძიშვილს: აპა ერთი გაი-
ხედე და შეგვატყობინე, შორს არის თუ ახლოს ის წყეულიო?
გაიხედა ძიძიშვილმა და სთქვა: ცხრა მთას გადაღმა, შავ
ტყეში ქორბულიანი მოუკლავს, ხეზედ ჩამოუკიდებია, შუბი
ძირს მიუყუდებია, ატყავებს, მაგრამ ჯერ ნახევარიც არ გა-

უტყავებიაო. მიათვალიერ-მოათვალიერა სახლში იქაურობა და კუთხეში თვალი მოკვრა ერთ პატარა ოქროს კოლოფს, ირგვლივ თვალ-მარგალიტით შეჭედილს, რომელსაც არც თავსახური ჰქონდა, არც კარი, არც კლიტე და არც გასაღები. გაუკვირდა და სთქვა: ეს რა არის, რომ ამ ჩამოსხმულ კოლოფში შვენიერი ჩიტი ზის და როგორ ჩაუსვამთო? — ეგ ჩიტი იმ წყევლის სულიაო — სთქვა მზეთ უნახავმა, — სანამ მაგას არა გაუჭირდება რა, ვერც არავინ მის ხორცს დაკლებს რამესო. — თვითონ ის რითი აღებონ? კიდევ კითხეს. — ამირანის გასაღებითო. ამირანის გასაღები რა არიო? — რა არიო და სამ ყური ბალახიო — სთქვა მზეთ უნახავმა. — დიდ ხანს იყო კლდეზე მიჯაჭული ამირან გმირთა-გმირი, მისი ცოდვით დედა-მიწა იწვოდა. ცაჯა ქვეყანას ებრალებოდა, მაგრამ ვერავინ უშველა... ბორკილი არა ტყდებოდა. ერთხელ მივიდა ჭინჭველა და უთხრა: მეცოდები რომ მაგრე იტანჯები და, თუ დამიმადლებ გიშველი, აგიშვებო. ამირანს გაეცინა და უთხრა დედი მიწის ზურგზე შენზე ჭატარა არა დაცულას რაო, მაგრამ გული-კი ყველაზედ დიდი გქონია და შეუძლებელს იჩემებო. ჭინჭველამ უთხრა, აპა მე გეტყვი და შენ ყური დამიგდეო: ერთხელ გველმა ბაყაყი დაიჭირა, ჩაყლაპვა უნდოდა, ძერამ გააშვებია; ბაყაყმა თავს უშველა, გადახტა ბალახებში, მოგლიჯა მატიტელა ბალახი, დაიღვა ნაკბენზედ და წყლული მოიშუშა; მე გამიკვირდა, მივედი მატიტელასთან და ქება შევასხი: „ბალახი შენ ყოფილხარ მეთქი“. — ბალახი მე-კი არა ვარ, აგერ რომ ჩემ გვერდით სამყური იზღება, ის არის, რომ ცხრა-კლიტულებს აღებს და ბორკილებს ამტვრევს... მიღების მეტი არა უნდა რაო. ეს რომ გავიგონე, მივედი მოვგლიჯე სამყურს მეოთხე ფოთელი და წამოგილეო. მიცოცდა, მიადვა ამირანის ჯაჭვს და გაიხსნა ბორკილი. ამირანმა თავი აიშვა და ჭინჭველა დალოცა: რაც ტანი გაქ, ერთი ათასად იმაზე მეტი ძალა მოგეცესო. ეს სამ ყური ბალახი ამირანს, რაღაი თავი აუშვია, გადაუგდია, წყეულ დევ-კაჯს უპოვნია და სად-

ლაც დამალული აქვსო. მიიხედ-მოიხედა ძიძის შვილმა და კუ-
დელს შეუა ჩაკირული დაინახა ამირანის გასაღები; გამოიღო,
შიადვა კოლოფს, გახსნა, გამოიყვანა ჩიტი, მისცა ხელში
ხემწიფის შვილს: მაგრად მოუჭირეს ხელი, არ გაგიფრინდესო.
მოუჭირა ხელი, რაც ძალი და ლონე ქონდა, და კითხა ძიძიშვილს
აპა შეხედე, რას შვება უწმინდურიო? — მისთანა შენს მტერს,
რაც იმას ემართებოდესო: დანა ხელში გავარდნია და გულს
ეყრებაო. წააგლიჯა თავი ჩიტს. ახლა რაღას შვებაო? — თა-
ვი წაძერა და ტანი უსულოდ ფართხალობსო. გადიხარხალა
მზეთ უნახავმა, გადავრჩით განსაცდელსო!.. გამხიარულდენ ყვე-
ლა ერთათ, დახვიეს ხელი აუარებელ თვალ-მარგალიტს და
წამოვიდენ. დიდი იარეს, პატარა იარეს, ცხრა მთა გადაია-
რეს და მიადგენ ისევ. ორ კაპალა გზას. დაბრუნებული
ხელმწიფის შვილი მისი ჯარით წინ შემოეყარა, გამოი-
კითხა ამბავი და ყოლიფერი რომ შეიტყო, დაავლო ხე-
ლი მზეთ-უნახავ დედას, თავის ჯარიც გააძრახა და გაუდგა-
გზას. გზაში დედას უთხრა: თუ გაგიმზელია და ჩვენი გასამ-
ტყუნებელი გითქვამს ხელმწიფისათვის, ამ ჯარს ხომ უყურებ?
შენც მოგკლავ და ხელმწიფესაცო. შეშინდა დედოფალი. მე-
ფეს მახარობელი გაუგზავნა უფროსმა შვილმა: ჩემი ჯარით
დევების ქვეყანა ავიკელი, ციხე-ქალაქები დავაჭური, თვალ-
მარგალიტი წამოვიდე და დედოფალიც მოგვყავს და მოგვი-
ხარიაო. გამხიარულდა ხელმწიფე, შეიძრა მთელი სახელმწი-
ფო, დაჰკრეს ბუკი და ნაღარა და ზარითა და ზეიმით მიეგებენ
გამარჯვებულებს. შვილი ტახტზედ აიყვანა ხემწიფემ და ბძა-
ნა: მოდით და ყველამ თაყვანი ეცით გმირსო! დიდი და პა-
ტარა მუხლზე კოცნიდა და გამარჯვებას ულოცავდა. მო-
ვიდენ ბოლოს მეორე მა და ძიძის შვილი დაქანცული, დაღა-
ლული, დაგლეჯილი ტანისამოსით, აღარც ფარი ქონდათ და
აღარც შვილდ-ისარი. მოვიდენ და თქვეს, დედოფალი ჩვენ
გამოვიხსენით და მაგას თაყვანს რათა სცემთო?! გაუკ-
ვირდა სუსკველს და სიცილი ასტენეს. ზოგმა სთქვა: „გა-
გიუებულანო!“ ზოგმა: „შუბლის ძარღვი გასწყვეტიათ, გა-

ურცხვებულან და ტყუილის აღარა ცხვენიათო“.. დამჯერებ
აღარავინ გამოდგა, ხემწიფეც გარისხდა: მაგას ძმის შური აღა
პარაკებსო, გაავდეთ ეგ სალახანა, სასახლეში არ შემოუშვათ
და ეგდოს საბატეში! დედოფალი სწუხდა, მაგრამ შიშით ვე-
რას ბედავდა... ენა ქნდა ჩავარდნილი. არ გაუვლოს დიდ
ხანს, რომ ჯავრმა აიტანა უმცროსი ძმა, გული გაუსკდა და
მოკვდა. მისი სიკვდილი არავის რამედ შეუმჩნევია, მაგრამ
დედოფალმა მეტი ვეღარ შოითმინა და გადმოჰყარა კურცხა-
ლი. ხელმწიფე შეშინდა და გამოჰყითხა მიზეზი. „ვაი თქმას
და ვუიუთქმელობასო!“ — წამოიძახა დედოფალმა — არ ვიტყვი,
ღმერთსა ვცოდავ და, თუ ვთქვი, შენც გაგწირავ და ჩემ თა-
ვსაცო. აღარ მოეშვა ქმარი: მითხარი, რა საიდუმლოა, თვარა
შენც მოგკლავ და მეც ყელში გავირჭობ დანასკო. მაშინ დე-
დოფალმა ყოლიფერი უამბო ქმარს. შეწუხდა ხელმწიფე, ჩავა-
რდა სინანულში, შეყარა სახემწიფო და დიდის პატივით და-
მარხა შიცვალებული. ააგო მის საფლავზე მარმარილოს კოშ-
კი, შიგ მისი ნიშანი დაასცენა და ბრძნება გასცა სახელმწი-
ფოში, რომ ყოველ მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს დი-
დი და პატარა მიღით ხოლმე თაყვანის საცემლათო. ხელმწი-
ფის ბრძანების ურჩი აბა ვინ იქნებოდა? მიღიოდენ და თაყ-
ვანსა სცემდენ. მაგრამ ყოველთვის სწორედ იმ დროს, ერთ
მამალი შემოჯდებოდა ხოლმე კოშკის თავზე და გააბამდა ყი-
ვილს. მოახსენეს ხელმწიფეს ეს ამბავი. ხელმწიფემ ბრძანა:
აქ რაღაცა ამბავი უნდა იყოს, ის მამალი უმიზეზოთ არ უნა-
და იძახოდეს, დაიარეთ მთელი ჩემი სახნლმწიფო და მისთანა-
ვინმე მონახეთ, რომ მისი ენა ესმოდესო. გამოვიდა ძიძიშვ-
ილი და მოახსენა: „შე ვიცი, ჩემო ხელმწიფეო! ის მამალი
ქვეყნის უმაღლერობას ყივისონ ცოცხალი რომ საბატეში გყა-
ფდათ და ჭკვდარს მარმარილოს კოშკი აუგეთ, სიცოცხლეში
რომ კიურნას აყრიდხო და ახლა-კი თაყვანს სცემთ, მაგით
ამ საწყალსა რა გაუკეთდება“. შერცხვა ხელმწიფეს დაფიპ
ჭრდა და სთქვა: „არც არაფერი მაგ მამლის ყივილიდან გა-
მოდისო. თუ მაგდენი იცოდა ადრე დაეყივლა, ის აჩა სჯობა“

დაო?... ახლა ან კვდარს რაღას არგია და ან ცოცხალსო? ჰყა-
რით ისარი და გმდმოაგდეთო. მიცვინდენ მეისრეები, მოინ-
დომეს მოკვლა, მაგრამ ერთი შეითოვქილა მამალმა, გაშალა
ფრთები და ცხრა მთა გადაიარა.. ტარჩა ხელმწიფე პირ და-
ღებული.. ჭირი იქ დაუტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

→ შუ შუ ←

შელოცვები.

(ჩაწერილი სოფელ მაკვანეთში (გურიაში) ნიკო ჯანაშიასაგან).

ლოცვა თვალებისა თვალცემულისა.

სახელითა მამისათა და ქცევათა და სულისა. წმინდისათა,
ლოცვა თვალებისა, თვალცემულისა, შინაურისა, გარეუ-
ლისა, ბრძენისა, რეგნისა (ახალგაზდასი),
დადისა, წვირისა, ქალისა, კაცისა.

მოვიდოდა შავი. წეალი, მას მოქონდა შეგო ტმელი;
ჩავკარ შავი უავარჯენი, ამოვიდე შავი გვეღი,
მიგეიდე ქაცვისა-ექალსა; იგი დაღრებოდა, იგი და ჭინებოდა;
ასემცა დაჭინების, ისემც განქარდების

შენი ავი თვალით შემხედვარი!..

გაი და ვუა, ქვაი და რეუი!

წმინდა კითრის დახვარი-ბოქალი,

შანთი, რეისა გახერებული

მოხვდა უიასა, გაჯურა მდლავესა!..

თვალში ნაცარი, გულში დახვარი!

ავი თვალისას თვალ წავარდა,

ავი სულისას სული ამოხდა,

ავი გულისას გულ ჩავარდა!..

შეა ღრებოდა, ქვა ჭინებოდა,

ქვაი ქვასა ეცემოდა,

ცხრა პოტიკი გველის ენა
ამის (სახელი) გამთვალეუელს ეცემოდა!..
არგე, ღამერთო, ღოცვა
ჩემი და ბრძანება შენი!..

უდინოთ მუცელ მრული ორსული ქალის (ან
საქონლის) შეღოწვა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.
ანი იძრა, ბანი იძრა,
ზღვაში კიდობანი იძრა;
ხეი იძრა, მიწა იძრა.
ადამ დაიბადა, სამი ღეიძახა,
სამი გაუხტა, სამი წეართს წეალი
ერთად შეჰქარა. უძრავი იძრა,
ძრული ღამაგრდა. ღმერთო, ღუმაგრე
მუცელში, (სახელი სთჭვი)
შეიღი ღრმმდე ბორჯამდე!
(ამ ღოცვასთან ასმევენ წეალში გახსნილ თევზის
წებოს ან წელს ღუწებავენ).

ღოცვა შილწის ქარისა, საგაფოისა

შოგიდოდა შავი კაცი შავითა ზღვითა და დამით,
წინ შემოეყარა მაქელ გაბრიელ მთავარ ანგელოზი და
კითხა : „სად მიხვალ, შენ შავო კაცო?
— „მე მოვალ კაცთა საწეენად, ძვალთა სატკენად,
რბილთა საჭმელად, სისხლთა სასმელად, საძრწოლებელად,
სათრთოლებელად!“
— „არა გაგიშვა მამამან, ქემან, სულმა წმინდამან“
— მითხარ, რა არის წამალი შენი!
— „ჩემი წამალი ლილა, ქალბანი, შავ-ღრრის ქონი,
მიწის ნაღველი.“

— „არა გაგიშვა მამამან, ძემან, სულმან წმინდამან! ძალთა ხარ — რბილთა გამოდი, რბილთა ხარ, ტეშათა გამოდი, ტეშათა ხარ, ოფლთა გამოდი!.. გამოდი და გამოეცაჭე ამას (სახელი) ხორცთა და ნასხმთა, თუ არა და დაგვრავ შავტარიანსა დანასა, დაგავჭიებ მიწასა, შვილჯერ ვფიცავ სახელსა ღვთისასა!.. არგე ღმერთო, ლოცვა ჩემი და ბძანება შენი!..

ძუს შელოცვა.

რკუო, რკუო, კუნკურეხო, პირ-აღმართო პირ ჩაღმართო, ქორის ჭვანგო, ჭვანჭვალაკო, ბილწო, ფინთო, ძანძალაკო! რას წამომჯდარხარ შავსა როვსა? რას წამოგისურავს შავი შაზარა? მოგისობ პირ აღმართსა სავარცხელსა, შავტარიანსა დანასა, გაგაქროლებ თვალსა წამისასა!.. აგჭრი ანაითა, მანაითა, შავტარიანი დანაითა! ჩაგაგდებ ქოთანსა რვალისასა, მიგცემ ნიავსა წამისასა! გაქარდი ქარივით! გეიძარე წუალივით! ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი და ბძანება შენი!

მომწვარის შელოცვა.

ელი ელობდა, შელი მელობდა, წითელსა პარასკევსა წითელი ხუცესი ჭვას ხვნიდა, ჭვიშას თესავდა!.. ვის გაუგონა, ვისა მოსწრია ჭვა ხვნილი, ჭვიშა თესილი, წამს იქით მომწვარი გამნელებული? არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი და ბძანება შენი!..

ნადირის შეპგრა.

მცენი მთვა მცდლოსანი, თვალი მთაქვს ცეხლოსანი, კბილი მთაქვს რკინოსანი!.. მეუფეო, გადმომიგდე ცხრა კლიტული კლიტოსანი, ნაღირს კბილი შეუკარი მეკობრესა — ხელი, ფხარი!.. კადა გდე ზღვაში, ნუ ამოუშვებ გზაში! მას (კარში დარჩენილ საქონელს)

საშორე ქოველი უწევავ-უხარშავის მშემელი!.. პარ
წელიანსა პირი წეალით აუგსე, თვალი ნაცრით!

სურდოს შეღოცება.

სურდო გვესტუმრა, სადილათ რა მავართვათ საჭიე-
ლათ? ანგალი, შანკალი, დაფვი დამშალი; დაგუკრათ
ტაში, გაბძანდეს კარში!

ღოცება შეშინებულისა.

გულო რამა შეგაშინა? გულო, მოდი შინა შინა!
გულო, ნე გეშინა! გულო, დედამ შეგაშინა?
გულო, მამამ შეგაშინა? გულო, ნე გეშინა!
გულო, მოდი გულთანა, სულო, მოდი სულთანა,
სორცო, მოდი სორცოთანა, ძვალო მოდი ძვალთანა,
სისხლო, მოდი ძარღვთანა, ფერო, მოდი ფერთანა,
ტვინო, მოდი ძვალთანა!..
გულო, მოდი საგულესა, შეგიყერაჲ სამგულესა (3 ჯერ).

ღოცება თვალუებისა (მეორე საირი)

იფრა დედა მარიამ სამოთხისა კარსა, ქსოვდა ქსელსა
ქეწეულისასა; მოვიდა ურიერ ქეთელაი, ქსელი აუჭრა,
აუქარა, ოქროს სკამი წაუქცია, რვალის მაქვა გაუტესა,
ბროლის მელავი ჩამოუკდო!.. დაჯდა მარიამ, ტიროდა
ჟოდა, ჰერიდა ცრემლს მარგალითისასა. მოვიდა იქსო:
— „დედა მარიამ, რას ტირი რას უიყი?“
— „დედათ ჩემთ იქსე, რადა რას ვტირი, რადა რას
ვერივი? მოვიდა ურიერ ქეთელაი, ქსელი ამიჭრა,
ამიუარა, ოქროს სკამი წამიქცია, რვალის მაქვა
გატესა, ბროლის მელავი ჩამოზიგდო!..
— „ადექი, დედავ მარიამ, ააღულე მღულარე, ჩაუარე
სამი ძირი ჭინჭარი, სამი ნაკვერჩხსალი; რავარც იგი
განქარდეს და დეივსოს, ისემც დაფსებულა მისი,
თვალი და უური, რამაც კაცმა ავი თვალით და
სულით შეგხედოს შენ (სახელი სთქვი)!..

განცხალებანი

აკაკის

თვიური ქურნალი

„პრეგული“

გამოვა ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.
წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო კავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გაგზავნით — 7 მან. ნახევარი წლით — 4 მან.

საზღვარ გარეთ: ერთი წლით 9 მან ნახევარი წლით 5 მან.

ქურნალი ცალკე ნომრობით არ გაიუძღვება.

ხელის მოწერა მიღება

თბილისში: „კრებულის“ რედაქტურის, მუხრან ბატონის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე. „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, შიო ქუჩუკაშვილთან. ქნ ელენე ანტონოვსკისთან — სახალხო ბიბლიოთეკაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაშია). იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4.) და თბილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბევანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროვანე ლალიძესთან.

ბათუმში: ქ-ნ მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, ექიმ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის და მიქელაიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, ქ-ნ ნინო ბერეზიანთან, იოსებ კოხრეიძესთან, იაკობ ფანცხავასთან და ვლა-დიმერ ახობაძესთან.

თბილისში: კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ჭანებულში: მასთანცე „შუამავალში“.

ასალ სენაქში: თავართქილაძესთან წიგნის მაღაზიაში, ბესა-

რიონ დავითის ძე ქავთარაძესთან და სამსონ ყიფიანთან.

საჭილათში: „შუამავალში“ კოწ. თავირთქილაძესთან.

ზუგდიდში: კნ. ანეტა დადიშქელიანთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

უვირილაში: (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ლამბაშიძესთან და ალ. არაბიძის წიგნის მაღაზიაბში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ონში: თავად ქაიხოსრო გელოვანთან.

გრდში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლომონ დოლიძესთან.

ბაქოში: ინექტო გიორგი დეკანოზიშვილთან.

გაგავავში: ალექსი ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაშვილთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაუნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

სიღნაფში: დ. მაჩხანელთან—დეპოში და თ. დ. ჩოლოუშვილთან.

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალ ქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე კურცხალიასთან.

ბრეთში: თ. ვანო ავალიშვილთან.

გუდაუთში (სოხუმის ოლქში): გიორგი ბალდავაძესთან.

აღსტაფავში: მიხეილ გორდაძესთან

შორიშქანში: სამსონ ლუკასძე ყაზაიშვილთან.

რედაქცია ილებს დასაბეჭდათ ყველა ენაზე კერძო განცხაებებს.

— შემდეგ ნომრებში იქნება დაბეჭდილი „კრებულის“ ხელის მომწერთა სია.

«დოკუმენტი: Тифлисъ. Въ редакцію грузинск. журнала „Кре-
були“. Головинскій проспектъ, домъ кн. Мухранскаго.

„ი ვ ე რ ი ა“

გ ა მ ი დ ი ს ა მ ა 1897 წ ე ლ ს

იმავე პოლიტიკური მინისტრი, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

	მ.	კ.		მ.	კ.
12	თვით	—	—	10	6
11	"	—	—	9 50	5
10	"	—	—	8 75	4
9	"	—	—	8 "	3
8	"	—	—	7 25	2
7	"	—	—	6 50	1

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ელი-
რება 17 გ.

ტფილის გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის
ადრესით:

ტიფლის. ჩელაკია „Иверіа“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის რედაქციაში,
ნიკოლოზის ქუჩა, № 21 დ „ქართველთა შორის წერა-კი-
თხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის
ქუჩა, ქართ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში. თუ ტფილისში
დაბარებული გაზეთი ტფილის გარეშე ადრესზე შესცვალა ვი-
ნძემ, უნდა წარმადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ
ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედგე —
თუ აბაზი. თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინძემ გაზეთი არა-
მთელის წლით, მას გაეციავნება გაზეთი ბირველ იმ თვიდამ, რო-
მელსაც დამბარებული ადნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

იმათ, რომელიაც ძარშან პირველ იანვრიდგან მოუ-
ლის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარ-
მადგრინეს, გაზეთი მოეხსობათ ამ ავგისტოს დამ-
ლექს. კისაც ჭიროს ამ 1897 წლის დამლეჭამდე ებ ზავ-
ნებოდეს გაზეთი, უნდა შემ ოიტანოს კიდევ 3 მან. 33 გაზ.

„ՅԵՐԱԾՈՍ ՅԱԿՅԱԾՈՍ“

Ր Ե Թ Ա Վ Ո Ւ

ՄՅՈՒՆՈՍ, ՅԱԿՅԱԾՈՆԻ ՀԱՐՏ, № 13.

Եղանակ մոմից բաֆետուս քահազարագ մոխմարտային ռի-
ջակցութեան լուսական 10 և սատամագ 3 և սալա-
մուս 6—7 և սատամագ և «Վարակութեան զամազ
ել մոխիցաւ վարութեան շահագութեան առ վայքացեան և նորութեան է-
նորութեան մալականական ռիջակցութեան մամալացան»

Սահման և առաջարկ պատճեան և առաջարկ պատճեան

Ը ա դ յ ա ն օ № 363.

Ցափետուս գուաս յետուս վայութ 6 ման., նաեւ առանուս վայութ 4 ման.
տատառ եռմերու 3 յափեցա. գուաս ցանցալցեծուս հայութեան զամազ
և սրայական նորութեան օգայաց 10 յան., մեռեց 5 յան.

Պ ե դ յ ա ն օ

„Շնօբիս Պուրցելի“

Տիֆլիս, Փրեյլինսկայ, № 13.

Տ ե լ ե ֆ ո ն օ № 363.



სადღესასწაულო შეგნიერი საჩუქრები.

„პროსაცლეთის გალაზია“

მმათა მერკვილამეებისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, სემინარიის ვინ.
დაბირ. № 4)

იყიდება კავკასიისა და იაპონიის საუცხოვოდ და-
მზადებული ნაწარმოები—სადღესასწაულოდ მისართმება
შეეხერთ საჩუქრები: ოქროთი, მოვარაყებული უფთები,
ძვლისა, რძისა, ბრინჯაოსი და ვერცხლის ნივთები. ნა-
ბჭები ჩალისა და კაცისა, საგეზურებები (ვერელ-
კები), ჩაგალავები, ჩათრავები ჩაგარ-ხანჯლები,
ხელები, როგორც ღიდებისა, ისე ყმაწვილებისა, კახური
უვენიერი ლეჩაშის არჭიები.

აბრეშუმეულობა ჩინეთისა და იაპონიისა: დამზადე-
ბული ხალათები, ჯუგები, თავსაურებები, მრავალი
ცხვირსახოვები, ფანჯა თეთრეულისათვის, ჩესუნჩა
და სხვა.

შალაზიას აქვს სამაგალითო სამართლო-სახელოს-
ნო, საღაც მზადება ჩვენებური საუცხოვო ტანისამოსი.

აქვე იყიდება: იმარული, მაგრული, დიგორული,
და ლეპური შალები, თივთიკები და სხვა და სხვა.

ქართველთა სააღებ-მიუქმო ამხანაგობა

„გუაგავალი“

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან გამა
საბაკალეო და გასტრონომიული მაღაზიები, სადაც მსუ-
რველთ შეუძლიანთ შეიძინონ პირიანად სხვა და სხვა
სანოვაგე, სანელი და ხილეული; ჩაი, შაქარი, კაკაო და
შეკოლადი; ლვინო, არაყი, და სხვა და სხვა სასმელები
ადგილობრივი, რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა; პაპი-
როზი და თამბაქო სხვა და სხვა ფირმებისა. და ყოველ-
გვარი საყოველ-დღეო საჭირო საგნები.

1 ენკენისთვილან გაიხსნება აქვე საყასბო, ევრო-
პიულად მოწყობილი, და გაიმართება მასთან საბაყლო
და რძის ნაკეთობის განყოფილებები.

მაღბზიებში მკაცრად არის დაცული სისუფთავე და
ზრდილობიანობა მუშტართან.

ამხანაგობა იღებს კომისიით და უიდეულობს ნაღდ ფუ-
ლად სოფლის მწარმოებელთაგან უოველივე მათს ნაწარ-
მოებს.

შემოსვლა ამხანაგად შეუძლიან ყველას, განურჩევ-
ლად წოდებისა, სქესისა და სარწმუნოებისა. სრული საწევრო
წილი არის მხოლოდ ერთი თუმანი; ამ წილის ფულის
შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. მსურველთ შე-
უძლიანთ აილონ რამდენიმე წილი (რომენობა წილისა
განუსაზღვრელია).

აღრესი კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ-დ კ.
ი. მუხრან-ბატონისა, № 8/1.

